

სირიის გეოსტრატეგიული გარემო და უსაფრთხოების არქიტექტურის ტრანსფორმაცია

მარიამი ბაზერაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო

პროგრამის დოქტორანტი

mariam.bazerashvili@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-6237-4170>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.01

აბსტრაქტი

სტატია მიმოიხილავს სირიის გეოსტრატეგიულ გარემოსა და უსაფრთხოების არქიტექტურის ტრანსფორმაციის ეტაპებს ასადის დინასტიის მმართველობიდან დღემდე. სირია ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ წერტილს წარმოადგენს, რომელსაც აქვს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გასასვლელი, ის აკავშირებს ენერგორესურსებით მდიდარ სპარსეთის ყურესთან მიმავალ სავაჭრო გზებს. სირიის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ასევე ეთნიკურ-რელიგიურმა მრავალფეროვნებამ, სირია აქცია კონფლიქტების, ძალაუფლების ბრძოლისა და რეგიონული კონკურენციის მთავარ არენად. სირიაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა უთანასწორობამ და პოლიტიკური თავისუფლებების უქონლობამ ქვეყანა ჩააგდო ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ და სისხლიან სამოქალაქო ომში, რომელსაც პარალელურად ემატებოდა სხვადასხვა სახელმწიფოს დავა აღნიშნულ ტერიტორიაზე ზეგავლენის მოსახდენად. წლების ცვილელბასთან ერთად, განსაკუთრებით რუსეთმა და ირანმა მოიკიდა ფეხი სირიაში. რუსეთის დამარცხების გამოვლინებად ითვლებოდა ასადის რეჟიმის დამხობა, თუმცა, ახლად არჩეულმა პარტიამ 2025 წელს დაიწყო მოლაპარაკებები რუსეთთან, რომელიც მათი მჭირდრო, ისტორიულ-პოლიტიკური კავშირიდან გამომდინარე, მოსალოდნელიც იყო. ტრანზიციული ხელისუფლება ცდილობს ქვეყნის აღდგენას, თუმცა, მათ წინაშე დგას კორუფციის, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ფრაგმენტირებული უსაფრთხოების სისტემის გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: გეოსტრატეგიული, უსაფრთხოების არქიტექტურა, სირია, ასადის მმართველობა, ავტორიტარული

Transformation of Syria's Geostrategic Environment and Security Architecture

Mariam Bazerashvili

Caucasus International University

PhD Candidate in Political Science

mariam.bazerashvili@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-6237-4170>

Abstract

The article examines the stages of transformation in Syria's geostrategic environment and security architecture under the rule of the Assad dynasty. Syria represents one of the most complex geopolitical centers in the Middle East, with access to the eastern coast of the Mediterranean Sea and connections to energy-rich Persia and trade routes leading to the Gulf. Its geographical location, combined with deep ethnic and religious diversity, has turned Syria into a major arena for protests, power struggles, and regional competition. The absence of political freedom, economic inequality, and long-term instability has plunged the country into one of the longest and most devastating wars in modern history, marked by the ongoing struggle of external powers for influence over its territory. Over the years, Russia and Iran have established significant footholds in Syria. The overthrow of the Assad regime was initially viewed as a sign of Russia's setback; however, the newly elected leadership in 2025 began negotiations with Moscow, with which Syria has a complex historical and political relationship. Although the restoration of transitional energy cooperation is anticipated, the country continues to face serious challenges, including corruption, labor trafficking, and a fragmented security system.

Keywords: Geostrategic, Security Architecture, Syria, Assad's rule, Authoritarianism

სტატიის მიზანია სირიის გეოსტრატეგიული გარემოს ანალიზი და იმ ტრანსფორმაციული პროცესების შეფასება, რომელიც მიმდინარეობს, როგორც შიდა პოლიტიკური, ასევე გარე ძალების ჩართულობის, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემის მომავალ კონფიგურაციას.

სტატიის ამოცანებია:

- სირიის გეოსტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობის გამოვლენა;
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური და სამხედრო დინამიკის შეფასება;
- რეგიონული მოთამაშეების სტრატეგიული ინტერესების ანალიზი;
- გლობალური ძალების, განსაკუთრებით, რუსეთის როლის განსაზღვრა სირიის კონფლიქტში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს სირიის გეოსტრატეგიული გარემო და მასზე მოქმედი ფაქტორები, ხოლო **კვლევის საგანს** ქვეყნის შიდა და გარე აქტორების ურთიერთქმედება, მათი სტრატეგიული ინტერესები და გავლენა უსაფრთხოების არქიტექტურის ტრანსფორმაციაზე ახლო აღმოსავლეთის კონტექსტში.

კვლევა ეფუძნება **თვისებრივი კვლევის მეთოდს**, სადაც გამოვიყენეთ კომპლექსური მიდგომა, რომელიც აერთიანებს როგორც ისტორიულ, ისე შედარებით-ანალიტიკურ მეთოდებს. კონტენანალიზისა და “Case study” მეთოდს, რომლის საშუალებით გამოიკვეთა სირიის პოლიტიკური და უსაფრთხოების არქიტექტურის ტრანსფორმაცია.

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა რამდენიმე პოლიტიკური თეორია; კერძოდ, ჰანს მორგენტაუს პოლიტიკური **რეალიზმის** თეორია, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებზე, სადაც ძალა არის განსაზღვრული ფაქტორი მოლაპარაკებებისა და ზეგავლენის მოსახდენად. ასევე, ალექსანდრ ვენდტის **კონსტრუქტივიზმის** თეორია, რომელიც არის განსაზღვრული არა მხოლოდ სახელმწიფოების ურთიერთთანამშრომლობისა, არამედ სახელმწიფოს შიგნით არსებული პოლიტიკური ყოფიერებისა, რისი ნათელი მაგალითი არიან სირიელი მოქალაქეები, რომლებიც წლების მანძილზე ცდილობდნენ ავტორიტარული პოლიტიკის შეცვლასა და საკუთარი უფლებების დაცვას.

შესავალი

სირიის საკითხი თანამედროვე პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. სირიის უსაფრთხოების არქიტექტურა მისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას, რომელიც პირდაპირ აისახება რეგიონულ სტაბილურობაზე. ეს გარემოება, ეთნიკურ-რელიგიურ მრავალფეროვნებასთან ერთად, წლების განმავლობაში ქმნიდა შიდა დაპირისპირებებისა და გარე აქტორების ჩარევის ნიადაგს. აქ იკვეთება რეგიონული მოთამაშეების: თურქეთის, ირანის, ისრაელისა და საუდის არაბეთის ინტერესები, ასევე გლობალური ძალების: აშშ-ის, რუსეთის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და ჩინეთისაც, რომელიც აქტიურად იყენებს ქვეყნის სტრატეგიულ მდებარეობას საკუთარი მიზნებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობების დათბობის პოლიტიკა, რომელიც სირიის კონტექსტში დაიწყო და აძლიერებს მათი სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივას.

ახალ პოლიტიკურ რეალობაში სირია საერთაშორისო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. რუსეთისთვის მნიშვნელოვანი იყო გავლენის შენარჩუნება ასადის მეშვეობით, ხოლო პარალელურად ისრაელი ცდილობდა გავლენის გაძლიერებას სირიაში. რეგიონში რადიკალური ჯგუფების არსებობა გრძელდება, რაც ხელს უშლის

დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას და ავტორიტარული რეჟიმის გაძლიერებას.

ასადის რეჟიმის ისტორია იწყება 1970 წლიდან, როცა ჰაფეზ ალ-ასადი სამხედრო გადატრიალებით მოვიდა ხელისუფლებაში. მისი მმართველობა ხასიათდებოდა ძალაუფლების მკაცრი ცენტრალიზაციით, უსაფრთხოების სტრუქტურების გაძლიერებით და ალავიტური ელიტის გავლენის ზრდით. ჰაფეზის მემკვიდრეობა მისმა ვაჟმა, ბაშარ ალ-ასადმა გააგრძელა 2000 წლიდან 2024 წლამდე. ბაშარის მმართველობა წინააღმდეგობრივ პერიოდად დარჩა ისტორიაში, როგორც, ეკონომიკური რეფორმებისა, რაც ძირითადად ელიტისთვის მომგებიანი იყო, მოსახლეობის ფართო ფენები კი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში რჩებოდნენ.

2011 წელს დაწყებული არაერთი პროტესტი, რომელიც არაბული გაზაფხულის ტალღის ნაწილი გახლდათ, სწრაფად გადაიზარდა ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან კონფლიქტში თანამედროვე სირიაში. ომმა მილიონობით ადამიანი შეიწირა და დააზარალა, შექმნა მასშტაბური ჰუმანიტარული კრიზისი და ქვეყანა გარე ძალების ინტერესთა ასპარეზად აქცია. რუსეთისა და ირანის მხარდაჭერა ასადის მთავარ საყრდენად დარჩა, მაშინ როცა, დასავლეთი, თურქეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები სხვადასხვა ოპოზიციურ ჯგუფებს ეხმარებოდნენ.

2024 წელს ბაშარ ალ-ასადის დაცემა მნიშვნელოვანი გარდატეხა იყო, როგორც სირიის შიდა პოლიტიკაში, ასევე რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. ახალი გარდამავალი ხელისუფლება ცდილობს ქვეყანაში სტაბილურობის, საერთაშორისო ლეგიტიმაციისა და უსაფრთხოების სისტემის აღდგენას, თუმცა მათ წინაშე მძიმე გამოწვევებია: კორუფცია, ფრაგმენტაცია და ეკონომიკური პრობლემები. სირიის მაგალითი ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება ერთ გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან სივრცეში ერთმანეთის ინტერესები გადაიკვეთოს რეგიონულ და გლობალურ ძალებს შორის. სტატია ყურადღებას ამახვილებს ასადების მმართველობის, მისი დამხობის შემდგომი რეალობის, სხვადასხვა სახელმწიფოს როლისა და უსაფრთხოების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევების ანალიზზე.

სირია აზიის დასავლეთ ბოლოში მდებარეობს, რომელიც ევროპას, აზიასა და აფრიკას შორის სახმელეთო ხიდის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს. სირიის მდებარეობამ ის გარე აქტორების, განსაკუთრებით, ისრაელისა და ირანის სამიზნედ აქცია, რომლებიც საკუთარი დამანგრეველი ინტერესებისთვის ქვეყანაში დომინირებას ცდილობენ.

სირიის მოსახლეობისა და ისტორიული განვითარების ძირითადი ნაწილი ქვეყნის დასავლეთ ღერუფანშია კონცენტრირებული ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, თურქეთის საზღვრიდან იორდანის საზღვრამდე, ალეპოს, ჰამას, ჰომსისა და დამასკოს გავლით. თუმცა, სირიის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერუფების განვითარება, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან ალეპოს, რაქას, ჰასაკასა და დეირ ეზ-ზურის ქალაქების გავლით და ერაცის საზღვრამდე, არანაკლებ მნიშვნელოვანია და

ძირითად ეკონომიკურ შესაძლებლობას წარმოადგენს. სირიის ხმელთაშუა ზღვის პორტები ლატაკია, ტარტუსი და ბანიასი შეიძლება კიდევ უფრო განვითარდეს სირიისა და, ასევე, ერაყის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სირიის საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მიწები და მისი წყლისა და ნავთობის რესურსების უმეტესი ნაწილი ამ აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფანზე მდებარეობს. ალექსო სირიის ტექსტილის ინდუსტრიის სამშობლოა, ხოლო ქალაქის აღმოსავლეთით გადაჭიმული ჩრდილოეთი ვაკეები მისი ბამბის წარმოების ცენტრია. რეგიონი სირიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ხორბალი, პარკოსნები, ზეთისხილი და მეცხოველეობა) წარმოების მნიშვნელოვან წილს შეადგენს. აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის რეგიონების განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სირიის შიდა პოლიტიკური რეინტეგრაციისთვის და შეავსებს რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებს, როგორცაა თურქეთის კავშირები ცენტრალურ აზიასთან კავკასიის გავლით და ერაყის განვითარების გზის პროექტი, რომელიც თურქეთს არაბეთის ყურეში მდებარე გრანდფაუს პორტის პროექტთან აკავშირებს. სირია შეიძლება განთავსდეს, როგორც დასავლეთის ტერმინალი აზიის სხვა ქვეყნებიდან მათთან ვაჭრობისთვის და სირიელ ექსპორტიორებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ ისარგებლონ ამ სატრანსპორტო კავშირებით.¹

თანამედროვე სირიამ საფრანგეთისგან დამოუკიდებლობა 1946 წელს მოიპოვა. 1949-1971 წლებში მრავალი სამხედრო გადატრიალების მცდელობა იყო სირიაში. 1958-1961 წლებში სირია ხანმოკლედ შეუერთდა ეგვიპტეს და ჩამოაყალიბა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. აღსანიშნავია, რომ 1963 წლის გადატრიალების შედეგად არაბთა სოციალისტურმა ბაასის პარტიამ ერთპარტიული სახელმწიფო დააარსა. გენერალმა ჰაფეზ ალ-ასადმა 1970 წელს ხელისუფლება ხელში ჩაიგდო და რეპრესიული პოლიტიკური სისტემა დაამყარა.²

„არაბული გაზაფხული“ 2010 წლის დეკემბერში დაიწყო ტუნისელი ხილის გამყიდველის თვითღაწვით, რომელიც კორუფციას გმობდა. მისმა ქმედებამ ტუნისში, შემდეგ კი ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში საპროტესტო აქციები გამოიწვია, რამაც ტუნისში, ეგვიპტესა და იემენში დიდი ხნის მმართველი ლიდერები აიძულა გადამდგარიყვნენ. ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ შთაგონებულმა სირიის სამხრეთ-დასავლეთ ქალაქ დერააში თხუთმეტმა ბიჭმა სკოლის კედელზე წარწერა დაწერა: „ხალხს რეჟიმის დამხობა სურს“. ისინი დააპატიმრეს და აწამეს. მათ მხარდამჭერი დემონსტრანტები პოლიციას შეეჯახნენ და პროტესტი გავრცელდა სხვადასხვა ქალაქშიც. ბევრი მომიტინგე რეჟიმის შეცვლაზე უფრო მოკრძალებულ რამეს მოითხოვდა: პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, ნახევარსაუკუნოვანი საგანგებო მდგომარეობის დასრულებას, მეტ თავისუფლებას და კორუფციის აღმოფხვრას. ტუნისელი ზინ ალ-აბიდინ ბენ ალისა და ეგვიპტელი ჰოსნი

¹ გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკა. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019.

² Laub, Z. Maizland, L. Robinson, K and J. Syria's Civil War: The Descent Into Horror. Council on Foreign Relations.

მუხარაქისგან განსხვავებით, ასადმა მომიტინგეებს დაუყოვნებლივ უპასუხა, რომელიც შემოიფარგლა მხოლოდ სიმბოლური რეფორმების შესთავაზებით და უსაფრთხოების სამსახურებს პროტესტის ძალის გამოყენებით ჩახშობისკენ მოუწოდა. რეჟიმის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები მალევე გავრცელდა დერაადან ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა დამასკო, ჰამა და ჰომსი. იმ პერიოდისთვის, დაკავების ცენტრებში ხშირად ფიქსირდებოდა წამებისა და სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის შემთხვევები. შემდეგ, 2011 წლის აპრილის ბოლოს, სირიის არმიამ ტანკები შეიყვანა და დერაას ალყა შემოარტყა. მშვიდობიან მოსახლეობაში დაღუპულთა რიცხვი გაიზარდა და მაცხოვრებლებს თერთმეტი დღის განმავლობაში საკვები, წყალი, მედიკამენტები, ტელეფონი და ელექტროენერგია არ მიეწოდებოდათ. საერთაშორისო დაგმობის ფონზე, რეჟიმმა გარკვეული დათმობები შესთავაზა, მაგრამ მან დერაას მსგავსი რეაქცია სხვა ადგილებშიც გაიმეორა, სადაც საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, გაცილებით ხანგრძლივი და დანახარჯებით, რამაც რეჟიმის ზოგიერთ მოწინააღმდეგეს იარაღის ხელში აღება აიძულა. სოფლებსა და ქალაქურ უბნებში ადგილობრივი საკოორდინაციო კომიტეტები შეიქმნა. თავდაპირველად რეჟიმისადმი წინააღმდეგობის ორგანიზებისთვის შექმნილი ამ კომიტეტების უმეტესობამ საჯარო ადმინისტრირებისა და მომსახურების მიწოდების როლი იკისრა.³ ბაშარ ალ-ასადის მთავრობა 2024 წლის 8 დეკემბერს შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების კოალიციის მიერ დამარცხდა, რითაც დასრულდა სირიაში ბაასის პარტიის დიდი ხნის მმართველობა.⁴

2024 წელს სირიელები ყოველდღიურად ამჩნევდნენ ძალადობის და გაჭირვების შედეგებს. ქვეყანაში მძიმე ყოფაა, ყოველდღიურობა დაძაბულია, ეკონომიკა რყევადია, უსაფრთხოება კი თითქმის არ არსებობს. რუსეთი და ირანი კვლავ მხარს უჭერდნენ სირიის მთავრობას, როგორც ფინანსურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით, სანამ ქვეყანა საყოველთაო ქაოსში არ აღმოჩნდა. აშშ ამ დროს ქურთების ხელმძღვანელობით მოქმედ სირიის დემოკრატიულ ძალებს (SDF) უჭერდა მხარს ჩრდილო-აღმოსავლეთში, ხოლო თურქეთი, სირიის ეროვნულ არმიას (SNA). პარალელურად, ისრაელი ამ კონფლიქტში ყველაზე აქტიურად ჩაერთო, 2024 წლის 8 დეკემბრის საჰაერო დარტყმებით, რომლებმაც სამხედრო ინფრასტრუქტურა სერიოზულად დააზიანა და ჰერმონის მთის სამხრეთ კალთაზე კონტროლი განავითარეს. ეს ყოველივე კიდევ უფრო აჩვენებს, როგორ არის სირია გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილად, სადაც სხვადასხვა ძალა ერთმანეთს მუდმივად კვალს აჩნევს.

თურქეთისთვის სირია ყოველთვის მნიშვნელოვან სახელმწიფოდ დარჩება, მათ ჯერ მარტო საზღვარი აკავშირებთ, რის გამოც სირიასთან არსებული საკითხები ქვეყნის საგარეო და შინაგანი პოლიტიკის ნაწილიცაა. ქვეყნის შიგნით სირიელი ლტოლვილების რაოდენობა დაახლოებით 3.6 მილიონს აღწევს, რაც მასპინძლ

³ Hassan, T. Syria events of 2024. Human Rights Watch

⁴ Syria - Risk Level: Current Crisis . Global Centre For The Responsibility To Protect

ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ზრდას იწვევს და ნაციონალისტური, ულტრამემარჯვენე მოძრაობების გაძლიერებას უწყობს ხელს. სირია-თურქეთის საზღვარზე ბევრია სირიელი და ერაყელი ქურთი, რომლებიც ავტონომიური რეგიონის შექმნას ცდილობენ. მათი მცდელობა უშუალოდ ეწინააღმდეგება როგორც სირიის, ისე თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას და ქმნის მუდმივ დაძაბულობას. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ სირია მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკის საკითხი არაა, ის რეგიონულ და გლობალურ თამაშში ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ იქცა. დაპირისპირებებმა შექმნა ისეთი სიტუაცია, სადაც ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება, უსაფრთხოება და მომავლის იმედი მუდმივად ერწყმის გლობალური პოლიტიკის ძვრებს. მიმდინარე წლის 4 თებერვალს ანკარაში სირიის ახალ პრეზიდენტ აჰმედ ალ-შარასა და თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შორის შეხვედრა გაიმართა. ეს იყო შარას მეორე ვიზიტი საზღვარგარეთ მისი თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ და ბევრისთვის სიგნალი გახდა სირიის მომავლის მიმართულება. ბოლო წლებში თურქეთი აქტიურად ცდილობდა ურთიერთობების ნორმალიზებას ასადის რეჟიმთან, თუმცა ეს პროცესები ხშირად შეფერხდა და ვერ მიაღწია შედეგს. ბოლო მოვლენები აჩვენებს, რომ ანკარა-დამასკოს ურთიერთობა ახლა შედარებით მყარია – გზა, რომელიც მათ 2012 წლიდან გაიარეს, ძალიან გრძელია. მაშინ შარა პირველად იყო „ჯაბჰათ ალ-ნუსრას“ მეთაური, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რეგიონში მის როლს.⁵

2020 წლის მარტში თურქეთმა რუსეთთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება გააფორმა. ამის შემდეგ, თურქეთის ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია (MIT), რომელიც თითქმის ათი წლის განმავლობაში იყო ჩართული სირიის სამოქალაქო ომში, თითქოს ახალ სიჩქარეს აითვისებდა. გამოჩნდა ნიშნები, რომ HTS-თან კავშირები უფრო დრამატიზებულია და მათთან ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს ცვლილებები აჩვენებს, თუ რამდენად დინამიკურად ვითარდება სირიასთან დაკავშირებული პოლიტიკური ურთიერთობები და როგორ ცდილობენ მხარეები ახალი გზების მონახვას რეგიონალური სტაბილურობისა და საკუთარი გავლენის გაძლიერებას.⁶

რაც შეეხება ისრაელ-სირიის საკითხს, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1967 წელი, როდესაც ისრაელმა დაიპყრო გოლანის მაღლობები, რომლებიც ადრე სირიას ეკუთვნოდა. ისრაელმა შემდეგ მიიჩნია ეს ტერიტორია როგორც უსაფრთხოების საზღვარი. 1973 წლის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ მიღებული იყო *გადი-ხდაცვის ზონის* შეთანხმება, მაგრამ გოლანის სტატუსი ჯერჯერობით არ არის დაშვებული სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენამდე. საკითხის მოსაგვარებლად, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა ისრაელსა და სირიას შორის მოლაპარაკებებისთვის დამატებითი არხი შექმნეს, რომელიც ემსახურებოდა რეგიონულ დახმარებას სამხრეთელ მეზობელთან სულ უფრო მტრული

⁵ Dalay, G. Turkey has emerged as a winner in Syria but must now use its influence to help build peace. Chatham House.

⁶ Russia's Devastating Impact In Syria. The White Helmets.

ურთიერთობების მოსაგვარებლად. არაპირდაპირი კონტაქტები, რომლებიც აქამდე არ იყო ცნობილი, ფოკუსირებულია უსაფრთხოებისა და დაზვერვის საკითხებსა და ნდობის აღდგენაზე ორ სახელმწიფოს შორის, რომლებსაც ოფიციალური ურთიერთობები არ აქვთ, თუმცა რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე და დამატებით, პალესტინის აღიარებით, ისრაელთან ურთიერთობის დალაგების პროცესი ჯერ კიდევ სამომავლო პერსპექტივაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონს გარე ყველაზე დაინტერესებული, და ამავე დროულად, ზეგავლენის მატარებელი სახელმწიფო სირიისთვის რჩება ისევ რუსეთი. ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, რუსეთი ოფიციალურად ჩაერია სირიაში 2015 წლის 30 სექტემბერს. რუსეთის ოპერაციები რეჟიმისთვის სასიცოცხლო რგოლი იყო და მისი ამბიციები სირიაში კვლავ გავლენას ახდენს ადგილზე ძალთა ბალანსზე. ინტერვენციის შემდეგ, რუსეთი დაეხმარა სირიის რეჟიმს სასტიკი სამხედრო კამპანიების დაწყებაში ალექსის ქალაქსა და მის გარეუბნებში, დამასკოს გარეთ სამხრეთ და აღმოსავლეთ ღუტამი, ჰომსში, დარააში, იდლიბისა და ჰამას ზოგიერთ ნაწილში. ალ-ასადის რეჟიმის სასარგებლოდ რუსული ინტერვენციის დაწყებიდან, გაფართოვდა იძულებით გადაადგილების კამპანიები და ანტისამთავრობო ქალაქების დაცლის მცდელობები. რუსული ინტერვენციის პირველი შედეგი იყო ალექსის აღმოსავლეთი უბნების განადგურება 2016 წელს და შედეგად, ამ უბნების მაცხოვრებლების იძულებით გადაადგილება. ამას მოჰყვა დამასკოს დასავლეთი და აღმოსავლეთი უბნების მაცხოვრებლების იძულებით გადაადგილება 2017 წელს. 2019 წელსაც გაგრძელდა იგივე პროცესები, რომლებსაც თან ახლდა რუსული სამხედრო თვითმფრინავების ინტენსიური დაბომბვა, გაგრძელდა, თუმცა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ისინი სირიის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ კამპანიად შეაფასა. სირიის რეაგირების კოორდინაციის ჯგუფის (SRCG) მონაცემებით, 2019 წელს 1,182,772-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლები და გაქცეოდა სიკვდილს, ხოლო 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის თებერვლამდე პერიოდში, დაახლოებით 1,037,890 ადამიანი იქნა იძულებით გადაადგილებული.⁷

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსულ-არაბული სამყაროს დიალოგს ხანგრძლივი ისტორია აქვს და არასდროს შეწყვეტილა. მას შემდეგ, რაც შესაბამისმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ხოლო 1991 წლის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ, მჭიდრო სტრატეგიული ურთიერთობები დაამყარეს არაბი "მეგობრების" უმეტესობასთან. ლავროვმა განაცხადა, რომ "2013 წელს ჩვენ გადაწყვიტეთ ამ პროცესების სისტემატიზაცია და მრავალმხრივ საფუძველზე განთავსება. თითოეულ არაბულ ქვეყანასთან ორმხრივ კავშირებთან ერთად, ჩვენ შევთავაზეთ რუსეთ-არაბეთის თანამშრომლობის ფორუმის შექმნა - რუსულ-არაბული სამყაროს/რუსეთის-არაბული ლიგის პარტნიორობისა და დიალოგის

⁷ Sidlo, K. n.d. Geopolitical miscalculations: The case against Russia's presence in Syria. EUSS - European Union Institute for Security Studies.

პლატფორმა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ექვსი ასეთი მინისტერიალი უკვე ჩატარდა, დაახლოებით ორ წელიწადში ერთხელ.”⁸

რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სირიაში არსებული ურთიერთობის შენარჩუნება. მიუხედავად, იმისა, რომ ასადის რეჟიმი დაემხო, რუსეთი და მათ შორის, სირიაც იაზრებს, რომ მათ მჭირდო ურთიერთობა აქვთ ისტორიულ კონტექსტში და ბევრად მარტივი იქნება ახალი ხელისუფლებისთვისაც, რომ შენარჩუნებული ჰქონდეს სტრატეგიული ურთიერთობები. სირია რუსეთს აძლევს შესაძლებლობას დაიტოვოს გავლენა ახლო აღმოსავლეთში და ჰქონდეს ხმელთაშუაზღვაზე გასავლელი, პარალელურად, აქვს შესაძლებლობა ისევ ჰქონდეს სამხედრო ბაზები განლაგებული, სირიისთვის კი, მნიშვნელოვანია ჰყავდეს პარტნიორი, რომელიც დაეხმარება ეკონომიკურად ადაღინოს დანგრეული სახელმწიფოს ინფრასტრუქტურა თუ ეკონომიკა.

დასკვნა

სირია ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობით, რადგან ის არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის, არამედ გლობალური ინტერესების გადაკვეთის ცენტრი გახლდათ. ამის გარდა, სირიის ეთნოკონფესიური მრავალფეროვნება: ალავიტები, სუნიტები, ქურთები, ქრისტიანები, სხვა უმცირესობები ქმნის საზოგადოებას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება რეგიონის სხვა ქვეყნებისგან. სწორედ ეს მრავალფეროვნება, ერთი მხრივ, სირიაში კულტურული და ისტორიული სიმდიდრის გარანტიაა, მეორე მხრივ კი, ხშირად სირთულეებს ქმნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში. სირიის კონფლიქტმა ნათლად წარმოაჩინა უსაფრთხოების არქიტექტურა, მისი ტრანსფორმაცია პირდაპირ დამოკიდებულია როგორც შიდა ძალთა ბალანსზე, ისე რეგიონული და გლობალური მოთამაშეების მოქმედებაზე. რუსეთი, ირანი, აშშ, თურქეთი, ისრაელი და სპარსეთის ყურის სახელმწიფოები მუდმივად ცდილობენ საკუთარი ინტერესების დაცვის გზების პოვნას სირიის ტერიტორიაზე. მათი მოქმედებები არა მხოლოდ სამხედრო ჩარევებს, არამედ ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და დიპლომატიურ ზემოქმედებასაც მოიცავს, რაც უშუალოდ აისახება უსაფრთხოების სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე.

სტატიაში განხილული საკითხების შედეგად იკვეთება რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სირიის უსაფრთხოების არქიტექტურის ტრანსფორმაციას: შიდა პოლიტიკური სტაბილურობის დეფიციტი; რეგიონული მოთამაშეების კონკურენცია (თურქეთი, ირანი, ისრაელი და სპარსეთის ყურის ქვეყნები); გლობალური ძალების ჩართულობა (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები და განსაკუთრებით რუსეთი).

⁸ Chiragov, F. Can Russia turn a new leaf in bilateral ties with post-Assad Syria? TRT WORLD.

ყველა ეს ფაქტორი ქმნის როგორც სირთულეებს, ისე ახალი შესაძლებლობების წარმოქმნას უსაფრთხოების მოდელების ინოვაციური და მოქნილი სტრუქტურებისთვის. სირიაში მიმდინარე პროცესები გვიჩვენებს, რომ ქვეყანა კვლავაც დარჩება ახლო აღმოსავლეთის გეოსტრატეგიულ ცენტრალურ სივრცედ. მისმა უსაფრთხოების არქიტექტურამ, რომელიც მუდმივად იცვლება, შესაძლოა, მომავალ წლებში პირდაპირ განსაზღვროს არა მხოლოდ რეგიონის სტაბილურობა, არამედ ძალთა ბალანსი.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სირიაში შექმნილი რთული რეალობა აჩენს შესაძლებლობას ახალი ტიპის უსაფრთხოების სტრუქტურების ფორმირებისთვის, რომლებიც უფრო მოქნილი, რეგიონული კოალიციების ჩართულობით და შიდა სოციალურ-პოლიტიკური თანხმობით იფუნქციონირებენ. ქვეყნის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, ეთნიკური მრავალფეროვნება და რესურსების პოტენციალი მას ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე რეგიონულ და საერთაშორისო პოლუსად აქცევს, სადაც ყოველი ცვლილება სწრაფად აისახება როგორც სირიის, ისე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ და სტრატეგიულ მაჩვენებლებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტი, რ. ჯერვისი რ. საერთაშორისო პოლიტიკა – მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.
2. გაჩეჩილაძე, რ. *ახლო აღმოსავლეთი – გეოპოლიტიკა*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019.
3. Chiragov, F. *Can Russia turn a new leaf in bilateral ties with post-Assad Syria?* TRT WORLD. 2025. <https://www.trtworld.com/article/04bdacf64246> (ბოლოს ნანახია 23/10/2025).
4. Dalay, G. *Turkey has emerged as a winner in Syria but must now use its influence to help build peace*. Chatham House. 2024. <https://www.chathamhouse.org/2024/12/turkey-has-emerged-winner-syria-must-now-use-its-influence-help-build-peace> (ბოლოს ნანახია 23/10/2025).
5. Hassan, T. *Syria events of 2024*. Human Rights Watch. 2024. <https://www.hrw.org/world-report/2025/country-chapters/syria> (ბოლოს ნანახია 23/10/2025).
6. Laub, Z. Maizland, L. Robinson, K and J. *Syria's Civil War: The Descent Into Horror*. Council on Foreign Relations. 2024. <https://www.cfr.org/article/syrias-civil-war> (ბოლოს ნანახია 23/10/2025).

7. oft, P. Mils, C. *Syria after Assad: Consequences and interim authorities* 2025. House of commons library. 2025.
8. *Russia's Devastating Impact In Syria*. The White Helmets . 2020.
<https://whitehelmets.org/en/latest/media-releases/russias-devastating-impact-in-syria>. (ბოლოს ნანახია 23/10/2025)
9. Sidlo, K. n.d. *Geopolitical miscalculations: The case against Russia's presence in Syria*. EUSS - European Union Institute for Security Studies. 2025.
<https://www.iss.europa.eu/publications/commentary/geopolitical-miscalculations-case-against-russias-presence-syria> (ბოლოს ნანახია 23/10/2025).
10. Smagin, N. *As the New Syrian Regime Gains Legitimacy, It Is Pushing Russia Out*. Carnegie - Russia Eurasia Center. 2025 <https://carnegieendowment.org/russia-eurasia/politika/2025/06/syria-russia-growing-apart?lang=en> (ბოლოს ნანახია 23/10/2025).
11. *Syria - Risk Level: Current Crisis* . Global Centre For The Responsibility To Protect. 2025 <https://www.globalr2p.org/countries/syria/> (ბოლოს ნანახია 23/10/2025).

პიროვნული თვითშეფასების განმსაზღვრელი ფაქტორების მულტიფაქტორული ანალიზი

ნინო ბერუაშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ninoberuashvili135@gmail.com
ORCID ID: <https://orcid.org/0009-0002-5794-1445>

მაია კალანდარიშვილი

ფსიქოლოგიის დოქტორი
kalandarishvilimaia64@gmail.com
ORCID ID: <https://orcid.org/0009-0004-8802-0416>
DOI: 10.52340/splogos.2025.03.02

აბსტრაქტი

წინამდებარე გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს პიროვნების თვითშეფასებაზე ზემოქმედების ფაქტორების ანალიზი.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით. კვლევაში მონაწილეობდა 300 ცდისპირი, რომლის ასაკიც 18 წლიდან იწყებოდა. კვლევის ამოცანებად განისაზღვრა თვითშეფასებაზე მოქმედი ფაქტორების თეორიული ანალიზი და ემპირიული კვლევა, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების საფუძველზე. კვლევაში გამოყენებულ იქნა როზენბერგის თვითშეფასების კითხვარი და კეტელის კითხვარი.

კვლევის ძირითადი ვექტორი მიმართული იყო კეტელის კითხვარში გამოყოფილ 16 ფაქტორსა და თვითშეფასებას შორის ურთიერთკავშირის დადგენას.

კვლევის შედეგების მიხედვით თვითშეფასების მაჩვენებელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინდივიდის პიროვნულ მახასიათებლებთან. ეს კავშირი იმ ფორმატით ვლინდება, რომელშიც თვითშეფასების ცვლილებაზე ზეგავლენას ახდენს არა ერთი რომელიმე ან რამდენიმე ფაქტორი, არამედ კომპლექსური და ერთდროული პროცესი. ფაქტორული ანალიზის მიხედვით ერთად მოქმედ ჯგუფში გაერთიანდა 16 დან 14 ფაქტორი, გარდა დომინანტობა-დაქვემდებარებულობის ფაქტორისა და ფრუსტრირებულობის ფაქტორისა. ეს ორი უკანასკნელი ფაქტორი ცალკე ჯგუფად გამოიყო და ერთმანეთთან მაღალი დამოკიდებულება აჩვენა.

რეგრესიული ანალიზით შეფასდა თვითშეფასებაზე ასაკისა და ინდივიდის პიროვნული მახასიათებლების ზემოქმედება. ერთ შემთხვევაში, ანალიზი ჩატარდა პიროვნული მახასიათებლების გამსხვილებულ 4 ჯგუფთან მიმართებაში და მეორე შემთხვევაში, პიროვნული მახასიათებლების თექვსმეტივე ფაქტორთან. პირველ შემთხვევაში, ზემოქმედების მაჩვენებელი იყო 52,5% და მეორე შემთხვევაში, 75,2%.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ თვითმეფასებაზე ზეგავლენას ახდენს ინდივიდუალურად და ერთმანეთთან კომბინაციაში არსებული თითქმის ყველა ფაქტორი.

საკვანძო სიტყვები: თვითმეფასება, დაბალი თვითმეფასება, ადექვატური თვითმეფასება, მაღალი თვითმეფასება, ფაქტორი

Multifactorial Analysis of the Determinants of Personal Self-Esteem

Nino Beruashvili

PhD Student, Faculty of Engineering, Economics, Media Technologies, and
Social Sciences,
Georgian Technical University
ninoberuashvili135@gmail.com

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0002-5794-1445>

Maia Kalandarishvili

Doctor of Psychology
kalandarishvilimaia64@gmail.com

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0004-8802-0416>

Abstract

The present study aims to determine the factors influencing a person's self-esteem. The study was conducted using a quantitative research method. 300 experimental subjects, aged 18 and over, participated in the study. Theoretical analysis and empirical research of the factors affecting self-esteem were defined as the objectives of the research based on the selection and development of methodological tools. The Rosenberg Self-Esteem Questionnaire and The Sixteen Personality Factor Questionnaire by Raymond Cattell. According to the results of the study, the self-esteem indicator is closely related to the personal characteristics of an individual. This relation is identified in a kind of format in which the changes in self-esteem are influenced not by one or several factors but by a complex and simultaneous process. According to the factor analysis, 14 out of 16 factors were combined into a single group, except for the dominance-subordination factor and the frustration factor. These last two factors were singled out into a separate group and showed a high correlation with each other. Regression analysis evaluated the impact of age and personal characteristics of an individual on self-esteem. In one case, the analysis was conducted with respect to four enlarged groups of personality traits, and in the second case with respect to sixteen factors of personality traits. In the first case, the impact indicator was 52.5% and in the second case, this indicator was 75.2%. This fact once again indicates that almost all factors, both individually and in combination, have an impact on self-esteem.

Keywords: self-esteem, low self-esteem, adequate self-esteem, high self-esteem, factor

შესავალი

პიროვნების მთლიანობითი ბუნების გათვალისწინება და მისი პიროვნული თავისებურებების შესწავლა თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თუ რამდენად პროდუქტიულია ადამიანი, როგორია მისი ცხოვრების ხარისხი, რომელიც სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია პიროვნების მიერ თვითშეფასებასთან.

ფსიქოლოგთა ინტერესი თვითშეფასების შესახებ დიდი ხანია არსებობს. დაბალი თვითშეფასება იწვევს ემოციურ არასტაბილურობას, სოციალურ იზოლაციას და არის ერთ ერთი რისკ ფაქტორი ფსიქიკური პრობლემებისა.

ადეკვატური თვითშეფასება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების, თავდაჯერებულობას, საკუთარი თავისადმი რწმენას, მის ქცევებს, კონტაქტს მიკრო- და მაკროსოციალურ, მოტივაციასთან, ბედნიერების განცდასა და ჯანმრთელობასთან.

კვლევა ეფუძნება მულტიფაქტორული ანალიზის თეორიულ მოდელს.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასება დიდი ხანია ფსიქოლოგიის შესწავლის ინტერესს წარმოადგენს, ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი მისი განმსაზღვრელი ფაქტორები, მათი რაოდენობა და, მით უმეტეს, თითოეული მათგანის ფაქტორული წონა. ასევე, არ არის ჩატარებული კვლევა, სადაც შესწავლილი იქნებოდა თვითშეფასების დეტერმინანტების მულტიფაქტორული ანალიზი.

თანამედროვე სამყაროში, სადაც პიროვნებაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, თვითშეფასების ერთგანზომილებიანი ახსნა უკვე აღარ არის საკმარისი.

მულტიფაქტორული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, არა მხოლოდ გავლენა თვითშეფასებაზე ცალკეული ფაქტორებისა, არამედ შორის ურთიერთქმედება.

კვლევამ დაადასტურა, რომ თვითშეფასება მულტიფაქტორულად დეტერმინირებული ცვლადია. მას განსაზღვრავს როგორც პიროვნული თვისებები და მოტივაციური ფაქტორები, ისე გარემოს სიტუაციური ფაქტორები.

თვითშეფასების განსაზღვრება, თვითშეფასების სახეები

თვითშეფასება არის პირადი შეხედულება საკუთარ თავზე, რაც გულისხმობს, თუ როგორ აფასებ საკუთარ თავს, როგორც პიროვნებას. თვითშეფასება არის პიროვნების ცენტრალური ნაწილი.⁹

⁹ Rogers, C., (1951). Client-centered therapy: Its current practice, implications and theory. London: Constable.

თვითშეფასების სინონიმებია:

1. საკუთარი თავის ხატი
2. შეხედულება საკუთარ თავზე
3. საკუთარი თავის აღქმა
4. თვითდაჯერებულობა
5. რწმენა საკუთარ ძალებში
6. საკუთარი თავის მიმდებლობა
7. საკუთარი ღირსების გრძნობა
8. საკუთარი თავის ფასი
9. საკუთარი თავის პატივისცემა

არსებობს მაღალი, ადეკვატური და დაბალი თვითშეფასება.

ადეკვატური თვითშეფასება

ადეკვატური თვითშეფასება არის სწორი შეფასება საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობებისა, მიღება საკუთარი თავისა, რაც იწვევს საკუთარ „რეალურ“ და „იდეალურ“ მეს დაახლოებას და საკუთარ თავთან ჰარმონიაში ყოფნას.¹⁰

ადეკვატური თვითშეფასება წარმოადგენს ადამიანის წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს. მაღალი ან დაბალი თვითშეფასება მიუთითებს პრობლემებზე.

დაბალმა თვითშეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური აშლილობა; სოციალური ადაპტაციის გართულება – მაღალი ან დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანებს გარემო ძნელად იღებს.

დაბალი თვითშეფასება

დისტემიური აშლილობა, დეპრესია, კვებითი დარღვევები, სექსუალური დისფუნქცია, პათოლოგიური სირცხვილი, სუიციდის მცდელობები და სხვადასხვა სახის პიროვნული აშლილობა ბავშვებსა და მოზარდებში, ეს ყველაფერი ასოცირდება დაბალ თვითშეფასებასთან.

ზოგადად, ადეკვატური თვითშეფასების მქონე ადამიანებს საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენა აქვთ, ისინი თავიანთ თავს მშვიდ, მოსაწონ, მიმზიდველ და მორალურ ადამიანებად მიიჩნევენ. დაბალი თვითშეფასების შემთხვევაში, პირიქით, ადამიანები თავიანთ თავს არაკომპეტენტურ, შეუხედავ, უსიმპათიურო და მორალურად სუსტ არსებებად აღიქვამენ. დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები მეტად მგრძნობიარეები არიან ცხოვრებისეულ მარცხებზე, ხშირად

¹⁰ ბალიაშვილი,მ., „პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები“,თბილისი, უნივერსალი, 2012.

ნებდებიან და მიზნისკენ მიმავალ გზას ადვილად თმობენ. მეტ ზიანს აყენებთ უიღბლობა.¹¹

დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანებს იგივე მისწრაფებები აქვთ, რაც ადეკვატური თვითშეფასების მქონეთ. ეს შეიძლება იყოს წარმატების მიღწევის სურვილი სწავლაში, კარიერაში, ყველასთვის თავის მოწონების სურვილი. განსხვავება ისაა, რომ ადეკვატური თვითშეფასების მქონე ადამიანებთან შედარებით, ისინი ნაკლებად თავდაჯერებულნი არიან, ნაკლებად სჯერათ, რომ ამ ყველაფერს მიაღწევენ. მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები კი წარუმატებლობას გარემოს მიაწერენ.

მიიჩნევა, რომ საზოგადოებრივი ნორმების დამრღვევები დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები არიან. საკუთარ თავზე არსებული წარმოდგენებიდან გამომდინარე, ისინი უფრო ხშირად მიმართავენ დევიანტურ ქცევებს.

მათი შეხედულებები საკუთარ თავზე კონფლიქტური და რწმენას მოკლებულია. საკუთარი თავის შესახებ დასმულ კითხვაზე, დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები სხვებთან შედარებით ხშირად პასუხობენ "არ ვიცი"-ს ან "არ ვარ დარწმუნებული". მათ წინააღმდეგობრივი პასუხები ახასიათებთ. თავიანთ თავს სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად აღწერენ.¹²

დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები უფრო მეტად ფოკუსირებულნი არიან თვითდაცვაზე (საკუთარი თავისადმი პატივისცემის შენარჩუნების მცდელობაზე) ვიდრე თვითაღზრდაზე. ასეთი ადამიანები მთელი ცხოვრება წარუმატებლობის, სირცხვილის და სხვებისგან უარყოფის თავიდან აცილებას ცდილობენ.

ემოციური ცვალებადობა დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანებთან ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი. მოვლენები მათზე გაცილებით ძლიერად მოქმედებენ, ვიდრე სხვა ადამიანებზე. ემოციურად უფრო მგრძნობიარეები და ცვალებადები არიან.

მაღალი თვითშეფასება

მაღალი თვითშეფასება არის საკუთარი შესაძლებლობების, უნარების, გადამეტებულად შეფასება. არასწორი შეფასების შედეგად არის შემთხვევები, რომ პიროვნება იწყებს ისეთ საქმიანობას რომელიც მის რესურსებთან არ არის შესაბამისი. ამიტომ ძალიან მაღალი თვითშეფასების მქონე პირებს, ხშირად ემართებათ ფრუსტრაცია, რომ ვერ შესძლეს საქმის ბოლომდე მიყვანა. რამდენჯერმე გამოწვეული ფრუსტრაცია კი ხშირად ხდება მეორე უკიდურესობის – დაბალი თვითშეფასების მიზეზი.

¹¹ ნადირაშვილი, დ., „სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა“, თბილისი სანგუ, 2009.

¹² Fennell, M., Overcoming Low Self-Esteem. New York: New York University Press, 2001.

ლიტერატურული ანალიზით ირკვევა, რომ თვითშეფასებზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი. სკოლამდელ ასაკში განსაკუთრებულად ნეგატიურ გავლენას ახდენს მშობლებისგან იგნორირება ან ავტორიტეტად ჩამოყალიბებული ადამიანებისა, რომლებიც უგულებელყოფენ ბავშვის მოთხოვნებს.¹³

ბავშვებსა და ახალგაზრდებზე ძლიერი ზეგავლენის მოხდენა არა მარტო მშობლების პირდაპირ ან ირიბ სტანდარტებს, არამედ თანატოლების მოთხოვნებსაც შეუძლიათ. პუბერტატულ ასაკში, მაშინ, როდესაც მოზარდს უყალიბდება დამოუკიდებლობის გრძნობა და სექსუალური იდენტობა, დამორჩილების ძალა უკიდევანოდ ძლიერია. საკუთარი თავის ხილვა დამარცხებულ პოზიციაში თანატოლების კრიტიკიუმებზე მორგების მცდელობისას ძალიან მწარე და დასამახსოვრებელი გამოცდილებაა, რომელსაც პირდაპირი წვდომა აქვს თვითშეფასების ფორმირების მსვლელობაზე.

ყველაზე მოსიყვარულე ოჯახებშიც კი, სადაც მშობლები რეალურად აფასებენ და ზრუნავენ შვილებზე, მდგომარეობის ცვლამ შესაძლოა მოზარდებზე ღიდი და უარყოფითი, ხანგრძლივი შედეგები იქონიოს. დასტრესილი მშობელი მსუბუქმა სიცელქემაც კი შეიძლება მდგომარეობიდან გამოიყვანოს, ან მას უბრალოდ თვითკონტროლისა და ადრეული ბავშვობის განუყოფელი ნაწილების უნარი არ გააჩნდეს.

ხშირად თვითშეფასება სულაც არ ემყარება პერსონალურ გამოცდილებას. ხანდახან იგი დამოკიდებულია ადამიანის ოჯახის მდგომარეობაზე, ცხოვრების ხარისხსა და გზებზე.

იმის დანახვა თუ რამდენად ღიდი და უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ზემოთ მოხსენიებულ მტკივნეულ გამოცდილებებს საკმაოდ ნათელია. ამის მიუხედავად, ზოგჯერ, მნიშვნელოვანი გამოცდილებები არც თუ ისე ხილვადია.

ამის მიზეზი შესაძლოა არა ძლიერ დრამატული შემთხვევების არსებობა, არამედ კარგი, ღირებული კომპონენტების არარსებობაა. შესაძლოა, მაგალითად, არ მიიღო სათანადო ინტერესი, ზრუნვა, სიყვარული, დაფასება, სიტბო. შეიძლება მიუხედავად ნეგატივის არარსებობისა, თუ ოჯახში მაინც არ ჰქონდა ადგილი სიყვარულის პირდაპირ გამოხატვას ეს შეიძლება გახდეს დაბალი თვითშეფასების მიზეზი.

გარიყული პოზიცია სახლში

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც თვითშეფასების ხარისხზე ღიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია არის გარიყულ პოზიციაში ყოფნა. ამაში იგულისხმება

¹³ MacDonald, J. P. (2005). The relationship between life satisfaction, risk-taking behaviors, and youth violence. *Journal of Interpersonal Violence*.

ის, ვინც სათანადოდ ვერ „მოერგო“ ოჯახის წარმომავლობას. შესაძლოა აკადემიურ ოჯახში დაბადებული არტისტული ბავშვი, ან კითხვისა და ფიქრის მოყვარული მოზარდი, რომლის ოჯახსაც მუდმივად სადღაც მიეჩქარება. ეს არ ნიშნავს რომ პრობლემა ბავშვში, ან ოჯახშია. უბრალოდ ის ვერ მოერგო ოჯახის ამგვარ როლს.¹⁴

გარიყული პოზიცია სკოლაში

ისევე როგორც ეს ოჯახის შემთხვევაში ხდება, ადამიანი თავს უცნაურად და დაბლა მდგომად აღიქვამს სკოლაშიც გარიყვის დროს. ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც ჯგუფისგან რაიმე ნიშნით მაინც განსხვავდებიან, ხშირად სასტიკი დაცინვის და გარიყვის მსხვერპლნი ხდებიან. მრავალი ბავშვისთვის განსხვავებულად ყოფნა „უცნაურობის“ ტოლფასია. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც გარეგნულ, ისე ფსიქოლოგიურ, ქცევით უნარების განსხვავებებს.¹⁵

მიუხედავად იმისა, რომ დაბალი თვითშეფასება ხშირად ბავშვობასა და მოზარდობაში განცდილი შემთხვევებითაა გამოწვეული, ეს ერთადერთი არსებული პოტენციური მიზეზი ნამდვილად არ არის.

ამრიგად, ზემოთ განხილული მრავალი მიზეზის გათვალისწინებით მოვახდინეთ შემდეგი ჰიპოთეზის ფორმულირება: თვითშეფასება მულტიფაქტორულად დეტერმინირებული ცვლადია და მასზე ზეგავლენას ახდენს ფსიქოლოგიური, სოციალური და გარემოს ფაქტორები.

მასალა და მეთოდები: აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩავატარეთ კვლევა, სადაც მონაწილეობა მიიღო 300-მა ცდისპირმა. საკვლევ ინსტრუმენტებად გამოყენებულ იქნა: მორის როზენბერგის თვითშეფასების კითხვარი და კეტელის 16 ფაქტორიანი პიროვნების საკვლევ კითხვარი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ემპირიული ანალიზის საფუძველზე, ჩვენი ჰიპოთეზა სრულად დადასტურდა: კორელაციური ანალიზის მიხედვით ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებები მატებასთან ერთად დაბალი სანდო დამოკიდებულებით იზრდება თვითშეფასების მაჩვენებელი ($p=.000$ და $r=.296$);

კომუნიკაბელური თავისებულების მატებასთან ერთად იზრდება თვითშეფასების მაჩვენებელი მაღალი დამოკიდებულებით ($p=.000$ და $r=.565$);

პიროვნულ-ემოციური მახასიათებლების შემცირებასთან ერთად მაღალი დამოკიდებულებით იზრდება თვითშეფასების მაჩვენებელი ($p=.000$ და $r=-.522$);

პიროვნულ ინტელექტუალური მახასიათებლების მატებასთან ერთად იზრდება თვითშეფასების მაჩვენებელი საშუალო დამოკიდებულებით ($p=.000$ და $r=.346$).

¹⁴ Аарон Бек, А., Раш, Брайан Шо, Гэри Эмери, Когнитивная терапия депрессии, 1990.

¹⁵ Fennel, M.J., Low self-esteem: A cognitive Behavioral and Cognitive Psychotherapy, 1997.

დასკვნა

კვლევის შედეგების მიხედვით, თვითშეფასების ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც ზოგადი ფაქტორები: ასაკი, განათლება და პროფესია, ასევე, ინდივიდის პიროვნული მახასიათებლები. თუმცა, ამ უკანასკნელზე მსჯელობისას, ზოგჯერ დამოკიდებულების მიმართულება შეიძლება შეიცვალოს და ის ორმხრივი გახდეს. ანუ თვითშეფასებას ცვლიდეს პიროვნული მახასიათებლები და ასევე თვითშეფასება ცვლიდეს პიროვნულ მახასიათებლებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ასაკისა და განათლების მატებასთან ერთად იზრდებოდა თვითშეფასების მაჩვენებლები. ამის მიზეზი ცოდნა-გამოცდილების დაგროვებაა, რაც ინდივიდს ადეკვატურ აღქმასთან და თვითშეფასებასთან აახლოებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალიაშვილი, მ., „პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბილისი, უნივერსალი, 2012.
2. ნადირაშვილი, დ., „სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა“, თბილისი სანგუ, 2009.
3. Fennel, M. J., Low self-esteem: A cognitive Behavioral and Cognitive Psychotherapy, 1997.
4. Fennell, M., Overcoming Low Self-Esteem. New York: New York University Press, 2001.
5. MacDonald, J. P., The relationship between life satisfaction, risk-taking behaviors, and youth violence. Journal of Interpersonal Violence, 2005.
6. Rogers, C., (1951). *Client-centered therapy: Its current practice, implications and theory*. London: Constable.
7. Аарон Бек, А., Раш, Брайан Шо, Гэри Эмери, Когнитивная терапия депрессии, 1990.

გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების თანამშრომლობის რეგულაციის თავისებურებები

მაკა ბულიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო

პროგრამის დოქტორანტი

Makabule66@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0004-2657-8473>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.03

აბსტრაქტი

გლობალიზაციის ფენომენი გახდა მთავარი დომინანტური ფაქტორი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და მან მიიღო გრანდიოზული მასშტაბები. თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში წარმოჩენილი საფრთხეები და გამოწვევები სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დგება ისეთი მწვავე და პრობლემური მოვლენები, რომლებიც მანამდე არ იყო წარმოჩენილი. უშუალოდ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე გლობალიზაცია ახდენს უდიდეს გავლენას და მისი კოორდინატთა ათვლის წერტილები თამაშობენ გარკვეულ როლს მის ფორმირებაზე. ამ ფონზე, საფრთხეების ახალი სახეობების დაფიქსირება, რომელთაც გააჩნიათ მთავარი არსი – ასიმეტრიულობა, არის ძირითადი განსაზღვრელი გარემოება. როდესაც საუბარია სიმეტრიასა და ასიმეტრიაზე საერთაშორისო ურთიერთობებში, საყურადღებოა, რომ ისინი გამოიყენებიან მთელი ობიექტების ანალიზისთვის, ასევე მათი სტრუქტურების და შემადგენელი ნაწილების შესასწავლად. აღსანიშნავია, რომ ორივე მცნება სასარგებლოა ერთი მთლიანის ნაწილების ურთიერთობების ანალიზისთვის და არა ცალკეული, დამოუკიდებელი ელემენტებისთვის. მნიშვნელოვანია ამ კონცეფციების საბუნებისმეტყველოდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში გადაზრდა და მისი ანალიზი.

აღნიშნული თემის განხილვა განპირობებულია, თუ როგორ მოქმედებენ ასიმეტრიული საფრთხეები, გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებზე და რამდენად ახორციელებენ ისინი გავლენას ამ კუთხით. საკვლევი მიმართულების აქტუალობა განპირობებულია საერთაშორისო საზოგადოების არაერთგვაროვანი წარმოდგენებით, თუ როგორ მოქმედებს გლობალიზაცია, ერთი მხრივ, ხოლო, მეორეს მხრივ კი, რომელი სახის გამოწვევებს ავითარებს აღნიშნული ფენომენი. უმეტესწილად მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე კონფლიქტებში მონაწილე მხარეები ერთმანეთს უპირისპირდებიან ეთნიკური ნიშნით, თუმცაღა მათი ესკალაციის მასშტაბი გადის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მოტივაციაზე. საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შეიძლება ზოგად კონტექსტში განისაზღვროს გლობალიზაციის არსი. ერთ-ერთი განსაზღვრებით: საბოლოო ჯამში გლობალიზაცია თავისი არსით წარმოადგენს ისეთ

მოვლენას, სადაც მასში ჩართული აქტორები და ინსტიტუტები (მხედველობაში საერთაშორისო დონის) უშუალოდ ახდენენ გავლენას გლობალური პოლიტიკის მოვლენებსა და მათ განვითარებასაც. ამით ისინი ახორციელებენ ამ მოვლენების წარმართვას, კონტროლს და ტენდენციებსაც საზღვრავენ.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, უსაფრთხოება, ასიმეტრიული საფრთხეები, საერთაშორისო ურთიერთობები, რეგულაციის თავისებურებები

Peculiarities of Regulating Global and National Security Cooperation

Maka Buleishvili

Doctoral Student of the Political Science PhD Program

Caucasus International University

Makabule66@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0004-2657-8473>

Abstract

The phenomenon of globalization has become the dominant factor in modern international relations and has reached a grand scale. The threats and challenges emerging in the contemporary international security system are gaining increasing relevance. The international community faces acute and problematic developments that had not previously appeared. Globalization exerts a significant influence on the international security system itself, and its reference points play a certain role in shaping it. Against this background, the emergence of new types of threats characterized by their asymmetric nature has become a major defining circumstance. When discussing symmetry and asymmetry in international relations, it is important to note that these concepts are used for analyzing entire entities, as well as for studying their structures and components. Both notions are useful for examining the relationships among parts of a whole, rather than for analyzing separate, independent elements. It is crucial to trace the transformation of these concepts from natural sciences into the realms of social and political sciences and to analyze their implications. In most global political conflicts, the opposing sides often confront each other on ethnic grounds; however, the scale of their escalation extends beyond ethnic dimensions to include political, economic, and ecological motivations. Overall, it should be noted that the essence of globalization can be defined in a general context. According to one definition, globalization ultimately represents a process in which the participating actors and institutions (at the international level) directly influence and shape global political developments. Through this process, they steer, control, and define the trends of these global phenomena.

Keywords: Globalization, Security, Asymmetric Threats, International Relations, Regulatory Characteristics

კვლევის მიზანია განვიხილოთ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, ჯანდაცვის უსაფრთხოების ცნება და მისი განვითარებისა და ჩამოყალიბების ისტორია.

კვლევის ამოცანაა წარმოვაჩინოთ პიროვნების უსაფრთხოება, რომელიც წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილს.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ამერიკელი მეცნიერის რიჩარდ კოენის „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია, რომელის მიხედვით, გავრცელებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ორ კონცეფციას – კოლექტიურ უსაფრთხოებასა და კოლექტიურ თავდაცვას ემატება კიდევ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ უსაფრთხოებასა და სტაბილურობის შენარჩუნებას. სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია, რომლის თანახმადაც ადამიანების ცნობიერება და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა გავლენას ახდენს მოვლენათა შეფასებაზე.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უსაფრთხოების პოსტიპოლარული ეპოქის თეორიულ მიმართულებაზე, რომელიც გამოყოფს ადამიანის და პიროვნების ინდივიდის უსაფრთხოების პირობებს ცვალებად საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებისა და მათ გავლენას გეოპოლიტიკურ მოვლენებზე.

კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს.

მოვიძიეთ და დავამუშავეთ რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა, სამეცნიერო ბაზებისა და საძიებო სისტემების გამოყენებით გავეცანიტ დოკუმენტებსა და მეორეულ ინფორმაციას. ჩავატარეთ სიდრმისეული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები.

კვლევის **მეცნიერულ სიახლეს** წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო სივრცეში პირველად ხდება ჯანდაცვის პოლიტიკის უსაფრთხოების განხილვა პოლიტიკის მეცნიერების ჭრილში. მნიშვნელოვანია ასევე ჯანდაცვის უსაფრთხოების როლისა და გავლენის წარმოჩენა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის პერიოდში იზრდება ახალი სახის გამოწვევებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება და მათი თავიდან აცილების ტენდენციები. უსაფრთხოებისა და თავდაცვის თემა ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მთავარ საკითხებს სულ მცირე 70 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით, „ცივი ომის“ დაწყებისთანავე. ამავე დროს არის მოსაზრება, რომ საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენს მსოფლიოს გადარჩენის შესწავლის მეცნიერებას, სადაც უსაფრთხოების ასპექტი არის მისი მაღალი დონის ანალიზის საფეხურს და კვლევის უფრო ფართო მოდელს (ამავე დროს, ეს მეცნიერება მოიცავს მასობრივი განადგურების შეიარაღებისა და მისი

გავრცელების შესწავლის თემათაგან). თუმცა, უსაფრთხოების პრობლემატიკა გახდა აქტუალური საკითხი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც კაცობრიობა დაფიქრდა, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოიტანა მთლიანად კაცობრიობისთვის ამ ომმა. ამიტომაც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ახალგაზრდა ჩამოყალიბებისას კიდევ უფრო მეტად იზრდება უსაფრთხოების როლი და ადგილი ამ სისტემის შემდგომი განვითარებისას. უკვე შემოვიდა სპეციალური ტერმინი, **გლობალური უსაფრთხოება**. **გლობალური (ისევე როგორც რეგიონული) უსაფრთხოება** – არის უსაფრთხოების ისეთი მოდელი, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების მეშვეობით, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებზე, რომელთა განხორციელება აიძულებს სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის აქტორებს, უფრო მეტად გაუფრთხილდნენ სუვერენიტეტს ან მის უხეშ დარღვევაზე პასუხი აგონ. სწორედ საერთაშორისო სამართალი პრინციპები, ნორმები, ისევე როგორც საერთაშორისო საქმეები განვითარდა აქტორებისთვის. თუმცა, რეალურ სივრცეში, გლობალური უსაფრთხოება შეიძლება აღმოჩნდეს კონკრეტული საფრთხეების წინაშე, რომლებიც არ გამომდინარეობენ სახელმწიფოებისგან და საერთაშორისო სამართალიც კი უძლურია რაიმე ფორმით აღკვეთოს ისინი – მაგალითად, ტერორისტული ორგანიზაციების ფენომენი. ასეთი „გლობალიზაციისას“ გარკვეულწილად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური სისტემა და მისი შემადგენელი ელემენტები.¹⁶ ასეთი გაფართოებული ფორმატის ფარგლებში კიდევ უფრო ფართო ხდება მასში მონიწილე აქტორების რაოდენობა, რომელთა შორის მოაზრებიან – სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამასთან ერთად, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ასეთი სახის სისტემაში შეყვანილი არიან ისეთი ტიპის აქტორები, როგორებიცაა: მრავალეროვნული კორპორაციები (როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ნაირსახეობა მოქმედნი მაღალი დონის პოლიტიკურ არენაზე), ასევე მოგვიანებით გამოჩნდნენ თვისობრივად ახალი სახის აქტორები, რომლებიც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ჰიბრიდული აქტორები“, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის აქტორებისთვის დამახასიათებელი კომბინირებული ნიშან-თვისებები (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). ამ კონტექსტში აღსანიშნავია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ 21-ე საუკუნეში საერთაშორისო პოლიტიკური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემებისთვის დამახასიათებელია ახალი ტიპის აქტორთა და მოვლენების შემდეგი სახის ერთობლიობა: გლობალური ვაჭრობა და ფინანსები, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ქსელები (ვირტუალური გარემო და კიბერუსაფრთხოება, სადაც არ არსებობს არავითარი რეგულაცია), სოციალური და რელიგიური მოძრაობები, კულტურული ტრანსფორმაცია, ისევე როგორც სიღარიბე, სიღუფა და მათთან დაკავშირებული პრობლემები („სამხრეთ-სამხრეთ“ გეოპოლიტიკური მოდელი).

¹⁶ გუგული მადრაძე, ვანტანგ მაისაია – “ჰიბრიდული ომი: 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები”, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2020, გვ. 89


ჯანდაცვის უსაფრთხოების არსი და მისი თეორიული და პოლიტიკური პარამეტრები

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ურთიერთობები ასევე განიხილება ისეთ სამეცნიერო და აკადემიურ დარგად, რომლის მეოხებითაც შეიძლება ახალი გლობალური პრობლემების დაძლევა და ძველი პრობლემების უკეთ აღქმა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დღევანდელ პირობებში, ხორციელდება რევოლუციური გარდაქმნები, როგორც თვისობრივი, ისე ხარისხობრივი ხასიათის, რომლებიც ცვლიან უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების არსსაც. საქმე ისაა, რომ მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები გლობალიზაციისას, წინა საუკუნეებში ჩამოყალიბებული პოლარულობის საერთაშორისო რეჟიმი იცვლება¹⁷. უკვე გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „ასიმეტრიული საფრთხეები“, „გამოწვევები“, „გლობალისტიკა“, „კიბერომი“, „ენერგოუსაფრთხოება“, „თანამშრომლობითი უსაფრთხოების პრინციპი“, „პიროვნების უსაფრთხოება“, „ეთნიკური წმენდა“, „გლობალიზმი“ და ა.შ. ფაქტობრივად თვისობრივად იცვლება ის საერთაშორისო ურთიერთობების გარემო, სადაც მოქმედებს საქართველო და ჩვენი ქვეყანა უკვე გახდა მონდიალისტური სამყაროს განუყოფელი წევრი. რაც შეეხება საერთაშორისო უსაფრთხოებას, ისიც წარმოადგენს მრავალდარგობრივ და ინტერდისციპლინარულ მიმდინარეობას, რომელიც თავის თავში აერთიანებს ისეთ სამეცნიერო დარგებს, როგორებიცაა - გეოპოლიტიკა, სამხედრო მეცნიერება, სტრატეგიული კვლევები, გეოეკონომიკა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, კონფლიქტოლოგია, პოლიტილოგია და ა.შ. საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით კი, განვითარდა და გამოჩნდა ისეთი ახალი ტერმინები, როგორებიცაა: *ომი და მშვიდობა, ძალთა ბალანსის კონცეფცია, შეიარაღების რბოლა, შეიარაღებაზე კონტროლი და განიარაღება*, და ა.შ.

ამის მიუხედავად, თვით ტერმინი „უსაფრთხოება“ კვლავ რჩება მთავარ გარემოებად და ასახავს ყველა იმ პროცესს, რომელიც ვითარდება როგორც ერთი, რომელიც სახელმწიფოს შიგნით, ისე საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე. უშუალოდ ტერმინ „უსაფრთხოებას“ აქვს რამდენიმე განსაზღვრება და რომელიმე ერთ, რომელიმე განსაზღვრებაზე რთულია საუბარი. თუმცა, მათგან შესაძლებელია გამოიყოს ყველაზე მარტივი განსაზღვრება, რომელიც გულისხმობს, რომ „**უსაფრთხოება – რისკების, საფრთხეების, გამოწვევებისა და საშიშროებებისგან თავდაცვისუნარიანობა**“¹⁸. უსაფრთხოების მოდელები შემდეგნაირად გამოიხატება:

¹⁷ **პოლარობა** - განსაზღვრულ სისტემაში გარკვეული მნიშვნელოვანი აქტორების ქმედება, რომლებიც განსაზღვრავენ მის არსს და თვით ამ აქტორების წყობას, რომლის მიმართაც სხვა აქტორებს უწევთ გამოხმაურება (კოალიციების შექმნის ან მიუმხრობლობის დეკლარაციის გზით). პოლარობას აქვს რამდენიმე ნაირსახეობა: უნიპოლარობა – ერთი სუპერსახელმწიფოს სრული ჰეგემონობა, ბიპოლარობა, ტრიპოლარობა და ა.შ.

¹⁸ გ. მაღრაძე და ვ. მაისაია „21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია“: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გვ.22-23, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017.



მთლიანად უსაფრთხოების საწყისს ელემენტს წარმოადგენს – **პიროვნების უსაფრთხოება**, რომელიც უკვე ცალკე წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილს, ხოლო შემდეგ დონეზე მოდის **სამოქალაქო უსაფრთხოება**, რომელიც, თავის მხრივ, არის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილი, ხოლო შემდეგში კი მოდის უშუალოდ – **ეროვნული უსაფრთხოება**.

21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში გაიზარდა არა მარტო სახელმწიფოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების, არასახელმწიფოებრივი გაერთიანებების და ბიზნესსტრუქტურების როლი და ადგილი, არამედ პიროვნებების, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. **პიროვნების უსაფრთხოება** – ადამიანის და ადამიანთა ჯგუფის მთავარი ღირებულებების და სიცოცხლისუნარიანობის დაცულობა ყველა იმ საფრთხისაგან, რომლებიც უქმნიან საშიშროებას მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკის სისტემას და წესებს და უქმნიან არასტაბილურობის გარემოს.

პიროვნული უსაფრთხოების განსამზღვრელი და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიის შექმნილი დოკუმენტები მოიცავენ შემდეგს:

- **ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაცია** – მიიღეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1948 წელს. აღნიშნული დოკუმენტი იყო პირველი საერთაშორისო აქტი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულობების საპასუხოდ და მცდელობა დაცულიყო ადამიანის უფლებები საერთაშორისო დონეზე;
- **გენოციდის დროს ჩადენილი დანაშაულობების პრევენციისა და დასჯის კონვენცია** – დოკუმენტი მიღებული იქნა 1948 წელს. კონვენციის მიხედვით

ჩამოყალიბებულია განსაზღვრება, თუ რას წარმოადგენს გენოციდი.¹⁹ ამჟამად 145 ქვეყანას აქვს რატიფიცირებული (დამტკიცებული) დოკუმენტი;

- **ჟენევის კონვენცია** – შემუშავებული და დამტკიცებულ იქნა 1948 წელს და მოიცავს ოთხ ძირითად მომენტს: შეიარაღებული ძალების მოქმედებებს ხმელეთსა და ზღვაზე, ომის ტუსალებისა და სამოქალაქო პირების უფლებებს. დოკუმენტი განსაზღვრავს კონფლიქტის დროს რას წარმოადგენს და არ წარმოადგენს კანონიერ ქმედებად და მიზანია ადამიანების დაცვა ყველაზე მოწყვლად პირობებში, განსაკუთრებით საომარი მოქმედებების დროს;
- **ქალებისა და ბავშვების უფლებების დაცვის კონვენცია საომარი მოქმედებებისა და საგანგებო სიტუაციების დროს** – დამტკიცებული იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წელს, რადგან მისი აუცილებლობა გახდა მანამდე არსებულ კონფლიქტებში ქალთა და ბავშვების უფლებების საშინელი დარღვევების გამო. დეკლარაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს შეაჩერონ ნებისმიერი სახის დანაშაული, ძალადობა და კრიმინალური ქმედება, რომელიც ჩადენილ იქნა ასეთი მოწყვლადი ადამიანების მიმართ.

21-ე საუკუნეში გლობალური უსაფრთხოების პირობებში, გამოიკვეთა ახალი, მანამდე (მხედველობაშია 20-ე საუკუნეში არსებული საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა) უცნობი მოვლენა ასიმეტრიულობა. რეალურად სწორედ ასიმეტრიულობასთან არის ასოცირებული ტრანსნაციონალური საფრთხეების ფენომენი. ზოგად კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი **ასიმეტრიულობა** – არის საერთო შედარებითობის საფუძვლის არარსებობა, შესაძლებლობათა ასპექტი, რომელთა შედარება წარსულ გამოცდილებასთან შეუძლებელია.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯანდაცვის სფეროში უსაფრთხოების ფაქტორი განისაზღვრება ე. წ. „რბილი უსაფრთხოების“ თეორიის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს – სახელმწიფოთა და სხვა აქტორების კეთილდღეობისა და უსაფრთხოების პირობების ხელშეწყობა სხვა მექანიზმების გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს სამხედრო სახის მიდგომას²⁰. ამ თეორიის ფორმატში ასევე განიხილება მოდელი ე. წ. „საზოგადოებრივი უსაფრთხოების დილემა“ (the societal security dilemma), რომელიც გულისხმობს ურთიერთწინააღმდეგობრივი მოვლენების ფონზე, რასაც საზოგადოების მხრიდან განხორციელებული ქმედებები უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით იწვევს ისეთ შედეგებს, რომლებიც უფორ მეტად ზრდის მოწყვლადობის დონეს. მოცემულ პირობებში, აღნიშნული ქმედებები გამომდინარეობს შიდასაფრთხის ფაქტორებიდან და არა საგარეოდან (იგივე თუნდაც, კორუფცია, კერძო სამხედრო კომპანიები, სუსტი ძალოვანი სტრუქტურები და ა. შ.)²¹. უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ფენომენს შორის

¹⁹ გენოციდი (ლათინური cedeo – ვკლავ, genos – ერს) – ერის ან ეთნოსის მასობრივი განადგურება

²⁰ Collins A. "Contemporary Security Studies", second edition, p.499, Oxford University Press, N.Y., 2007.

²¹ Collins A. "Contemporary Security Studies", second edition, p.499, Oxford University Press, N.Y., 2007.

არის მთავარი კორელაცია, რომელიც გამოიხატება გლობალიზაციის პროცესით, რამაც საგარეო საფრთხეები გარდაქმნა საშინაოდ და შექმნა არაერთი ახალი სახის საფრთხე და რისკი სუვერენული სახელმწიფოებისთვის. გლობალიზაციისა და საერთაშორისო საზოგადოების ჯანდაცვის პირობების განსაზღვრის საკითხში გამოიკვეთება შემდეგი გლობალური ტენდენციები, რომლებიც უშუალოდ გავლენას ახდენს ჯანდაცვის ფენომენის გარდაქმნას გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ სერიოზულ ფუნდამენტად, მათგან გამოიყოფა შემდეგი:

1. დემოგრაფიული გლობალიზაცია
2. ეკონომიკური გლობალიზაცია
3. ეკოლოგიური გლობალიზაცია
4. ტექნოლოგიური გლობალიზაცია
5. კულტურული გლობალიზაცია.

სწორედ ამ ხუთი ფაქტორის და გლობალური ტრენდის ფონზე ჩამოყალიბდა ჯანდაცვის სახელმწიფო უსაფრთხოების მოდელი²². ამის ერთ-ერთ მთავარ გამოხატულებას წარმოადგენს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს გაეროს სპეციალიზირებულ სააგენტოს და მისი როლი და ადგილი კიდევ უფრო გახდა ძლიერი და სტრატეგიული 2020-2022 წლებში „კოვიდის“ საერთაშორისო პანდემიის განვითარების ფონზე, რომელიც უკვე გარდაიქმნა გლობალური დონის ასიმეტრიულ ტრენდცენტრულ საფრთხედ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯანდაცვის უსაფრთხოება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: ჯანდაცვის უსაფრთხოება – წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოების შემადგენელ მიმდინარეობას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ასევე უსაფრთხოების სხვა სახის განზომილებებთან და რომელიც განიხილავს ეპიდემიოლოგიურ, სანიტარულ, ბიოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოწვევებისა და საფრთხეების წინააღმდეგ სამედიცინო საშუალებათა მობილიზებასა და მათ წარმართვას ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარების პრინციპების საფუძველზე.

საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება გლობალიზაციისას

მიმდინარე 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში წარმოიშვა ახალი სახის გამოწვევები და საფრთხეები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალი სახის სამხედრო კონფლიქტებს. მოცემული კონფლიქტების დინამიკა ფართოდ სცილდება წმინდა სამხედრო სახის განზომილებას და გადადის

²² Hough P., Malik S., Moran A., Pilbeam B. "International Security Studies: Theory and Practice", pp.258-259, Taylor and Francis Group, London, 2015.

არასამხედრო სახის დაპირისპირების ფორმატში, რაც გამოწვეულია სოციალური და ეთნიკური მიზეზებით. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, როგორც თანამედროვე სამხედრო კონფლიქტის მოდელი, განისაზღვრება სხვადასხვა გარემოებებით. სწორედ გემანელი სოციოლოგის გუსტავ დარენდოფის აზრით, სამხედრო კონფლიქტი იწვევს დიდ სოციალურ ცვლილებებს, ხოლო ერთნოპოლიტიკურ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად „სოციალური კონფლიქტი“ მოიაზრება²³.

თანამედროვე პირობებში, საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბება განისაზღვრება ძირითადად ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორებით. ამგვარი საერთაშორისო წესრიგის დინამიკა არის ძალიან მობილური და მუდმივად ცვალებადი. მასში მინაწილე აქტორების გეოპოლიტიკური ინტერესები, მათი ტექნოლოგიური წინსვლისა და გლობალური ლიდერობისკენ სწრაფვა განაპირობებს გარკვეულ, საერთაშორისო წესრიგის არეიტექტონიკის კონტურებს. ამ კუთხით შეიძლება განხილულ იქნას ის მთავარი აქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ დიდი გლობალური გავლენის ცენტრების დინამიკას და მათ როლს მიმდინარე საერთაშორისო/მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში. ამავე დროს, ახალი სახის მსოფლიო წესრიგის ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და გლობალიზაციის ფენონომენმა. მაგალითისთვის მოსაყვანია გლობალური ვაჭრობა და საერთაშორისო ინვესტიციების გაფართოება, მრავალეროვნული კორპორაციებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობების გაზრდა, რაც ახორციელებს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საკითხს საერთაშორისო წესრიგის აქტორებს შორის. ასეთი ეკონომიკური სახის ურთიერთკავშირი იწვევს იმგვარი თანამშრომლობის პირობების შექმნას, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია კონკურენციასა და კონფლიქტური გენომის ინიცირებაზე, ეს კი, მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას მსოფლიო წესრიგზე. „თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ზოგადად, სისტემას ახასიათებს, როგორც სტაბილური ასევე არასტაბილური მიდგომები“²⁴.

გლობალიზაციისას ძალას კარგავს ისეთი ცნება, როგორიცაა ნაციონალური სუვერენიტეტი, იმის საპირისპიროდ, რაც იყო მანამდე, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკასთან მიმართებაში მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებოდნენ სახელმწიფოები. ამჟამად, ფორმირების სტადიაში იმყოფება ახალი, უფრო რთული მსოფლიო სისტემა. მასში ნაციონალურ სახელმწიფოებთან ერთად უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ საერთაშორისო ინსტიტუტებსა და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს. დგინდება ახალი მსოფლიო წესრიგი, სადაც ნაციონალურ ინტერესებზე დომინირებენ საერთაშორისო ვალდებულებები და ნორმები.

²³ Rudolf Dahrendorf „Class and class conflict in industrial society“, PP 239-240, CA Stanford University Press, California, 1959.

²⁴ ალექსანდრე რონდელი, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, გვ.41, გამომცემლობა „ინტელექტი“, მესამე განახლებული გამოცემა, თბილისი, 2006.

თუმცა, გლობალიზაციის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო რჩება მთავარ პოლიტიკურ აქტორად, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების დინამიკას და რაობას. ამ კუთხით, ნებისმიერი სახელმწიფო ზრუნავს თავის ეროვნულ უსაფრთხოებაზე და ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს იგი²⁵. მაგრამ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოსაც კი არ შეუძლია აბსოლუტურად იყოს დარწმუნებული, რომ მის ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხე არ ემუქრება, ვინაიდან ის არ არის ერთადერთი, ვინც ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნავს, და მისი მეზობელი თუ მოქიშპე სახელმწიფოები, მის პარალელურად, გამალებით აუმჯობესებენ და ხვეწენ თავიანთ უსაფრთხოებას. ამგვარად, ყველა ქვეყანა, სურს მას ეს თუ არა, იძულებულია გააძლიეროს თავისი სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები. როგორც ალექსანდრე რონდელი აღნიშნავს თავის წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობები“, „რადგან საფრთხე არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ხშირად ძალზე სუბიექტურადაც და იგი ყველას მიერ განსხვავებულად აღიქმება, უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტიც ახასიათებს. უსაფრთხოების ფსიქოლოგიური ასპექტები მის ობიექტურ შეფასებასა და აღქმას მეტად ართულებს და, ხშირ შემთხვევებში, ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და პოლიტიკის განსაზღვრისას, არარაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას განაპირობებს.“²⁶

საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, გლობალიზაცია არის ერთ-ერთი ძირითადი ასიმეტრიული საფრთხე, რადგან აღნიშნული ფენომენი ახორციელებს ერი-სახელმწიფოს სუვერენულობის სრულ დეგრადირებას და ურთიერთდამოკიდებულობის ფაქტორის გათვალისწინებით კიდევ უფრო ხელს უწყობს სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყვლადობის პირობების შექმნას. ამ პროცესის დროს, ხორციელდება საშინაო და საერთაშორისო მოვლენების ერთ დონეზე დაყვანა. აქედან გამომდინარე, გლობალიზაცია უკვე ახორციელებს გავლენას საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებზე. ამას გარდა, გლობალიზაციას აქვს საკმაოდ ბევრი ბერკეტი მოახდინოს უშუალო ზეგავლენა ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზეც. გლობალიზაციის გამოვლინების კონკრეტული დეტერმინანტებიც არსებობს, რომლებიც განსაზღვრავენ მის რაობას და არსს თანამედროვე საერთაშორისო წესრიგისას. ამ მხრივ გამოსაყოფია ხუთი სახის ასეთი დეტერმინანტი, სახელდობრ:

- ყველა სახის სახელმწიფოებრივი საზღვრების გაქრობა;

²⁵ ნინო ჟვანია, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია“, სოციალური მეცნიერების ცენტრი, გვ.60. თბილისი, 2006.

²⁶ რამაზ ჩაჩუა, „რუსეთის საინფორმაციო პოლიტიკა „რბილი ძალის“ კონცეფციის კონტექსტში“, დაიბეჭდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებულში „ფსიქოლოგია და თანამედროვე გამოწვევები“, გვ. 86-88, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თბილისი, 2021.

- ურთიერთდამოკიდებული პრობლემების გაჩენა და მათი აყვანა გლობალურ დონემდე;
- რამდენიმე დიდი სახელმწიფოს მიერ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე ჰეგემონობის მოპოვება;
- ყველა საერთაშორისო პროცესისა თუ მოვლენის გლობალიზირება;
- ერი-სახელმწიფოებისთვის ეროვნული კულტურული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის შეგრძნების გაქრობა.

ასევე საინტერესოა, განხილულ იქნას ის ტენდენციებიც საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლებიც განისაზღვრება გლობალიზაციის უარყოფითი ფაქტორებით. ამ ფაქტორებს შეუძლიათ გამოიწვიონ სერიოზული პრობლემები მიმდინარე საერთაშორისო წესრიგისა და მათგან გამოსაყოფია შემდეგი:

- ❖ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის პირობებში სახელმწიფოებს აღარ ძალუძთ განახორციელონ ფიზიკური კონტროლი საკუთარი საზღვრები და ეროვნული უსაფრთხოების პროცესები ექვემდებარება ახალი ტექნოლოგიური განვითარებისა და მძლავრი ინფორმაციული ზეწოლის გავლენას;
- ❖ გლობალიზაცია საფუძვლიანად ცვლის საერთაშორისო ფინანსურ საინვესტიციო გარემოს, სადაც უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა უფრო მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, ვიდრე შიდაეროვნული ინვესტიციები;
- ❖ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, იზრდება საინფორმაციო-ფსქიოლოგიური ომების გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებზე და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით კიდევ უფრო უმართავი ხდება კონფლიქტური კერები, მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილ იქნას კოსოვოში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გაღვივება და შემდგომი ესკალაცია, სწორედ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით;
- ❖ გლობალიზაციის დროს ომის არსი ძირუღელად იცვლება და ღებულობს საშიშ ფორმებს, სადაც უკვე აღარ ხდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებისა და ნორმების გათვალისწინება, იცვლება მისი სტრატეგიული კულტურა და რთულდება მისი შეჩერების პროცესი;
- ❖ გლობალიზაციისას უფრო იოლად ხორციელდება წვდომა მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტებზე და ამით საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე კიდევ უფრო იზრდება;
- ❖ საბოლოოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციამ გარდაქმნა ტერორიზმის მოვლენა ლოკალურიდან გლობალურ დონეზე. იქედან გამომდინარე, რომ გლობალიზაციისას ხდება სხვადასხვა ჯგუფის მარგინალიზება. ასევე, გაიზარდა გლობალური სოციალური და ეკონომიკური

უთანასწორობა ხალხთა შორის. ტერორიზმი კი გარიყულ საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს თავისი ინტერესები.²⁷

დასკვნა

საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში შეიქმნა გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე საშიშ გამოვლინებად და მასში ჩართული აქტორები ვერ უმკლავდებიან მას. საერთაშორისო ტერორიზმს აქვს ძალადობის გამოვლინების სახიფათო ტენდენცია, რომელსაც საფუძვლად უდევს კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან (მაგალითად, იგივე „ალ-კაიდა“) მისწრაფება განახორციელოს პოლიტიკური დაშინება და განახორციელოს კონკრეტული სახელმწიფოთა შიგნით მოქმედი საზოგადოების სოციალური პარალიზება, პოლიტიკური მართვის ინსტიტუტების მოშლა და პოლიტიკური პროცესების გადაყვანა ანაქრონიზმის პროცესების დონემდე. სწორედ ასეთი ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით ტერორისტები აღწევენ თავიანთი ანტისაზოგადოებრივი ზრახვების სისრულეში მოყვანას. ამის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები განგამის ზარებს რეკენ. ამის მაგალითია, 2002 წლის მარტში, ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუში უმცროსის ერთ-ერთ გლობალურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლა, სადაც მან აღნიშნა შემდეგი: „ყველა ერმა სერიოზულად უნდა განიხილოს ტერორის მზარდი საფრთხე და მისი კატასტროფული მასშტაბები – ტერორი, რომელიც შეიარაღებულია ბიოლოგიური, ქიმიური ან ბირთვული იარაღით.“²⁸

თანამედროვე პოლიტიკური აზრის გათვალისწინებით, გლობალიზაციის ფენომენი უნდა განისაზღვროს სოციალური ურთიერთობების აყვანა გლობალიზირებულ და ურთიერთინტეგრაციის მაღალი დონის მასშტაბებამდე. ასეთ პირობებში, სამივე დონის პროცესები, იგულისხმება გლობალური, რეგიონული და ლოკალური, არიან გადანასკვნული ერთმანეთთან და ახორციელებენ ურთიერთგავლენას ერთმანეთის მიმართ, თუმცა ისინი იყვნენ დაშორებული დიდი მანძილით. მათ აქვთ ის მნიშვნელოვანი თვისება, რომ ერთ დონეზე დაწყებული პროცესები უშუალოდ ახდენენ სხვა დონეზე განვითარებულ მოვლენებზე, სქემით „ზევით-ქვევით“ და პირიქით²⁹.

გლობალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე ტერმინს და მისი კონცეფციის მიხედვით ძირეული გარდაქმნების პროცესი, პირველ რიგში, უკავშირდება კარდინალურ ცვლილებებს საერთაშორისო საზოგადოების სისტემასა და

²⁷ თინათინ ვახანია, „უსაფრთხოება და საერთაშორისო ტერორიზმი გლობალიზაციის კონტექსტში“, გამოქვეყნდა 16.02.2013 წელს, იხილეთ: <https://intermedia.8>.

²⁸ Андрей Фененко, «Современная История Международных Отношении 1991-2018», учебное пособие, сс. 196-197, Издательство «Аспект Пресс», Москва, 2019.

²⁹ ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ პაპავა, „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები“, კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი, თბილისი, 2007, გვ. 75

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ პროცესში ასევე დიდ ყურადღება ენიჭება კულტურული და სავაჭრო კომპონენტების როლის გაზრდას საერთაშორისო ურთიერთობებში. გლობალიზაციისას იზრდება ვაჭრობისა და ინვესტიციების მოცულობა და ურთიერთქმედებებით კიდევ უფრო მკვიდრდება ურთიერთდამოკიდებულების პროცესი. პოსტბიპოლარულ პერიოდში ასევე კარდინალურად შეიცვალა უსაფრთხოების განზომილება, რომელიც მარტივად გადავიდა ე. წ. „ხისტი“ განზომილებიდან ე. წ. „რბილი ძალის“ დონეზე. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებმა საჭიროდ მიიჩნიეს უსაფრთხოების ცნების რეფორმატირება და მის განზომილებაში ისეთი ელემენტების შეყვანა როგორებიცაა: ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური, საინფორმაციო დეტერმინანტები. სწორედ ამ ფონზე, დაიწყო ერი-სახელმწიფოს როლის შემცირება საერთაშორისო უსაფრთხოების პროცესებში. თუმცადა, ამის მიუხედავად, სახელმწიფოები კვლავაც ინარჩუნებენ დომინანტურ პოზიციებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა გამოიყოს ის გარემოება, რომ გლობალიზაცია ახდენს პირდაპირ გავლენას თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებასა და თვისებრივ განვითარებაზე, უშუალოდ მოქმედებს რეგიონული უსაფრთხოების მოვლენებზე და ახორციელებს მათ გეოპოლიტიკურ ფორმატირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გვენეტაძე ე., „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017;
2. ისმაილოვი ე., პაპავა ვ., „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები“, კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი, თბილისი, 2007;
3. მაისაია ვ, გუჩუა ა., „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020;
4. მაღრაძე გ., მაისაია ვ., „ჰიბრიდული ომი: 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2020;
5. მაღრაძე გ., მაისაია ვ., „ჰიბრიდული ომი: 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2020;
6. ჟვანია ნ., „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია“, სოციალური მეცნიერების ცენტრი, თბილისი, 2006;
7. რონდელი ა., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, გამომცემლობა „ინტელექტი“, მესამე განახლებული გამოცემა, თბილისი, 2006;

8. ქარელი ს., „მასობრივი განადგურების იარაღი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები: ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკი საქართველოში“, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინტერდისციპლინარული კვლევების ფაკულტეტი, თბილისი, 2017;
9. ჩაჩუა რ., „რუსეთის საინფორმაციო პოლიტიკა „რბილი ძალის“ კონცეფციის კონტექსტში“, დაიბეჭდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებულში „ფსიქოლოგია და თანამედროვე გამოწვევები“, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თბილისი, 2021;
10. Buzan B., Waever O. and De Wilde J. “Security, A New Framework For Analysis”, Lynne Rienner Publishers, London, 1998;
11. Cheluget B. “Impact of HIV/AIDS on Public Health Sector Personnel in Kenya”, presentation to the ECSA Regional Health Ministers’ Conference in Livingstone, Zambia, 2003;
12. Colins A. “Contemporary Security Studies”, second edition, Oxford University Press, London, 2010;
13. Dahrendorf R. „Class and class conflict in industrial society“, CA Stanford University Press, California, 1959;
14. Kober K., Damne W. “Public Sector Nurses in Swaziland: Can the Downtown be Reversed” published in magazine “Human Resources for Health” 4/13, Imperial College, London, 2006;
15. Ondrejcsak R. “Introduction to Security Studies”, Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), Bratislava, 2014;
16. UNDP, United Nations Development Program, “Human Development Report”, Oxford University Press, Oxford, 1994;
17. Фененко А. «Современная История Международных Отношении 1991-2018», учебное пособие, Издательство «Аспект Пресс», Москва, 2019

ელექტრონული და ინტერნეტწყაროები:

- ❖ “Commission on Human Security”, Human Security Now, Brussels, 2003 – see in detail: www.humansecurity-chs.org/finalreport/FinalReport.pdf ;
- ❖ “ბიოლოგიური ომი”. გვ.1.
<https://geoarmada.wordpress.com/2013/02/17/%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%92%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%98/#more-1133>

პოლიტიკური კულტურის ფორმირებისა და იმპლემენტაციის პროცესი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ბაბილინა ბულისკერია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დოქტორანტი

Babilina2024@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-4870-5788>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.04

აბსტრაქტი

აღნიშნულ სტატიაში აღწერილია თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი ამერიკულ პოლიტიკურ კულტურას და რომ ის სათავეს ჯერ კიდევ კოლონიური პერიოდიდან იღებს, მაშინ როდესაც ამერიკა ჯერ კიდევ არ იყო სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფო. აქვე აღნიშნულია როგორი ტრანსფორმაციის გზა განვლო პოლიტიკურმა კულტურამ თანამედროვე ეპოქაში. ამერიკული პოლიტიკური კულტურა დღეს სხვა სახის გამოწვევების წინაშე დგას, ვიდრე მისი ჩამოყალიბებისას.

სტატია ინტერდისციპლინურია. კვლევისას გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის (case study) მეთოდი. ნაშრომი ემყარება პირველად და მეორეულ წყაროებს.

სტატია შესავალს, ორ თავსა და დასკვნას შეიცავს. ასევე დასაწყისში წარმოდგენილია ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, დასასრულს კი, გამოყენებული ლიტერატურის სია.

საკვანძო სიტყვები: ამერიკა, პოლიტიკა, კულტურა, დემოკრატია, ჯონ დიუი

The process of formation and implementation of political culture in the United States**Babilina Buliskeria**

Doctoral student of Law and International Relations,

Georgian Technical University

Babilina2024@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-4870-5788>**Abstract**

This article describes how the American political culture was founded. It began during the colonial period when America was not a sovereign and democratic state. The article also mentioned what kind of transformation the political culture went through up to the modern situation. The article is interdisciplinary. The case study method was used in the research. The article is based on primary and secondary sources. This article contains an introduction, two chapters, and a conclusion. An annotation is in Georgian and English. The bibliography is presented at the end of the article.

Keywords: America, politics, culture, democracy, John Dewey**კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია, პირველ რიგში, არა ზედაპირულად, არამედ სიღრმისეულად შესწავლა მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიისა და ამ ქვეყნის გამოცდილების გაზიარება საქართველოსთვის. კვლევის შედეგი იქნება სტატიის სახით დაბეჭდვა და გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის.

კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო

ამერიკული პოლიტიკური კულტურის სათავეების განსაზღვრებისას აუცილებელი გახდა საკვლევი პერიოდის ათვლის წერტილად ამერიკის კოლონიური პერიოდის არჩევა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება კვლევა, შემდგომ ასახული მისი განვითარების, იმპლემენტაციის გზა და სრულდება თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული პოლიტიკური კულტური გამოწვევებით.

ამდენად, ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს როგორც ამერიკის სახელმწიფოს შექმნის პერიოდსა და 21-ე საუკუნის უახლეს მდგომარეობასაც.

კვლევის მეთოდები

ნაშრომი ინტერდისციპლინურია და მოიცავს ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს. მათ შორის აღსანიშნავია ამერიკისმცოდნეობა, ისტორია, ჰუმანიტარული მეცნიერებები და სხვა. აქედან გამომდინარე, სტატიაზე მუშაობისას კვლევის განსხვავებული მეთოდებია გამოყენებული.

ნაშრომში ხელმძღვანელობს შერეული კვლევის მეთოდებით. კვლევა ეფუძნება როგორც პირველად, ასევე მეორეულ წყაროებს, როგორებიცაა სხვადასხვა ავტორის ნაშრომი ამერიკის შესახებ, მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები (როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე), რომლებიც ამერიკული პოლიტიკური კულტურის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ეს საკითხები კი ბუნებრივია ბევრი მეცნიერის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია ორივე სახის მეთოდოლოგია. კვლევაში ვხვდებით ორივე ტიპის მეთოდოლოგიას: თვისობრივ (მაგ: თემატური ანალიზი) და რაოდენობრივ (მაგ: ინტერვიუ) ანალიზს.

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

თემის თეორიული ცოდნის აკუმულირება მოხდება იმ თვალსაზრისით, თუ რის საფუძველზე ჩამოყალიბდა ამერიკული პოლიტიკური კულტურა. როგორც ცნობილია, პოლიტიკური კულტურა სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ საჭიროა საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება, რათა მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურისა და ინსტიტუციების სწორად და გამართულად ფუნქციონირება.

ნაშრომი, პრაქტიკული თვალსაზრისით, გამოსადეგია ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერებისთვის, პოლიტიკოსებისა და ასევე შესაბამისი მიმართულების სტუდენტებისთვის.

სამეცნიერო სიახლე

აბსოლუტურად თითოეული კვლევა არის სპეციფიკური და ინდივიდუალური. შესაბამისად თითოეული მათგანი საკუთარი სამეცნიერო სიახლით ხასიათდება. ჩემი აზრით, ამ კვლევის სამეცნიერო სიახლე არის ნაზავი ამერიკის წარსული ისტორიისა და თანამედროვეობისა. კვლევაში საუბარია როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს შექმნის ადრინდელი ეტაპისა და ამჟამინდელი 21 საუკუნის ამერიკული გამოწვევებისა. სწორედ ამ მიზეზით, ეს

კვლევა ორმაგად საინტერესო იქნება როგორც თანამედროვე მკვლევართათვის, ასევე წარსულის მეცნიერებთათვის.

ნაშრომის აქტუალობა

როგორც ცნობილია, მსოფლიოში არსებული 230-მდე ქვეყანა განსხვავდება ერთმანეთისგან გარკვეული თვალსაზრისითა და მაჩვენებლებით (ტერიტორიული მოცემულობა, სოციალურ-პოლიტიკური მახასიათებლები, მმართველობის ფორმის დიფერენცირებით და ასე შემდეგ). მულტიპოლარულ (როდესაც მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა ქმნის პოლიტიკურ ამინდს) სამყაროში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთ დომინანტ როლს თამაშობს მსოფლიოს დღის წესრიგში მეტად აქტუალური და პოპულარულია ამ სახელმწიფოს ძირფესვიანი შესწავლა და შემდგომ საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის მათი გამოცდილების გაზიარება.

რა მიზეზითაა ამერიკა მიმზიდველი? ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც წარმოიშვნენ ატლანტის ოკეანის ნაპირებზე მყოფი კოლონიებიდან, განიცადეს ძირეული გარდაქმნები იმ მხრივ, რასაც პოლიტიკური ანალიტიკოსი ბენ უატენბერგი უწოდებს „პირველ უნივერსალურ ქვეყანას“, რომლის მოსახლეობა 330 მლნ-მდე ადამიანს შეადგენს და დედამიწის ყველა ეროვნებასა და ეთნიკურ ჯგუფს მოიცავს. ეს არის აგრეთვე ქვეყანა, სადაც ეკონომიკურ, სამრეწველო, კულტურულ, დემოგრაფიულ და სოციალურ ცვლილებათა ტემპი სულ უფრო მეტად მატულობს და განიცდის პროგრესს. შეერთებული შტატები ხშირად მოდერნიზაციისა და ცვლილებების მაუწყებელია, რომელიც გარდაუვლად ვრცელდება ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთდაკავშირებულ სამყაროს სხვა ერებსა და საზოგადოებებში. შეერთებულმა შტატებმა პირველი მსოფლიო ომის დროს იზოლაციონალიზმის პოლიტიკიდან გადაინაცვლა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ მონაწილედ (მოთამაშედ).

შეერთებული შტატები მხარს უჭერს იმ ძირეულ ღირებულებებს, რომლებიც მისი არსებობის საფუძველს შეადგენენ. ეს ღირებულებანი კი გულისხმობს შემდეგს: პიროვნების თავისუფლების იდეას, დემოკრატიულ მმართველობას, ეკონომიკურ კეთილდღეობის დამყარებასა და პროგრესს ყველასთვის. შეერთებული შტატები დღემდე უცვლელად განაგრძობს სხვების დარწმუნებას იმაში, რომ თავისუფლება, დემოკრატია და კეთილდღეობა დაცული და აყვავებული უნდა იყოს მსოფლიოში არსებულ ნებისმიერ ქვეყანაში. დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნების რაოდენობის მატების ტენდენცია კი 21-ე საუკუნეში უკვე თვალშისაცემია.

შესაბამისად, ქვეყანა, რომელიც მუდამ განიცდის ცვლილებებს უკეთესობისკენ, არ ემინია გაუმკლავდეს თანამედროვე სამყაროში არსებულ გამოწვევებს, გლობალიზაციის პერიოდში, მაშინ როდესაც ასეთი მარტივია ინფორმაციის

მოძიება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ამ უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყნის შესწავლა.

კვლევა რაოდენობრივი თვალსაზრისით შემცირებულია და ამერიკა გამოიკვლევა მხოლოდ პოლიტიკის სფეროს შესწავლით.

პოლიტიკური კულტურის დეფინიცია და ამერიკული პოლიტიკური კულტურა

პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს ტენდენცია, რომ პოლიტიკური კულტურა³⁰ „ნაცნობი ავეჯის ნაწილად“ მოექცეს. რაც გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური მეცნიერების ნაწილად გადაიქცეს. პოლიტიკური კულტურა ამდიდრებს საზოგადოებას, რათა უკეთესად შეიმეცნოს პოლიტიკური დღის წესრიგი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ის მაინც მეორეხარისხოვან როლს თამაშობს და არ არის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის აუცილებელი პირობა. ამ დამოკიდებულების ინტელექტუალური ფესვები მარქსიზმსა და ფუნქციონალიზმში შეიძლება ვიპოვოთ. ეს ორი მიმდინარეობა კულტურას მატერიალური ძალების ან სისტემური მოთხოვნების დაქვემდებარებულად მიიჩნევდა.

პოლიტიკური კულტურის დეფინიციაზე სხვადასხვა მკვლევართა აზრი განსხვავებულია. ზოგიერთისთვის პოლიტიკური კულტურა ძირითად და მნიშვნელოვან იდეად არის ქცეული. „დემოკრატია ამერიკაში“ წიგნის მეორე ტომის დასაწყისში ავტორი ალექსის დე ტოკვილი წერს, რომ საზოგადოების არსებობისა და, მით უმეტეს, მისი აყვავებისთვის, აუცილებელია ყველა მოქალაქის გონება გაერთიანდეს გარკვეული „დომინანტური იდეებით“; და ეს შეუძლებელია, თუ თითოეული მათგანი „საერთო წყაროდან“ არ აიღებს თავის მოსაზრებებს და არ დათანხმდება უკვე ჩამოყალიბებული რწმენის გარკვეული საკითხების მიღებას. ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ საზოგადოება რწმენების ურთიერთქმედებაში იქმნება გახდა შთაგონების წყარო იმ მეცნიერებისთვის ვინც პოლიტიკურ კულტურის თემას განიხილავს.

ეროვნული კულტურა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები ერთსა და იმავე სოციალურ კატეგორიებში არიან თავმოყრილნი და მოქმედებენ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. სხვადასხვა ერებში კი განსხვავებული პოლიტიკური კულტურა არსებობს.

³⁰ საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებებისა და ცხოვრებისეული პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც აყალიბებს გარკვეულ ტრადიციას იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოება და რა ღირებულებებია პრიორიტეტული პოლიტიკურ პროცესში. ეს ცნება ასევე გულისხმობს გარკვეულ ქცევის წესებს, რომელშიც აისახება საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესებისა და, ზოგადად, სახელმწიფოს მიმართ.

აარონ უილდავსკი იყო ამერიკელი პოლიტოლოგი, რომელიც ცნობილი იყო საჯარო პოლიტიკის, სამთავრობო ბიუჯეტებისა და რისკების მართვის სფეროში პიონერული მუშაობით. მისი მტკიცებით, სწორედ კულტურა ქმნის ადამიანების პრეფერენციებს,³¹ რაც თავის მხრივ, პოლიტიკურ პროცესს წარმართავს.

1963 წელს პოლიტიკური კულტურის შესახებ კამათი გაძლიერდა გაბრიელ ალმონდისა და სიდნი ვერბას წიგნის „სამოქალაქო კულტურის“ გამოქვეყნებით. ავტორები, რომლებიც პოლიტიკურ კულტურაზე იყვნენ ფოკუსირებული მარქსისტული მატერიალიზმისა და მექანიკური სტრუქტურულ ფუნქციონალიზმის³² გამოწვევებთან იყო დაკავშირებული, ხოლო მათი (იგივე ავტორები) ემპირიული მეთოდოლოგია პოზიტივიზმისა³³ და ინდივიდუალიზმის შესახებ გაჩენილ ეჭვებს შეეჯახნენ.

პოლიტიკურ კულტურას პოლიტოლოგებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მარქსისტული რეჟიმების კრაზმა და ნაციონალიზმის აღზევებამ ყურადღება მიაპყრო იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ რეჟიმები საკუთარი თავის ლეგიტიმაციას, პარალელურად თუ როგორ იდენტიფიკაციას ახდენენ მოქალაქეები საკუთარ თავისას, ამასთანავე ეს ორივე პროცესი, პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვან შუამავლურ როლზე მიუთითებს. კულტურა ასევე ზემოქმედებს მასობრივი კომუნიკაციების პოლიტიკურ ქცევაზე.

პოლიტიკურ კულტურას სასარგებლო როლი აქვს პოლიტიკურ მეცნიერებაში. იმისათვის, რომ პოლიტიკურ კულტურას ჰქონდეს რაიმე განმარტებითი ძალა, მან უნდა გააკეთოს მეტი, ვიდრე უბრალოდ პოლიტიკური მოქმედების დეტალების შევსება; მან უნდა ჩამოაყალიბოს ამ მოქმედების ხასიათი და განზრახვა. ამრიგად, ეს მიმოხილვა პასუხობს სამ მნიშვნელოვან და ცენტრალურ შეკითხვას: რა არის პოლიტიკური კულტურა? რისი ახსნა შეუძლია მას? და როგორ ავხსნათ ის?

პოლიტიკური კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამოქალაქო კულტურასთან. ტერმინი „პოლიტიკური კულტურა“ პირველად გამოყენებულ იქნა მეთვრამეტე საუკუნეში გერმანელი განმანათლებლის იოჰან ჰერდერის მიერ, ხოლო მისი მეცნიერული გაგება შემოიტანა ამერიკელმა პოლიტოლოგმა გაბრიელ ალმონდმა 1956 წელს დაწერილ სტატიაში „შედარებითი პოლიტიკური სისტემები“. პოლიტიკური კულტურა, ზოგადად, საზოგადოების კულტურის

³¹ შედავათიანი პირობების შეთავაზება, უპირატესობის მინიჭება;

³² სტრუქტურული ფუნქციონალიზმი — მეთოდოლოგიური მიდგომა სოციოლოგიასა და სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში, შემდგარი საზოგადოების განმარტებაში, როგორც სოციალური სისტემები, საკუთარი სტრუქტურისა და სტრუქტურული ელემენტების ზემოქმედების მექანიზმების მქონე, რომელთაგანაც თითოეული საკუთარ ფუნქციას ასრულებს. სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ფუძემდებლად ითვლებიან ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ტალკოტ პარსონსი, აგრეთვე ბრიტანელი, პოლონური წარმოშობის, სოციალური ანთროპოლოგი ბრონისლავ მალინოვსკი.

³³ პოზიტივიზმი იგივე ემპირიზმია, შემდეგი განსხვავებით: იმ დროს, როდესაც ემპირიზმი შემეცნების მსვლელობაზე აკეთებდა აქცენტს (უფრო ფსიქოლოგია, ვიდრე სხვა რამ), პოზიტივიზმი უფრო შემეცნების ღირებულებასა და საზღვრებზე ამახვილებს ყურადღებას (უფრო გნოსეოლოგია, ანუ შემეცნების კრიტიკა).

ორგანული ნაწილი და პოლიტიკური სისტემის აუცილებელი ელემენტია. პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე (ტიპი) დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოების დემოკრატიზაციის ხარისხსა და პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს.³⁴

გაბრიელ ალმონდმა და სიდნი ვერბამ³⁵ პოლიტიკური კულტურა განსაზღვრეს, როგორც საზოგადოებაში შემავალი ინდივიდების ფსიქოლოგიური განწყობები. ალმონდი და ვერბა მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა მოიცავს მის პოლიტიკურ კულტურას და რომ ამ სისტემის შენარჩუნება ან შეცვლა გარკვეულწილად დაკავშირებულია მის კულტურასთან. ასე მაგალითად, მათ მტკიცებას უდევს საფუძვლად, რომ ბრიტანეთის „მრავალფეროვნებისა და კონსენსუალიზმის, რაციონალიზმისა და ტრადიციონალიზმის“ ბალანსმა შესაძლებელი გახადა ბრიტანული დემოკრატიის განვითარება. პოლიტიკური კულტურა კატალიზატორის როლს თამაშობს, რომელიც გარკვეული სახის ცვლილებების პირობებს ქმნის და ამ ცვლილების შედეგებსაც ინარჩუნებს. უფრო პროზაულად რომ ვთქვათ, პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური მოქმედების კონტექსტს ან გარემოს ქმნის. თუმცა, ალმონდსა და ვერბას არ სურთ პოლიტიკური კულტურისთვის პასიური როლის მინიჭება. მათ სურთ „პოლიტიკური კულტურის“ „პოლიტიკური სისტემისგან“ გამიჯვნა, რათა მათ შეძლონ იმის მტკიცება, რომ „პოლიტიკური კულტურები შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს „პოლიტიკური სისტემების სტრუქტურას“.

მხოლოდ კულტურის გარკვეული ტიპი – სამოქალაქო კულტურა – შეესაბამება დემოკრატიას; ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა კულტურა შეესაბამება სხვადასხვა რეჟიმსა და პოლიტიკურ მმართველობის ფორმებს. დემოკრატიული მმართველობის ფორმაში, პოლიტიკურ სისტემასა და კულტურას შორის თავსებადობა ბუნებრივად არსებობს: „სამოქალაქო კულტურა არის მონაწილე პოლიტიკური კულტურისა. თუმცა, ალმონდსა და ვერბას სურთ ამტკიცონ, რომ პოლიტიკური კულტურა არის დამოუკიდებელი ცვლადი, რომელსაც შეუძლია ახსნას, თუ როგორ რეაგირებენ საზოგადოებაში ინდივიდები თავიანთ „პოლიტიკაზე“. ზოგჯერ საზოგადოების ორიენტაციები და სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის საჭიროებები ერთმანეთთან არ არის თავსებადი.

როგორ აღწევს პოლიტიკური კულტურა თავის ფუნქციურ ან დისფუნქციურ ეფექტს? რატომ ან როდის აქვს ინდივიდუალური დამოკიდებულებების კონკრეტულ ერთობლიობას შედეგები პოლიტიკის ფუნქციონირებაზე? ზემოთ აღნიშნულ კითხვებზე ალმონდისა და ვერბასთვის პასუხი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ აკავშირებს პოლიტიკური კულტურა „მიკროპოლიტიკასა და

³⁴ Street, "Review article: political culture - from Civic culture to Mass culture", p. 95.

³⁵ ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგების გაბრიელ ალმონდისა და სიდნი ვერბას წიგნი „სამოქალაქო კულტურა“ (1963), სამოქალაქო კულტურის კვლევის სფეროში კლასიკად არის აღიარებული და ის ხუთი ქვეყნის – აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიისა და მექსიკის სამოქალაქო კულტურის ისტორიულ-შედარებით ანალიზზეა დაფუძნებული.

მაკროპოლიტიკას“. აღმონდისა და ვერბას ნაშრომი სამ ძირითად საკითხს წამოჭრის: პოლიტიკური კულტურის განმარტებას, მის განმარტებით ძალას (ანუ სიმძლიერეს), ასევე ფორმირებასა და გავრცელებას.

ლიჯჰარტი, აღმონდისა და ვერბას აკრიტიკებს პოლიტიკური კულტურის კონცეფციის ზედმეტად გაწელვისთვის, პოლიტიკური ობიექტების მიმართ ორიენტაციის მიღმა მისი „ზოგადი სოციალური და ინტერპერსონალური ურთიერთობების“ ჩათვლით. უფრო მნიშვნელოვანი კრიტიკა იმალება კეროლ პეიტმენის მტკიცებაში, რომ აღმონდი და ვერბა პოლიტიკურ ორიენტაციებს პოლიტიკური სისტემის განუყოფელ ნაწილად აქცევენ – თუ ეს სიმართლეა, მაშინ აღმონდისა და ვერბას შეხედულების შენარჩუნება, იმის თაობაზე რომ პოლიტიკური კულტურა დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს არასწორია.

კრიტიკოსები, როგორებიც არიან ქეროლ პეიტმენი³⁶ და ბრაიან ბერი, ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური კულტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური პროცესების შედეგი და არა მიზეზი. ბერი ვარაუდობს, რომ „პოლიტიკური“ კულტურა უბრალოდ შედეგება არსებული სისტემის საერთო „გამოცდილებაზე“ დაფუძნებული „გონივრული მოლოდინისგან“. ცხადია, თუ ეს ინტერპრეტაცია სწორია, მაშინ კორელაცია წარმოიშობა „სამოქალაქო კულტურის“ „დემოკრატიისთვის“ ხელშეწყობიდან, და არა იმიტომ რომ „დემოკრატია“ წარმოიშობს „სამოქალაქო კულტურას.“³⁷

მსგავს სკეპტიციზმს ავლენენ მატერიალისტებიც, რომელთათვისაც კულტურა მხოლოდ შინაგანი რეალობის გარეგანი ნიშანია. ამდენად, პოლიტიკურ კულტურაში ორი დაკავშირებული ხაზი არსებობს. პირველი: **პოლიტიკური კულტურა შეიძლება იყოს პოლიტიკური პროცესების შედეგი და არა მიზეზი.** მეორე: **პოლიტიკური კულტურა ემსახურება უკვე არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ ინტერესებს.**

პოლიტიკური კულტურის როლის გააზრებაში სამი განსხვავებული გზა გამოიყოფა. ისტორიული მატერიალისტებისთვის პოლიტიკურ კულტურას დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა არ ექნება. იდეალისტი, პირიქით, პოლიტიკურ კულტურას მთავარ როლს დაუთმობს და დაამტკიცებს, რომ კულტურაში არსებული აზროვნების ნიმუშები „განსაზღვრავს პოლიტიკურ მოქმედებას“. თუმცა, არსებობს მესამე მიდგომაც, რომელიც წინა ორს მოიცავს. ამგვარი მიდგომისას, პოლიტიკური კულტურა გვაწვდის „რესურსების“ ერთობლიობას – ხატებს, სიმბოლოებს, მითებს, ტრადიციებს – რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს,

³⁶ მონაწილეობითი დემოკრატიის უახლეს თეორიას ძირითადად საფუძველი ჩაუყარა ქეროლ პეიტმენის ნაშრომმა მონაწილეობა და დემოკრატია.

³⁷ Street, "Review article: political culture – from Civic culture to Mass culture", p. 95.

გაიგონ თავიანთი მდგომარეობა, რომელიც წარმოშობს გარკვეულ საჭიროებებს, და ეს ყოველივე გავლენას ახდენს „ხელმისაწვდომი კულტურული რესურსების შერჩევასა და ინტერპრეტაციაზე“. ამ სამ პოზიციას შორის არჩევანის გაკეთება ნიშნავს პოზიციის დაკავებას, პირველ რიგში, იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს კულტურა პოლიტიკურ მოქმედებას და მეორეც, იმის შესახებ, თუ როგორ არის აგებული თავად პოლიტიკური კულტურა.

პოლიტიკური კულტურის ახსნა, განმარტება

პოლიტიკური კულტურა „წარმოიქმნება“ საზოგადოებაში არსებული ინდივიდებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ერთობლივი მოქმედებით. თუმცა, პოლიტიკური კულტურა არ ხსნის, თუ როგორ ხდება ეს, გარდა „პოლიტიკურ სოციალიზაციაზე“ მითითებისა, რომელიც, როგორც პეიტმენი აღნიშნავს, კულტურასა და სისტემას შორის ნეიტრალური არხის ფუნქციას ასრულებს. პოლიტიკური სოციალიზაცია აქტიურ როლს მხოლოდ მაშინ ასრულებს, თუ არსებობს დამაბულობა ადამიანების ორიენტაციებსა და სისტემის გამართულად მუშაობის წესს შორის. ის ასევე გულისხმობს ურთიერთობას, რომელშიც არსებობს ფორმალური გამიჯვნა კულტურასა და პოლიტიკურ სისტემას შორის. ამ განცალკევების გარეშე შეუძლებელია საუბარი მათი ურთიერთობის „შესაბამისობასა ან შეუსაბამობაზე“. თუმცა, თუ ეს გამიჯვნა „შეუძლებელია“, მაშინ პოლიტიკური კულტურა წყვეტს „ფსიქოლოგიური განწყობებისგან“ შედგენას და ამის ნაცვლად ხდება პოლიტიკური მოქმედებისა და პოლიტიკური პროცესის შემადგენელი, და არა ინსტრუმენტული ნაწილი. ეს ნაბიჯი ბიპვეიორალიზმისგან გადასვლას ინტერსუბიექტურ გაგებაზე დაფუძნებულ ინტერპრეტაციაზე გადადის. ის ასევე პოლიტიკურ მეცნიერებასა და კულტურულ კვლევებს შორის უფრო მჭიდრო კავშირზე მიუთითებს.

არჩი ბრაუნი ამტკიცებს, რომ მარქსისტული გავლენის მქონე დღის წესრიგის აღზევებამ პოლიტიკური კულტურის მარგინალიზება მოახდინა. მხოლოდ 1980-იან წლებში, პოლიტიკის წმინდა მატერიალისტური ან ინდივიდუალისტური შეხედულებებისადმი მზარდი იმედგაცრუების ფონზე, პოლიტიკური კულტურა კვლავ გამოჩნდა, როგორც მნიშვნელოვანი თემა პოლიტიკურ მეცნიერებაში. როდესაც ეს მოხდა, კულტურის ცნებამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა, ძირითადად სხვა დისციპლინებში – განსაკუთრებით სოციოლოგიაში, ლიტერატურულ კრიტიკასა და ისტორიაში.

კულტურის განსაზღვრა.

ტოპფი გვთავაზობს, რომ კულტურის დამოკიდებულებები განიხილებოდეს, როგორც „ღირებულებების“ ან, უკეთეს შემთხვევაში, მორალურ წესრიგში არსებული პოზიციების გამოხატულება, რომლებიც პოლიტიკური „კულტურის“

შემადგენელი ნაწილია. პოლიტიკური კულტურის ეს ვერსია ასევე შეიძლება აღმოჩენილი იყოს ბრაიან გირვინის ნააზრევში, რომ პოლიტიკური კულტურა სამ დონეზე მუშაობს: მაკრო, მეზო და მიკრო.

ასეთი განსხვავებები აშკარად აღიარებს კულტურის შესაძლებლობას, როგორც პოლიტიკური მოქმედების განხორციელებისას. პოლიტიკური კულტურის მაკროდონე ეხება იმ სიმბოლოებსა და ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ეროვნულ სახელმწიფოს. წესები იმის შესახებ, თუ როგორ ორგანიზდება კონკრეტული სახელმწიფო, მეზოდონეზეა. მეზოდონის „ღირებულებები“ შეიძლება იყოს პოლიტიკური ბრძოლის ობიექტი. ამის ქვემოთ, მიკროდონეზე, უნდა მოიძებნოს გზები „ნორმალური პოლიტიკის წარმართვისათვის“. პოლიტიკური კულტურის თითოეული დონე განიხილება, როგორც იდენტობის ფორმებისა და ღირებულებების ერთობლიობის შემადგენელი ნაწილი. პოლიტიკური კულტურა არ აღწერს ფსიქოლოგიური მდგომარეობების წინასწარ მოცემულ ერთობლიობას, არამედ პოლიტიკის შედეგის აღწერას გვაწვდის.

„ნაწილობრივ ხედვებში“ რიჩარდ მერელმანი პოლიტიკური კულტურის ამ ცნებას იყენებს შეერთებული შტატების, კანადისა და ბრიტანეთის სახელმწიფოების შედარებითი ანალიზისას. მერელმანი კულტურას განიხილავს, როგორც იდეების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება პოლიტიკური სამყაროს შესახებ ფიქრისთვის.³⁸

როგორც მერელმანი წერს: „კულტურა“ შედგება კოლექტიური წარმოდგენებისგან, რომლებიც საბოლოოდ გავლენას ახდენენ ადამიანების „სუბიექტურ განწყობებზე დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის მიმართ“. თუ როგორ ახდენს კულტურა გავლენას და აყალიბებს პოლიტიკის პოპულარულ ხედვებს, ეს კითხვა ამ შემთხვევაშიც პასუხაუცემალია.

კულტურული კვლევები წარმოიშვა, რეიმონდ უილიამსისა და რიჩარდ ჰოგარტის ნაშრომებიდან, მწერლებისგან, რომლებიც ცდილობდნენ სოციალური მეცნიერებისა და ლიტერატურის სამყაროს შერწყმას. გრამშისა და ფრანკფურტის სკოლის ნაშრომებში მეცნიერთა უმეტესობა კულტურული კვლევები „კულტურას“ განიხილავდნენ, როგორც ადგილს, სადაც წარმოსახვა და ცხოვრებისეული გამოცდილება ერთმანეთს ერწყმის. თავის ესეში „კულტურა ჩვეულებრივია“, უილიამსმა დაწერა: „ყველა ადამიანურ საზოგადოებას აქვს საკუთარი ფორმა, საკუთარი მიზნები, საკუთარი მნიშვნელობები. ყველა „ადამიანური საზოგადოება“ ამ ყველაფერს გამოხატავს ინსტიტუტებში, ხელოვნებასა და სწავლაში. საზოგადოების შექმნა არის საერთო მნიშვნელობებისა და მიმართულებების პოვნა,

³⁸ Street, "Review article: political culture - from Civic culture to Mass culture", p. 95.

ხოლო მისი გაზრდა, განვითარება შესაძლებელია გამოცდილების, კონტაქტისა და აღმოჩენების ზეწოლით.“ ასეთმა მიდგომამ ავტომატურად მნიშვნელობა მიანიჭა სიმბოლოების როლსა და მათ მიერ ადამიანის აზროვნებასა და მოქმედებაში შესრულებულ დინამიკურობას.

თუ პოლიტიკურ კულტურაში „კულტურა“ ამ სახითაა წარმოდგენილი, მაშინ ეს უკანასკნელი ხდება ფორუმი, სადაც ადამიანები ქმნიან თავიანთ წარმოდგენას პოლიტიკური სისტემისა და მასში მათი (ინდივიდების) ადგილის შესახებ. პოლუილისი ამას აღწერს, როგორც „სიმბოლური შემოქმედების“ პროცესს, რომელსაც ის განსაზღვრავს, როგორც ადამიანების უნარს, გამოიყენონ არსებული კულტურული რესურსები „კოლექტიური და ინდივიდუალური იდენტობების ფორმირებასა და რეპროდუცირებაში“. შემდეგ ეს იდენტობები ექვემდებარება პოლიტიკური ინსტიტუტების მუშაობას. პროცესი მარტივი არ არის. ის გულისხმობს იმის აღიარებას, რომ კულტურა მუდმივად იქმნება ინდივიდებისა და ჯგუფების საქმიანობით; რომ კულტურას არ აქვს ერთიანი შეკრული ფორმა, არამედ ორაზროვანია; და ამ ორაზროვნების მიზეზი ნაწილობრივ არის კონკურენტი ინტერპრეტაციები და მნიშვნელობები, რომელთა მიღებაც შესაძლებელია არსებული კულტურული რესურსებიდან.

ერთი მხრივ, პოლიტიკური კულტურა შედგება მოქალაქეების მიერ პოლიტიკური ქცევის შესახებ გამოთქმული შეფასებებისგან. მეორე მხრივ, ეს დამოკიდებულებები ასევე პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია იმ გაგებით, რომ ისინი ხელს უწყობენ იმ ენის შექმნას, რომლითაც პოლიტიკა ხორციელდება.

მკვლევართა ნაწილი, ეროვნულ იდენტობას კულტურულ ფენომენად მიიჩნევენ. ენტონი სმიტი ამტკიცებს, რომ ერის, პოლიტიკური იდენტობის საზღვრების იდეა კულტურულად ყალიბდება: „პოლიტიკის სტილსა და დოქტრინაზე მეტად, ნაციონალიზმი კულტურის ფორმა – იდეოლოგია, ენა, მითოლოგია, სიმბოლიზმი და ცნობიერება – რომელმაც გლობალური რეზონანსი მოიპოვა, ხოლო ერი იდენტობის ტიპია, რომლის მნიშვნელობა და პრიორიტეტი კულტურის ამ ფორმით არის წინასწარ განსაზღვრული“.

ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, პოლიტიკური კულტურა პოლიტიკის სარკე ან პრიზმაა, მაგრამ არა სინათლის წყარო.

როგორც დევიდ ბიტკემი აღნიშნავს თავის კვლევაში: „ადამიანები არასდროს არიან მხოლოდ იდეების ან შეტყობინებების პასიური მიმღებები, რომლებსაც ისინი აუცილებლად დაექვემდებარებიან. ისინი უფრო საცერს ჰგვანან, ვიდრე ღრუბელს“. პოლიტიკური წესრიგის აღწერილობები უნდა ითვალისწინებდეს პოლიტიკური კულტურის შექმნასა და ინტერპრეტაციას.

ლოურენს გროსბერგს აინტერესებს, თუ როგორ გავრცელდა კონსერვატიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980-იან წლებში. მისი პასუხი, რომელიც კულტურულ კვლევებს ეყრდნობა, მიუთითებს პოპულარული კულტურის „აფექტურ“ ძალაზე; ანუ სიმბოლოებისა და მითების უნარზე, წარმოქმნან გრძნობები, ემოციები და მიზეზები, რომელთა გარეშეც მოქმედება არ მოხდებოდა. რატომ იღებენ ადამიანები „კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს“? პასუხი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების ინტერესებს ეხება, არ მოქმედებს. „ინტერესის“ ქონა დამოკიდებულია როგორც იდენტობის განცდაზე, რომელსაც შეიძლება მივაწეროთ ესა თუ ის კონკრეტული ინტერესი. სინამდვილეში, აფექტი არის ტერმინი, რომელიც აკლია იდეოლოგიის ადეკვატურ გაგებას, რადგან ის გვთავაზობს „რწმენის ფსიქოლოგიის“ შესაძლებლობას, რომელიც ახსნის, თუ როგორ და რატომ არის იდეოლოგიები ზოგჯერ ეფექტური.³⁹

გაბრიელ ალმონდისა და სიდნი ვერბას მიერ გამოყენებული პოლიტიკური კულტურის ქცევითი ხედვა არასაკმარისია როგორც კულტურის მუშაობის ახსნის, ასევე პოლიტიკური მოქმედების ახსნის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ალმონდმა და ვერბამ დაუდო სათავე პოლიტიკური კულტურის დეფინიციას, ამის შემდგომ მოგვიანებით მწერლებმა შეიმუშავეს პოლიტიკური კულტურის უფრო სრულყოფილი ცნება და განსხვავებული განსაზღვრება, რომელიც მოიცავს სოციალური ცხოვრებისა და გონების მდგომარეობების უფრო ფართო სპექტრს და კულტურას განიხილავს, როგორც დისკურსს, რომლის ინტერპრეტაცია და გამოყენებაც ადამიანებმა უნდა შეძლონ. კულტურა ეხება არა მხოლოდ იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ადამიანები პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ავლენენ. ის შედგება გრძნობებისა და სურათების კომპლექსისგან, რომლებიც მანიფესტებიდან და პოპულარული კულტურიდან მომდინარეობს. ისეთი ტერმინების მნიშვნელობა, როგორიცაა „თავისუფლება“, იქმნება კულტურის მიერ მოწოდებული რესურსების აქტიური ჩართულობის გზით, ისევე როგორც „იდენტობის“ და „ინტერესის“ ცნებები, რომელთა დაკმაყოფილებაც თავისუფლებას ევალება.

კულტურა გადამწყვეტ როლს ასრულებს იმაში, თუ როგორ ხდება საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება და შემდეგ მათზე რეაგირება. თუმცა, ეს ნაბიჯი ქმნის შესაძლებლობას, რომ მხოლოდ „კულტურა ხსნის ადამიანის მოქმედებას“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მხოლოდ მაშინ, როდესაც გვესმის კულტურის შექმნის შესახებ ინფორმაცია, მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ვისაუბროთ მასზე განხორციელებულ ინტერპრეტაციებსა და მისგან მიღებულ ქმედებებზე. ამრიგად,

³⁹ Street, "Review article: political culture - from Civic culture to Mass culture", p. 95.

უმუშალო პრობლემა არა მხოლოდ პოლიტიკურ ინტერესებზე დაფუძნებული კულტურული თეორიაა, არამედ კულტურის პოლიტიკური თეორიის შემუშავებაა.

პოლიტიკური კულტურა, როგორც კოლექტივის აღწერილობა გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ჯგუფი ავლენს მოცემულ დიაპაზონს და მიმართულია მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრებისაკენ, ხოლო სტრუქტურული აღწერისას საუბარია კულტურათაშორის დიფერენციაციაზე ანუ რა განასხვავებებს კოლექტივებს ერთმანეთისგან.⁴⁰

პოლიტიკური აქტივობის ხარისხი დამოკიდებულია პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მჭიდრო თანამშრომლობაზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხის მონაწილეობა ხელმისაწვდომია პოლიტიკის პროცესის მიმდინარეობისას. ადამიანს პოლიტიკის წარმართვის პროცესში თავისი მონაწილეობით შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგებზე. მოქალაქეების რწმენა არის ის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესების სრულფასოვნად წარმართვისას.

თანამედროვე აშშ-ის პოლიტიკური კულტურის გამოწვევები

ამერიკის პოლიტიკური კულტურა ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე განსხვავებული გამოწვევების წინაშე იდგა. თანამედროვე ამერიკის პოლიტიკური კულტურა სხვა სახის, ამოუცნობი პრობლემების წინაშე დგას, რომელსაც მხოლოდ აქამდე შეძენილი გამოცდილების ხარჯზე ვერ გაუმკლავდება. ეს თავი ძირითადად ეყრდნობა ამერიკელი ფილოსოფოსის ჯონ დიუის ნააზრევს, რომელიც ხაზს უსვამს ამერიკული განათლების მნიშვნელობას პოლიტიკური პროცესების სწორად წარმართვისას და ასევე ავტორი (იგულისხმება ჯონ დიუი) საუბრობს ლიბერალურ დემოკრატიაზე, რომელიც ამერიკული პოლიტიკური კულტურის ქვაკუთხედი და თანამედროვე ამერიკული პოლიტიკის საფუძველია.

საზოგადოება ერთი სიტყვაა, მაგრამ მას დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. ყოველი დიდი საზოგადოების ფარგლებში არსებობს მრავალი მცირე ჯგუფი: პოლიტიკური ქვედანაყოფები, სამრეწველო, სამეცნიერო, რელიგიური, გაერთიანებები. არსებობს ასევე განსხვავებული მიზნების მქონე პოლიტიკური პარტიები, სოციალური წყობა, ბანდები, კორპორაციები, მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფები. ბევრ თანამედროვე სახელმწიფოში საზოგადოება მრავალფეროვანია. საზოგადოება თავისი ბუნებით ერთიანია – ერთიანია მიზნისა და კეთილდღეობის გარშემო.⁴¹

⁴⁰ Elkins, "A Cause in Search of Its Effect, or What Does Political Culture Explain?", p. 127.

⁴¹ Dewey, "Democracy and Education (An introduction to the philosophy of Education)", p. 20.

განათლება მიდრეკილია მისი წევრების სოციალიზაციისკენ, მაგრამ სოციალიზაციის ხარისხი და ღირებულებები დამოკიდებულია ჯგუფის ჩვევებსა და მიზნებზე. განათლება არის სოციალური ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს განვითარებას იმ ჯგუფის ცხოვრებისა, რომელსაც ეს კონკრეტული ჯგუფი მიეკუთვნება, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, განათლება უზრუნველყოფს ინდივიდის სოციოლოგიას და შესაბამისად მთლიანად საზოგადოება კი არა, მხოლოდ გარკვეული ჯგუფი იქნება განათლებული და ადაპტირებული იმ გარემოსთან, სადაც ის იმყოფება.

შარლ მორის დე ტალიერან-პერიგორმა,⁴² ფრანგმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა თქვა, რომ მთავრობას ყველაფერი შეუძლია ბაიონეტებით⁴³ გარდა მათზე დაჯდომისა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ხელისუფლება ფუნქციონირებს უბრალოდ შიშის დათესვის უნარით. გარკვეულწილად, ეს განცხადება მართალია. მაგრამ ავტორს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ შიში არ არის სასურველი ფაქტორი. ამასთანავე სიფრთხილე, წინდახედულობა, მომავალი მოვლენების განჭვრეტის სურვილია საჭირო, რათა თავიდან აიცილოს საზოგადოებამ, რაც საზიანოა. „შიშის თამაშში შესვლის შედეგად“ სიმბდალესა და ზიზღს ვიღებთ. ამ დროს შეშინებული ადამიანები დაყვანილნი არიან ტკივილის თავიდან აცილების „მსახურებად“. შეგვიძლია იმის თქმაც, რომ ამ დროს ქვეყნის ინტერესები თითქმის უგულებელყოფილია.

იმისთვის, რომ საერთო ღირებულებები იქონიოს საზოგადოების ყველა წევრმა, მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, უნდა არსებობდეს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებები. წინააღმდეგ შემთხვევაში განათლება ზოგიერთს აყალიბებს საქმის პროფესიონალებად, სხვებს კი აქცევს მონებად. განათლება კარგავს მნიშვნელობას, როდესაც შეჩერებულია ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების საშუალება და ამას ძირითადად სხვადასხვა არადემოკრატიული მმართველობის რეჟიმები ახორციელებენ.

ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კლასიკური ხანის ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა განსაზღვრა მონა, როგორც ადამიანი, ვინც სხვისგან იღებს დავალებებს, რომლებიც აკონტროლებენ მის ქცევას და ეს მდგომარეობა იქმნება იქაც კი, სადაც საერთოდ არ არსებობს მონობა, როგორც იურიდიული ტერმინი.⁴⁴

ინდივიდუალური ინტერესები, რაც აფერხებს სხვა ჯგუფებთან სრულ ურთიერთქმედებას, ჯგუფებს იზოლაციაში ამყოფებს. ასეთ დროს სრულიად

⁴²შარლ მორის დე ტალიერანს ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა სხვადასხვა რეჟიმის დროს, დაწყებული დირექტორიიდან დამთავრებული ლუი-ფილიპის მთავრობით. სიტყვა ტალიერანი გახდა მედროვეობისა და უპრინციპობის სინონიმი.

⁴³ბაგინეტი – ერთგვარი ცივი იარაღი, თოფის ლულაზე წამოსაცმელი ხიმტის წინამორბედი.

⁴⁴Dewey, "Democracy and Education (An introduction to the philosophy of Education)", p. 20.

ლოგიკურია ადამიანს შეეშინდეს სხვებთან ურთიერთობის, რადგან ასეთმა კონტაქტმა შეიძლება გააფუჭოს ჩვეულება და რუტინა. ეს აუცილებლად გამოიწვევს რეკონსტრუქციასაც. კაცობრიობის ისტორიაში ყოველი ექსპანსიური ეპოქა დაემთხვა იმ ფაქტორების მოქმედებას, რომლის დროსაც ხალხები და კლასები მანძილის აღმოფხვრას ცდილობდნენ. მოგზაურობა, ეკონომიკური და კომერციული ურთიერთობების გარე ბარიერების დაშლა, ხელს შეუწყობს ხალხსა და კლასებს შორის უფრო და უფრო დაახლოებას, ასევე ემოციური მნიშვნელობის გაძლიერებასა და უზრუნველყოფს სივრცითი ატმოსფეროს შემცირებასა და ნულამდე დაყვანას.

დემოკრატიული მმართველობა სათავეშივე უარყოფს კონკრეტული ავტორიტეტის პრინციპს. ამ დროს უნდა მოიძებნოს ნებაყოფლობითი განკარგვისა და ინტერესის შემცვლელი რამ და ეს შეიძლება შეიქმნას მხოლოდ და მხოლოდ განათლების საშუალებით. ამასთანავე, მეცნიერთა აზრით, დემოკრატია უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ მმართველობის ფორმა; ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრება – გამოცდილების გადაცემის საშუალება.

დემოკრატიული მმართველობისას, საზოგადოებაში არსებულ კლასებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მობილურმა საზოგადოებამ, რომელიც ნებისმიერ ადგილას მომხდარი ცვლილების გავრცელება შეუძლია, უნდა იზრუნოს, რომ საზოგადოების წევრები და მისი უმეტესი ნაწილი იყოს განათლებული, ჰქონდეს პიროვნული ინიციატივის გამოხატვის საშუალება და გამოირჩეოდეს ადაპტირების უნარით.

დემოკრატიულ იდეებს განათლების სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს. საგანმანათლებლო თეორიები, საინტერესოდ განვითარდა იმ ეპოქებში, როდესაც თვალსაჩინო იყო განათლების სოციალური იმპორტი. პირველი ეს იყო პლატონის მოღვაწეობის დროს. ის ამტკიცებდა, რომ საზოგადოება სტაბილურად არის ორგანიზებული, როდესაც თითოეული ინდივიდი აკეთებს იმას, რისთვისაც მას ბუნებით აქვს გარკვეული სახის უნარი მინიჭებული, რათა იყოს სასარგებლო როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვებისთვისაც. განათლება უწყობს ხელს იმ უნარის აღმოსაჩენას, რითაც ინდივიდები მოემზადებიან სოციალური ცხოვრებისთვის. პლატონის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ საზოგადოების ორგანიზება საბოლოოდ დამოკიდებულია ცოდნაზე. არაორგანიზებული და ფრაქციული საზოგადოება აყენებს განსხვავებულ მოდელებსა და სტანდარტებს.

პლატონმა ხაზგასმით დაადასტურა, რომ ინდივიდის ადგილი საზოგადოებაში არ განისაზღვრება დაბადებით ან სიმდიდრით ან რაიმე სტატუსით, არამედ თავისი ბუნებით, რომელიც აღმოაჩინა განათლების პროცესში, მას უნდა ჰქონდეს

წარმოდგენა საკუთარი უნიკალურობის შესახებ. განათლება, ამავდროულად, გამოხატავს და უზრუნველყოფს ადამიანის საჭიროებებს.⁴⁵

პლატონს სწამდა, რომ ინდივიდი ბედნიერია და საზოგადოება კარგად არის ორგანიზებული, როდესაც თითოეული ინდივიდი ეწევა იმ საქმიანობას, რაზეც მას აქვს ბუნებრივი ცოდნა. პლატონმა გვასწავლა, რომ ორიგინალური შესაძლებლობები განუსაზღვრელი რაოდენობით მრავალრიცხოვანი და ცვალებადია. პლატონის საგანმანათლებლო ფილოსოფია იყო რევოლუციური. ის ფიქრობდა, რომ ნამდვილი რეალობა იყო შეუცვლელი. ამიტომ, სანამ ის რადიკალურად შეცვლიდა საზოგადოების არსებულ მდგომარეობას, მისი მიზანი იყო სახელმწიფოს აშენება, რომელშიც ცვლილებას შემდგომში ადგილი არ ექნებოდა.

მეთვრამეტე საუკუნეში ფილოსოფიაში ძალიან განსხვავებული იდეების წრე წინა პლანზე წამოიწია. პლატონმა დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ საზოგადოების ცნობიერებაზე. ეს ეპოქა უფრო მეტად „საუბრობდა“ ინდივიდის მრავალფეროვნებაზე, ნიჭსა და თავისუფალი განვითარების საჭიროებაზე, რაც ინდივიდუალობაში გამოიხატებოდა. განათლება და სწავლების მეთოდი უკიდურეს შემთხვევაში წარმოდგენილ იყო როგორც არა სოციალური ან თუნდაც ანტისოციალური. ემანსიპირებული⁴⁶ ინდივიდი შეიძლება გახდეს ყოვლისმომცველი და პროგრესული საზოგადოების ნაწილი. ხელოვნური, კორუმპირებული, და უთანასწორო სოციალური წესრიგი ახალი და უკეთესი სისტემით უნდა შეიცვალოს. ცრუ რწმენებისა და ეკლესიის ხელოვნური შეზღუდვებისგან უნდა გათავისუფლდეს ადამიანი. გამოიკვეთა, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური შეზღუდვები საბოლოოდ გულისხმობდა აზროვნების შეზღუდვებს. საჭირო იყო ემანსიპაცია ცრურწმენის შინაგანი ჯაჭვიდან.

შვეიცარიელმა პედაგოგმა იოჰან ჰაინრიხ პესტალოცმა ჩაატარა ექსპერიმენტები ქველმოქმედებისადმი მიდრეკილ ადამიანებზე, რომლებსაც სიმდიდრე და ძალაუფლება აქვთ. პესტალოცმა დაინახა, რომ ნებისმიერი ახალი საგანმანათლებლო იდეალი მოითხოვდა სახელმწიფოს მხარდაჭერას. ახალი განათლების რეალიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ ჩამოყალიბოს ახალი საზოგადოება ურთიერთდაკავშირებული კონკრეტულ სახელმწიფოსთან.

დროთა განმავლობაში ტერმინი "სახელმწიფო" ჩანაცვლა კაცობრიობამ; კოსმოპოლიტიზმმა ადგილი დაუთმო ნაციონალიზმს. განათლების მიზანი კი ეროვნული მოქალაქის ჩამოყალიბება გახდა. ნაპოლეონის დაპყრობების შემდეგ

⁴⁵ Dewey, "Democracy and Education (An introduction to the philosophy of Education)", p. 20.

⁴⁶ ემანსიპაცია – განთავისუფლება ვინმეზე დამოკიდებულებისგან, უფლებრივად გათანასწორება.

გერმანია გრძნობდა, რომ სისტემატური განათლება მათი პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნების საუკეთესო საშუალება იყო და დაიწყო ამ სფეროს ძირფესვიანად შეცვლა-განვითარება. სახელმწიფომ უზრუნველყო არა მხოლოდ საჯარო განათლების ინსტრუმენტები, არამედ გამოკვეთა სწავლის მიზანიც.

ინსტიტუციური იდეალიზმისთვის დამახასიათებელი იყო (ჰეგელის ფილოსოფიაშიც ამ ტერმინს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა) მიზანმიმართული მცდელობა, რომელიც აერთიანებს პიროვნების სრულ რეალიზაციას.

გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული იდეალიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი, იმანუელ კანტი, გამოხატავს ადრინდელ ინდივიდუალურ – კოსმოპოლიტურ იდეალს. თავის ტრაქტატში პედაგოგიკის შესახებ, რომელიც შედგება ლექციებისგან (მეთვრამეტე საუკუნის შემდგომ წლებში) იგი განათლებას განსაზღვრავს, როგორც პროცესს, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ხდება ადამიანი. ადამიანის სიცოცხლე არის ის, რომ ადამიანმა უნდა შექმნას საკუთარი თავი ნებაყოფლობითი ძალისხმევით; მან უნდა გახადოს თავი ჭეშმარიტად მორალური, რაციონალური და თავისუფალი არსება.

ამდენად, დემოკრატიულ სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებასა და სწორ ღირებულებებზე დაფუძნებული განათლების სისტემის მოპოვებასა და განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სწორად ფუნქციონირებასა და პარალელურად მსოფლიო მშვიდობის ტენდენციას. მაშინ, როდესაც არადემოკრატიული მმართველობის სახელმწიფოებში ინდივიდუალური თავისუფლება, ინიციატივების წამოჭრისთვის საჭირო გარემო სრულად თუ არ არის გაუქმებული მისი მაჩვენებელი თითქმის ნულს უტოლდება.

1880-იანი წლებიდან მოყოლებული, წამყვანმა პროგრესულმა მეცნიერმა, ჯონ დიუიმ, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა განათლების იდეის ხელახალ განსაზღვრას. მის აზროვნებას ჰეგელის გერმანული გავლენა ეტყობა. დიუის ფილოსოფიაში მთავარი იყო ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა, ისტორიციზმისა და მორალური რელატივიზმის მომხრეობა.

დიუის, ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომში – ლიბერალიზმი და სოციალური მოქმედება – ავტორს გამოკვლეული აქვს ლიბერალური აზროვნების ისტორია ჯონ ლოკიდან ჯონ სტიუარტ მილამდე, რათა იპოვოს ლიბერალიზმის ბირთვი დღევანდელი სამყაროსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფენის ლიბერალები იცავდნენ რამდენიმე ძირითად ფასეულობას – თავისუფლებას, ინდივიდუალობას და კრიტიკულ აზროვნებას – ლიბერალიზმის ადრინდელი ფორმები ზღუდავდა სახელმწიფოს ფუნქციონირებას თავისი მოქალაქეების დასაცავად, ხოლო

სოციალურ-ეკონომიკურ ძალებს აძლევდა თავისუფალ მმართველობას. ლიბერალიზმის განსაზღვრებით, მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლინება. დიუი უარყოფს რადიკალ მარქსისტებსა და ფაშისტებს, რომლებიც მოქალაქეების „დასახმარებლად“ გამოიყენებდნენ ძალადობასა და რევოლუციას, ვიდრე დემოკრატიულ მეთოდებს.

დასკვნა

საზოგადოების პოლიტიკური ქცევის მოდელი, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ორიენტაციების ერთობლიობა, სულიერი კულტურის ორგანული ნაწილი და პოლიტიკური სისტემის აუცილებელი ელემენტი. პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე (ტიპი) ფაქტობრივად განსაზღვრავს საზოგადოების დემოკრატიზაციის ხარისხსა და პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს. ტერმინი პოლიტიკური კულტურა პირველად გვხვდება XVIII ს-ში გერმანელი განმანათლებლის იოჰან გოტფრიდ ჰერდერის შრომებში, ხოლო მისი მეცნიერული ცნება, როგორც პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილისა, შემოიტანა ამერიკელმა პოლიტოლოგმა გაბრიელ ალმონდმა 1956 წელს დაწერილს სტატიაში „შედარებითი პოლიტიკური სისტემები“. პოლიტიკური კულტურის კონცეფციის შემუშავებაში გაბრიელ ალმონდთან და სიდნა ვერბასთან ერთად დიდი როლი ითამაშა ლ. პაის, გ. პაუელის, უ. როზენბაუმის, რ. როუზის, ა. ლიპსეტის, დ. დივანის და სხვათა შრომებმა. დღეისათვის არსებობს პოლიტიკური კულტურის ათეულობით განსაზღვრება. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, კულტურის ფენომენის სირთულესა და მრავალფეროვნებას; მეორე მხრივ, იმას, რომ საზოგადოებათ მცოდნეები სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე იკვლევენ პოლიტიკური კულტურის სტრუქტურულ ელემენტებსა და ფუნქციებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაჭარავა ვ. *რონალდ რეიგანი და მისი ათწლეული (ამერიკა 1980-იან წლებში)*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2023.
2. მეძმარიაშვილი ე. *დემოკრატიის გაკვეთილები (ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია 1600-1877)*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.

3. ჯენტლესონი ბ. *ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევნების დინამიკა 21-ე საუკუნეში*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
4. Barry, Brian, "Political Participation and Democratic Theory", 1970.
5. Dewey, John, *Democracy and Education (An introduction to the philosophy of Education)*, New York: The Macmillan Company, 1922.
6. David J. Elkins, Richard E.B Simeon, "A Cause in Search of Its Effect, or What Does Political Culture Explain?" p. 20, *University of New York*, 1979.
7. A. Shils, Talcott Parsons and Edward, p.395, "Toward a General Theory of Action", 1962.
8. Barry Brian, "Political Participation and Democratic Theory", 1970.
9. David J. Elkins, Richard E.B Simeon, "A Cause in Search of Its Effect, or What Does Political Culture Explain?", p. 20, *University of New York*, 1979.
10. Dewey John, *Democracy and Education (An introduction to the philosophy of Education)*, New York : The Macmillan Company, 1922.
11. Elkins David J., "A cause in search of its effect, or what does political culture explain?" *Comparative Politics, Vol.11, No.2, p. 127-145*. 1979.
12. George Alexander, "The Operational Code: A neglected Approach to the Study of Political Leaders and Decision-Making", p. 190-222, *International Studies Quarterly*, 1969.
13. Hartz Louis, "The Founding of New Societies", Part 1, 1964.
14. J. Elkins, Richard E.B. Simeon and David, "Regional Political Cultures in Canada", *"Canadian Journal of Political Science, p. 397-437*, 1974.
15. K. Merton, Robert, "Social Structure and Anomie", *"Social Theory and Social Structure review Chap. IV*, 1957.
16. Keesing. n.d. "theories of culture", p. 87.
17. King Anthony, "Ideas, Institutions and the Policies of Governments", *"British journal of Political Science p. 291-313*, 1973.
18. King Anthony, "Ideas, Institutions and the Policies of Governments"." *British Journal of Political Science p. 409-23*, 1973

19. L. Stinchcombe Arthur, "Demographic Explanation", *"Constructing Social Theories"* p. 57-79, 1968.
20. Lane Robert, "Political Ideology", *American Political Science Review*, LXV p. 651-81, 1971
21. Levinson Alex Inkeles and Daniel, "National Character: Study of Modal Personality and Sociocultural Systems", *"The handbook of Social Psychology"*, p. 418-506, 1969.
22. Lipset Seymour Martin, *The First New Nation*, New York, 1963.
23. Lowi Theodore, "The Public Philosophy: Interest-Group Liberalism", *"American Political Science Review"*, LXI 5-24, 1967.
24. M. Keesing Roger, "theories of culture", *"Bernard Siegel at e., eds. Annual Review of Antropology vol.3"* 73-97, 1974.
25. M. Sniderman, Paul, "Personality and Democratic Politics", p. 65-115.
26. Manzer Ronald, "Public Policies in Canada: A development Perspective", p. 35, *"Canadian Political Science Association"*, 1975.
27. N.Enokson, Stephen, "voter turnout among the American States: systemic and individual component", *"American Political Science Review"*, LXIX 107-23, 1975
28. P. Smoker, "Experimentation and Simulation in Political Science", 1972.
29. Putnam, "Studying Elite Political Culture", 1964.
30. Rosenberg Morris, "Test Factor Standardization as a Method of Interpretation", *"Social Forces, XLI"* 53-61, 1962.
31. Segall Marshall, "The Influence of Culture on Visual Perception", 1966.
32. Street John, "Review article: political culture - from Civic culture to Mass culture", *Cambridge University Press* 19, 1993.
33. Teune Henry, n.d., "Equivalence in Cross-National Research", *"Public opinion Quarterly"*, p.564, 1966-67.
34. Verba, Gabriel Almond and Sidney, p. 185-88, "The civic Culture", 1963.

ბავშვის განვითარებასა და კეთილდღეობასთან ეფექტური კომუნიკაციის კავშირი

ნინო გაგუნაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

gagunashvili@yahoo.com

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0007-5591-9275>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.05

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია კომუნიკაციის, როგორც ბავშვის სამომავლო კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორის, მნიშვნელობა განვითარების პროცესში. მრავალი მკვლევარი და მეცნიერი ხაზს უსვამს ემოციური კეთილდღეობის ფუნდამენტურ მნიშვნელობას ბავშვის განვითარებაში. ემოციური კეთილდღეობა მოიცავს უამრავ შესაძლებლობას, მათ შორის ემოციების გაგებისა და რეგულირების, პოზიტიური და მნიშვნელოვანი ურთიერთობების დამყარების და სირთულეებთან ეფექტურად გამკლავების უნარს. შესაბამისად, აუცილებელია ემოციური კეთილდღეობის გადამწყვეტი როლისა და მისი გავლენის გააზრება ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის კოგნიტურ, სოციალურ და აკადემიურ განვითარებაზე.

კომუნიკაცია არის ადამიანის ძირითადი მოთხოვნილება და სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. საზოგადოებრივმა ჯგუფებმა (მშობლებმა, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა), რომლებიც ზრუნავენ ბავშვებზე, განვითარების ეტაპის შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყონ მათ განვითარებას, კომუნიკაციის გზით. ბავშვებთან ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ეფექტური გზა მათი განვითარების მახასიათებლების ცოდნაა. კომუნიკაცია, საკუთარი თავისა და გარემოს შეცნობის გზაა. ამ პერსპექტივიდან, სტატიაში განხილულია კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებლები და ეფექტური კომუნიკაციის გავლენა ბავშვის კეთილდღეობაზე. იგი მიზნად ისახავს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, როგორც ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარების პროცესში მონაწილე მნიშვნელოვანი რგოლის როლის ხაზგასმას.

სტატია მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზსა და ემპირიული კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდა თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, რაოდენობრივი კვლევის მეთოდით მცირეწლოვანთა მშობელთან (სულ 512 რესპოდენტი).

საკვანძო სიტყვები: სკოლამდელი აღზრდა, სკოლამდელი ასაკის ბავშვები, კომუნიკაცია, განვითარება, კეთილდღეობა

The Connection between Effective Communication and Child Development and Well-being**Nino Gagunashvili,**

Doctoral Student

Georgian Technical University

gagunashvili@yahoo.comORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-5591-9275>**Abstract**

The article analyzes the importance of communication as an important factor in the future well-being of a child in the development process. Many researchers and scientists emphasize the fundamental importance of emotional well-being in child development. Emotional well-being includes a number of abilities, including the ability to understand and regulate emotions, establish positive and meaningful relationships, and cope effectively with adversity. Therefore, it is necessary to understand the crucial role of emotional well-being and its impact on various aspects of child development, including cognitive, social, and academic development. The article discusses the importance of communication for a child's emotional well-being and, consequently, for a positive course of development. Communication is a basic human need and an integral part of social life. It is a process that continues as long as a person exists. In this context, the environment (parents, educational institutions) that care for children should promote their development by communicating with children in accordance with the stage of development. One of the easiest and most effective ways to communicate effectively with children is to know their developmental characteristics. Individuals need communication to learn about themselves and their environment. From this perspective, the article discusses the main characteristics of communication and the importance of effective communication for the well-being of the child. It aims to highlight the participation of the child as an individual in the communication process and preschool institutions as an important link in this process. The paper includes a review of various scientific literature and the results of an empirical study conducted in Tbilisi preschool institutions using a quantitative research method and involving 512 parents of young children.

Keywords: Preschool education, preschool children, communication, development, well-being

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი პიროვნული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოკვეთა, მათი როლის ხაზგასმა, როგორც ეფექტური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობისა.

კვლევის სამეცნიერო სიახლე. დღემდე არ არსებობს კვლევა და მეცნიერული ნაშრომი, სადაც სრულყოფილად შესწავლილი და წარმოჩენილი იქნებოდა კომუნიკაციის მნიშვნელობა, მისი როლი და გავლენა ბავშვების სკოლამდელი განათლების საფეხურზე, გარემოში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ფაქტორებთან დაკავშირებით.

მასალა და მეთოდები. სტატია მოიცავს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდა საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლებსა და პედაგოგებთან. კვლევისას გამოიყენა საჯარო საბავშვო ბაღის აღსაზრდელის 512 მშობელი/მეურვე. პედაგოგების გამოკითხვის მიზნით, სამიზნე ობიექტებს წარმოადგენდა თბილისის ცენტრალურ რაიონებსა და პერიფერიებში არსებული საჯარო საბავშვო ბაღები და სკოლები. ფოკუსჯგუფები ჩატარდა 5 საბავშვო ბაღში, მათ შორის, 2 ცენტრალურ რაიონში და 3 პერიფერიებში და 5 საჯარო სკოლაში, იგივე განაწილებით (2 ცენტრალური რაიონი და 3 პერიფერია).

კვლევის შედეგები. საჯარო საბავშვო ბაღების აღმზრდელთა/პედაგოგთა აზრით, სკოლამდელი ასაკი მნიშვნელოვანი ეტაპია ბავშვის მიზანმიმართული ქცევის, შემეცნებითი აქტივობისა და სოციალური ორიენტაციის განვითარებისთვის. ამ პერიოდში მიმდინარე ცვლილებები განსაზღვრავს ბავშვის მზადყოფნას სკოლისთვის, საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და წარმატებას განათლებაში.

პედაგოგთა პასუხებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მოზარდის ღირებულებითი ორიენტაციები ყალიბდება ადრეულ ასაკში უფროსებთან კომუნიკაციის, ბავშვის ქცევის ნორმებისა და წესების შესწავლის პროცესში. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ გროვდება სოციალურ გარემოსთან პირდაპირი კომუნიკაციის პრაქტიკული გამოცდილება. მაგალითად, „სოციალური ფასეულობების გარდაქმნა იმ ფასეულობებად, რომლებიც თავად ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, უფრო მეტად ხდება სკოლამდელ ასაკში ემოციური ნაწილის ტრანსფორმაციით, რომელიც ვლინდება ქცევის წესებთან ასოცირებისას და ადამიანებს შორის კომუნიკაციის პროცესში. შედეგად, სკოლამდელ ასაკში ყალიბდება პირდაპირი ემოციური დამოკიდებულების გადასვლა მორალურ კრიტერიუმებსა და ურთიერთობებზე.“

ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით, მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარების ინტენსივობა მასწავლებლების ნახევარზე მეტისთვის რეგულარულია. ისინი „ხშირად“ აწვდიან მშობლებს ბავშვის განვითარებაზე ინფორმაციას, მათ აღნიშნეს, რომ „განვითარებასთან დაკავშირებული სიახლეები ყოველდღიურად არ იკვეთება, თუმცა, როცა ბავშვის ქცევაში ახალი ფორმები ვლინდება, აუცილებლად ვუზიარებთ მშობლებს“. რამდენიმე მასწავლებელმა აღნიშნა, რომ აქტიური მშობლებისთვის ყოველდღიურად „ამზადებენ“ ინფორმაციას. თუმცა, ამ დაკვირვების ინიციატორები უფრო მეტად მშობლები არიან ინტენსიური კითხვებითა და მაღალი ინტერესით, სხვა მხრივ, მასწავლებელთა მოტივაცია, ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოოს ბავშვების ქცევაზე დაკვირვება, საბავშვო ბაღებში, მოსწავლეთა მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე, დაბალია.

პედაგოგებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ იმისათვის, რომ თითოეული ბავშვი მაქსიმალურად აღმოჩნდეს პროცესში ჩართული: „ზოგიერთი პედაგოგი კარგად ახერხებს ჯგუფის მართვას: თვალყურს ადევნებს, რომ ბავშვები დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილზე არ ისხდნენ, რომ პერიოდულობით გაკვეთილზე სამუშაოდ სხვადასხვა ბავშვები წყვილდებოდნენ, რომ წყვილში პასიურ ადამიანთან ერთად აუცილებლად იყოს აქტიური, რომ მათ მუდმივად იკონტაქტონ ერთმანეთში და ა.შ. სხვებს ეს ნაკლებად გამოსდით და ზოგჯერ ბავშვი საერთოდ ეთიშება გაკვეთილს. ამ დროს მასწავლებელს გაცილებით მეტი ეკისრება, ვიდრე თვალყურის დევნება“.

მშობლებთან თანმიმდევრული და ეფექტიანი კომუნიკაციის შენარჩუნება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. არსებით დაბრკოლებებს შორის, რომელსაც მშობლებთან ურთიერთობისას აწყდებიან გამოვლინდა, რომ მასწავლებლების უმეტესი ნაწილისთვის რთულია მშობლებთან თანმიმდევრული და ეფექტური ურთიერთობის შენარჩუნება, რადგან საბავშვო ბაღს მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობა მათთვის დროითი რესურსების შევსების საშუალებად მიიჩნევს და თვლის, რომ ბავშვი აღზრდის ძირითად პროცესს ოჯახში გადის – საბავშვო ბაღის ფუნქცია კი მათი კვება, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და შემეცნებითი აქტივობაა.

რაოდენობრივი კვლევისას, მშობლებმა შეაფასეს თითოეული ფაქტორის განვითარების მიმართ კმაყოფილების ხარისხი 5 ქულიან ლიკერტის სკალაზე. შედეგებიდან ჩანს, რომ კონფლიქტების მართა/დაძლევის გარდა, ხარისხობრივი შეფასება, არცერთი ფაქტორით არ აჭარბებს 4 ქულას. ანალიზი აჩვენებს, რომ მშობლების დამოკიდებულება საბავშვო ბაღებში ბავშვების პიროვნული და სოციალური განვითარების დონის მიმართ, ზოგადად, საშუალოა.

ცხრილი 1. პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების მიმართ მშობლების განწყობა				
	Mean	N	Std. Deviation	Variance
მეტყველების განვითარება	3.38	512	.487	.637
სწავლის უნარის გაუმჯობესება	3.47	512	.501	.551
თვითშეფასების განვითარება	3.17	512	.503	.553
კონფლიქტების მართვა/დაძლევა	4.23	512	.502	.552
პოზიტიური განწყობის განვითარება	3.75	512	.506	.556

ხარისხობრივად, ბავშვის ადაპტაცია და ხასიათის ცვლილება, მშობლების მიერ, სხვა ფაქტორებზე მაღალი ხარისხის უკმაყოფილებით გამოიკვეთა (4 ქულაზე მაღალი მაჩვენებელი 5 ქულიან სკალაზე). უფრო მეტიც, დღიური რაციონისა და კვების მენიუსთან დაკავშირებული უკმაყოფილო მშობლების მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლების მიუხედავად, ადაპტაციის პრობლემის დაძლევა დასახელდა, როგორც უფრო მწვავედ შეფასებული ფაქტორი.

ცხრილი 2. საბავშვო ბაღთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და ხარისხი				
	Mean	N	Std. Deviation	Variance
ბავშვის ხასიათის ცვლილებას	4.13	79	1.017	1.035
კვებასთან დაკავშირებულ პრობლემებს	3.98	132	1.041	1.084
ბავშვის საბავშვო ბაღთან ადაპტაციის პრობლემას	4.17	132	.929	.863
რუტინის მიჩვევის სირთულეებს	3.98	47	.967	.934
ბავშვსა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციის სირთულეს	3.79	14	1.251	1.566
არადამაკმაყოფილებელ სასკოლო მზაობის პროგრამას	3.71	7	1.254	1.571
ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემებს (ხშირი გაციება)	3.20	51	1.040	1.081
Total	2.93	511	1.060	1.124

რაც შეეხება, მშობლების რეკომენდაციებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებისადმი, ძირითადად, ხაზგასმულია ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომის საჭიროებები და კომუნიკაციის ეფექტურობის ზრდის საკითხი, რაც ამ ტიპის მიდგომის დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარეც აქტუალურია. ამასთან რეკომენდაციები მიმართულია სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების დახვეწა-გაუმჯობესებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებით.

შესავალი

ბევრი მკვლევარი და მეცნიერი უსვამს ხაზს ემოციური კეთილდღეობის ფუნდამენტურ მნიშვნელობას ბავშვის განვითარებაში. ემოციური კეთილდღეობა მოიცავს უამრავ უნარს, მათ შორის ემოციების გაგებისა და რეგულირების, პოზიტიური და მნიშვნელოვანი ურთიერთობების დამყარების და ნეგატიურ ფაქტებთან ეფექტურად გამკლავების შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ემოციური კეთილდღეობის გადამწყვეტი როლისა და ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის კოგნიტურ, სოციალურ და აკადემიურ განვითარებაზე, მისი გავლენის შესწავლა. სტატიაში განხილულია კომუნიკაციის მნიშვნელობა ბავშვის ემოციური კეთილდღეობისთვის და, შესაბამისად, განვითარების პოზიტიური კურსისთვის.

კომუნიკაცია, გულისხმობს ინფორმაციის, გრძნობების, აზრებისა და მნიშვნელობების გადაცემის პროცესს ინდივიდებსა თუ ჯგუფებს შორის სხვადასხვა საშუალებებით. იგი ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება და სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ბავშვებთან ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშეწყობა მათი განვითარების მახასიათებლების ცოდნაა. სამეცნიერო ლიტერატურაში კომუნიკაცია ფართო ფენომენია, რომელიც შესწავლილია სოციალურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ და ტექნოლოგიურ კონტექსტში. კომუნიკაციის ფუნქციებს შორისაა თვითგამოხატვა, ინფორმაციის მიღება, შემეცნება, დარწმუნება, ქცევის ფორმირება. კომუნიკაცია, რომელიც საბაზისო მოთხოვნილებაა საზოგადოების თითოეული წევრისთვის სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.⁴⁷

კომუნიკაციის უნარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციაა, რომელიც ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უნდა განუვითარდეთ. რაც გულისხმობს, საკუთარი გრძნობების, აზრების, ინფორმაციის გამოხატვისა და სხვების გაგების უნარს.⁴⁸

საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის საკომუნიკაციო განათლების მიწოდება და სწავლება მინიმუმამდე შეამცირებს კომუნიკაციის წარუმატებლობას და ხელს შეუწყობს სოციალური წესრიგის ჯანსაღ ფუნქციონირებას, ადამიანთა კეთილდღეობას და განვითარების დინამიკას.⁴⁹ რა თქმა უნდა, ეფექტური კომუნიკაციის ადრეული ასაკიდანვე წარმოებას, გაცილებით უკეთესი შედეგები მოაქვს, პიროვნების განვითარებისა და კეთილდღეობის თვალსაზრისით.

⁴⁷ Gordon T. 2017. Effective teaching education. California: Profil Kitap Publications.

⁴⁸ Gooden C. & Kearns, J. 2013. The importance of communication skills in young children. HDI Research Brief, Summer.

⁴⁹ Ding, K. & Li, H. 2023. Digital Addiction Intervention for Children and Adolescents: A Scoping Review. . Public Health <https://doi.org/10.3390/ijerph20064777>.

ბავშვთან კომუნიკაცია

ენას, ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს, რომელიც განასხვავებს ადამიანს სხვა ცოცხალი არსებისგან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ენის განვითარებასთან ერთად ვითარდება საკომუნიკაციო უნარები, რაც დადებითად აისახება ინდივიდის სოციალურ განვითარებასა და ცხოვრებისეულ უნარებზე. ენა და მეტყველება, რომელიც ეხმარება ინდივიდებს დაამყარონ ჯანსაღი და დაბალანსებული ურთიერთობები საკუთარ თავთან და გარემოსთან, არის ინტერპერსონალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ელემენტი.⁵⁰

ბავშვის ურთიერთქმედება გარემოსთან, სოციალიზაცია, თანაგრძნობა და მოვლენების ინტერპრეტაცია ხშირად ოჯახური განათლების ანარეკლია. ბავშვების ქცევა ეფუძნება მათ მიერ მიღებულ განათლებას, კულტურულ ღირებულებებს და კომუნიკაციას მათ გარემოცვასთან. ამიტომ ჯანსაღი კომუნიკაცია (ოჯახში, საბავშვო ბაღში, სკოლაში) მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდის კომუნიკაციის უნარების განვითარებაში. ბავშვების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას მათი ყოველდღიურ-სოციალური გამოცდილება ახდენს. ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ინფორმაციის წყარო, რაც შეიძლება, მოზარდებისა და მათი მოსაზრებების შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლეოდეს, მათთან ეფექტური კომუნიკაცია და მათი გაგებაა. ყოველდღიური ინტერაქციული პროცესები ეხმარება ბავშვებს შეისწავლონ საკუთარი თავი და გარემო. მათი ასაკობრივი შესაძლებლობების ფარგლებში, მოზარდებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯანსაღი და პოზიტიური ურთიერთობების დამყარებაზე.⁵¹ შესაბამისად, ბავშვის სათანადო განვითარებისთვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახლში – ოჯახის წევრებსა და თანატოლებთან, საბავშვო ბაღსა და ეზოში კომუნიკაციის პროცესზე დაკვირვებასა და მის სრულყოფას.

კომუნიკაციის ელემენტები

კომუნიკაციის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვების ჰოლისტურ ხედვას და მათი განვითარების საჭიროებებს. ბავშვობაში ეფექტური კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ინდივიდის ჯანსაღი ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის. მასწავლებლებისა და აღმზრდელების მხრიდან, ბავშვების განვითარების ეტაპებად ინდივიდუალურ მახასიათებლების შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება, დაეხმარება მათ ჯანსაღი იდენტობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში.⁵²

⁵⁰ Zolten, K. & Long, N. 2006. Parent/Child Communication. . Department of Pediatrics,

⁵¹ Nonis J. 2024. Effective Communication With Children- 5 Effective Ways. Douglas E. Nol.

⁵² Department for Education. 2022. The importance of children developing good communication skills. <https://help-for-early-years-providers.education.gov.uk/areas-of-learning/communication-and-language/interactions>.

ბავშვებთან ეფექტური კომუნიკაცია მოითხოვს მოთმინებას, გაგებას და შესაბამისი მიდგომების/მეთოდების გამოყენებას. ბავშვებთან ჯანსაღი კომუნიკაციის დასამყარებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა თანაგრძნობა, აქტიური მოსმენა და წახალისებული ენა, რაც ხელს უწყობს ბავშვებს უფრო თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრები და ინტერესები, თავი იგრძნონ უსაფრთხოდ და მშვიდად საკომუნიკაციო გარემოში. კომუნიკაციის უნარი, ხელს უწყობს ოჯახში ჯანსაღ ურთიერთობებსაც. ემოციური კავშირების გაძლიერება, ენისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება, გრძნობებისა და აზრების გამოხატვა, სოციალური კომპეტენციების გაზრდა, პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება და გარემოსთან ადაპტაცია ხელს უწყობს ეფექტური კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას.⁵³

ღია საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბება გადამწყვეტია ბავშვებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო: უზრუნველყოფს ნდობას, ხელს უწყობს გამოხატვას, პრობლემის გადაჭრას, ემოციური ინტელექტის განვითარებას, პოზიტიური ატმოსფეროს შექმნას, იცავს გაუგებრობისგან, ასწავლის ეფექტური კომუნიკაციის უნარს, ხელს უწყობს უწყვეტი კომუნიკაციის შენარჩუნებას.⁵⁴

სხვადასხვა მკვლევართა და მეცნიერთა მოსაზრებებით, პრაქტიკოსებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების წახალისება თავიანთი აზრებისა და შეხედულებების გამოსახატავად, ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა თამაში, აქტივობაზე დაფუძნებული მუშაობა და შემოქმედებითი ხელოვნების გამოყენება. აქტივობაზე დაფუძნებული მუშაობა, თამაშების მრავალფეროვნება და ერთად გართობა წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ბავშვსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობების გამყარებისთვის, მეგობრული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. მნიშვნელოვანია, რომ უფროსებმა, განსაკუთრებით სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებმა, რომლებსაც უწევთ სხვადასხვა ინდივიდუალური საჭიროების ბავშვებთან ურთიერთობა, ბავშვებთან ურთიერთობისას გააცნობიერონ, რომ მცირე ასაკშიც შეუძლია ბავშვს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს შეფასებაში, გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვაში. ამასთან, ჰქონდეთ რეალისტური მოლოდინი ბავშვებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის და, რაც მთავარია, სათანადოდ გააცნობიერონ საკუთარი როლი ბავშვების პიროვნების ფორმირების პროცესში.

ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა სკოლამდელ ასაკში

საგანმანათლებლო სისტემაში კომუნიკაციის ეფექტურობის სირთულეები, მკვლევრების აზრით, ნაწილობრივ განპირობებულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. სკოლამდელ აღზრდაში ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება ჯგუფებში ბავშვების მრავალრიცხოვნება, თანამედროვე მეთოდების ათვისებისა და

⁵³ Stalker K . 2003. Communicating with Disabled Children. Adoption & Fostering 27 (1) 26-35 .

⁵⁴ Norburn A. 2013. Communicating Effectively with Children Under Five. Frontline briefing.

გამოყენების დაბალი მოტივაცია პედაგოგებში, გარკვეული თემების შინაარსში სირთულეების დაძლევის დაინტერესების დაბალი დონე, ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომის შეზღუდული შესაძლებლობა (ჯგუფებში მრავალრიცხოვნების, სასწავლო პროგრამების შესაბამისობის, პედაგოგთა კვალიფიკაციის ან კომპეტენციის ხარისხის გამო) და ა. შ. სუბიექტური მიზეზები დაკავშირებულია მასწავლებლის კომუნიკაციურ ქცევასთან, ბავშვებთან ურთიერთობის დროის გონივრულად განაწილების უნართან და ამასთან, მშობლებისთვის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმებისა თუ მიდგომის ცოდნა/უნართან, ოჯახურ წიგნიერებასთან, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გაზიარებული ინფორმაციის გაგებაზე, მშობლების ფსიქოლოგიურ ან სოციალურ მდგომარეობასთან, რაც ზოგ შემთხვევაში განაპირობებს, ურთიერთობის ცვალებადობას/არასტაბილურობას და ა.შ. ამ თვალსაზრისით, ეფექტური კომუნიკაციის სწავლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა, რომელიც, განათლების მკვლევართა აზრით, დაეხმარება საგანმანათლებლო ინსტიტუციების წარმომადგენლებს იგრძნონ კმაყოფილება, წარმატება ჯგუფებში და ხელს შეუწყობს სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლებში კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბებას.⁵⁵

სკოლამდელი აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს მშობლების მონაწილეობას. სკოლამდელი დაწესებულება არის ადგილი, სადაც ბავშვები იღებენ სოციალიზაციის პირველ გამოცდილებას და ვითარდებიან როგორც ინტელექტუალურად, ასევე ემოციურად, იძენენ სოციალურ გამოცდილებას. ბავშვების ოპტიმალური განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშობლებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა, რაც აქტიური კომუნიკაციით მიიღწევა. მშობლებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია გარდა ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და უნარების შესახებ, ასევე ბავშვებში შფოთვის შემცირებისა და ყოველდღიურ აქტივობებში ჩართულობის, ახალ გარემოსა და ადამიანებთან ადაპტაციის/შეჩვევის ხელშეწყობისთვის.⁵⁶

რეგულარული და ღია კომუნიკაცია აძლიერებს კავშირს მშობლებსა თუ აღმზრდელებსა და ბავშვებს შორის. როდესაც მცირეწლოვნები გრძნობენ, რომ მათ უსმენენ და ესმით მათი, უფრო მკაფიოდ გამოხატავენ დახმარებისა და მხარდაჭერის საჭიროებას.⁵⁷ ეს კავშირი აუცილებელია ბავშვის ემოციური კეთილდღეობისა და საერთო განვითარებისთვის. ღია კომუნიკაცია ეხმარება ბავშვებს ემოციური ინტელექტის განვითარებაში, რაც საშუალებას აძლევს მათ ამოიცნონ, გაიგონ და გამოხატონ თავიანთი ემოციები.

⁵⁵ Holland S., 2010. Power, Agency and Participatory Agendas: A critical exploration of young people's engagement in participative qualitative research. *Childhood* 17 (3).

⁵⁶ Holland S., 2010. Power, Agency and Participatory Agendas: A critical exploration of young people's engagement in participative qualitative research. *Childhood* 17 (3).

⁵⁷ Lunenburg, F.C. 2010. Emotional Intelligence as an Essential Factor for the Successful Management and Financial Administration of Projects and Programs. NY: American Journal Scientific Research.

დასკვნა

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ბავშვის პიროვნული და ფსიქო-სოციალური ფაქტორების გაუმჯობესებისთვის, დადებით მექანიზმებად მიიჩნევა სკოლამდელი აღზრდის მეთოდების მრავალფეროვნება, რაც ძირითადად, კონკრეტული ინდივიდებისთვის ოპტიმალური მეთოდის/მიდგომის მორგებას გულისხმობს. ამასთან, მშობლებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ საბავშვო ბაღში უსაფრთხოების სტანდარტების სრულყოფა, მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია და კლასგარეშე აქტივობების მრავალფეროვნება. გამოკითხული მშობლების მეათედის მოსაზრებით, ბავშვის სოციალური განვითარებისთვის მეთოდებისა და კონკრეტული გზების შერჩევა საბავშვო ბაღის კომპეტენციასა და მათ რეკომენდაციებს მხოლოდ დამატებითი რჩევის სახე შეიძლება ჰქონდეს. მნიშვნელოვანია, სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო პროგრამა კომპლექსურად მოიცავდეს ბავშვის სოციალური განვითარების ყველა კომპონენტის გაძლიერებისთვის საჭირო აქტივობებს, და რაც მთავარია, ინფორმაცია და საჭიროებები რეგულარულად ზიარდებოდეს მშობლებთან.

კვლევამ ასევე გამოკვეთა, რომ ჯანსაღი და ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ფაქტორებია სოციალური კომპეტენციის ძირითადი ფუნქციების განვითარება სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებში; სოციალური ორიენტაციის შესახებ ინფორმირება და საგანმანათლებლო საქმიანობები პედაგოგებთან; ბავშვის ადაპტაციის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მექანიზმების შემუშავება; ზოგადი სოციალური და პირადი გამოცდილების ინტეგრაცია; კომუნიკაციური და ვერბალური კომპეტენციის განვითარება ძირითად აქტორებში; სოციალური და ფსიქოლოგიური კომპეტენცია და ინტერპერსონალური ორიენტაციის საკითხების განვითარებისთვის ფსიქოლოგთა ჩართულობა და, რაც მთავარია, მოტივაციური, მათ შორის, ყურადღების, ზრუნვის, დახმარების გამოვლინებებისთვის ხელშეწყობა ღირეულების მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Department for Education. 2022. *The importance of children developing good communication skills*. <https://help-for-early-years-providers.education.gov.uk/areas-of-learning/communication-and-language/interactions>.
2. Ding, K. & Li, H. 2023. *Digital Addiction Intervention for Children and*
3. Gooden, C. & Kearns, J. 2013. *The importance of communication skills in young children*. HDI Research Brief, Summer.
4. Gordon T. 2017. *Effective teaching education*. California: Profil Kitap Publications.
5. Holland S. 2010. *Power, Agency and Participatory Agendas: A critical exploration of young people's engagement in participative qualitative research*. *Childhood* 17 (3).

6. Lunenburg, F.C. 2010. *Emotional Intelligence as an Essential Factor for the Successful Management and Financial Administration of Projects and Programs*. NY: American Journal of Scientific Research.
7. Nonis J. 2024. *Effective Communication With Children- 5 Effective Ways*. Douglas E. Nol.
8. Norburn A. 2013. *Communicating Effectively with Children Under Five*. Frontline briefing.
9. Stalker K 2003. *Communicating with Disabled Children*. Adoption & Fostering 27 (1) 26-35.
10. Zolten, K. & Long, N. 2006. *Parent/Child Communication*. Department of Pediatrics, University of Arkansas for Medical Sciences Artwork by Scott Snider: <http://www.parentinged.org/handouts/communication-parent%20to%20child.pdf/> [Access date: 12.02.2025]

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმირების ისტორიული დინამიკა და თეორიული კონცეფციები

ნანა გიორგაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალური პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი.

n.giorgashvili.nana@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-4795-4621>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.06

აბსტრაქტი

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმირება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს თანამედროვე პოლიტიკური თეორიისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიაში. კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის წარმოშობა უკავშირდება ევროპულ პოლიტიკურ აზროვნებას, სადაც ადამიანის ღირსებისა და სოციალური თანასწორობის პრინციპები თანდათან გადაიზარდა სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციად. მისი ჩამოყალიბება ისტორიულად დაკავშირებულია ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებასთან, ეკონომიკური კრიზისების შედეგებთან და სოციალური სამართლიანობისადმი მოთხოვნილებასთან. სტატიაში გაანალიზებულია კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები – პროტოტიპული იდეებიდან (პლატონი, არისტოტელე, თომას მორი, კამპანელა) დაწყებული თანამედროვე მოდელებამდე, რომლებიც მოიცავს ბისმარკიანულ, ბევერიჯიანურ და სკანდინავიურ სისტემებს. კვლევა ასახავს ამ მოდელთა თეორიულ საფუძვლებს, ისტორიულ დინამიკას და მათ გავლენას თანამედროვე სოციალური პოლიტიკის ფორმირებაზე.

საკვანძო სიტყვები: კეთილდღეობის სახელმწიფო, სოციალური პოლიტიკა, ევროპული მოდელები, ისტორიული განვითარება, სოციალური სამართლიანობა

Historical Dynamics and Theoretical Concepts of the Formation of the Welfare State

Nana Giorgashvili

Doctor of Social Policy,

Caucasus International University

n.giorgashvili.nana@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-4795-4621>

Abstract

The formation of the welfare state represents one of the most significant developments in the history of modern political theory and socio-economic evolution. The origins of the welfare state are rooted in European political thought, where the principles of human dignity and social equality gradually evolved into the concept of state social responsibility. Its emergence is historically linked to the rise of industrial society, economic crises, and the growing demand for social justice. This article analyzes the major stages in the evolution of the welfare state from early philosophical prototypes (Plato, Aristotle, Thomas More, Campanella) to modern models such as the Bismarckian, Beveridgean, and Scandinavian systems. The research discusses the theoretical foundations, historical dynamics, and influence of these models on contemporary social policy formation.

Keywords: Welfare State, Social Policy, European Models, Historical Development, Social Justice

კვლევის მიზანია საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპების, თეორიული მოდელებისა და მათი გავლენის განხილვა თანამედროვე სოციალური პოლიტიკის კონტექსტში.

თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია: სტატია წარმოადგენს ლიტერატურული ანალიზისა და ისტორიულ-კონცეპტუალური მიდგომის კომბინაციას. გამოყენებულია კლასიკური და თანამედროვე ნაშრომების შესწავლა, კომპარატიული ანალიზი და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თეორიული მოდელირება, ასევე ნორმატიული და ემპირიული მიდგომების კომბინაცია, რომელიც შესაძლებელს ხდის კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეპტუალური ევოლუციის გაგებას და მიზნად ისახავს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესის შესწავლას სხვადასხვა ეპოქაში და მის თეორიულ კონცეფციებში. თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია ისეთ ავტორთა ნაშრომები, როგორებიცაა: ლორენც ფონ შტეინი, ჯონ მეინარდ კეინსი, რობერტ ტიტმუსი, გოსტა ესპინგ-ანდერსენი.

კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომა საშუალებას იძლევა, გამოკვეთილ იქნას ისტორიული გამოცდილებისა და თანამედროვე პრაქტიკის ძირითადი ლოგიკა, რაც უზრუნველყოფს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფციის უკეთ გაგებას, პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის განსაზღვრას.

მეცნიერული სიახლე: სტატია აერთიანებს ისტორიულ, თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, ამგვარად იძლევა სრულყოფილ ხედვას სოციალურ სახელმწიფოს განვითარებაზე ევროპულ კონტექსტში.

მეცნიერული სიახლე ასევე ვლინდება იმაში, რომ სტატია იძლევა სისტემურ ხედვას ევროპული სახელმწიფოების გამოცდილებაზე, აერთიანებს ისტორიულ წყაროებსა და თანამედროვე პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს კონსტრუქციული მოდელების შესწავლას და პოლიტიკურ რეკომენდაციებს სოციალური კეთილდღეობის აღსადგენად. საბოლოოდ, სტატია შეავსებს არსებული კვლევების პოტენციურ სიცარიელეს, განსაკუთრებით ევროპული კონტექსტის განვითარების ეტაპების, სოციალური დაცვის სისტემების ეფექტურობისა და სოციალური ბალანსის უზრუნველყოფის პრაქტიკული მექანიზმების ინტეგრირებული ანალიზით.

შესავალი

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო წარმოადგენს თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მოვლას, რომლის მიზანი თითოეული მოქალაქის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. ისტორიულად, საზოგადოების კეთილდღეობის პრობლემები აქტუალობას არასდროს კარგავდა. სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისას, ფილოსოფოსები, ეკონომისტები, პოლიტოლოგები და სხვა მეცნიერები ცდილობდნენ შეექმნათ იდეალური სახელმწიფო, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა მოქალაქეთა საჭიროებებს. სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე სხვადასხვანაირად იქმნებოდა, რაც ეფუძნებოდა საზოგადოებრივი მოწყობის თავისებურებებს, ეკონომიკურ განვითარებასა და კულტურულ ტრადიციებს.

ანტიკური ხანის ფილოსოფოსები, როგორიცაა პლატონი და არისტოტელე, უკვე ადგენდნენ სახელმწიფოს იდეალურ კონცეფციებს. პლატონის მიხედვით, „სამართლიანი სახელმწიფო“ გულისხმობდა ფილოსოფოსთა მმართველობას, ან მმართველის ფილოსოფიურ განათლებას, რათა მიღწეულიყო საერთო კეთილდღეობა. არისტოტელე ხაზს უსვამდა ეკონომიკური თანასწორობის მნიშვნელობას, სადაც სახელმწიფო სტაბილურობა დამოკიდებულია საშუალო ფენის არსებობაზე, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს იდეალურ თანამედროვე

დემოკრატიულ ქვეყნებში.

კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფცია თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთ ცენტრალურ კატეგორიად იქცა. იგი აერთიანებს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გარანტორის ფუნქციას. ამ იდეის საფუძველი ევროპულ პოლიტიკურ ფილოსოფიაშია ჩადებული, თუმცა მისი ინსტიტუციონალური ფორმირება მე-19-20 საუკუნეებში, ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული მმართველობის მოდელების განვითარებასთან ერთად შეიქმნა, მაშინ, როდესაც გაჩნდა ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფცია ეფუძნება არა მხოლოდ ეკონომიკურ უზრუნველყოფას, არამედ კულტურულ, სოციალურ და სამოქალაქო უფლებებსაც. დღეს სოციალური სახელმწიფო წარმოადგენს დემოკრატიულ ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელიც აღიარებს ადამიანის უმაღლეს ღირებულებას და ქმნის პირობებს ღირსეული ცხოვრების, თავისუფალი განვითარებისა და ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისთვის.

თემის აქტუალობა: თანამედროვე ქვეყნებში სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, რადგან იგი უშუალოდ ეხება სოციალური სტაბილურობის, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა ძირითადი უფლებების დაცვას. გლობალური ეკონომიკური უთანასწორობა, დემოგრაფიული ცვლილებები და სოციალური სოლიდარობის დასუსტება ზღუდავს მოქალაქეთა კეთილდღეობას, რის შედეგადაც სახელმწიფო პასუხისმგებლობა სოციალური დაცვის უზრუნველყოფაზე განსაკუთრებულად აქტუალური ხდება.

ამ კონტექსტში, ისტორიული გამოცდილება და თეორიული მოდელები საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ტიპებისა (ლიბერალური, კორპორატიული, სკანდინავიური) უზრუნველყოფს ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას თანამედროვე სოციალური პოლიტიკისთვის. კლიმატის ცვლილება, პანდემიები და ეკონომიკური კრიზისები კიდევ უფრო აძლიერებს ამ თემის მნიშვნელობას, რადგან სოციალური სისტემების მდგრადობა პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარების ხარისხსა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

კეთილდღეობის სახელმწიფოს ისტორიული განვითარება

სოციალური კეთილდღეობის თანამედროვე თეორიების შესწავლის წინაპირობაა ისტორიული განვითარებისა და სახელმწიფოებრივი აზრის კვლევა. სწორედ ისტორიული ცოდნა გვაძლევს შესაძლებლობას, გავიგოთ კეთილდღეობის სახელმწიფოს არსის შესახებ არსებული განსხვავებული

შეხედულებები. ფილოსოფოსები, ეკონომისტები, პოლიტოლოგები და სხვა ცნობილი ისტორიული მოღვაწეები სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების მომენტიდან ცდილობდნენ, შეექმნათ იდეალური სახელმწიფოს მოდელი, სადაც თითოეულ კონცეფციაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა კონკრეტულ სოციალურ პრიორიტეტს.

მოქალაქეობის თეორიებისა და სოციალური სახელმწიფოს განხილვის კონტექსტში მნიშვნელოვანი ხდება ანტიკური ხანის მოაზროვნეთა შეხედულებების გააზრება. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი, თავის ნაშრომში სახელმწიფო, ასახავს "სამართლიანი" სახელმწიფოს იდეალს, რომელშიც ფილოსოფოსები განიხილებიან, როგორც ბერძენი მმართველები. მისი აზრით, თუ მმართველი არ არის ფილოსოფოსი, მას უნდა ჰქონდეს ფილოსოფიური განათლება⁵⁸.

პლატონის არგუმენტები სამართლიანი სახელმწიფოს შესახებ თანამედროვე მკვლევართა მხრიდან ხშირად პარალელდება უტოპიურ კომუნიზმთან, რომლისკენაც მიისწრაფოდნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი⁵⁹. მათი ძირითადი თეზისის მიხედვით შრომის განაწილება იდეალურ საზოგადოებაში უნდა შეესატყვისებოდეს ინდივიდის ბუნებრივ საჭიროებებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს⁶⁰.

არისტოტელე თავის ნაშრომში „პოლიტიკა“, განიხილავს სახელმწიფოს იდეალურ მოდელს. სადაც მმართველობა მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. მისი აზრით, სახელმწიფოს სტაბილურობა ისწრაფვის შუა მდგომარეობის მიღწევისაკენ: არცერთი ინდივიდი არ უნდა იყოს ზედმეტად მდიდარი ან უკიდურესად ღარიბი, რადგან ასეთ შემთხვევაში ქვეყანა იღებს ან დემოკრატიის უკიდურესობას, ან ოლიგარქიას, ან ტირანიას⁶¹. შესაბამისად საუკეთესო მმართველობის ფორმა იქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობას საშუალო ფენა შეადგენს⁶².

არისტოტელეს მოსაზრებებს პრაქტიკული ანალოგი აქვს ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, როგორიცაა, მაგალითად აშშ, სადაც სტაბილური საზოგადოებრივი განვითარების საყრდენს სწორედ საშუალო ფენა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტომაზო კამპანელას „იდეალურ

⁵⁸ პლატონი, სახელმწიფო, თარგმ. თამაზ ბერიძე (თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017) ხელმისაწვდომია: <https://library.iliauni.edu.ge> › 2017/03 › platoni

⁵⁹ Karl Marx and Friedrich Engels, The German Ideology (New York: International Publishers; 1970) 47-52

⁶⁰ Aristotle, Politics, trans. H. Rackham (Cambridge, MA: Harvard University Press, 1932) 1253a-1255a.

⁶¹ არისტოტელე, პოლიტიკა (Cambridge: Cambridge University Press, 2020), 21

⁶² იქვე.

სახელმწიფოს“, რომელიც წარმოდგენილია ნაშრომში „მზის ქალაქი“. კამპანელას მიხედვით, ასეთი ქალაქის სოციალური წყობა დაფუძნებულია მორალურ ღირებულებებზე, სადაც მოსახლეობა არ ეძებს მხოლოდ მატერიალურ სარგებელს არამედ აფასებს სულიერ განვითარებასაც. მართვის ფორმა კი – თეოკრატიაა, რომელიც მოიცავს პრიმიტიული დემოკრატიის ელემენტებს⁶³.

სოციალური კეთილდღეობის დასავლურ მოდელებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სოციალური სახელმწიფოს მოდელი“. სამეცნიერო განხილვებში „სოციალური სახელმწიფოს“ იდეა განმტკიცებულია გერმანელი მეცნიერი ლორენც ფონ შტეინის მიერ.⁶⁴ ის, თავის თანამედროვე კარლ მარქსის მსგავსად, ამტკიცებდა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გარდაუვალია კლასობრივი წინააღმდეგობების წარმოშობა. მისი აზრით, სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, სოციალური რეფორმების გზით აღმოფხვრას ეს წინააღმდეგობები. ლორენც ფონ შტეინმა განსაზღვრა „სოციალური სახელმწიფოს“ თეორიული ჩარჩო, როგორც ისეთი სახელმწიფო, რომელიც ეკონომიკური პროგრესის პარალელურად ზრუნავს მოქალაქეთა სოციალურ უსაფრთხოებაზე.

„სოციალური სახელმწიფოს“ ცნება, მან ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა ნაშრომში „სოციალური მოძრაობების ისტორია საფრანგეთში“ 1789 წლიდან⁶⁵. ლორენც ფონ შტეინი წერდა, რომ სახელმწიფომ „უნდა უზრუნველყოს აბსოლუტური თანასწორობა საზოგადოების ყველა კლასისათვის, ასევე ინდივიდუალური თვითდამკვიდრების შესაძლებლობა თავის ძალაუფლებაზე დაყრდნობით. ის უნდა ემსახუროდეს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროგრესს, ყველა თავისი მოქალაქისთვის, რადგან, ერთის განვითარება საფუძველს ქმნის მეორის განვითარებისთვის, სწორედ ეს არის სოციალური სახელმწიფოს არსი“⁶⁶.

სოციოლოგმა ვილფრედო პარეტომ ჩამოაყალიბა პრინციპი, რომლის თანახმადაც მაქსიმალური კეთილდღეობა მიიღწევა რესურსების ოპტიმალური განაწილებით⁶⁷. სახელმწიფოში, სადაც ზრუნავენ ყველა ადამიანის კეთილდღეობაზე, არსებობს კეთილდღეობის პოტენციურად შეუზღუდავი მოცულობა.

მე-19 საუკუნეში, ინდუსტრიული რევოლუციის ფონზე, სოციალური უთანასწორობის ზრდამ გამოიწვია სახელმწიფოების ახალი პასუხისმგებლობების ჩამოყალიბება. გერმანიაში ოტო ფონ ბისმარკის რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა „ბისმარკიანურ მოდელს“, სოციალური დაზღვევის სისტემას, რომელიც მოიცავდა პენსიას, ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევას.

⁶³ Tommaso Campanella ,La Citta del Sole-გამოც. 2016წ.(Palgrave Macmillan) მაკმილანის'გამომცემ.

⁶⁴ Lorenz von Stein,History the Social Movement in France:1789 to the Present(Paris:F.A.Brockhaus,,1850)

⁶⁵ Ibid.

⁶⁶ Ibid., 34-36.

⁶⁷ Vilfredo Pareto, Manual of Political Economy,trans.Ann S.Schwier and Alfred S.Schwier(New York:Augustus M.Kelley, 1971).

1930-იან წლებში ინგლისურენოვან ქვეყნებში გაჩნდა ცნება "საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო", რომლის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ ისეთი მკვლევრები, როგორებიც არიან გუნარ მირდალი, პოლ სამუელსონი, რობერტ ტიტმუსი, ელვინ ჰანსენი და სხვები.⁶⁸

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ეკონომიკურმა კრიზისებმა და ომებმა წარმოშვა ახალი მიდგომები ეკონომიკურ პოლიტიკაში. ჯონ მენარდ კეინსის თეორიამ („Keynesian economics“) გაამართლა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, როგორც დასაქმებისა და სოციალურ სტაბილურობის მთავარი მექანიზმი.

დიდ ბრიტანეთში უილიამ ბევერიჯის რეფორმებმა (1942) შექმნა საყოველთაო სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც მოგვიანებით იქცა „ბევერიჯიანულ მოდელად“. ამ მოდელის არსია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ყველა მოქალაქის მინიმალური სოციალური სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

ნეოკლასიკური თეორიის, ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ინდივიდუალური კეთილდღეობა, რომელიც დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ინდივიდუალური მოთხოვნილებები; ბაზრის მიერ შემოთავაზებული რესურსები.

⁶⁹

ამ კონცეფციის მიხედვით, სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად აუცილებელია ინდივიდუალური და კოლექტიური მოთხოვნილებების ოპტიმალური კომბინაცია.

სოციალური პოლიტიკის ეროვნული მექანიზმებისა და ინსტიტუტების ფორმირებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი: სახელმწიფოს წყობა, ეკონომიკური განვითარების დონე, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა და ისტორიულ-კულტურული ტრადიციები. მიუხედავად სახელმწიფოთა მრავალფეროვნებისა, შესაძლებელია მათი დაჯგუფება გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით.

ამ თვალსაზრისით, ფართოდაა გავრცელებული დანიელი მეცნიერის გოსტა ესპინგ-ანდერსენის კლასიფიკაცია. მან 1990-იანი წლებიდან დაიწყო მაღალი კეთილდღეობის მქონე კაპიტალისტური ქვეყნების სოციალური პოლიტიკის კვლევა. ჩამოაყალიბა სოციალური დაცვის სამი ძირითადი მოდელი: ლიბერალური, კონსერვატიული ანუ კონტინენტურ-ევროპული და სკანდინავიური ანუ სოციალურ დემოკრატიული მოდელი.⁷⁰

კონტინენტალურ-ევროპული ანუ კონსერვატიული ქვეყნები (გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია), რომლებიც ეფუძნებიან ბისმარკის

⁶⁸ Gosta Esping-Andersen, *The Three Worlds of Welfare Capitalism*. (Princeton University Press -1990), p.9-15.

⁶⁹ Philip Fontaine, Menger Jevons, and Walras Un-Homogenized, De-Homogenized, and Homogenized: A Comment on Peart, *The American Journal of Economics and Sociology*. Vol. 57, No. 3 (Jul., 1998), p. 333-339.

⁷⁰ Esping-Andersen, *The Three Worlds*, p. 17-34.

სოციალური დაცვის სისტემას. ამ ქვეყნებში სოციალური ქსელის ძირითადი ელემენტებია: სოციალური დაზღვევა, ოჯახზე დაფუძნებული მხარდაჭერა და შესაბამისი საგადასახადო-ტრანსფერული სისტემები, სოციალური მომსახურების ინფრასტრუქტურა⁷¹.

კონტინენტალურ-ევროპული სოციალური მოდელი, დაზღვევის ეფექტიანი სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს ადამიანთა დაცვას ძირითადი რისკებისგან (უმუშევრობა, ინვალიდობა, ავადმყოფობა და უბედური შემთხვევა, შრომისუუნარობა) დასაქმების პერიოდში. ყველა ამ შემთხვევაში ერთნაირი სამართლებრივი გარანტია არსებობს ფულადი, სასაქონლო ან მომსახურების სახით დახმარების მისაღებად. სოციალური დაზღვევის მომსახურება, როგორც წესი, ფინანსდება ხელფასებზე დაფუძნებული სოციალური დანარიცხებიდან და მისი უზრუნველყოფა ხდება ადრე გამომუშავებული შემოსავლების საფუძველზე. სოციალური დაცვის ღონისძიებებს ავსებს სოციალურ დახმარებათა სფეროში გაწეული ხარჯები მათთვის, ვინც აღმოჩნდება გაჭირვებულ მდგომარეობაში⁷².

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სკანდინავიის ქვეყნებმა (შვედეთი, ნორვეგია, დანია) ჩამოაყალიბეს კეთილდღეობის სახელმწიფოს უნიკალური ფორმა, რომელიც ეფუძნება უნივერსალურობას, მაღალი გადასახადების სისტემას და სოლიდარულ გადანაწილებას. ტრანსფერული გადარიცხვები უშუალოდ გადასახადებიდან ფინანსდება და უნივერსალურად გაიცემა, ანუ არ არის დამოკიდებული ადრე შესრულებულ სამუშაოზე. ამის მაგალითად გამოდგება შემოსავლებისგან დამოუკიდებელი სახალხო პენსია და უმუშევრობის შემწეობა დანიაში⁷³. საგადასახადო და სოციალური გადარიცხვების სისტემებში ამას ჰქვია ინდივიდუალური პრინციპი. ამ პრინციპის შედეგია, ადამიანს, რომელსაც სიცოცხლის მანძილზე საკუთარი შრომით არანაირი შემოსავალი არ ჰქონია, ტრანსფერის მიღება მაინც შეუძლია.⁷⁴ ესპინგ-ანდერსენის კლასიფიკაციით, კეთილდღეობის სახელმწიფოს სამი ძირითადი მოდელია: ლიბერალური, კონსერვატიული და სოციალური-დემოკრატიული. სწორედ ეს უკანასკნელი ასახავს სკანდინავიურ სისტემას, რომელიც ყველაზე მეტად მიიჩნევა საყოველთაო კეთილდღეობის მოდელად.

კეთილდღეობის სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევები

გლობალიზაციამ, დემოგრაფიულმა ცვლილებებმა და ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად შეცვალა კეთილდღეობის სახელმწიფოს ფუნქციები და მის წინაშე დააყენა ახალი

⁷¹ Olli Kangas and Economic, "Coming Late-Catching Up: The Formation of a Nordic Model", in Social Policy and Economic Development in the Nordic Countries, ed. O. Kangas and J. Palme (New York: Palgrave Macmillan, 2005), p. 17-59.

⁷² Gosta Esping-Andersen Why We Need a New Welfare State. (Oxford University Press, 2002) p. 14.

⁷³ Ibid. p. 14.

⁷⁴ Ibid. p.14-17.

სისტემური გამოწვევები. ეკონომიკური ინტეგრაციისა და ბაზრის ლიბერალიზაციის შემთხვევებში სახელმწიფო იძულებულია შეამციროს საჯარო დანახარჯები, ოპტიმიზაციის პოლიტიკის ფარგლებში გაამარტივოს სოციალური პროგრამები და კერძო სექტორთან გაანაწილოს პასუხისმგებლობა სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. შედეგად, კეთილდღეობის სახელმწიფო დგება დილემის წინაშე: როგორ შეინარჩუნოს სოციალური პასუხისმგებლობა ეკონომიკური ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის პარალელურად.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მწვავეა დემოგრაფიული დაბერების პრობლემა, რომელიც ზრდის პენსიონერთა წილს მოსახლეობაში და აჩენს საფრთხეს სოციალური დაცვის სისტემის მდგრადობისათვის. ამასთან, შრომის ბაზრის ტრანსფორმაციამ დროებითი დასაქმების, არაფორმალური შრომისა და დიგიტალური ეკონომიკის ზრდამ შეამცირა ტრადიციული სოციალური დაცვის ბენეფიციართა წრე და გაართულა სოციალური პოლიტიკის მიზნობრივი მართვა.

გლობალიზაციამ ასევე გაამძაფრა ეკონომიკური უთანასწორობა: კაპიტალი უფრო მობილური გახდა, ხოლო სამუშაო ძალა ნაკლებად დაცული. ეს ქმნის სოციალურ დაპირისპირებებს და იწვევს საზოგადოების პოლარიზაციას, რაც საფრთხეს უქმნის სოციალური სოლიდარობის პრინციპს, რომელიც კეთილდღეობის სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს.

ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკისას ხშირად პრიორიტეტად განიხილება საბაზრო ეფექტიანობა და ეკონომიკური ზრდა, მაშინ, როდესაც სოციალური დაცვის სფერო ექცევა მეორე პლანზე. შედეგად, სახელმწიფოს როლი სოციალური არათანასწორობის შემცირებაში მცირდება, ხოლო მოქალაქეთა კეთილდღეობა უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და კერძო სექტორის ქცევაზე.

ამასთანავე, თანამედროვე გამოწვევებს შორის აღსანიშნავია ამინდის ცვლილება, ტექნოლოგიური პროგრესი და გლობალური კრიზისები (მაგალითად, პანდემიები), რომლებიც მოითხოვენ სოციალური პოლიტიკის ახალ ფორმებს მწვანე ეკონომიკის, სოციალური ინოვაციების და სამოქალაქო სოლიდარობის მოდელების განვითარებას. კეთილდღეობის სახელმწიფოს გადარჩენა და განახლება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შეძლებს დააბალანსოს ეკონომიკური დისციპლინა სოციალური სამართლიანობის პრინციპებთან და განავითაროს ისეთი სისტემები, რომლებიც მოქნილად რეაგირებენ გლობალურ ცვლილებებზე.

დასკვნა

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმირება დინამიკური პროცესის შედეგია, რომელიც ეფუძნება ისტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორებს. ანტიკური ფილოსოფოსების იდეებიდან, შუა

საუკუნეების მორალური ხედვებიდან, XIX საუკუნის სოციალისტური კონცეფციებიდან, XX საუკუნის სამართლებრივი და სამოქალაქო სახელმწიფოს მექანიზმებიდან, და XXI საუკუნის სრულყოფილი სოციალური სახელმწიფოს მოდელებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაინახო, რომ სოციალური სახელმწიფო არის კომპლექსური ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის უზრუნველყოფას. მისი ძირითადი არსია სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და ეკონომიკური სტაბილურობის ერთიანი ბალანსის შექმნა. მიუხედავად თანამედროვე გამოწვევებისა, კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელები კვლავ რჩება დემოკრატიული მმართველობისა და ადამიანის ღირსების დაცვის ფუნდამენტურ საფუძვლად.

დღეს, სოციალური სახელმწიფოს იდეა გამოიხატება არა მხოლოდ სოციალურ დახმარებაში, არამედ ეკონომიკური სტაბილურობის, სამართლიანობის, განათლების, კულტურისა და ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობაში. ქვეყნის მოქალაქეების ჩართულობა, ფინანსური სოლიდარობა, სამართლებრივი გარანტიები და სოციალური პოლიტიკის სისტემურობა წარმოადგენენ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ერთობლივ პრინციპებს. თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ მისი ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებზე, არამედ მოქალაქეთა ცნობიერებასა და აქტიურ ჩართულობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Aristotle. Politics. Translated by Benjamin Jowett. Oxford University Press, 1885.
2. Beveridge, William. Social Insurance and Allied Services. London: HMSO, 1942.
3. Campanella, Tommaso. La Città del Sole. Palgrave Macmillan, 2016.
4. Campanella, Tommaso. The City of the Sun. London: Verso, 1981.
5. Esping-Andersen, Gøsta. The Three Worlds of Welfare Capitalism. Princeton University Press, 1990.
6. Esping-Andersen, Gøsta. Why We Need a New Welfare State. Oxford: Oxford University Press, 2002.
7. Fontaine, Philip. "Menger, Jevons, and Walras Un-Homogenized, De-Homogenized, and Homogenized: A Comment on Peart." The American Journal of Economics and Sociology 57, no. 3 (July 1998).
8. Kangas, Olli, and Joakim Palme, eds. "Coming Late-Catching Up: The Formation of a Nordic Model." In Social Policy and Economic Development in the Nordic Countries. New York: Palgrave Macmillan, 2005.
9. Keynes, John Maynard. The General Theory of Employment, Interest and Money. London: Macmillan, 1936.
10. Marx, Karl, and Friedrich Engels. The German Ideology. New York: International Publishers, 1970.
11. Pareto, Vilfredo. Manual of Political Economy. Translated by Ann S. Schwier and Alfred S. Schwier. New York: Augustus M. Kelley, 1971.
12. Plato. The Republic. Translated by G. M. A. Grube. Hackett, 1992.
13. Stein, Lorenz von. History of the Social Movement in France: 1789 to the Present. Paris: F. A. Brockhaus, 1850.
14. Titmuss, Richard. Essays on the Welfare State. London: Allen & Unwin, 1958.
15. Von Stein, Lorenz. The History of the Social Movement in France. Leipzig: 1850.

ნატოს ბირთვული შეკავებისა და თავდაცვის გამოწვევები XXI საუკუნეში**გიგა გოგუა**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი

giga.gogua@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0003-1536-650X>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.01

აბსტრაქტი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც თავდაპირველად ჩამოყალიბდა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. მისი ფუნქციური არსი უკავშირდება წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების გარანტირებას სხვადასხვა ტიპის საფრთხისგან, რაც ალიანსის არსებობის ძირითადი მისიაა და დღემდე ფუნდამენტურ ღირებულებად რჩება. აღნიშნული მიზნის რეალიზება მოითხოვს არა მხოლოდ ნორმატიულ-პოლიტიკურ ჩარჩოს, არამედ კომპლექსური სტრატეგიული მიდგომებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების სისტემურ განვითარებას, რათა შესაძლებელი გახდეს თანამედროვე გეოპოლიტიკური გარემოს მრავალმხრივ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირება.

თემიდან გამომდინარე, კვლევის თეორიულ საფუძვლად არჩეულია ბირთვული შეკავების თეორია და გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია, ვინაიდან ყველაზე სრულად სწორედ ისინი განმარტავს ნაშრომში განხილულ პრობლემატიკას.

გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების დინამიკის პირობებში აუცილებელია ნატოს შესაძლებლობების მუდმივი მოდიფიკაცია და ადაპტაცია, რაც უზრუნველყოფს ალიანსის მზადყოფნას კრიზისულ სიტუაციებზე დროული და ეფექტიანი პასუხის გასაცემად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბირთვული და არაბირთვული სარაკეტო თავდაცვის კომპონენტების ურთიერთშემავსებელი ფუნქცია, რომლებიც ქმნიან ალიანსის სტრატეგიული შეკავებისა და დაცვის საფუძველს. ამ სისტემების ეფექტიანობა დამოკიდებულია როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო მექანიზმების სინთეზზე, რაც ზრდის ალიანსის ოპერატიულ და სტრუქტურულ მდგრადობას.

საკვანძო სიტყვები: ალიანსის უსაფრთხოება, ნატოს ბირთვული პოლიტიკა, ბირთვული თავდაცვა, ანტისარაკეტო თავდაცვა, ბირთვული შეკავება.

Challenges of NATO's Nuclear Deterrence and Defense in the 21st Century

Giga Gogua

PhD Candidate in Political Science, Caucasus International University

giga.gogua@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0003-1536-650X>

Abstract

The North Atlantic Alliance is a military-political organization that was created from the beginning to ensure peace and security. The most important goal that drives NATO and still drives it is the protection of its member states from all types of threats. Fulfilling NATO's mission of protecting its member states and ensuring peace and security in the North Atlantic region requires an appropriate strategy and capability to respond to the full range of contemporary challenges. There is a need to adapt NATO's capabilities through development in a changing security environment so that the Alliance is always ready to respond when needed. The most important element is nuclear and non-nuclear missile defense, which complement each other. The mentioned forces are supported by military or non-military means.

Keywords: Alliance Security, NATO's Nuclear Policy, Nuclear Defense, Missile Defense, Nuclear Deterrence

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ნატოს ბირთვული შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგიების ეფექტიანობას XXI საუკუნეში, თავში უძღვის ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო თანამეგობრობისა და მოკავშირეების როლის ანალიზი. ნაშრომის თეორიული საფუძველი ეფუძნება ბირთვული შეკავებისა და გეოსტრატეგიული ბალანსის თეორიას, ვინაიდან ისინი საუკეთესო ანალიტიკურ ჩარჩოს წარმოადგენს ნატოს უსაფრთხოების გამოწვევებისა და სტრატეგიული პოლიტიკის შეფასებისთვის.

ანალიზში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე გეოსტრატეგიულ გამოწვევებზე, მათ შორის მრავალფეროვან სამხედრო, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ საფრთხეებზე, როგორცაა რეგიონული კონკურენცია და ბირთვულ-არაბირთვული სარაკეტო სისტემები. აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს შეფასდეს ნატოს თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკის გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოების ბალანსზე, განსაკუთრებით ევროპისა და ჩრდილოატლანტიკური რეგიონების კონტექსტში.

კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენათა, უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების, ოფიციალური და არასამთავრობო წყაროების, ასევე ექსპერტთა შეფასებების კრიტიკულ ანალიზს. ეს მეთოდი უზრუნველყოფს ნატოს ბირთვული

შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგიების სრულყოფილ შეფასებას თანამედროვე, ცვალებადი უსაფრთხოების გარემოში.

ძირითადი ნაწილი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელიც შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს, არის ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოებისგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომლის მიზანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება.

ნატოს ძირითადი ამოცანაა მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. იგი იცავს მოკავშირეების დემოკრატიის საერთო ფასეულობებს, პიროვნების თავისუფლებას, კანონის უზენაესობას და უზრუნველყოფს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას. ნატო წარმოადგენს ფორუმს, სადაც მოკავშირეებს შეუძლიათ განიხილონ უსაფრთხოების საკითხები და ერთობლივად იმოქმედონ.

ნატო არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, სადაც წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება წევრი ქვეყნების მიერ კონსენსუსის საფუძველზე. ალიანსში გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები ორგანოა ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომლის სხდომებს ნატო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. ნატო-ს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან და ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად, რაც დამფუძნებელი ხელშეკრულების მეხუთე მუხლით არის გათვალისწინებული: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ, ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მიიჩნევა, როგორც თავდასხმა ყველას წინააღმდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის ჩარევით ისინი დახმარებას გაუწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება.⁷⁵

ბირთვული იარაღი წარმოადგენს ნატო-ს შეკავებისა და თავდაცვის საერთო შესაძლებლობების ძირითად კომპონენტს, რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის ძალებთან ერთად. ნატო მოწოდებულია შეიარაღების კონტროლის, განიარაღებისა და გაუვრცელებლობის მიმართ, მაგრამ სანამ ბირთვული იარაღი იარსებებს, ის დარჩება ბირთვულ ალიანსად.

შეკავება და თავდაცვა, რომელიც დაფუძნებულია ბირთვული და რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის შესაძლებლობებზე და ავსებს კოსმოსურ და

⁷⁵ ბალისტიკური რაკეტებისგან თავდაცვის არქიტექტურა, ნატო-ს ვებგვერდი, გვ.1.
https://www.nato.int/nato_static_files2014/assets/pdf/pdf_2016_07/20160711_160709-bmd-def-architecture.pdf
(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 26.07.2025).

კიბერ საშუალებებს, რჩება ნატოს საერთო სტრატეგიის ძირითად ელემენტად კონფლიქტისა და ომის თავიდან ასაცილებლად.

ნატოს ბირთვული უსაფრთხოება და ეფექტურობა მუდმივად ფასდება ტექნოლოგიური და გეოსტრატეგიული ევოლუციების გათვალისწინებით. ნატოს ამჟამინდელი ბირთვული პოლიტიკა ეფუძნება ნატოს 2022 წლის სტრატეგიულ კონცეფციას და 2012 წლის შეკავებისა და თავდაცვის მდგომარეობის მიმოხილვას, ასევე სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურების მითითებებს უელსის, ვარშავის, ბრიუსელისა და მადრიდის სამიტებზე. ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი უზრუნველყოფს ფორუმს კონსულტაციებისთვის ნატოს ბირთვული შეკავების შესახებ.

ნატოს ბირთვული ძალების ფუნდამენტური მიზანია შეკავება. გარდა ამისა, ნატოს წინააღმდეგ ბირთვული იარაღის ნებისმიერი გამოყენება ძირეულად შეცვლიდა კონფლიქტის ბუნებას. თუ ნატოს რომელიმე მოკავშირეს ფუნდამენტური უსაფრთხოება დაემუქრება, ნატოს აქვს შესაძლებლობები რომ მოწინააღმდეგეს, რომელიც მასზე თავდასხმას ეცდება ბირთვული იარაღის საშუალებით კრიტიკული ზიანი მიაყენოს.

უსაფრთხოების სტრატეგია

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნატო-ს მთავარ მიზანს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს: ეს იქნება პოლიტიკური თუ სამომავლო საშუალებების დახმარებით. კოლექტიურ თავდაცვას აქვს ცენტრალური როლი ალიანსში, როგორც ეს არის აღნიშნული ვაშინგტონის ხელშეკრულების 53-ე პუნქტში. ალიანსის მთავარ პასუხისმგებლობას წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვა გარეშე მხრიდან თავდასხმისგან. შეკავება არის ნატოს სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, რომელიც მიმართულია კონფლიქტების თავიდან აცილებისთვის და წევრი სახელმწიფოების დაცვაზე; მიღებული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების თავისუფლება; ნატო-ს პრინციპებისა და ღირებულებების მხარდაჭერა, რომელსაც იცავს ნატო: პიროვნების თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა. საზოგადოების თავისუფლება ზემოაღნიშნული ღირებულებები ნატო-ს თავდაცვისუნარიანობით უნდა იქნას გამყარებული. შეკავება და თავდაცვა.

შეკავება და თავდაცვა

ალიანსის თავდაცვასა და შეკავებას უზრუნველყოფს ნატო-ს კოალიციური სამხედრო ძალები. კოალიციური სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალები. უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ბირთვული და არაბირთვული სარაკეტო თავდაცვა, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. აღნიშნული ძალების მხარდაჭერა ხდება სამხედრო თუ არასამხედრო საშუალებებით. მოქმედების გეგმა მზადყოფნისთვის ბირთვული თუ სხვა სახის თავდასხმიდან უელსში 2014 წელს განიხილეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ალიანსი მზად იყოს ნებისმიერი საფრთხისთვის თანამედროვე პერიოდში და ამ საფრთხეზე სწრაფი რეაგირებისთვის. 2016 წელს ნატო-ს სახელმწიფოთა მეთაურები შეთანხმდნენ

შეკავებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რაც ნატო-ს მოქმედების ფართო სპექტრს განაპირობებს ნებისმიერი საფრთხის წინააღმდეგ ტერიტორიის, მოსახლეობის, საჰაერო სივრცისა თუ საზღვაო კომუნიკაციების დაცვა.

ამ შეთანხმების ფარგლებში ოთხი მრავალფუნქციური სამხედრო დაჯგუფება იქნა დისლოცირებული ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთსა და ესტონეთში. თავდაცვის გაძლიერების ღონისძიებები გატარდა ნატო-ს ტერიტორიის ევროპის ნაწილებში. ნატო-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს სამხედრო წვრთნები, რომლებსაც ის ხშირად ატარებს იმისთვის, რომ არასაომარ მდგომარეობაში კოალიციური სამხედრო ძალები მზად იყვნენ ნებისმიერი საფრთხისთვის; ასევე, ოპერატიული თავსებადობა იყოს უმაღლეს დონეზე ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო ძალებს შორის.⁷⁶

2018 წელს ბრიუსელში ნატო-ს ხელმძღვანელებმა მიიღეს გეგმა „საფრთხეებზე რეაგირების შესახებ 360 გრადუსზე“-ს შესახებ. ამ გეგმის ფარგლებში ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს დაევალოთ, ნებისმიერ დროს სრულ მზადყოფნაში იყოს სწრაფი რეაგირების სტრატეგიის: 30 ქვეითი ბატალიონი, 30 სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, 30 სამხედრო-საზღვაო ხომალდი იმისთვის, რომ მათ 30 დღის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ დროში დედამიწის ნებისმიერ წერტილში მოახდინონ რეაგირება საფრთხეზე.

ალიანსი რუსეთის ფედერაციის მიერ სარაკეტო პოტენციალის გაზრდასა და მათ შორის ბალისტიკური რაკეტების შორ და საშუალო მანძილზე მოქმედებას, რომლებსაც ბირთვული ქობინების გადატანა შეუძლიათ, უყურებს როგორც საფრთხეს და აღიქვამს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებისა და თავდაცვის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. ამ საფრთხეებზე ალიანსის პასუხი არის საკუთარი პოტენციალის გაზრდა და სრულყოფა ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციის სახით, როგორც არის: მეხუთე თაობის გამანადგურებლები. ასევე, ანტისარაკეტო სისტემების სრულყოფა და განვითარება, დაზვერვის სრულყოფა.

ნატო-ს სახელმწიფოების ლიდერების შეხვედრაზე 2019 წელს ლონდონში ალიანსმა კოსმოსი გამოაცხადა ოპერაციების მეხუთე სფეროდ. კოსმოსში არსებული სატელიტებიდან და თანამგზავრებიდან მიღებული ინფორმაცია ნატოს დაზვერვისთვის, ოპერაციებისთვის, მისიებისთვის, ტერორიზმთან ბრძოლისთვის, კრიზისული რეაგირებისთვის კოლექტიური თავდაცვის სისტემისთვის არის დიდი მნიშვნელობის. 2020 წლის ოქტომბერში ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება კოსმოსური ცენტრის გახსნის შესახებ გერმანიაში.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ითვალისწინებს არსებულ ვითარებასა და იმას, რომ ახალი ტექნოლოგიები არის ის სფერო, რომლებიც დიდი უპირატესობის მომტანია იმ ვითარებაში, როდესაც მსოფლიოში ტექნოლოგიური განვითარება ცვლის ომის წარმოების სურათს და უკვე დღეს შეუძლებელია უსაფრთხოების და

⁷⁶ „საფრთხეებზე რეაგირების შესახებ 360 გრადუსზე“, https://www.jwc.nato.int/application/files/2216/6067/2972/20-360_degree_Scenario_Design_and_Development-reduced.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 27.07.2025).

თავდაცვის უზრუნველყოფა ტექნოლოგიურად განვითარებული ტექნიკის გარეშე. ნატო-ს ამოცანა ყოველთვის იყო ტექნოლოგიური უპირატესობა, რომელიც მისი მოწინააღმდეგეების შეკავებას უზრუნველყოფდა. ინოვაციები, ხელოვნური ინტელექტის, ატომური სამხედრო სისტემები, ბიოტექნოლოგიები ცვლიან ომის წარმოების მეთოდებს და აუცილებელია ადაპტაცია, ტექნოლოგიური განვითარება.

უსაფრთხოებასა და თავდაცვაში ინვესტიციები

ინვესტიციები სამხედრო სფეროში არის ერთ-ერთი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზეც ნატო მუშაობს. რადგან ნატო-ს ყველა წევრი სახელმწიფო არ ასრულებს 2014 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ სამხედრო საქმეში მშპ-ს 2% დახარჯონ სახელმწიფოებმა სამხედრო სფეროზე და მის განვითარებაზე. აქ აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში ყველაზე მეტს ხარჯავს. ნატო-ს 29 წევრი სახელმწიფო ერთად რომ ავიღოთ ამერიკის მიერ თავდაცვაზე დახარჯული ბიუჯეტი მეტია, ვიდრე მათი ერთად. მნიშვნელოვანია დათქმა, რომ ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ თავდაცვაზე დახარჯული თანხების 20% დაიხარჯოს ახალ ტექნოლოგიებზე. ასევე, ნატო-ს სახელმწიფოებმა უნდა იმუშაონ იმაზე, რომ მათი სამხედრო პოტენციალი ალიანსის სტანდარტებს შეესაბამებოდეს. 2014 წლიდან წარმატებული ნაბიჯები იდგმება, რათა ნატო-ს მიერ სამხედრო ხარჯების გაღება იყოს მის წევრ სახელმწიფოებზე სამართლიანად განაწილებული. თუმცა, ეს ნაბიჯები არასაკმარისია, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებები, რომ ნატოს სახელმწიფოები საკმარის თანხებს არ ხარჯავენ სამხედრო შეიარაღებისა და თავდაცვის გაუმჯობესებისთვის. 2021 წელი არის მეშვიდე წელი, როდესაც ნატო-ს სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტი იზრდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2014 წლიდან ამერიკის წვლილი სამხედრო ხარჯების გაზრდაზე დახარჯული თანხიდან არის 190 მილიარდი.⁷⁷

ბირთვული და ანტისარაკეტო თავდაცვა და შეკავება

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ბირთვულ თავდაცვას უპირატესი მნიშვნელობა აქვს, იქიდან გამომდინარე, რომ ალიანსის შექმნა განაპირობა კომუნისტური საბჭოთა კავშირის მხრიდან არსებულმა საფრთხემ. 1949 წლის დასაწყისში, როდესაც მიიღეს მე-5 პუნქტი, რომელის მიხედვითაც, ალიანსის ერთ რომელიმე წევრზე თავდასხმა აღიქმება, როგორც ალიანსის ყველა სახელმწიფოზე თავდასხმა საბჭოთა კავშირის მხრიდან. ექსპანსიური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბირთვულ იარაღს გამოიყენებდნენ. დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არის, მაგრამ არსებობს ალიანსის მთავარი საფრთხე, რუსეთის ფედერაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეა და მსოფლიოში ერთ-ერთ

⁷⁷ თავდაცვაში ინვესტიციები https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_67655.htm (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 30.07.2023).

ყველაზე დიდ რთულ არსენალს ფლობს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ რუსები, ნატო-ს წინააღმდეგ შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობას ფლობენ სახმელეთო ბაზირების ბირთვული შეიარაღების მხრივ, ვინაიდან მათ უფრო განვითარებული აქვთ ეს სფერო. თუ რუსულ შეიარაღებას გადავხედავთ ბალისტიკური და ბირთვული მიმართულებით, სერიოზულ ძალას დავინახავთ, ვისთვისაც ანგარიშის გაუწევლობა არ შეიძლება და საპასუხო ზომები რუსეთის საფრთხისგან თავის დასაცავად აუცილებლად უნდ გატარდეს. ალიანსის ბირთვული შეკავების პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე დაფუძნებულია ორ დოკუმენტზე: 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელების მიერ იქნა მიღებული ლისაბონის სამიტზე 20 ნოემბერს; 2012 წლის შეკავების და თავდაცვის პოლიტიკის მიმოხილვა.⁷⁸

ნატო-ს თავდაცვისა, პოლიტიკისა და დაგეგმარების კომიტეტი რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვაში უმაღლესი ორგანოა. ის ნატო-ში პასუხისმგებელია ალიანსის სარაკეტო საფრთხისგან თავდაცვაზე. ასევე, კოორდინაციას ახდენს სარაკეტო თავდაცვისა და მისი განვითარების მიმართულებით. ნატო-ს სამხედრო ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბირთვულ დოქტრინაზე. ასევე, ოპერატიულ მოქმედებაზე, წვრთნასა და ბირთვული პოლიტიკის დაგეგმარებაზე. საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის კომიტეტი პასუხისმგებელია ანტისარაკეტო და საჰაერო თავდაცვის პოლიტიკის ზოგად ასპექტებზე.

ნატო-ს ანტისარაკეტო თავდაცვის საფუძველი არის მისი წევრი სახელმწიფოების ნებაყოფლობითი სურვილი, რომლის ფარგლებშიც მათ შეაქვთ წვლილი ანტისარაკეტო თავდაცვაში: საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო-ბაზების განთავსება, რომელიც აუცილებელია ანტისარაკეტო თავდაცვისთვის; თანხების გაღება ანტისარაკეტო ტექნოლოგიების განვითარებისთვის; საკუთარი სამხედრო საზღვაო ხომალდების მზადყოფნა თავდაცვისთვისა და ანტისარაკეტო თავდაცვის პროგრამაში ჩართვისთვის; საკუთარი ანტისარაკეტო, სახმელეთო თუ საჰაერო საშუალებების ნატო-ს ბირთვული და ანტისარაკეტო თავდაცვის გეგმაში გამოყენება. ამის მაგალითია ესპანეთში სამხედრო ბაზაზე ანტისარაკეტო საშუალებების განთავსება. გარდა ამისა, ასეთივეა პოლონეთში, რუმინეთში, თურქეთსა და ნატოს სხვა ქვეყნებში. 2010 წელს ლისაბონის სამიტზე გადაწყვიტეს, რომ შექმნილიყო ნატო-ს ტერიტორიული სარაკეტო თავდაცვის სისტემა.

2012 წელს ჩიკაგოს სამიტზე გაცხადდა, რომ ანტისარაკეტო თავდაცვის მიმართულებით წარმატებას მიაღწიეს. წარმატება მდგომარეობს, რომ ანტისარაკეტო თავდაცვა მოიცავს ნატო-ს სახელმწიფოების მთელ ტერიტორიას. მას შეუძლია, შეზღუდული ბალისტიკური რაკეტების თავდასხმის სრულიად მოგერიება. ნატო-ს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის მთავარი ფუნქციებია: დაგეგმარება, მონიტორინგი, ინფორმაციის გაცვლა-ჩაჭრა, მიღებული შედეგების

⁷⁸ Ballistic missile defence – NATO, ნატო-ს ვებგვერდი გვ.1
https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49635.htm (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 30.07.2025).

მართვა, როდესაც საქმე ეხება ბალისტიკური რაკეტის განეიტრალებას, იქ წუთებსა და წამებსაც აქვს დიდი მნიშვნელობა.⁷⁹

აქედან გამომდინარე, თავდაცვის საშუალებები ისე უნდა იყოს გადანაწილებული ტერიტორიაზე, რომ შესაძლო საფრთხის განეიტრალების ყველაზე დიდი შანსი იყოს. მონიტორინგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა. მონიტორინგი – ნატო-ს სახელმწიფოებს აქვთ სატელიტები და თანამგზავრები, რომლებიც კოსმოსიდან ახორციელებენ დაკვირვებასა და ბალისტიკური რაკეტის გაშვების მომენტის შესახებ შეუძლიათ ინფორმაციის მიწოდება ოპერატიული რეაგირების ცენტრისთვის, ხმელეთსა და სამხედრო-საზღვაო ხომალდებზე და პატრულირებენ ნატო-ს ტერიტორიებს. განთავსებულია სარადარო სისტემები, რომლებსაც ასევე შეუძლიათ ბალისტიკური რაკეტის გაშვების დაფიქსირება.

ინფორმაციის გაცვლა ანტისარაკეტო სისტემის ეფექტურობისთვის აუცილებელია. ეს განაპირობებს იმას, რომ სწრაფი რეაგირება გახდეს შესაძლებელი ბალისტიკური რაკეტის გასანეიტრალებლად; სწორი ინფორმაცია რაკეტის გაშვებისა ტრაექტორიის შესახებ; მიზნამდე მიღწევის დროის ცოდნა უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია მის გასანეიტრალებლად. ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით რეალურ დროში ხდება ბალისტიკური რაკეტის შესახებ ხელმისაწვდომი სრული ინფორმაციის გადაცემა შეიარაღებულ ანტისარაკეტო სისტემებზე, რომლებიც შემდგომ ოპერატიულ რეაგირებას მოახდენენ ხოლმე. მიღებული შედეგების მართვა, თუ რეალური საფრთხე დადგა და ბალისტიკური საკონტინენტთაშორისო ბირთვული იარაღი გამოიყენეს, დიდი რაოდენობით, სამწუხაროდ, როგორი განვითარებული და თანამედროვეც არ უნდა იყოს შეიარაღება და სარაკეტო თავდაცვა, შეუძლებელია ყველა რაკეტის გაუნებელყოფა, მით უმეტეს ბირთვული, ბალისტიკური რაკეტები.

2021 წლის მაისში ისრაელ-პალესტინის დაპირისპირებაც კმარა იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ ზემოთქმულის სიმართლეში. ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემა, რომელიც ისრაელს აქვს, არ იქნა საკმარისი იმისთვის, რომ პალესტინიდან მომავალი ტერორისტული დაჯგუფების „ჰამასის“ მიერ გაშვებული რაკეტების სრულიად განეიტრალება მომხდარიყო.

რამდენიმე დღის განმავლობაში ხორციელდებოდა „ჰამასის“ მხრიდან ისრაელის ტერიტორიის დაბომბვა და მიუხედავად იმისა, რომ რაკეტების დიდი ნაწილის განადგურება მოხერხდა, ზოგიერთმა მაინც მიაღწია მიზანს. ეს არის მარტივი მაგალითი, რომ, თუ რაოდენობაზეა საქმე, მაშინ „ჰამასის“ ტექნოლოგიური განვითარების დაბალ დონეზე მყოფი უმართავი რაკეტებიც საფრთხეა. თუკი დავუშვებთ იმას, რომ პოტენციურად ნატო-სა და რუსეთს შორის მოხდეს კონფლიქტი, იქ საუბარი იქნება ათასობით საშუალო და შორ მანძილზე მოქმედ რაკეტაზე, მათ შორის ბირთვული ქობინების მქონეზე, რომლებსაც შეუძლიათ, ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირონ და შეუძლებელია გარჩევა

⁷⁹ Europe's missile shield grows – thanks to the US Navy, ნატოს ვებგვერდი, გვ.1 https://www.nato.int/cps/en/natohq/news_107082.htm?selectedLocale=en (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 29.07.2025).

ბალისტიკური რაკეტის გაშვების შემდეგ ის ბირთვული ქობინის მქონეა თუ არა, ამიტომაც პრიორიტეტის მინიჭება, რომელი რაკეტა განადგურდეს შეუძლებელია.

ამიტომაც არის, რომ მთელი ცივილიზებული სამყარო: ევროპა, ამერიკა ცდილობს, შეზღუდოს მსოფლიოში შორსა და საშუალო მანძილზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტების წარმოება.

სანამ ქვემოთ ვისაუბრებ იმაზე, თუ რა მექანიზმი და რა საშუალებები აქვს ნატოს ბალისტიკური რაკეტების მოსაგერიებლად, საჭიროდ მივიჩნევ, რუსეთის შემადგენლობაში არსებული სახმელეთო და საჰაერო ბაზირების ბალისტიკურ რაკეტებსა და მათ გადატანებს მოკლედ შევხვო. რუსეთის ფედერაციას სახმელეთო ბაზირების შეიარაღება აქვს განვითარებული მაღალ დონეზე. რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც ფლობს ბირთვული ტრიადის სამივე კომპონენტს: საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო-სამხედრო შეიარაღებას.⁸⁰

რუსეთის ფედერაციის არსენალშია: საბჭოთა კავშირის დროს წარმოებული მძიმე ბალისტიკური საკონტინენტაშორისო ბირთვულქობინიანი რაკეტა „ვოევოდა“ (P-36M2) 46; ერთეული ტექნიკური მახასიათებლები: სიგრძე 34,4 მეტრი, დიამეტრი 3 მეტრი, მასა 211 ტონა, მოქმედების მანძილი 11 ათასი კილომეტრი; „Ярс“ სახმელეთო ბაზირების მობილური და შახტური ბალისტიკური რაკეტა „Тополь-М“-ის მოდიფიკაცია; (ტექნიკური მახასიათებლები უცნობია); „Сармат“ მეხუთე თაობის საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტა – ტექნიკური მახასიათებლები: სასტარტო მასა 169 ტონა; ТУ-160 ზეზღერითი მძიმე სტრატეგიული ბომბდამშენი, რომელსაც ბირთვული დარტყმის განხორციელება შეუძლია ჰაერიდან. საბჭოთა კავშირში შეიქმნა და ექსპლუატაციაში შევიდა 1987 წელს. დღეს, რუსეთი სულ მცირე, 16 ერთეულს ფლობს; რუსული ფლოტის ფლაგმანური წყალქვეშა ნავი „Ясень“ პროექტი 885 (08850) K560 2014 წელს შევიდა ექსპლუატაციაში რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობაში. მას 8 ვერტიკალური გამშვები შახტა აქვს ბალისტიკური რაკეტებისთვის. თუ რუსეთის ბირთვულ ტრიადას გავითვალისწინებთ განსაკუთრებით სახმელეთო ბაზირების ბალისტიკურ რაკეტებს სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის თუ სამხედრო ალიანსისთვის მსგავსი სამხედრო შეიარაღება, ამიტომაც სავსებით გასაგებია ალიანსის მიერ რუსეთის მთავრ საფრთხედ აღქმა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი არადემოკრატიული სახელმწიფოა, რომელისთვისაც საერთაშორისო სამართალი არ წარმოადგენს ძლიერ შემაკავებელ ბარიერს თავისი მიზნების განხორციელებისთვის. 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ საერთაშორისო სანქციები დაუწესეს რუსეთს, თუმცა, არც სანქციებია დიდი წინააღმდეგობა რუსეთის ექსპანსიური მისწრაფებებისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნატო-ს ანტისარაკეტო და ბირთვულ შეკავებას კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი უკავია უსაფრთხოებისა

⁸⁰ Объединение флота, რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების ვებგვერდი, გვ.1 https://structure.mil.ru/structure/forces/navy/combined_fleet.htm (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 30.07.2023).

და მშვიდობის უზრუნველყოფაში, ვინაიდან პირველი დარტყმის მოგერიება გამარჯვების საწინდარია ბირთვული სახელმწიფოების დაპირისპირების დროს.⁸¹

ნატო-ს ანტისარაკეტო და ბირთვული დაცვის მექანიზმი შედგება ალიანსის შეიარაღებაში არსებული სამხედრო ანტისარაკეტო თავდაცვითი საშუალებების ერთიანობისა და კომბინირებული მუშაობისგან. მისი მუშაობის პრინციპი გამომდინარეობს სხვადასხვა სახის შეიარაღების კომბინირებული ურთიერთქმედებისგან. ესენია: სახმელეთო ბაზირების ანტისარაკეტო შახტები, სახმელეთო ბაზირების ანტისარაკეტო თვითმავალი სამხედრო შეიარაღება სამხედრო-საზღვაო ხომალდებიდან, რომლებიც პატრულირებენ და რომლებზედაც ანტისარაკეტო გამშვები შახტები და რადარებია, სამხედრო საჰაერო თვითმფრინავებიდან, რაზედაც რადარებია დამონტაჟებული. ამავე დროსაა, რადიოლოკაციური ბრძოლის საშუალებები, დაზვერვის, უპილოტო და სამხედრო-საჰაერო საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ დაზვერვასა და ინფორმაციის შეგროვებას; წყალქვეშა ნავები და მართვის ცენტრები, სადაც ყველა ზემოთ ხსენებული საშუალებისგან ინფორმაცია იკრიბება მუშავდება, ხდება ანალიზი და შემდგომი რეაგირება. ყველა ეს საშუალება აუცილებელია და გადამწყვეტ როლს თამაშობს ანტისარაკეტო დაცვის სისტემაში. 27 ნატო-ს ანტისარაკეტო და ბირთვული თავდაცვის სქემა – მოცემულია დანართი #1-ში. დანართ #2-ში ასახულია ნატო-ს ანტისარაკეტო სისტემების კომბინირებული ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს თავდაცვას სარაკეტო თავდასხმისგან და მასზე სწრაფ რეაგირებას ახდენს. მისი ეფექტურობა და ინოვაციურობა ისაა, რომ დაზვერვისა და ინფორმაციის მიღების მრავალი წყარო აქვს. 28 როგორც არის: კოსმოსური სატელიტების, საზღვაო რადარების მქონე გემების, წყალქვეშა ნავების, სახმელეთო და (ხმელეთზე არსებული რადარისა და დაზვერვის სისტემები) საჰაერო სისტემებისა...

დასკვნა

ნატოს ბირთვული შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგია 21-ე საუკუნეში ემყარება მისი წევრი ქვეყნების და მთლიანად ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დაცვის ვალდებულებას. 21-ე საუკუნის უსაფრთხოების კომპლექსური გამოწვევების გადალახვისას ნატომ აღიარა თავისი ბირთვული სტრატეგიის ადაპტაციის მნიშვნელობა განვითარებად გეოპოლიტიკურ ლანდშაფტთან. ბირთვული ძალების მოდერნიზაცია მიზნად ისახავს მათი მუდმივი ეფექტურობის, უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ნატო აგრძელებს ადაპტაციას და გამდიერებას თავისი შეკავების შესაძლებლობების შესახებ, ის დარჩება სტაბილურობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების გადამწყვეტ საყრდენად მუდმივად ცვალებად სამყაროში.

განვითარებადი გლობალური გამოწვევების ფონზე, ნატოს ბირთვული შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგია ალიანსის კოლექტიური უსაფრთხოების ჩარჩოს სასიცოცხლო საყრდენად იდგა. ბირთვული გაზიარების ვალდებულება,

⁸¹ Военно-Морской Флот, რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების ვებგვერდი, გვ.1, <https://structure.mil.ru/structure/forces/navy/history.htm> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 30.07.2025)

სადაც ზოგიერთი წევრი სახელმწიფო მასპინძლობს აშშ-ის ბირთვულ იარაღს, სიმბოლოა მოკავშირეებს შორის სოლიდარობასა და თანამშრომლობას მშვიდობის შესანარჩუნებლად და აგრესიის შესაკავებლად.

აშშ-ის წვლილი ნატოს ბირთვული უსაფრთხოებისა და შეკავების პოლიტიკაში განუზომლად დიდია მისი რესურსისა და სტატუსის შესაბამისად, რაც ნათლად გამოიხატება ნატოს ბირთვულ თავდაცვით შესაძლებლობებში აშშ-ის სამხედრო ტექნოლოგიის სიმრავლით. ეს იქნება ანტისარაკეტო თავდაცვითი თუ სარაკეტო თავდასხმით შეიარაღება, ასევე სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

შემაკავებელ ზომებთან ერთად, ნატო მუდმივად მხარს უჭერს შეიარაღების კონტროლისა და იარაღის გაუზრცელებლობის მცდელობებს გლობალურ ასპარეზზე. ამ ინიციატივების აქტიური მხარდაჭერით, ალიანსმა ხელი შეუწყო ბირთვული იარაღის რაოდენობის შემცირებას და საერთაშორისო სტაბილურობის ხელშეწყობას.

უსაფრთხოების ლანდშაფტის განვითარებასთან ერთად, ნატო აგრძელებს ბირთვული ძალებისა და შესაძლებლობების მოდერნიზაციას. ეს პროცესი ასახავს ალიანსის ერთგულებას, დარჩეს ტექნოლოგიის უახლეს ზღვარზე, უზრუნველყოს მისი ბირთვული არსენალის უსაფრთხოება და საიმედოობა შეიარაღების შემცირების ღონისძიებების გატარებისას.

დასასრულს, ნატოს ბირთვული შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგია 21-ე საუკუნეში იყო მრავალმხრივი და განვითარებადი ძალისხმევა მშვიდობის შესანარჩუნებლად და მისი წევრი ქვეყნების დასაცავად. თანამშრომლობის, პასუხისმგებელი ბირთვული პოლიტიკისა და კოლექტიური თავდაცვის ერთგულების მეშვეობით, ნატო აგრძელებს გადამწყვეტ როლს სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში ევროატლანტიკურ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტი რ., ჯერვისი რ. „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
2. აკობია ე., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, გვ. 22, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006.
3. ბურკაძე ხ., კორეპანოვი ა., ნატო ღიაკარი. გამომცემლობა საარი, თბილისი, 2010.
4. გოგუა გ., „აშშ-ის წვლილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებში და რუსეთის ფაქტორი“, თბილისი, 2021.
5. გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, თბილისი, 2017.

6. მაღრაძე გ., მაისაია ვ., „21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია, მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები
7. ვაშაკიძე რ., ნატოს გეოსტრატეგია 21-ე საუკუნეში: ღია კარის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის მიმართ, თბილისი, 2009.
8. მაისაია ვ., გუჩუა ა., „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, გამომცემლობა „თბილისელები პრინტი“, თბილისი, 2020.
9. მეძმარიაშვილი ე., შუბლაძე თ., აბაშიძე ზ. [და სხვ.], „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, თბილისი, 2017.
10. მაკა ბულისკერია, „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასების ისტორიისათვის“, გვ 47-82, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, 2016.
11. ქარუმბე ვ. საერთაშორისო ორგანიზაციები. თბილისი, საგანმანათლებლო კავშირი საზოგადოება ცოდნა, 2003.

სტრატეგიული კომუნიკაციები და სამოქალაქო მედეგობა: უსაფრთხოების გამოწვევების დაძლევის თანამედროვე მიდგომები

მარინა გორდელაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
gordeladzemarika@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-5774-3997>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.08

აბსტრაქტი

თანამედროვე საინფორმაციო ეპოქაში, სადაც კრიზისები, სამხედრო კონფლიქტები და ჰიბრიდული საფრთხეები ყოველდღიურად ცვლიან გლობალურ დღის წესრიგს, სტრატეგიული კომუნიკაცია განიხილება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს, საზოგადოებასა და უსაფრთხოების სისტემებს ეხმარება აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავებასა და სამოქალაქო მედეგობის გაძლიერებაში.

სტატიაში განხილულია სტრატეგიული კომუნიკაციის თეორიული საფუძვლები და მისი როლი კრიზისულ პირობებში სამოქალაქო მედეგობის უზრუნველყოფისათვის. სტრატეგიული კომუნიკაცია გულისხმობს მიზანმიმართულ, კოორდინირებულ ზემოქმედებას ინდივიდებსა და ჯგუფებზე ნდობის განმტკიცების, ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების გზით. კვლევაში გაანალიზებულია არსებული აკადემიური ლიტერატურა და გამოყენებულია შემთხვევის კვლევის მეთოდოლოგია. ემპირიული მაგალითები მოიცავს 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის განმავლობაში სტრატეგიული კომუნიკაციების გამოყენების პრაქტიკას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო მედიაანალიტიკასა და დეზინფორმაციის შემთხვევების განხილვას.

კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ საინფორმაციო გარემოს ეფექტიანი მართვა ისეთივე მნიშვნელოვანი მატარებელია, როგორც კლასიკური სამხედრო ოპერაციები. სტრატეგიული კომუნიკაციები კი, ხელს უწყობს ეროვნული ნარატივის დაცვას, აგრესორის შეკავებას, საზოგადოების მობილიზაციას და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას, რითაც არსებითად აძლიერებს სამოქალაქო მედეგობას.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული კომუნიკაციები, სამოქალაქო მედეგობა, საინფორმაციო ომი, დეზინფორმაცია, კრიზისი/სამხედრო კონფროტაციები

Strategic Communication and Civil Resilience: Modern Approaches to Overcoming Security Challenges

Marina Gordeladze

PhD Student,

Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences,

Georgian Technical University

gordeladzemarika@gmail.com

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0000-5774-3997>

Abstract

In the modern information age, where crises, military conflicts, and hybrid threats continuously reshape the global agenda, strategic communication is regarded as one of the key mechanisms that enables states, societies, and security systems to cope with these challenges and strengthen civil resilience. This article examines the theoretical foundations of strategic communication and its role in ensuring civil resilience under crisis conditions. Strategic communication implies purposeful and coordinated influence on individuals and groups through the reinforcement of trust, the promotion of national unity, and the enhancement of public awareness. The study analyzes existing academic literature and employs the case study methodology. Empirical examples include the practice of strategic communications during the 2022 Russia–Ukraine war, based on international media analysis and the examination of disinformation cases. The findings demonstrate that effective management of the information environment is as crucial as traditional military operations. Strategic communications contribute to the protection of the national narrative, the deterrence of the aggressor, the mobilization of society, and the acquisition of international support, thereby substantially reinforcing civil resilience.

Keywords: Strategic Communication, Civil Resilience, Information Warfare, Disinformation, Crisis/Military Confrontations

სტატიის მიზანია გააანალიზოს სტრატეგიული კომუნიკაციების როლი კრიზისისა და სამხედრო კონფრონტაციის დროს სამოქალაქო მედეგობის უზრუნველყოფის პროცესში და წარმოაჩინოს ამ კონცეფციის მნიშვნელობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში.

კვლევის საიხლე მდგომარეობს მის ინტეგრირებულ მიდგომაში. ნაშრომი აერთიანებს თეორიული და ემპირიული ანალიზის კომპონენტებს და საერთაშორისო პრაქტიკის, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომის დროს, უკრაინის შემთხვევის შესწავლით ცდილობს სტრატეგიული კომუნიკაციის

პრაქტიკული მნიშვნელობის/ეფექტის გამოვლენას საზოგადოების მედეგობის გაძლიერების თვალსაზრისით.

მეთოდოლოგიურად, სტატიაში გამოყენებულია ლიტერატურის ანალიზისა და შემთხვევის კვლევის მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ინფორმაციული ოპერაციების გავლენა საზოგადოებრივ ქცევაზე და ნდობის მექანიზმებზე. ასევე, გამოიკვეთოს კომუნიკაციური სტრატეგიების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

შესავალი

თანამედროვე გლობალურ გარემოში, სადაც ინფორმაციის ნაკადები პირდაპირ ზემოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების დინამიკაზე, სტრატეგიული კომუნიკაცია სახელმწიფო მმართველობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. განსაკუთრებით კრიზისის დროს კომუნიკაციის ეფექტიანობა განსაზღვრავს საზოგადოების ნდობის, კოორდინაციისა და მედეგობის ხარისხს. შესაბამისად, სტრატეგიული კომუნიკაციის სისტემური განვითარება განიხილება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა სახელმწიფოს სტაბილურობისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის.

სტრატეგიული კომუნიკაცია განისაზღვრება როგორც სისტემური ადაპტაციის უნარი, რომელიც ეფუძნება აქტორების ღირებულებებისა და ინტერესების გათვალისწინებას, რაც ასევე, გულისხმობს ყოვლისმომცველ, ინტეგრირებულ მიდგომას სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

სტრატეგიული კომუნიკაციები და სამოქალაქო მედეგობა: არსი, მიზანი და მნიშვნელობა

სტრატეგიული კომუნიკაციების არსს წარმოადგენს ინდივიდებსა, ჯგუფებსა და ინსტიტუტებზე მიზნობრივი ზემოქმედება განწყობებისა და ქცევის შეცვლის მიზნით. სტრატეგიული კომუნიკაციის ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნიკაციის ყველა არხისა და არსებული რესურსის მობილიზება. ეფექტიანი ზეგავლენის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მათი სისტემური, კოორდინირებული გამოყენება, რაც განაპირობებს ერთიან, უწყვეტ და შედეგზე ორიენტირებულ მოქმედებას.⁸²

⁸² აღნიშნული თ., *სტრატეგიული კომუნიკაციების სახელმძღვანელო*. (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი), (2024). <https://www.csd.org.ge/storage/files/doc/stratcom-sakhe.pdf> (04.10.2025).

სტრატეგიული კომუნიკაციების როლი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მრავალი საფრთხისა და კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში. კვლევა „სტრატეგიული კომუნიკაციების პროფესიონალების სფერო – ახალი კვლევითი დღის წესრიგი საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის“ – ავტორები ნიკოლას მიქელსენი (King's College London) და ტომას კოლლი (Royal Military Academy Sandhurst) განმარტავენ, თუ როგორ იყენებენ საერთაშორისო აქტორები პოლიტიკური კომუნიკაციის ინსტრუმენტებს, როგორცაა პროპაგანდა, ჰიბრიდული ომი, ფეიკ ნიუსები და არჩევნების მანიპულირება, რათა შექმნან და გაანეიტრალონ საფრთხე. ავტორები მიუთითებენ, რომ სახელმწიფოების შესაძლებლობები ამ სფეროებში ხშირად ჩამოუვარდება კონკურენტებისას, რის საპასუხოდაც სტრატეგიული კომუნიკაცია ჩამოყალიბდა, როგორც პრაქტიკული და თეორიული მიდგომა, რომელიც ეხმარება სახელმწიფოებს ინფორმაციული გარემოს უკეთ მართვაში. სტრატეგიული კომუნიკაცია ქვეყნის სტაბილურობისა და საზოგადოების მედეგობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.⁸³

ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით **resilience** (ქართულად – მედეგობა) ნიშნავს სირთულეებისა და სიძნელეების შემდეგ ადამიანის მიერ ძალების აღდგენის შესაძლებლობას და, ასევე, საგნის, ნივთიერების ან/და ობიექტის ფორმაში ჩადგომის/დაბრუნების უნარს.⁸⁴

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის NATO-ს განმარტებით, მედეგობა არის ინდივიდუალური და კოლექტიური შესაძლებლობა მოემზადო, წინააღმდეგობა გაუწიო, უპასუხო და სწრაფადვე მოახერხო რეაბილიტირება შოკის ან დამაზიანებელი მოვლენების პირობებში და უზრუნველყო ალიანსის აქტივობების განგრძობადობა.⁸⁵

სამეცნიერო ლიტერატურაში, სამხედრო დოქტრინებსა თუ სახელმწიფო სტრატეგიულ დოკუმენტებში აღნიშნული ტერმინი ნიშნავს საგნის ან ინდივიდის უწყვეტი განვითარების შესაძლებლობასა და უნარს წნეხის, ზეწოლის, პრობლემის სირთულის მიუხედავად, აღიდგინოს ძალები და პირვანდელ ნიშნულს დაუბრუნდეს. საქართველოს, რომელსაც ოფიციალურად აქვს გაცხადებული, რომ სურს ევროკავშირის წევრობა, მედეგობის გაძლიერება სამოქალაქო მზაობის გზით, ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს. ასევე,

⁸³Nicholas Michelsen and Thomas Colley. “The Field of Strategic Communications Professionals: A New Research Agenda for International Security.” *European Journal of International Security* 4, no. 1 (2019): p. 61–78. <https://doi.org/10.1017/eis.2018.9> (07.10.2025).

⁸⁴ Oxford Learner's Dictionaries, *Resilience*, <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/resilience?q=resilience> (04.10.2025).

⁸⁵ NATO, *Resilience in NATO* (2023), https://www.act.nato.int/article/resilience-in-nato/?utm_source=chatgpt.com (04.10.2025).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოსთვის უსაფრთხოების მთავარი გამოწვევაა რუსეთი და რუსული პროპაგანდა/დეზინფორმაცია, ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო მედეგობის გაზრდისათვის ზრუნვა საქართველოსთვის აქტუალური და აუცილებელი ამოცანაა.

სტრატეგიული კომუნიკაციების პრაქტიკული ფუნქციები – რა შეუძლია სტრატეგიულ კომუნიკაციას და როგორ აძლიერებს სამოქალაქო მედეგობას:

საზოგადოების ინფორმირება და განათლება: კრიზისის დროს ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდება ამაღლებს მოქალაქეთა ცნობიერებას საფრთხის, სახელმწიფო რეაგირების და შესაძლო სცენარების შესახებ, რაც აძლიერებს ნდობასა და მხარდაჭერას, ნდობას მთავრობის ხელმძღვანელების მიმართ.

მობილიზაცია და ერთიანობა, ნდობა: ეფექტიანი კომუნიკაცია აერთიანებს საზოგადოებას საერთო მიზნის გარშემო და ამაღლებს წინააღმდეგობის უნარს – „ბრძოლის ჟინს“.

ერთიანი ნარატივის შექმნა: კრიზისის დროს, ეროვნული ერთიანობის შენარჩუნება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სტრატეგიული კომუნიკაციები ხელს უწყობს ერთიანი ნარატივის შექმნას საზოგადოებაში. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკურად სხვადასხვა მხარეს მყოფ ადამიანებს, ან, პოლიტიკურ განხეთქილებებს. ეროვნული იდენტობისა და საერთო ღირებულებების ხაზგასმა ხელს უწყობს შიდა პოლიტიკური განსხვავებების გადალახვას, საზოგადოების სოლიდარობასა და მზაობას გარე საფრთხეების წინააღმდეგ და საერთო მიზნის - ქვეყნის დაცვის გაძლიერებას.

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა: კონფლიქტების/კრიზისების დროს მოწინააღმდეგე მხარე იწყებს დეზინფორმაციულ კამპანიებს და აქტიურად ახორციელებს მიზანმიმართულ პროპაგანდას მეორე მხარის წინააღმდეგ. მათი მიზანია საზოგადოებაში დაბნეულობის/ქაოსის შეტანა, საზოგადოებრივი მორალის შერყევა და სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის შელახვა. სწორედ სტრატეგიული კომუნიკაციებია აუცილებელი „მტრის“ ძალისხმევის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყალბი ნარატივების გასარკვევად და გასაბათილებლად, დეზინფორმაციის გამოსავლენად, სამთავრობო ინსტიტუტებისა და თავდაცვის შესაძლებლობებისადმი ნდობის განსამტკიცებლად.

საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება: სტრატეგიული კომუნიკაციების ძალისხმევა ქვეყნის შიდა აუდიტორიის გარდა, მიმართულია საერთაშორისო აუდიტორიაზეც, რითიც ცდილობს მოკავშირეებისა და პარტნიორების დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერის მოპოვებას. ეფექტური

კომუნიკაციით შესაძლებელია სხვა ქვეყნის დარწმუნება უზრუნველყონ პოლიტიკური, ეკონომიკური ან, თუნდაც, სამხედრო დახმარება.

გადაწყვეტილებისა და შეკავების დემონსტრირება: ლეგიტიმურობის შენარჩუნება: მკაფიო შეტყობინებები ამყარებს სახელმწიფოს ლეგიტიმურობას და ამცირებს აგრესორის ქმედებების ალბათობას. ეფექტური, მიზანმიმართული სტრატეგიული კომუნიკაციები სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ ბრძოლის ველზე, არამედ საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ცნობიერებაში დაიკავოს მტკიცე პოზიცია, რაც გადამწყვეტია კრიზისისა და სამხედრო კონფრონტაციის პირობებში.

უკრაინის მაგალითი: სტრატეგიული კომუნიკაციები, როგორც ინსტრუმენტი სამოქალაქო მედეგობის გაძლიერებაში

2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად აჩვენა, რომ კლასიკურ სახმელეთო ბრძოლასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო სივრცის კონტროლს. სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტიანმა გამოყენებამ უკრაინისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. ომის დაწყებამდე რუსეთი აქტიურად ამზადებდა ნიადაგს საინფორმაციო თავდასხმებისთვის სხვადასხვა მედიაპლატფორმებით, ექსპერტების გამოყენებითა და დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელებით. მხოლოდ EUvsDisinfo-ს ბაზამ უკრაინის წინააღმდეგ კრემლის დეზინფორმაციის 6000-ზე მეტი შემთხვევა დააფიქსირა.⁸⁶ ომის პირველივე თვეებში უკრაინამ თავდაცვის სტრატეგიული კომუნიკაციები წარმატებით გამოიყენა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საზოგადოების მობილიზაციისთვის. საინფორმაციო ბრძოლა გახდა კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი. რუსეთი ცდილობდა დესტაბილიზაციასა და დასავლეთის მხარდაჭერის შეფერხებას, ხოლო უკრაინა საკუთარი სუვერენიტეტის ლეგიტიმაციის გაძლიერებასა და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას. მედეგობის მაღალი ხარისხი მთავრობების მხრიდან ეფექტიანი ანგარიშვალდებულებისა და პროაქტიული ინფორმირების შედეგად მიიღწევა, როდესაც მოქალაქეები ნათლად და გარკვევით ხედავენ თავიანთ თავს საკუთარი ქვეყნის მშენებლობაში. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში ნათელი გახდა და გამოჩნდა, რამდენად ეფექტიანად გამოიყენა უკრაინის ხელისუფლებამ თავდაცვის სტრატეგიული კომუნიკაციები საკუთარი და საერთაშორისო საზოგადოების მობილიზებისთვის.

2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომში რუსული დეზინფორმაციის მაგალითები:

⁸⁶ EUvsDisinfo, "The Kremlin's Playbook: Fabricating Pretext to Invade Ukraine - More Myths," (2022), <https://euvsdisinfo.eu/the-kremlins-playbook-fabricating-pretext-to-invade-ukraine-more-myths/> (accessed 7.10.2025).

ბუჩას მოვლენები (მარტი 2022) – დეზინფორმაცია: რუსული მედია ამტკიცებდა, რომ რუსული ძალების მიერ ჩადენილი ძალადობა, რომელიც მსოფლიოს მიერ ომის დანაშაულად აღიქმებოდა უკრაინის დადგმული იყო. ეს კამპანია მიზნად ისახავდა რუსეთის პასუხისმგებლობის შემცირებას და დასავლური მხარდაჭერის შესუსტებას.⁸⁷

„ნეონაციტური უკრაინა“ – რუსულ მედიასა და სოციალურ ქსელებში აქტიურად ვრცელდებოდა ნარატივი, რომ უკრაინის ხელისუფლება ნეონაციტურ იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული. ეს პროპაგანდა ემყარებოდა „აზოვის პოლკზე“ გაყალბებულ მასალებს. TikTok-სა და YouTube-ზე რუსული პროპაგანდა ავრცელებდა ვიდეოებს, სადაც ცდილობდნენ „დამტკიცებინათ“, რომ აზოვის წევრები მშვიდობიან მოსახლეობას მარცვავდნენ ან აწამებდნენ, თუმცა, ეს მასალები ხშირად ყალბი იყო, ან კონტექსტიდან ამოგლეჯილი, რაც მიზნად ისახავდა საერთაშორისო აუდიტორიის შეხედულებების მანიპულაციას.⁸⁸ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სპიკერის, იგორ კონაშენკოვის, განცხადებები „აზოვის“ დაჯგუფების შესახებ აქტიურად შუქდებოდა რუსულ ტელეარხებზე და საინფორმაციო სააგენტოებში.

მარიუპოლის თეატრის დაბომბვა: რუსული მედია თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ უბედური შემთხვევა უკრაინელი სამხედროების მიერ იყო გამოწვეული, თუმცა, ფაქტებით დადასტურდა, რომ თავდასხმა რუსული ავიაციიდან განხორციელდა. ასევე, მსგავს დეზინფორმაციას ავრცელებდა რუსული მხარე **მარიუპოლში სამშობიარო სახლის დაბომბვისას**, თუმცა, საერთაშორისო მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ ეს იყო რუსული ავიაციის შეტევა.⁸⁹

სანდო წყაროების დისკრედიტაცია: რუსულმა არხებმა, RT-მ და Sputnik-მა ომის მიმდინარეობის პერიოდში გაავრცელეს CNN-ის ყალბი – დადგმული რეპორტაჟი, რომელიც თითქოს ქალაქ ლვოვში ნავთობის საწყობის აფეთქებას ამუქებდა. ვიდეოში „შეცდომით“ იყო ნაჩვენები მეხანძრეები, რომლებსაც კანადური უნიფორმები ეცვათ, რაც მიზნად ისახავდა დასავლეთის „ჩარევას“ უკრაინაში.

⁸⁷Kayleen Devlin and Olga Robinson, "Ukraine crisis: Is Russia waging an information war?", *BBC News*, 23.02.2022. <https://www.bbc.com/news/60292915> (07.10.2025).

⁸⁸The Digital Forensic Research Lab, "Undermining Ukraine: How Russia widened its global information war in 2023," (2024) <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/undermining-ukraine-how-russia-widened-its-global-information-war-in-2023/> (07.10.2025).

⁸⁹Luiz Romero. "How a Purported Fact-Checking Site Spreads Russian Propaganda", *Global Investigative Journalism Network*. 01.09.2022 <https://gijn.org/stories/how-a-purported-fact-checking-site-spreads-russian-propaganda/> (07.09.2025).

ავტორიტეტულმა გამოცემამ *Deutsche Welle*-მა გამოიძია და გამოააშკარავა, რომ ეს ვიდეო იყო ფალსიფიცირებული.⁹⁰

2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინის საინფორმაციო სტრატეგიები:

უკრაინამ საინფორმაციო ომში წარმატებით გამოიყენა სოციალური მედია და საერთაშორისო არხები. უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი ყოველდღიურად მიმართავდა მოქალაქეებსა და მსოფლიოს ლიდერებს მესიჯებით, რომლებიც ემოციურ და მობილიზაციისკენ მიმართულ შინაარსს ატარებდა. უკრაინამ შექმნა **#StandWithUkraine** ჰეშტეგი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებს მოუწოდებდა უკრაინის მხარდაჭერისკენ. უკრაინა აქტიურად ცდილობდა გაეზიარებინა რუსეთის დეზინფორმაციული კამპანიები და ეწარმოებინა კონტერპროპაგანდისტული კამპანიები. უკრაინის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა შეძლეს მტკიცებულებების წარდგენა რუსეთის სამხედრო დანაშაულების შესახებ. უკრაინულმა მედიამ აქტიურად გაავრცელა სამოქალაქო ობიექტების დაბომბვისა და ჯარისკაცების ქმედებების შესახებ ინფორმაცია, რათა დაემტკიცებინა რუსეთის არაერთი დანაშაული. აქვეყნებდა შესაბამის ვიდეომასალებსაც.

უკრაინამ ასევე, გამოიყენა ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი კომპონენტი – **ლობიზმი**, რომლის მიზანიც იყო დასავლური ქვეყნების აქტიური ჩართვა სამხედრო დახმარებაში და ეკონომიკური სანქციების გატარება რუსეთის წინააღმდეგ. ამ დროს, უკრაინამ მიიღო ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობდა აშშ-სა და ევროკავშირთან, რათა მიეღოთ სამხედრო დახმარება, მათ შორის იარაღი.⁹¹

უკრაინის მთავრობამ შექმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც აგროვებდნენ დოკუმენტურ მასალებს, სადაც ასახული იყო რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე ჩადენილი მრავალი სამხედრო დანაშაული. შექმნილი სპეციალური კომიტეტები საერთაშორისო ორგანოებს, მათ შორის გაეროს და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს აწვდიდნენ საბუთებს/მტკიცებულებებს. ასევე, უკრაინამ მიიღო

⁹⁰ Wesolowski, Kathrin. "Fake news further fogs Russia's war on Ukraine." *Deutsche Welle*. 04.08.2022. <https://www.dw.com/en/fact-check-fake-news-thrives-amid-russia-ukraine-war/a-61477502> (05.10.2025).

⁹¹David L. Stern, "As U.S. rushes to send military aid, Ukrainians applaud lobbying effort", *The Washington Post*, April 29, 2024. <https://www.washingtonpost.com/world/2024/04/29/ukraine-lobbying-military-aid-war/> (07.10.2025).

გადაწყვეტილება, რომ რუსეთის წინააღმდეგ ეჩივლა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში.⁹²

უკრაინის წარმატებული საინფორმაციო კამპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ვოლოდიმირ ზელენსკის სიტყვით გამოსვლები სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებში. 2022 წლის თებერვლიდან აგვისტომდე მას 19 გამოსვლა ჰქონდა, რაც კრიტიკული აღმოჩნდა საერთაშორისო მხარდაჭერის, მათ შორის სამხედრო და ეკონომიკური დახმარების მისაღებად.⁹³

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად დაადასტურა, რომ კლასიკური სახმელეთო ბრძოლის ველის პარალელურად საინფორმაციო ომის ველზე – ნარატივებს, ტექსტებს, ფოტოებს, ვიდეო- თუ აუდიომასალებს მომაკვდინებელი ძალის მქონე ჭურვების ძალა აქვს და თითოეულ მათგანს ბრძოლის ველზე მყოფთა ქცევის წესის შეცვლა შეუძლია. კრემლის ჰიბრიდული ოპერაციები: დეზინფორმაცია, კიბერშეტევები და მანიპულაცია მიზნად ისახავდა ფსიქოლოგიური მდგომარეობის დასუსტების ხარჯზე, ბრძოლის ჟინის, რწმენის დაკარგვას და პანიკის დათესვას, ასევე, საერთაშორისო მხარდაჭერის შერყევას. უკრაინამ კი, ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციებით, შეძლო საზოგადოებრივი მედეგობის გაძლიერება, ეროვნული ერთიანობის შენარჩუნება და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება. ზელენსკისა და მისი გუნდის მიერ ინფორმაციის სწრაფი და კოორდინირებული გავრცელება იქცა თანამედროვე ომის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საინფორმაციო კამპანიად. უკრაინამ ეფექტურად გამოიყენა სოციალური მედია რუსული დეზინფორმაციის გასაწეიტრალებლად და ობიექტური რეალობის წარმოსაჩენად. უკრაინის პრეზიდენტი თავად გახდა მთავარი სპიკერი და მედიისათვის ინფორმაციის მიღების პირველი წყარო. ასევე, სწორად იქნენ შერჩეული სხვა სპიკერებიც. მათ შორის იყვნენ სამხედროები, რომლებიც თვითმხილველების სახით აქვეყნებდნენ ვიდეოებსა და ფოტოსურათებს რუსეთის სამხედრო წარუმატებლობების შესახებ, რაც მკაფიო

⁹² Amnesty International. *Ukraine: Ukrainian fighting tactics endanger civilians*. (2022) <https://www.amnesty.org/en/latest/news/2022/08/ukraine-ukrainian-fighting-tactics-endanger-civilians/> (07.09.2025).

⁹³ Linnea Hallgren, 2025. "The Symbiotic Relationship between Volodymyr Zelensky and Western News: Authenticity and Performance in Ukraine's Fight against Russia", *Media, War & Conflict* 18 (4) (2025), 197–213. <https://doi.org/10.1177/17506352241307014> (07.10.2025).

პასუხი იყო რუსულ პროპაგანდაზე. ეს ტაქტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ მობილიზაციასთან – სამოქალაქო მედეგობის გაძლიერებასთან და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის მოპოვებასთან, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ომის თავდაპირველ ფაზაში. აღნიშნული შედეგი სწორედ მიზანმიმართული და კოორდინირებული სტრატეგიული კომუნიკაციების საშუალებით გახდა შესაძლებელი, რამაც უზრუნველყო ქვეყნის ინფორმაციული მდგრადობა და ერთიანი ნარატივის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Amnesty International. 2022. *Ukraine: Ukrainian fighting tactics endanger civilians*. <https://www.amnesty.org/en/latest/news/2022/08/ukraine-ukrainian-fighting-tactics-endanger-civilians/> (07.09.2025).
2. Devlin, Kayleen & Olga Robinson. "Ukraine crisis: Is Russia waging an information war?" *BBC News*. 23.02.2022. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.bbc.com/news/60292915> (07.10.2025).
3. EUvsDisinfo. 2022. *The Kremlin's Playbook: Fabricating Pretext to Invade Ukraine - More Myths*. <https://euvsdisinfo.eu/the-kremlins-playbook-fabricating-pretext-to-invade-ukraine-more-myths/> (07.10.2025).
4. Hallgren, Linnea. "The Symbiotic Relationship between Volodymyr Zelensky and Western News: Authenticity and Performance in Ukraine's Fight against Russia." *Media, War & Conflict* 18 (2025): 197–213. <https://doi.org/10.1177/17506352241307014> (07.10.2025).
5. Michelsen, Nicholas, and Thomas Colley. "The Field of Strategic Communications Professionals: A New Research Agenda for International Security", *European Journal of International Security* 4, no. 1 (2019): 61–78. <https://doi.org/10.1017/eis.2018.9>. <https://doi.org/10.1017/eis.2018.9>. (07.10.2025).
6. NATO. 2023. *Resilience in NATO*. https://www.act.nato.int/article/resilience-in-nato/?utm_source=chatgpt.com (04.10.2025).
7. Oxford Learner's Dictionaries. „Resilience.“ <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/resilience?q=resilience> (04.10.2025).
8. President of Ukraine. *Official Website of the President of Ukraine*. 08.10.2025. <https://www.president.gov.ua/en>
9. Romero, Luiz. "How a Purported Fact-Checking Site Spreads Russian Propaganda." *Global Investigative Journalism Network*. 01.09.2022 <https://gijn.org/stories/how-a-purported-fact-checking-site-spreads-russian-propaganda/> (07.09.2025).

10. Stern, David L. "As U.S. rushes to send military aid, Ukrainians applaud lobbying effort." *The Washington Post*. 29.04.2024. <https://www.washingtonpost.com/world/2024/04/29/ukraine-lobbying-military-aid-war/> (07.10.2025).
11. The Digital Forensic Research Lab. 2024. *Undermining Ukraine: How Russia widened its global information war in 2023*. <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/undermining-ukraine-how-russia-widened-its-global-information-war-in-2023/> (07.10.2025).
12. Wesolowski, Kathrin. "Fake news further fogs Russia's war on Ukraine." *Deutsche Welle*. 04.08.2022. <https://www.dw.com/en/fact-check-fake-news-thrives-amid-russia-ukraine-war/a-61477502> (05.10.2025).
13. აღნიაშვილი, თ. 2024. „სტრატეგიული კომუნიკაციების სახელმძღვანელო.“ თბილისი: საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი. <https://www.csd.org.ge/storage/files/doc/stratcom-sakhe.pdf> (04.10.2025).
14. გორდელაძე, მარინა და გიორგი მოლოდინი, „რა არის სტრატეგიული კომუნიკაციები?“, *სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები 1* (თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი). https://admin.vectors.ge/custom-files/1747917127_cd5ab56b5f44921ecbd19f6f77d19e2a.pdf (01.10.2025).

სამხედრო-პოლიტიკური რეალობა**თემურ დიღმელაშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

temur.digmelashvili@ciu.edu.geORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-6081-0134>**გიორგი ჯინჭარაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამხედრო
ინჟინერიის დოქტორანტი

jincharadze.giorgi24@gtu.geORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-7693-6103>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.09

აბსტრაქტი

კვლევა ეხება კიბერსივრცეს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც იქცა ძალაუფლების ახალი არენად, სადაც სამხედრო და პოლიტიკური ინტერესები გადაჯაჭვულია. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურა და წარმოშვა ისეთი ასიმეტრიული საფრთხეები, რომელთა მასშტაბები და ზემოქმედება ტრადიციული სამხედრო გამოწვევებისგან რადიკალურად განსხვავდება. კიბერუსაფრთხოება დღეს აღარ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ საკითხს; ის არის სამხედრო-პოლიტიკური პროცესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი, რომელიც გავლენას ახდენს როგორც სახელმწიფოების სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე, ისე საერთაშორისო სისტემის სტაბილურობაზე. სტატია მიმოიხილავს კიბერუსაფრთხოების კონცეფციის ევოლუციას, ასიმეტრიული საფრთხეების სახეებსა და მათი გამოვლინების გზებს, ასევე ავლენს კიბერომის სამხედრო-პოლიტიკურ განზომილებებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ იქცა კიბერშეტევები თანამედროვე ომების განუყოფელ ელემენტად და რა გამოწვევებს უქმნის ეს საერთაშორისო უსაფრთხოების ინსტიტუტებს. ანალიზი ეფუძნება ისტორიულ-თეორიულ საფუძვლებს, საერთაშორისო პრაქტიკასა და თანამედროვე კონფლიქტების მაგალითებს, რაც შესაძლებლობას იძლევა, გამოიკვეთოს კიბერუსაფრთხოების როლი XXI საუკუნის სამხედრო-პოლიტიკურ რეალობაში.

საკვანძო სიტყვები: კიბერუსაფრთხოება, ასიმეტრიული საფრთხეები, კიბერომი, საერთაშორისო უსაფრთხოება, სამხედრო-პოლიტიკური რეალობა

Cybersecurity, Asymmetric Threats, and Modern Military-Political Reality

Temur Digmelashvili

PhD Student in Political Science, Faculty of Social and Human Sciences, Caucasus International University

temur.digmelashvili@ciu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0000-6081-0134>

Giorgi Jincharadze

PhD Student in Military Engineering, Faculty of Civil Engineering, Georgian Technical University

jincharadze.giorgi24@gtu.ge

<https://orcid.org/0009-0007-7693-6103>

Abstract

Cyberspace has become a new arena of power in modern international relations, where military and political interests are intertwined. The rapid development of digital technologies has significantly altered the architecture of global security, giving rise to asymmetric threats that are radically different in scale and impact from traditional military challenges. Cybersecurity today is no longer just a technical issue; it is one of the most significant determinants of military and political processes, which affects both the strategic decisions of states and the stability of the international system. The article reviews the evolution of the concept of cybersecurity, the types of asymmetric threats and how they manifest themselves, and also reveals the military-political dimensions of cyberwar. Special attention is paid to how cyberattacks have become an integral element of modern wars and what challenges this poses to international security institutions. The analysis is based on historical-theoretical foundations, international practice, and examples of modern conflicts, which makes it possible to outline the role of cybersecurity in the military-political reality of the 21st century.

Keywords: cybersecurity, asymmetric threats, cyberwar, international security, military-political reality

კვლევის მეთოდები

სტატიის მეთოდოლოგია ეფუძნება შედარებით ანალიზს, ქეის-სტადის მეთოდს (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, 2022-2025 წლების რუსეთ-უკრაინის ომი) და თეორიულ-კონცეპტუალურ მიდგომას, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმისა და უსაფრთხოების სექტორული თეორიების (ბუზანის უსაფრთხოების თეორია) გამოყენებას.

თეორიული ჩარჩო:

- რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში (ძალაუფლების გადანაწილება და ასიმეტრიული უპირატესობები);
- უსაფრთხოების სექტორული მიდგომა (პოლიტიკური, სამხედრო და ტექნოლოგიური განზომილებები);
- ჰიბრიდული ომის თეორია, სადაც კიბერშეტევები განიხილება როგორც არატრადიციული საბრძოლო საშუალება.

სამეცნიერო სიახლე ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ის აერთიანებს კიბერუსაფრთხოების, ასიმეტრიული საფრთხეების და სამხედრო-პოლიტიკური რეალობის ანალიზს ერთიან ჩარჩოში, რაც საშუალებას იძლევა, ფართო სურათში დავინახოთ როგორ გარდაქმნის კიბერშეტევები საერთაშორისო პოლიტიკის არსს და სამხედრო ძალის ფუნქციას.

შესავალი

ციფრული ეპოქის განვითარებასთან ერთად, კიბერსივრცე იქცა საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამხედრო-პოლიტიკური დინამიკის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად. თანამედროვე უსაფრთხოების გარემო აღარაა დამოკიდებული მხოლოდ ტრადიციულ სამხედრო ძალასა და ეკონომიკურ რესურსებზე; გადამწყვეტ როლს ასრულებს ინფორმაციული ტექნოლოგიები, ციფრული ინფრასტრუქტურები და მათზე განხორციელებული კიბერშეტევები. სწორედ ამიტომ, კიბერუსაფრთხოების საკითხი გახდა როგორც ინდივიდუალური სახელმწიფოების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტი.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ XXI საუკუნეში კიბერუსაფრთხეები კლასიკური სამხედრო საფრთხეებთან ერთად იქცა გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე რთულ და **ნაკლებად პროგნოზირებად გამოწვევად**. მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმოა **ასიმეტრიული საფრთხეები**, რომელთა ბუნება მოიცავს ისეთ თავდასხმებს, რომლებსაც მცირე რესურსების მქონე აქტორები ახორციელებენ ძლიერ სახელმწიფოებზე, რაც არსებითად ცვლის ძალთა ბალანსის ტრადიციულ აღქმას.

კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში განპირობებულია იმ რეალობით, რომ ციფრული ინფრასტრუქტურები და მათი მოწყვლადობები გადამწყვეტად განსაზღვრავენ ეკონომიკურ, სოციალურ და სამხედრო მიმართულებებს⁹⁴. აქედან გამომდინარე, კიბერუსაფრთხოება უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ტექნიკურ საქმედ, არამედ კომპლექსურ სამხედრო-პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომელიც ეხმარება აქტორს პირდაპირ ან ირიბად მიაღწიოს სასურველ პოლიტიკურ შედეგს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ასიმეტრიული საფრთხეების სპეციფიკას: მათი განხორციელება პრინციპულად ეყრდნობა იაფად მოდელირებადი, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ეფექტურ გამოყენებას და ცდილობს მიაღწიოს არაპროპორციულ შედეგს – მცირე რესურსების ხარჯზე ფართო სტრუქტურული ზიანის მიყენებას.

ასიმეტრიულობის ტექნიკურ და ოპერაციულ საფუძველს წარმოადგენს რამდენიმე მახასიათებელი: თავდამსხმელი ხშირად სარგებლობს ანონიმურობით და ურთიერთგამომრიცხავი მეთოდებით (პროქსი სერვერები, საკონტრაქტო ჯგუფები, კრიმინალური ქსელი), შეუძლია სწრაფად შეცვალოს ტაქტიკა და მიზანი და უპირატესად იყენებს არაპირდაპირ მეთოდებს - ინფორმაციული ოპერაციები, დეზინფორმაცია, და საინფორმაციო მანიპულაციები და ეს ყველაფერი ერთად გამანადგურებელ შედეგამდე მიდის⁹⁵. მოწყობილობების მასიური ჩართვა ქსელში და ინტერნეტში (IoT), ღრუბლოვანი სერვისების ფართო დანერგვა, და გლობალური მიწოდების ჯაჭვების შეფერხებულობა ქმნის არაერთ მოწყვლად წერტილს, სადაც პატარა შეტევამაც კი შეიძლება გამოიწვიოს სწრაფად გავრცელებადი კრიზისი.

ოპერაციულად, კიბერსივრცეში შეტევები ხშირად იყოფა რამოდენიმე ფაზად: დაკვირვება (reconnaissance), პრივილეგირებული წვდომის მოპოვება (initial access), გვერდითი გადაადგილება და პოზიციონირება (lateral movement), ფუნქციური ზიანის მიყენება (disruption/degradation) ან მონაცემთა მოპოვება/ექსტრაქცია (exfiltration), და საჭიროებისამებრ დესტრუქციული ფაზა (wiping, sabotage). სტრატეგიული თვალთახედვით კიბერშეტევები ემსახურებიან არაერთ მიზანს: მზადყოფნის დასუსტებას, სამთავრობო კომუნიკაციების

⁹⁴ ზედელაშვილი, თ. 2023. “კიბერშესაძლებლობები და გლობალური უსაფრთხოების ახალი გამოწვევები.” https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/482400/1/KibershesadzleblobebiDaGlobaluriUsaftrxoebisAxaliGamowvevebi.pdf?utm_

⁹⁵ Almalawi, A., Hassan, S., Fahad, A., Iqbal, A. and Khan, I. A. 2025. “Hybrid Cybersecurity for Asymmetric Threats: Intrusion Detection and SCADA System Protection Innovations.” *Symmetry* 17 (4): 616–16. <https://doi.org/10.3390/sym17040616>.

პარალიზებას, გადაწყვეტილების მიმღების როლის მოპოვებას, თავდაცვის სუსტი წერტილების გამოსაჩენად და საერთაშორისო იმიჯის შელახვისთვის. განსაკუთრებით ეფექტურია კიბერი და ინფორმაციული ოპერაციები, როცა ისინი სინქრონიზებულია კონვენციურ სამხედრო მოქმედებებთან - ამგვარი ჰიბრიდული კომბინაცია ზრდის ოპერაციული ეფექტურობის შესაძლებლობას და რთულს ხდის მოწინააღმდეგისთვის თავდაცვითი სტრატეგიების დროულ შემუშავებას იმისათვის, რომ ვერ მოხერხდეს შეტევის სწრაფი შეფასება და მათზე რეაგირება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მსოფლიოში ხშირად ნახსენებია, როგორც პირველი ფაქტობრივი მაგალითი, სადაც ვიხილეთ ძირითადად პოლიტიკური და საომარი მოქმედებების პარალელურად განხორციელებული მასობრივი კიბერშეტევების გამოყენება. კონფლიქტის დროს მოხდა მთავრობისა და მედიის ვებ-რესურსების ზრდადი DDoS-შეტევები, ვებგვერდების სახეცვლილება (defacement) და კომუნიკაციის შეფერხება, რაც გამიჯნულია კონვენციური სამხედრო ოპერაციების დროში. ამას მოსდევდა მოსახლეობის ინფორმაციის ვაკუუმი და ფინანსური ოპერაციების მოშლა - თვისებები, რომლებიც აჩვენებდა, რომ კიბეროპერაციები წინ უძღოდა სამხედრო მოქმედებებს და ზრდიდნენ არსებულ არეულობას. საქართველოს შემთხვევაში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო, რომ სამოქალაქო კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა ადრეული ეტაპიდან არ იყო ადეკვატურად მომზადებული კოორდინირებული კიბერინციდენტების შესაჩერებლად.

2022-2024 წლების რუსეთ-უკრაინის ომი უფრო რთული და მასშტაბური გამოცდილებაა - აქ კიბერშეტევებმა მიიღეს მრავალთქმედითი ფორმა. უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული კამპანიების დროს დაფიქსირდა როგორც მიზნობრივი განადგურება (wiper ტიპის პროგრამები), ასევე ინტენსიური DDoS-აქტივობები და მიზნობრივი შეტევები ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო სისტემებზე. ამავე დროს, უკრაინამ მიიღო ძლიერი მხარდაჭერა ტექნიკურ და ინფორმაციულ სფეროში - კერძო კომპანიების, სატელიტური მომსახურების პროვაიდერების, საერთაშორისო მხარდამჭერების მხრიდან, რაც წარმოადგენდა თანამედროვე კონფლიქტის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვანი შტრიხს: ციფრულ ბრძოლაში გამარჯვება ხშირად იმაზეა დამოკიდებული, არა მხოლოდ თავდაპირველ შესაძლებლობებზე, არამედ საერთაშორისო ტექნოლოგიურ ეკოსისტემასთან წვდომასა და დახმარებაზე.

ზემოთ აღწერილი გამოცდილებიდან გამომდინარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა სამხედრო-პოლიტიკური პრაქტიკისთვის: პირველი, თანამედროვე ქვეყნის უსაფრთხოება მოითხოვს «ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის» მიდგომას - სამხედრო, დაზვერვა, ეროვნული უსაფრთხოება და სამოქალაქო სექტორი უნდა მონაწილეობდნენ კიბერუსაფრთხოების საერთო

არქიტექტურის შექმნაში⁹⁶; მეორე, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა უფრო მყარია, როდესაც ინფორმაციის მიწოდების ჯაჭვი მრავალფეროვანია და ყველა მხრიდან ხდება პრობლემის დაფიქსირება, მესამე, ავტორობისა და სამართლებრივი რეაგირების საკითხებმა შეაფერხეს ადეკვატური საერთაშორისო რეაქცია, რაც უსვამს ხაზს გლობალური ნორმატიული ჩარჩოს საჭიროებაზე და კონფლიქტების დეესკალირების მექანიზმების შექმნაზე.

ასიმეტრიული საფრთხეების გათვალისწინებით სამხედრო სტრატეგიებში საჭიროა არა მხოლოდ თავდაცვის ტექნიკური გაძლიერება, არამედ ნეირო-პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგრადობის ამაღლება: საჯარო კომუნიკაციის გამჭვირვალობა, ინფორმაციის სწრაფი გადამოწმების მექანიზმები, და საზოგადოებრივი სიმართლის უზრუნველყოფა ისეთ გარემოში, სადაც დეზინფორმაცია ერთადერთი-ყოველდღიური იარაღია.

ტექნიკური ტაქტიკა და პროტოკოლები - ოპერაციული ანატომია

კიბეროპერაციების ოპერაციული არქიტექტურა თანმიმდევრული, ფაზურ სტრუქტურაზეა აგებული და წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომლის თითოეული ეტაპი განსაზღვრავს თავდამსხმელის შესაძლებლობასა და დაცვის საჭირო ღონისძიებებს. აღნიშნული ფაზები იწყება კიბერდაზვერვით - საჯარო წყაროების (OSINT) გამოყენებით ინფორმაციის შეგროვებით, ქსელური სკანირებითა და სისტემური fingerprinting-ით, დღესდღეობით კვლავაც გამოიყენება ღრმა ქსელური მეთოდები და მავნე აქტივობის ანალიზი⁹⁷. მეორე ეტაპი, პირველადი წვდომა, აღნიშნება ისეთ ტაქტიკებს, როგორიცაა ფიშინგი, მიზანმიმართული მატყუარა შეტყობინებები, მოწყვლადობის ექსპლოიტაცია და ე.წ. supply-chain შეტევები ხიდების უგულებელყოფით. აღნიშნული ფაზა ხშირად იყენებს სერვისებსა და არხებს (RDP, VPN), რომლებიც ადვილად ხდება სამიზნე მოძველებული განახლებების ან არასათანადო კონფიგურაციის გამო. შემდეგი ეტაპი მოიცავს პოზიციონირებას და ლატერალურ გადაადგილებას (lateral movement)⁹⁸: თავდამსხმელი ერიდება მხოლოდ ერთ სისტემაზე შეჩერებას და ახდენს თვისობრივ ბინარულ წმენდას - უკანა კარს (backdoor) ამუშავებს, იყენებს SMB/LDAP ტიპის კომუნიკაციას და მიმართავს პრივილეგიების ესკალაციას, ხშირად Mimikatz-ს ან მსგავსი ხელსაწყოების მეშვეობით. ოპერაციული გავლენის

⁹⁶ Aos, M., Qolomany, B., Gyorick, K., Abdo, B. J., Aledhari, M., Qadir, J., Carley, K., and Al-Fuqaha, A. 2025. "A Survey of Social Cybersecurity: Techniques for Attack Detection, Evaluations, Challenges, and Future Prospects." *Computers in Human Behavior Reports* 18 (100668): <https://doi.org/10.1016/j.chbr.2025.100668>

⁹⁷ James, K., Ahmad, A., and Scheepers, R. 2022. "Adopting and Integrating Cyber-Threat Intelligence in a Commercial Organisation." *European Journal of Information Systems* 32 (1): 1–17. <https://doi.org/10.1080/0960085x.2022.2088414>.

⁹⁸ Lex, C. 2024. "Technical Deep Dive: Understanding the Anatomy of a Cyber Intrusion | MITRE-Engenuity." Medium. MITRE-Engenuity. <https://medium.com/mitre-engenuity/technical-deep-dive-understanding-the-anatomy-of-a-cyber-intrusion-080bddc679f3>.

ფაზა გულისხმობს სისტემური ფუნქციის დარღვევას: მონაცემთა ექსტრაქციას (exfiltration), ინფრასტრუქტურულ დეზორგანიზაციას (disruption) და ინფორმაციის მანიპულაციას, რაც შეიძლება გადაიზარდოს ფიზიკურ დესტრუქციაში (firmware-ის დაზიანება, wiper ტიპის კოდები). საბოლოო ეტაპები მოიცავს persistence მექანიზმებს, ლოგების დამალვას და ღია კვალის მოხსნას, რათა შეტევა გარდამავალი ან შენიღბული დარჩეს.

ტექნიკური ინსტრუმენტების და ტაქტიკების სპექტრი ფართოა: DDoS და ტრაფიკის ამპლიფიკაცია (NTP, DNS amplification) უზრუნველყოფს სისტემების დროებით გათიშვას; botnet-ების გამოყენება მათებს შეტევებს მასშტაბურობას; supply-chain შეტევები კი საქართველოსა და უკრაინის გამოცდილებებიდან ჩანს, როგორც მაღალეფექტური და რთულად გამოსაკვლევი მეთოდი, როცა შეტევა ხორციელდება მესამე მხარის კომპონენტის დაინფიცირებით. Wiper ტიპის მავნე კოდი, რომლის მიზანია მონაცემების და სისტემური რესურსების ფიზიკური ან ლოგიკური წაშლა, წარმოადგენს იშვიათად გამოყენებულ, თუმცა უკიდურესად მძიმე შედეგებს მომცემ ძალადობრივ ინსტრუმენტს. ამავე კონტექსტში განსაკუთრებით საშიშია Living-off-the-Land (LotL) მიდგომა, როდესაც თავდამსხმელები იყენებენ ლეგიტიმურ სისტემურ ინსტრუმენტებს (PowerShell, WMI, certutil) ხელოვნურად თავიანთი მოქმედებების დაფარვისთვის. ქსელური პროტოკოლების დონეზე, HTTP/HTTPS ხშირად წარმოადგენს C2 (command-and-control) არხს, RDP/SSH – პირდაპირი კონტროლის საშუალებებს, ხოლო SMB და NetBIOS - ლატერალური მოძრაობის და ფაილური რესურსების მოპოვების გზებს.

თავდაცვისთვის საყოველთაო და პრაქტიკული ნაბიჯები მოიცავს: სისტემატურ და პრიორიტეტულ პაჩ-მენეჯმენტს, ქსელური სეგმენტაციას და OT-სა და IT-ს მკაცრ იზოლაციას, EDR/XDR და SIEM სისტემების იმპლემენტაციას ოპერატიული ალერტინგით, immutable და air-gapped ბექაპების გამოყენებით აღდგენის უზრუნველყოფასა და tabletop ვარჯიშების მოწყობას. ასევე მნიშვნელოვანი არის threat-intelligence-ის ინტეგრირება - IoC-ების (Indicator of Compromise) სწრაფი განახლებითა და მოკავშირეებისა თუ სექტორის მასშტაბით სათანადო ინფორმაციის გაზიარებით. აღნიშნული ტექნიკური ღონისძიებები, თუ ისინი შემუშავებულია და რეალიზირებული იქნება თანმიმდევრულად, მნიშვნელოვნად ამცირებს კიბეროპერაციების ეფექტიანობას და ზრდის სახელმწიფოებრივი და პირადი სქემების მდგრადობას.

სამართლებრივი ასპექტები და ნორმატიული წინადადებები

კიბერუსაფრთხოების სამართლებრივი ასპექტები წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ და ჯერ კიდევ არასტაბილურ მხარეს საერთაშორისო სამართლის სექტორში. უპირველესად, ატრიბუციის პრობლემა - თავდასხმის ავტორობის განსაზღვრა - ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი გამოწვევაა. დროსა და რესურსის უქონლობის პირობებში მიღებული მტკიცებულებები ხშირად არ არის საკმარისი საერთაშორისო სამართლებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რის გამოც სახელმწიფოები ერიდებიან

საჯარო ბრალდებებს ან სამართლებრივი დევნის ინიციატივებს⁹⁹. ეს იწვევს ისედაც რეგლამენტირებულ ველთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და იურიდიული მყიდვობას და ზრდის ესკალაციის რისკს, თუ ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე განიხილება სამხედრო პასუხი. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის რა სახის ხასიათი ექნება ინტენსიურ კიბეროპერაციებს - არის თუ არა ისინი ძალის გამოყენებისა ან შეიარაღებული კონფლიქტის მოვლენების მსგავსად. ამ საკითხზე საერთაშორისო იურიდიული დებულებები განსხვავებულადვე ინტერპრეტირებადი; ზოგიერთი შემთხვევა შეიძლება მკვეთრად მიეკუთვნოს ძალის გამოყენების დეფინიციას (მაგ., მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის სისტემური დესტრუქცია, რომელმაც გამოიწვია ფიზიკური ზიანი ან სიცოცხლის დანაკარგი), ხოლო სხვა - უფრო რთულ სამართლებრივ კლასიფიკაციას საჭიროებს. ამასთანავე, საზღვარგარეშე სახელმწიფოებთან დაკავშირებული არასახელმწიფო აქტორების ზრდასთან ერთად რთულდება პასუხისმგებლობის განსაზღვრა - სახელმწიფოს როლი შეიძლება იყოს პირდაპირი, არასრული ან საკონტრაქტო ურთიერთობის სახით, რაც ქმნის სამართლებრივ არეულობას.

ეროვნული სამართლის დონეზე აუცილებელია მკაფიო კიბერდანაშაულის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის ნორმების ჩამოყალიბება¹⁰⁰. სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, რა წარმოადგენს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, როგორია სახელმწიფო და კერძო სუბიექტების პასუხისმგებლობები და რამდენად უნდა ჰქონდეთ სადაზვერვო უწყებებს უფლებამოსილებები ეპიდემიის, ინფორმაციის მოპოვების და პრევენციის მიზნით - ყოველთვის გათვალისწინებული მოქალაქეთა ძირითადი თავისუფლებების დაცვა. მონაცემთა დაცვის სტანდარტების (მაგ., GDPR-ის მსგავს სტრუქტურათა) შესაბამისობა და ჰარმონიზირება წარმოადგენს დამატებით გამოწვევას - სახელმწიფომ უნდა შეძლოს ინფორმაციის დაცვა ისე, რომ არ ზღუდავდეს უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას.

საერთაშორისო ნორმების საკითხი მოითხოვს ახალ, მიზანმიმართულ მიდგომებს. საჭიროა წესების ერთობლივი შეთანხმება, რომელიც შინაარსობრივად განისაზღვრება როგორც „არაესკალაციური პრინციპები“ - მაგალითად, შეთანხმება, რომ მიზნად არ უნდა იქნეს დასმული სამოქალაქო კრიტიკული ინფრასტრუქტურა ან მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები¹⁰¹. ამ ტიპის ნორმები

⁹⁹ Anna-Maria, O. and Rõigas, H. 2016. "International Cyber Norms Legal, Policy & Industry Perspectives." https://ccdcoc.org/uploads/2018/10/InternationalCyberNorms_full_book.pdf.

¹⁰⁰ Chitadze, N. 2023. "IRMA-International.org: Cyber Security Policies and Strategies of the World's Leading States (9781668488461)(1668488469)(9781668488478): Nika Chitadze: Books." Irma-International.org. https://www.irma-international.org/book/cyber-security-policies-strategies-world/316140/?utm_source=chatgpt.com.

¹⁰¹ Sevis K. N., and Seker, E. 2016. "Cyber warfare: terms, issues, laws and controversies," 2016 International Conference On Cyber Security And Protection Of Digital Services (Cyber Security), London, UK, doi: [10.1109/CyberSecPODS.2016.7502348](https://doi.org/10.1109/CyberSecPODS.2016.7502348)

თავიდან უნდა იქნას აცილებული არაეთიკური შეტევების გამოყენებით, მაგრამ მათი ფორმალიზება და განმტკიცება რთულია, თუ არ არსებობს ეფექტური ატრიბუციის მექანიზმები და გამჭვირვალე საერთაშორისო გამოძიების პლატფორმები.

ნორმატიული წინადადებების შემოთავაზება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფრაზებით; აუცილებელია პრაქტიკული ინსტრუმენტების ჩამოყალიბებაც. უპირველესად, რეკომენდებულია საერთაშორისო ფორუმზე binding და non-binding შეთანხმებების კომბინაციის მიღება - პირველი განსაზღვრავს კრიტიკულ ზღვარსა და პრინციპებს, მეორე კი მოქნილ დიპლომატიურ მექანიზმებს უზრუნველყოფს. უნდა შექმნან დამოუკიდებელი, ექსპერტული საერთაშორისო საგამოძიებო დაწესებულებები, რომლებიც შეგროვებული ტექნიკურ მტკიცებულებას შეაფასებენ და ატრიბუციის უმაღლეს სტანდარტს უზრუნველყოფენ. ასევე სასარგებლოა 24/7 მობილური ტექნიკური დახმარების ჰაბების ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს მკაცრი და დროული მხარდაჭერის გაწევას დაზარალებული სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიმართ.

ასევე მნიშვნელოვანია კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობის მოდელების შემუშავება - მონაცემთა ცენტრები, ღრუბლოვანი პროვაიდერები და კრიტიკული ტექნოლოგიური კომპანიები უნდა იყვნენ აქტიური წევრები ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაში. მათი ინფორმაციის სწრაფი და უსაფრთხო გაზიარება, პასუხისმგებლობის ამხელა განაწილება და რეგულირების მკაფიო ჩარჩო საშუალებას მისცემს სახელმწიფოს და ბაზარს სწრაფ და კოორდინირებულ რეაგირებაზე.

შეჯამების სახით, სამართლებრივი რეფორმების გზავნილი არის შემდეგი: საერთაშორისო თანამეგობრობამ ერთად უნდა იმუშაოს ატრიბუციისა და პასუხისმგებლობისა დაანონსებისთვის, შეიმუშაოს მკაფიო ნორმები „წითელი ხაზებისთვის“ და შექმნას სწრაფი რეაგირებისა და მხარდაჭერის მექანიზმები. ასეთი მიდგომა შეამცირებს გაუგებრობისა და არათავისუფალი რეაგირების შემთხვევებს და გაზრდის დეესკალაციისა და სამართლებრივი მიმართულების მნიშვნელობას კონფლიქტურ სიტუაციებში.

მოვლენათა ქრონოლოგია - 2008 წლისა და 2022–2024 წლების შემთხვევები

2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომი წარმოადგენს ერთერთ პირველ ცნობილ შემთხვევას, სადაც გამოკვეთილად გამოჩნდა კონვენციურ სამხედრო ოპერაციებთან სინქრონულად განხორციელებული მასიური კიბეროპერაციების გამოყენება. აგვისტოში მომხდარმა კონფლიქტმა აჩვენა, რომ DDoS შეტევებმა და ვებგვერდების დეფეისმენტმა (defacement) შეიძლება კონფლიქტის უცნაურ და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციულ გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის რეჟიმი მრავალ ქვეყნებში არ იყო საკმარისად განვითარებული იმგვარად, რომ ეფექტურად აეცილებინა კოორდინირებული კიბერთავდასხმები¹⁰². საერთაშორისო რეაქცია ტექნიკური

¹⁰² Lomidze, N. 2022. “Cyber Security Challenges in Georgia”. *Georgian Scientists* 4 (3):120-33. <https://doi.org/10.52340/gs.2022.04.03.15>.

შინაარსის ჰქონდა შეზღუდულად - ძირითადად პოლიტიკურ და დიპლომატიურ დონეზე - რადგან ატრიბუციის საკითხი და მტკიცებულებათა დეფიციტი ართულებდა საინიციატივო, სამართლებრივ ან სამხედრო პასუხს.

ამ შემთხვევამ დაადასტურა, რომ ციფრული ასიმეტრიულობის ძალა: მცირე კომპლექტითა და დაბალი ხარჯით განხორციელებულმა ციფრულმა აქტივობებმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური შედეგები გამოიღო. ამ მაგალითმა ასევე გამოავლინა სახელმწიფო ინსტიტუტების შორის კოორდინაციის ნაკლები მზადყოფნა და კერძო სექტორის ჩართულობის სუსტი მექანიზმები.

2022–2024 წლების რუსეთ–უკრაინის ომი კი წარმოადგენდა კიბერშეტევების ევოლუციის უფრო სრულ, მრავალფაზიან და მასშტაბურ მაგალითს. აქ მოქმედებამ მოიცვა როგორც დესტრუქციული პროგრამული მოწყობილობები (wiper), ისე ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურებზე მიზნობრივი შეტევები, რთული supply-chain ექსპლოიტაციები და მუდმივი საინფორმაციო ომი¹⁰³. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ უკრაინას მიეხმარა ფართო საერთაშორისო ტექნოლოგიური და ინტელექტუალური მხარდაჭერა: კერძო კომპანიებმა და საერთაშორისო პარტნიორებმა დახმარების სახით გამოიყენეს ტექნიკური ინსტრუმენტები, threat-intelligence-ის გაცვლის მექანიზმები და დახმარების პლატფორმები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყნის მდგრადობისთვის.

ამ ომმა აჩვენა, რომ თანამედროვე ციფრულ ბრძოლის ველზე წარმატება არ შემოიფარგლება მხოლოდ თავდასხმის ტოლფასობაზე. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ეკოსისტემის მხარდაჭერა, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიური რესურსები და სწრაფი ტექნიკური რეაგირება. უკრაინის მაგალითმა ასევე ხაზგასმით დაანახა supply-chain შეტევების ეფექტურობა, აგრეთვე ის, რომ ინფორმაციული ოპერაციები ხშირად მოქმედებდნენ კონვენციურ სამხედრო ოპერაციებთან პარალელურად, გაზრდილი ეფექტიანობით.

ორივე შემთხვევა აჩვენებს საერთო ტენდენციას: კიბერშეტევები მნიშვნელოვანად ცვლის საომარ სტრატეგიას და სახელმწიფოებრივი მდგრადობის განხორციელებას¹⁰⁴. აქედან გამომდინარე სახელმწიფოთა სისტემებმა დაუყოვნებლად უნდა გააძლიერონ ეროვნული რეკომენდირებული სადაზვერვო, ტექნიკური და სამართლებრივი მექანიზმები; საერთაშორისო თანამეგობრობამ კი - სწრაფად და მიზანმიმართულად უნდა იმუშაოს ნორმების, ატრიბუციის ხელსაწყოების და თანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერებაზე.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ კიბერუსაფრთხოება დღეს წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკური პროცესების ორგანულ ნაწილს. ასიმეტრიული საფრთხეები არამხოლოდ ცვლის ვიზუალურად საომარ მეთოდებს,

¹⁰³ Eduard, K. 2023. "A Year of Conflict: Cybersecurity Industry Assesses Impact of Russia-Ukraine War." SecurityWeek, <https://www.securityweek.com/one-year-of-russia-ukraine-war-cybersecurity-industry-sums-up-impact/>.

¹⁰⁴ Yuan, T. L. 2024. "Asymmetry in the Digital Age: Cyber Deterrence Strategies for Small States." *Journal of Strategic Security* 17 (4): 71–88. <https://doi.org/10.5038/1944-0472.17.4.2268>.

არამედ ცვლის საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო თანამშრომლობის და ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიულ პრიორიტეტებს. მომავალი გამოწვევები მოითხოვს სისტემურ, ტექნოლოგიურ და ინსტიტუციონალურ ცვლილებებს, რათა სახელმწიფომ შეძლოს როგორც თავდაცვის ხარისხის ამაღლება, ასევე კიბერშეტევების პოლიტიკურ და სამართლებრივ შედეგებზე პასუხის გაცემისუნარიანობის გაძლიერება.

დასკვნა

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ კიბერსივრცე XXI საუკუნის სამხედრო-პოლიტიკური რეალობის განუყოფელ ელემენტადაა სახეცვლილი და მისი მნიშვნელობა აგრესიული სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფო აქტორების ქმედებების შეფასებასა და თავდაცვის სტრატეგიების ჩამოყალიბებაში წინასწარ განისაზღვრება. ზემოთ მოყვანილი აღნიშნული მაგალითები (2008 წ. რუსეთ-საქართველოს ომი და 2022–2024 წწ. რუსეთ-უკრაინის ომი) აჩვენებენ, თუ როგორ განვითარდა კიბეროპერაციების ტაქტიკა: პრაიმარული DDoS/defacement-ის ეტაპიდან გადავიდა დახვეწილ wiper-ტიპის დესტრუქციაზე და Living-off-the-Land სტრატეგიებზე, ანუ ეს ნიშნავს რომ კიბერსივრცე არის განზომილება სადაც თავდამსხმელები იყენებენ ლეგიტიმურ სისტემურ ინსტრუმენტებს თავიანთი მოქმედების დაფარვისათვის. შესაბამისად, კიბერუსაფრთხოება აღარ წარმოადგენს მხოლოდ IT-პრობლემას - ის მოითხოვს მთლიანი სახელმწიფო ინსტიტუციების, კერძო სექტორის და საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივ და კოორდინირებულ მოქმედებებს.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა გახლავთ ასიმეტრიული საფრთხეების ბუნების ცვლილება: მცირე რესურსების მქონე აქტორებმა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მოახერხეს არაპროპორციული ზიანის მიყენება, რაც ტრადიციულ ძალთა ბალანსს ცვლის. ამ პროცესში განსაკუთრებით გამოჩნდა ატრიბუციისა და პასუხისმგებლობის სამართლებრივი ნაკლებობებიდან წარმოებული პოლიტიკურ-ტაქტიკური პრობლემები: მტკიცებულებების დეგრადაცია, სამართლებრივი სპექტრის ბუნდოვანება და საერთაშორისო ნორმების არარსებობა ზრდის ესკალაციის რისკს და ამსხვრევს ეფექტური, კანონმდებლური რეაგირების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, 2008 წლის შემთხვევის შეზღუდული სამართლებრივი რეაგირებისა და 2022–2024 წლების ომის დროს ტექნიკურმა მხარდაჭერამ ერთნაირი პერსპექტივით დააფიქსირა ორი არჩევანი - ტექნიკური და დიპლომატიური მექანიზმების გაძლიერება ან ნორმატიული უთანაბრობის შენარჩუნება, რომელსაც მოჰყვება მაღალი არასტაბილურობა.

ამ ყველაფრიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა რომ განხილული საკითხი გვთავაზობს მრავალსაფეხურიან მიდგომას: ტექნიკური ზომები (სისტემატური პაჩ-მენეჯმენტი, ქსელური სეგმენტაცია და OT/IT იზოლაცია, EDR/XDR და SIEM სისტემები) უნდა იყოს ინტეგრირებული ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგიაში. თუმცა ტექნიკური შესაძლებლობების მხოლოდ განვითარება არასაკმარისია - აუცილებელია ინფორმაციულ, სამართლებრივ და მმართველობით ცვლილებებთან ჰარმონიზაცია: ინციდენტების

სწრაფი გამოძიების პლატფორმების შექმნა, დამოუკიდებელი საერთაშორისო ჯგუფების მხარდაჭერა, და მუდმივი სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის შესრულებით. კვლევამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია supply-chain მოწყვლადობებსა და კერძო კომპანიების როლზე: თანამედროვე თავდასხმების დიდი ნაწილი მიმართულია მესამე მხარის უზრუნველყოფაზე, ამიტომ საჯარო-კერძო პარტნიორობის დახვეწა და პროვაიდერებთან რისკების მენეჯმენტი პოლიტიკური და ოპერაციული ცენტრი უნდა გახდეს.

ნორმატიულ და დიპლომატიურ ჭრილში აუცილებელია დიდი ყურადღების მიქცევა ატრიბუციის მექანიზმების დახვეწაზე და საერთაშორისო ნორმების ჩამოყალიბებაზე, რომელიც შეძლებს გამოავლინოს „წითელი ხაზები“ (მაგალითად: სამოქალაქო კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიზნებისაგან დაცვა) და უზრუნველყოს სამართლებრივი საფუძველი პროპორციული და ლეგიტიმური პასუხისთვის. ეს პროცესი უნდა მოიცავდეს როგორც binding, ისე non-binding ინსტრუმენტების კომბინაციას - პირველი უზრუნველყოფს მკაფიო სამართლებრივ შეზღუდვებს და პასუხისმგებლობებს, მეორე კი მოქნილ პლატფორმას დიპლომატიური გადაწყვეტილებებისათვის და ტექნიკური თანამშრომლობისთვის. განხილული იყო ასევე სწრაფი, რეგიონული საერთო მხარდაჭერის მექანიზმების და 24/7 ტექნიკური ჰაბების საჭიროება, რომლებიც დაზარალებულ მხარეში მომენტალურად უზრუნველყოფენ ექსპერტულ და ლოჯისტიკურ დახმარებას.

საზოგადოებრივი და ინფორმაციული მდგრადობა ერთ-ერთი უცვლელი რეკომენდაციაა: დეზინფორმაციისა და პოლიტიკური მანიპულაციის წინააღმდეგ მხოლოდ ტექნიკური საშუალებები არ მუშაობს. სახელმწიფოს დონეზე საჭიროა საზოგადოებრივი კომუნიკაციის გამჭვირვალე პოლიტიკა, მედიასთან შესაბამისი სამუშაო პროგრამები, fact-checking ინფრასტრუქტურების გაძლიერება და კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი, ხოლო დამაჯერებელი საჯარო ინფორმაციის მიწოდების მენეჯმენტი. ეს კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმნიშვნელო სახელმწიფოებსა და საზოგადოების მაღალი მგრძნობელობის პირობებში, სადაც ინფორმაციის ნაკლებობა ან მცდარი ინფორმაცია ხელს უწყობს პანიკის და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას.

საერთო ჯამში, შედეგები მიუთითებს შემდეგზე: კიბერუსაფრთხოება არის მრავალგანზომილებიანი გამოწვევა, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ ინსტიტუციურ, იურიდიულ და საზოგადოებრივ ცვლილებებს. სახელმწიფოს შეუძლია დაიცვას თავისი უსაფრთხოება მხოლოდ მაშინ, როცა კიბერ კრიზისს პასუხობს «მთლიანი საზოგადოების» პრიზმიდან - ადეკვატური ტექნიკური დაცვისგან დაწყებული, სამართლებრივი სტანდარტების დანერგვითა და საერთაშორისო ნორმების ჩამოყალიბებით დასრულებული. ამ მონაპოვრების გარეშე, ასიმეტრიული საფრთხეები გააგრძელებენ გავლენის ზრდას და იქნებიან საფუძველი როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ არასტაბილურობათა გაფართოებისა. ამისათვის კი აუცილებელია კოორდინირებული, პრაქტიკული და დროული მოქმედებები. მხოლოდ ასეთი მრავალმხრივი რეფორმა გახდის შესაძლებელს კიბერუსაფრთხოების თანმიმდევრულ და მდგრად განვითარებას თანამედროვე სამხედრო-პოლიტიკურ რეალობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზედელაშვილი, თ. 2023. “კიბერშესაძლებლობები და გლობალური უსაფრთხოების ახალი გამოწვევები.” <https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/482400/1/KibershesadzleblobebiDaGlobaluriUsaftrixoebisAxaliGamowvevebi.pdf?utm>.
2. კობა ლიკლიკაძე. 2013. “როგორი წესებით უნდა ვიომოთ კიბერომში?” რადიო თავისუფლება, <https://www.radiotavisupleba.ge/a/military-programm/24950058.html>.
3. საქართველოს მთავრობა, 2021. „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია“, საქართველო, თბილისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0>
4. Almalawi, A., Hassan, S., Fahad, A., Iqbal, A. and Khan, I. A. 2025. “Hybrid Cybersecurity for Asymmetric Threats: Intrusion Detection and SCADA System Protection Innovations.” *Symmetry* 17 (4): 616–16. <https://doi.org/10.3390/sym17040616>.
5. Aos, M., Qolomany, B., Gyorick, K., Abdo, B. J., Aledhari, M., Qadir, J., Carley, K., and Al-Fuqaha, A. 2025. “A Survey of Social Cybersecurity: Techniques for Attack Detection, Evaluations, Challenges, and Future Prospects.” *Computers in Human Behavior Reports* 18 (100668): <https://doi.org/10.1016/j.chbr.2025.100668>.
6. Anna-Maria, O. and Rõigas, H. 2016. “International Cyber Norms Legal, Policy & Industry Perspectives.” https://ccdcoe.org/uploads/2018/10/InternationalCyberNorms_full_book.pdf.
7. Chitadze, N. 2023. “IRMA-International.org: Cyber Security Policies and Strategies of the World’s Leading States (9781668488461)(1668488469)(9781668488478): Nika Chitadze: Books.” Irma-International.org. https://www.irma-international.org/book/cyber-security-policies-strategies-world/316140/?utm_source=chatgpt.com.
8. Chitadze, N. 2022. “Cyber Warfare – New Threat for National and International Security and Transformation of the Conflicts under the Conditions of the New Geopolitical Order.” *Journal of Social Sciences* 7 (2): 70–76. <https://doi.org/10.31578/jss.v7i2.120>.
9. Eduard, K. 2023. “A Year of Conflict: Cybersecurity Industry Assesses Impact of Russia-Ukraine War.” SecurityWeek, <https://www.securityweek.com/one-year-of-russia-ukraine-war-cybersecurity-industry-sums-up-impact/>.
10. Gesley, J. 2016. “Cyber Warfare: Military Cross-Border Computer Network Operations under International Law. By Johann-Christoph Woltag. Cambridge, Antwerp, Portland: Intersentia Publisher, 314. ISBN: 978-1780682266.” *International Journal of Legal Information* 44 (1): 61–62. <https://doi.org/10.1017/jli.2016.9>.
11. James, K., Ahmad, A., and Scheepers, R. 2022. “Adopting and Integrating Cyber-Threat Intelligence in a Commercial Organisation.” *European Journal of Information Systems* 32 (1): 1–17. <https://doi.org/10.1080/0960085x.2022.2088414>.

12. Lomidze, N. 2022. "Cyber Security Challenges in Georgia". *Georgian Scientists* 4 (3):120-33. <https://doi.org/10.52340/gS.2022.04.03.15>.
13. Laura S, T., O Sami, S. and Farrell, D. 2024. "Cyberwar Strategy and Tactics: An Analysis of Cyber Goals, Strategies, Tactics, and Techniques." ArXiv.org. 2024. <https://arxiv.org/abs/2406.00496>.
14. Lex, C. 2024. "Technical Deep Dive: Understanding the Anatomy of a Cyber Intrusion | MITRE-Engenuity." Medium. MITRE-Engenuity. <https://medium.com/mitre-engenuity/technical-deep-dive-understanding-the-anatomy-of-a-cyber-intrusion-080bddc679f3>.
15. Mostofa, A., Nygard, E. K., Gomes, R., Chowdhury, M. M., Rifat, N. and Connolly, F J. 2022. "Cybersecurity Threats and Their Mitigation Approaches Using Machine Learning—a Review." *Journal of Cybersecurity and Privacy* 2 (3): 527–55. <https://doi.org/10.3390/jcp2030027>.
16. Mikael, W., Nilsson, N., Palmertz, B., and Thunholm, P. 2021. Hybrid Warfare: Security and Asymmetric Conflict in International Relations. London: I.B. Tauris,. <http://dx.doi.org/10.5040/9781788317795>.
17. NATO. 2016. "Cyber Defence Pledge." NATO. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133177.htm?utm.
18. NATO. 2021. "North Atlantic Treaty Organization Wwww.nato.int/Factsheets Factsheet NATO Cyber Defence." https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/4/pdf/2104-factsheet-cyber-defence-en.pdf.
19. Shekeladze, A. 2022. "GEORGIAN EXPERIENCE of DEVELOPING CYBER CAPABILITIES in the DEFENCE FIELD." https://jodrm.eu/wp-content/uploads/2025/04/02-Shekeladze.pdf?utm_source=chatgpt.com.
20. Sevis K. N. and Seker, E. 2016. "Cyber warfare: terms, issues, laws and controversies," 2016 International Conference On Cyber Security And Protection Of Digital Services (Cyber Security), London, UK, doi: [10.1109/CyberSecPODS.2016.7502348](https://doi.org/10.1109/CyberSecPODS.2016.7502348)
21. Vicens, AJ. 2022. "Ukraine Warns of 'Massive Cyberattacks' Coming from Russia on Critical Infrastructure Sites." CyberScoop. September 26, 2022. <https://cyberscoop.com/ukrainians-warn-of-massive-cyberattacks/>.
22. Weissmann, M., Nilsson, N., 2024. "Russian Warfare and Influence." *Bloomsburycollections.com* 1 (978-1-3503-3524-0). <https://doi.org/b-9781350335257>.
23. Woltag, J. C. 2014. *Cyber Warfare: Military Cross-Border Computer Network Operations under International Law*. of *International Law*. Intersentia.
24. Yuan, T. L. 2024. "Asymmetry in the Digital Age: Cyber Deterrence Strategies for Small States." *Journal of Strategic Security* 17 (4): 71–88. <https://doi.org/10.5038/1944-0472.17.4.2268>.
25. Zeeshan, F. 2025. "Cyber Warfare and International Security: A New Geopolitical Frontier." *The Critical Review of Social Sciences Studies* 3 (2): 513–27. <https://doi.org/10.59075/k9cbhz04>.

აფხაზეთისა და ცხინვალის სამხედრო ოპერაციების ისტორიული ქრონიკა და სტრატეგიული ინტერპრეტაცია

შალვა დურგლიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

Shalva.durglishvili@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-9149-5047>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.10

აბსტრაქტი

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები წარმოადგენს, რომელმაც არა მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე, არამედ რეგიონულ უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ურთიერთობებზეც მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა. კონფლიქტების ფარგლებში განხორციელებული სამხედრო ოპერაციები ასახავს როგორც სამხედრო-სტრატეგიულ მიდგომებს, ისე პოლიტიკური ინტერესების შეჯახებებს.

მოვლენების ქრონოლოგიური აღწერა და ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან იძლევა შესაძლებლობას გავაანალიზოთ სამხედრო ქმედებების ლოგიკა, შედეგები და სტრატეგიული გავლენა საქართველოს უსაფრთხოებაზე. კვლევა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, აფხაზეთსა და ცხინვალში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების ქრონიკის სისტემატიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, მათი სტრატეგიული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი ემყარება ისტორიულ ფაქტებსა და წყაროებს, რითაც შესაძლებელი ხდება სამხედრო ტაქტიკებისა და ოპერაციების შეფასება როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოების დონეზე.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, ცხინვალი, სამხედრო ოპერაციები, კონფლიქტი, ისტორიული ქრონიკა

Historical Chronicle and Strategic Interpretation of the Military Operations in Abkhazia and Tskhinvali

Historical Chronicle and Strategic Interpretation of the Military Operations in Abkhazia and Tskhinvali

Shalva Durglishvili

Doctoral student in Political Science at Caucasus International University

Shalva.durglishvili@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-9149-5047>

Abstract

One of the major challenges in Georgia's modern history is the conflicts in Abkhazia and Tskhinvali, which have significantly affected not only the country's territorial integrity but also regional security and international relations. The military operations carried out within the framework of these conflicts reflect both military-strategic approaches and the clash of political interests. A chronological description and analysis of the events is essential, as they allow us to understand the logic behind military actions, their outcomes, and their strategic impact on Georgia's security. The aim of this study is, on the one hand, to systematize the chronicle of military operations conducted in Abkhazia and Tskhinvali, and on the other hand, to explore the possibilities of their strategic interpretation. The analysis presented in this article is based on historical facts and sources, making it possible to assess military tactics and operations at the national, regional, and international security levels.

Keywords: Abkhazia, Tskhinvali, military operations, conflict, historical chronicle

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სამხედრო ოპერაციების ისტორიული ქრონიკის ანალიზი; კონფლიქტების სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამოყოფა საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების კონტექსტში.

კვლევის ამოცანებია შიდა და გარე ფაქტორების გავლენის ანალიზი (რუსეთის როლი, საერთაშორისო რეაქციები, საქართველოს სამხედრო რესურსები); ისტორიული გამოცდილების საფუძველზე უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიული დაგეგმვისათვის რელევანტური დასკვნების გამოტანა.

კვლევის მეთოდოლოგია

საკითხის კვლევისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები:

- კონტენტ-ანალიზი

- ისტორიული ანალიზი
- შემთხვევის ანალიზი (Case study)
- ანალიტიკური ანალიზი

კვლევის თეორიული ჩარჩო

ძალთა ბალანსის თეორია – ძლიერი სახელმწიფოები ურთიერთდაბალანსებას ცდილობენ ან საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო რესურსების გამოყენებით ანდა ისეთი ალიანსების სისტემების განვითარებით, რომელთაც მოწინააღმდეგე ძალების დაბალანსება შეუძლია.¹⁰⁵

საერთაშორისო უსაფრთხოების თეორია – თეორიის როლს და საჭიროებას საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებენ, განსაკუთრებით პრაქტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები. მიუხედავად ამისა, თეორიას აქვს თავისი ადგილი და დატვირთვა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების შესწავლის და განჭვრეტისთვის.¹⁰⁶

რეალიზმის თეორია – პოლიტიკური რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია, რომლის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლო ძირითადი რეგულატორი ძალთა წონასწორობა, რასაც ემორჩილება და საერთაშორისო სამართალი.¹⁰⁷

სექურიტიზაციის თეორია – რომელიც კოპერჰაგენის სკოლასთან არის დაკავშირებული და საკითხის კვლევისთვის მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს მოვლენისა და შედეგის ახსნისთვის. საკითხი უსაფრთხოებად არ იქცევა თავისთავად, არამედ აქტორების დისკურსის შედეგია, ვინაიდან პოლიტიკური ან სხვა აქტორი, როდესაც აცხადებს, რომ კონკრეტული საკითხი წარმოადგენს არსებით საფრთხეს იგი ამგვარად ამართლებს საგანგებო ზომებს.¹⁰⁸

¹⁰⁵ პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები მეხუთე გამოცემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი – 2014 წელი.

¹⁰⁶ ეკა აკობია საერთაშორისო ურთიერთობების თეორია მომზადებულია სოციალურმეცნიერებათა ცენტრის აკადემიური სტიპენდიის საფუძველზეთბილის- 2006 წელი.

¹⁰⁷ სარედაქციო კოლეგია: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომც.: ლაშა ბერაია სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარი, თბ., ლოგოს პრესი, 2004 წელი.

¹⁰⁸ Barry Buzan, Ole Wæver, Jaap de Wilde, Security: A New Framework for Analysis (1998).

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული სამხედრო ოპერაციები (1990-იანი წლებიდან დღემდე) და მათი ისტორიული ქრონიკა, სამხედრო-სტრატეგიული თვასაზრისით.

კვლევის ობიექტია საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკური მოქმედებები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე კონფლიქტში ჩართული ძალების (რუსეთის, ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირებებისა და საერთაშორისო აქტორების) სამხედრო შესაძლებლობები და გავლენა.

სამეცნიერო სიახლე

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩატარებული სამხედრო ოპერაციების ისტორიული ქრონიკის შექმნა, რომელიც სტრუქტურირებული იქნება როგორც დროის, ისე სტრატეგიული ანალიზის ჭრილში.
- კონფლიქტების მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების სისტემისთვის

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამ, რუსეთის მხრიდან კონფლიქტების წარმოქმნასა და გაღვივებას შეუწყო ხელი, რაც გამოიხატა აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერაში. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ჯერ აფხაზეთში და შემდგომ ცხინვალში განვითარებული სამხედრო დაპირისპირებები საომარ ქმედებებში გადაიზარდა, რამაც ცვლილება გამოიწვია რეგიონში პოლიტიკურ ლანდშაფტზე და იქონია ცვლილება მის დინამიკაზეც. სეპარატისტულმა მოქმედებებმა რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების აქტიური ჩართულობით ქართული მხარის წინააღმდეგ, მიიღო მაღალი ესკალაციის სახე და გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს შორის ფართო მასშტაბიან ომში. 1992-1993 წლების აფხაზეთისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ საქართველომ მთლიანად დაკარგა კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე. კრემლმა ეს რეგიონები „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ გამოაცხადა, რასაც მოჰყვა ეთნიკური წმენდა, რომლის შედეგად რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული იქნა საქართველოს ტერიტორიის 20%. ამის შემდგომ განხორციელდა ოკუპირებული ტერიტორიების არალეგიტიმური დემარკაცია და დაწესდა მკაცრი სასაზღვრო კონტროლი.

საქართველოსთვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და მისი მოგვარების მექანიზმები დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. საჭიროა სიღრმისეულად იქნეს

შესწავლილი აღნიშნულ კონფლიქტებში განხორციელებული სამხედრო ოპერაციები ქრონოლოგიურად და მოხდეს მისი სტრატეგიული ინტერპრეტაცია

საქართველოში არსებულ კონფლიქტებს დრმა ისტორიული ფესვები აქვს, რომელსაც საფუძველი საბჭოთა კავშირის არსებობისას ჩაეყარა და გაღვივდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ისტორიული ნარატივი მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა, როდესაც რუსულ-აფხაზური და რუსულ-ოსური ინტერესებით პროვოცირებული დაპირისპირება კონფლიქტებში გადაიზარდა და აფხაზურმა და ოსურმა პრეტენზიებმა თავიანთი სამართლიანობის წარმოჩენისთვის ისტორიული რეალობის გაყალბება დაიწყო.

კონფლიქტის ქრონოლოგია დაიწყო 1978 წლიდან, რომელიც შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა, თუმცა 1990 წელს პარიზის ხელშეკრულებით,¹⁰⁹ რომელმაც „ფლანგური შეზღუდვები“ დააწესა, რუსეთი იძულებული გახდა, შეთანხმება კეთილსინდისიერად შეესრულებინა და თავისი იარაღის მარაგი 19 953 ერთეული ტანკით, 4 328 ერთეული ქვეითი საბრძოლო მანქანით, 397 ერთეული არტილერიით, 726 ერთეული საბრძოლო თვითმფრინავით და 60 ერთეული სამხედრო შვეულმფრენით შეემცირებინა სსრკს ტერიტორიაზე. მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშალა რუსეთის ფედერაცია, როგორც საბჭოთა კავშირის იურიდიული მემკვიდრე, უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთმა საკუთარი დიპლომატიური შეცდომა ძალიან გვიან გააცნობიერა და მის გამოსასწორებლად სერიოზული ბრძოლა დაიწყო. მან სარჩელი შეიტანა საერთაშორისო სასამართლოში და დაიწყო მოლაპარაკებები პარიზის შეთანხმების შეჩერების თაობაზე, რასაც მოჰყვა დასავლეთის ლიდერების მტკიცე უარი. ყოველთვის დიდი ინტერესი იყო რუსეთის სამხედრო ძალების კავკასიის რეგიონში კონცენტრირება, რადგან რუსეთის საზღვრებთან და თავად რუსეთის ტერიტორიაზეც, შეიარაღებული კონფლიქტის რამდენიმე კერა უკვე არსებობდა. ეს, პირველ რიგში, ოსეთ-ინგუშეთსა და ჩეჩნეთს ეხება, სადაც რუსეთს ნამდვილად სჭირდებოდა ძალების კონცენტრირება. მოსკოვს ასევე დიდი ინტერესი ქონდა სამხრეთ კავკასიაში არსებულ კონფლიქტები აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში (ე.წ.სამხრეთ ოსეთში) და ყარაბაღში გაღვივებინა და არ დაეკარგა რეაგირება და კონტროლი.

რით დაიწყო კონფლიქტი აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში?

1991 წლის 4 იანვარს გავრცელდა ინფორმაცია, ქართველი პოლიციელის ცემისა ცხინვალში და პოლიციის განყოფილებას წაუყენეს მოთხოვნა იარაღის ჩაბარების შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1991 წლის 5 იანვრის საღამოს, 3000 კაციანი

¹⁰⁹ პარიზის ხელშეკრულება და საქართველოს ხელისუფლება., 06.12.2019, EXPERTI.GE, დავით გამცემლიძე, <https://surl.li/sjeyyz>.

ჯგუფი შევიდა ცხინვალში თბილისიდან, რომლის ხელმძღვანელობამაც სეპარატისტულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს იარაღის ჩასაბარებლად 24 საათიანი ვადა მისცა¹¹⁰.

1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში, ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის უმაღლესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარე ბორის ელცინს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც ხელი მოეწერა ოქმს, რომლის მიხედვითაც, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, შექმნიდნენ ერთობლივ მილიციის დანაყოფს, რომელიც განაიარაღებდა ყოფილ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე არსებულ ყველა უკანონო ბანდფორმირებებს. თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ, „რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ“ საქართველოს მთავრობას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიის“ აღდგენა მოსთხოვა. ყრილობის სახელით, ბორის ელცინმა ასევე მიმართა სსრკ-ის უზენაეს საბჭოს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ნორმალური ვითარების აღსადგენად ზომების მისაღებად.¹¹¹

1991 წლის იანვარიდან 1992 წლის ივნისამდე იყო კონფლიქტის აქტიური ფაზა. ამ პერიოდში მიიღო საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტიც, ე. წ. „სამხრეთ ოსეთმა“ კი ჯერ ჩაატარა რეფერენდუმი ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მოთხოვნით, შემდეგ კი გამოაცხადა დამოუკიდებლობა. საქართველოს მთავრობამ დააკავა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტი ტორეზ კულუმბეგოვი. ამ დროსვე საქართველოში მდგომარეობა დაიძაბა და ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს. სამხედრო საბჭომ, რომელმაც ზ. გამსახურდია შეცვალა, დაკავებული კულუმბეგოვი გაათავისუფლა, თუმცა, თბილისის პოზიცია ე. წ. „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 1992 წელს ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა „დაგომისის შეთანხმებით“ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლიც ითვალისწინებდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისას, უნდა შექმნილიყო ერთობლივი კონტროლის კომისია, სადაც ცალკე მხარეებად უნდა შესულიყვნენ რუსეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი და საქართველო. იმავე შეთანხმების საფუძველზე, ცხინვალში განლაგებულიყო უუთოს სადამკვირვებლო მისია.¹¹² უუთოს, კონფლიქტის მოგვარების შესახებ მოლაპარაკებების ხელშეწყობის მანდატი ჰქონდა, რომელმაც შემდგომ დამატებითი ფუნქციები შეიძინა.

1992 წლის აფხაზეთის ომის მოვლენები – სამოქალაქო ომმა თითქმის მთლიანად გაანადგურა ისედაც სუსტი, ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფო. თავის მხრივ, საქართველოს დედაქალაქში არსებულმა ქაოსმა და კრიზისმა კარი

¹¹⁰ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, თბილისის ფორუმი ქართული ფორუმის ძალა <https://surl.li/yldyiw>.

¹¹¹ ნათია ჯიბლაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, ნიკა ლოლაძე, ბორდერიზაცია და ქართულ-ოსური ურთიერთობები ოკუპირებულ რეგიონებში, 2022. საქ. ერ. სამეც. ფონდი. გვ 227.

¹¹² Survey of OSCE Field Operations 26.08.2020, <https://surl.li/ysazlo>.

გაულო და თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა რეგიონებში მოქმედ სეპარატისტულ მოძრაობებს. სამოქალაქო ომმა და არეულობამ პირდაპირი ზეგავლენა იქონია აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებაზე. უფრო მეტიც, მან პირდაპირი გავლენა მოახდინა აფხაზეთში კონფლიქტის მიმდინარეობაზე. იგი ასოცირდება სოხუმის დაცემასთან და მის მძიმე შედეგებთან, როგორცაა 300 000 ქართველის გაძევება აფხაზეთიდან, აფხაზეთის ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვა და დანგრეული ეკონომიკა.

საქართველოში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური კრიზისისა და სამოქალაქო ომის გამო, აფხაზეთის მიმდინარე პროცესები თბილისის ხედვის არეალის მიღმა დარჩა. ეს გარემოება, ერთი მხრივ, შეუძლებელს ხდიდა ცენტრისა და აფხაზეთის ქართული პოლიტიკური ჯგუფების კოორდინირებულ მოქმედებებს არძინბას რადიკალური ფრთის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო საბჭოს ლიდერმა, ედუარდ შევარდნაძემ, მასთან საქმიანი დიალოგის წარმოება არც კი სცადა. 1992 წლის 24 ივნისს, თბილისთან პარალელურად, სოხუმში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: აფხაზეთის გვარდია თავს დაესხა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას, ხოლო მინისტრი გივი ლომინაძე ძალით გადააყენეს თანამდებობიდან. ამ ქმედების შემდეგ, ძალოვანი უწყებები ფაქტობრივად სეპარატისტების ხელში აღმოჩნდა. ეს ფაქტი მთლიანად დაჩრდილა თბილისში მომხდარმა მოვლენებმა, რის გამოც რეაგირება დაგვიანებით, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 24 ივლისს, ვლადისლავ არძინბამ აღადგინა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია, რაც მის გამოყოფას ნიშნავდა დანარჩენი საქართველოსგან. თბილისში არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია, გარდა იმისა, რომ პარლამენტმა ეს აქტი უკანონოდ გამოაცხადა და გააუქმა.¹¹³ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, თითქმის ერთი საუკუნეა არსებობს და მას მრავალი განზომილება აქვს. საბჭოთა კავშირის არსებობისა და, შესაბამისად, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების პირობებში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, პოლიტიკური ელიტების დონეზე მიმდინარეობდა, ხოლო რიგითი მოსახლეობისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. 1980-იანი წლების მიწურულს, ცენტრის დასუსტებამ, კონფლიქტი სოციალურ დონეზე გადაიყვანა და 1989 წელს პირველი სისხლიანი დაპირისპირებაც მოჰყვა. 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველო ჩაერთო ომში, რომელში გამარჯვებაც შეუძლებელი იყო.¹¹⁴

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტსა და ქართულ-ოსურ კონფლიქტში შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენდა: **აფხაზურ მხარეს:** აფხაზეთის ეროვნული გვარდია (რომელიც შედგებოდა დაახლოებით 4000-5000 მებრძოლისგან), ბაგრამიანის ბატალიონი (რომელიც შედგებოდა დაახლოებით 1500 მებრძოლისგან), რუსეთი, ყუბანის სამხედრო კავშირით საზოგადოება, მოხალისე ღონის კავშირები, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია (ჩეჩენი მოხალისე 1000, ჩერქეზი მოხალისე

¹¹³ <https://socialjustice.org.ge/ka/products/1992-tseli-anu-rogor-itsqeboda-omi-afkhazetshi>, 1992 წელი.

როგორ იწყებოდა ომი აფხაზეთში.

¹¹⁴ <https://abkhazia.gov.ge/laravel-.pdf>.

ყაბარდო-ბალყანეთიდან 700-1500, ადიღელი მოხალისე 200, ოსი მოხალისე 150, ჩრდილო კავკასიელი მოხალისე 150) და დნესტრისპირელი მოხალისეები (რომელიც შედგებოდა დაახლოებით 60-90 მებრძოლისგან).¹¹⁵

ქართულ-ოსურ კონფლიქტში მონაწილე **ოსურ მხარეს წარმოადგენდა** 2004, 2008 წლების კონფლიქტში მონაწილე ჩრდილოეთ ოსური და რუსული სამშვიდობო ბატალიონები, რომელიც დაგომისის ხელშეკრულებით თითოეულ ბატალიონში (ისევე როგორც ქართულ სამშვიდობო ბატალიონშიც) უნდა ყოფილიყო ხუთასი სამხედრო მოსამსახურე, თუმცა, 2004 წლისთვის რუსულმა და ოსურმა მხარემ ეს ციფრი თითოეულმა გაზარდა ათასშვიდას სამხედრო მოსამსახურემდე (როდესაც ქართულ სამშვიდობო ბატალიონში ისევ ხუთასი იყო). ასევე ოსებს ჰყავდათ არარეგულარული ძალები – სახალხო რაზმი, რომლებიც დახლოებით შეადგენდნენ ორიათასხუთას მებრძოლს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის კულმინაცია 2008 წლის ომი გახდა. ამ დროს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა 2008 წლის მარტში და რუსეთმა დაიწყო საუბარი ცხინვალის ანუ ყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებაზე, ხოლო საქართველომ, თავის მხრივ, 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე¹¹⁶ კვლავ ოფიციალურად გამოაცხადა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილი.

2008 წლის ივლისში ცხინვალის რეგიონში სხვადასხვა ინციდენტი მოხდა. განხორციელდა მრავალი შეიარაღებული თავდასხმა, რამაც რამდენიმე ადამიანის სიკვდილი და დაშავება გამოიწვია. დაძაბულობის ესკალაციამ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია, რომელიც შემდგომ გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს ომში. 2008 წლის 7-8 ივლისს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ“ დააკავა 4 ქართველი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც 8 ივლისს გაათავისუფლეს. ამავე დღეს, ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია და გადმოკვეთა საქართველოს საჰაერო სივრცე. 2008 წლის 24-28 ივლისს აფეთქებები მოხდა ცხინვალის სამხრეთ გარეუბანში და საქართველოს მიერ კონტროლირებად სოფელ ავნევში. ამავდროულად, 2008 წლის ივლისში, რუსულმა მხარემ მასშტაბური სამხედრო წვრთნები ჩაატარა უშუალოდ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. ამავე პერიოდში საქართველოში პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით სამხედრო წვრთნები დაიწყო. ეს ყოველივე კონფლიქტის ესკალაციის მაღალი ფაზის მიღწევას უზრუნველყოფდა.

პირველი აგვისტოდან ქართულ და ოსურ მხარეებს შორის მცირე შეტაკებები გაგრძელდა, რაც პერიოდულად მსხვერპლით მთავრდებოდა. აგვისტოს დასაწყისში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ“ მოსახლეობის ევაკუაცია რუსეთის

¹¹⁵Transnistrian Volunteers in the Conflict of Abkhazia SPEKALI ELECTRONIC BILINGUAL SCHOLARLY PEER-REVIEWED JOURNAL SPEKALI OF THE FACULTY OF HUMANITIES AT IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY <https://surli.cc/cctszn>.

¹¹⁶ Bucharest to host 2008 NATO Summit, NATO, 27 April 2007.

ფედერაციაში დაიწყო. 4 აგვისტოს, ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს, როკის გვირაბის ტერიტორიაზე რუსული ბატალიონი განლაგდა. ბრძოლები 6 და 7 აგვისტოს გამწვავდა. 2008 წლის 7 აგვისტოს, ავნევის საკონტროლო პუნქტზე განლაგებული ქართული სამშვიდობო ძალები სამხრეთ ოსეთის მხრიდან ინტენსიურად დაიბომბა.

8 აგვისტოს ქართულმა ჯარებმა ცხინვალი დაიკავეს, მაგრამ რუსეთის თავდასხმების შემდეგ მალევე უკან დაიხიეს. 2008 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ ცალმხრივად გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ძალების გაყვანის შესახებ ცხინვალის რეგიონიდან.

2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის ქრონოლოგიური აღწერა ხელმისაწვდომია საქართველოში კონფლიქტის შესახებ დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის IIFMCG 2009 წლის ოფიციალურ ანგარიშში ე. წ. ტალიაზინის ანგარიში¹¹⁷.

კონფლიქტის მხარეებმა 2008 წლის 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელიც ევროკავშირის სახელით საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით განხორციელდა. შეთანხმების თანახმად, მხარეებმა უარი თქვეს ძალის გამოყენებაზე და საკუთარ დისლოკაციის ადგილებზე უნდა დაბრუნებულიყვნენ. 2008 წლის 15 აგვისტოს რუსეთის სამხედრო ძალებმა დაიწყეს საქართველოს ტერიტორიიდან გასვლა, თუმცა, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეიქმნა 20 კმ-იანი ე.წ. „ბუფერული ზონა“. 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გამოსცა ბრძანებულება აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების“ შესახებ.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ტალღა გამოიწვია. ომის შედეგად, ცხინვალის რეგიონიდან და მიმდებარე სოფლებიდან დაახლოებით 28 000-მდე ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლები. კონფლიქტის დროს ასობით მშვიდობიანი მოქალაქე და ჯარისკაცი დაიღუპა, ზოგი დღემდე დაკარგულად ითვლება. ამასობაში, საბრძოლო მოქმედებების შედეგად ბევრი ადამიანი დაშავდა. ომის დროს ასევე ფართოდ იყო გავრცელებული უკანონო დაკავებები, წამება და მოქალაქეების მიმართ სასტიკი მოპყრობა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთი ფაქტობრივად აკონტროლებდა საქართველოს სხვა რეგიონებსა და სოფლებს, მათ შორის ახალგორის რაიონს, ზემო აფხაზეთს, გორის რაიონის რამდენიმე სოფელს და საჩხერის რაიონის სოფელ პერევს. რუსეთის ფაქტობრივი კონტროლი ამ ტერიტორიებზე დღემდე შენარჩუნებულია. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 20% დაიკავა.

¹¹⁷ <https://smr.gov.ge/en/news/read/451/>.

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.“¹¹⁸ კანონი განსაზღვრავს რუსული აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსს და ადგენს მათ განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს. კანონის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედებს საგანგებო მდგომარეობა, ასევე სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის, უძრავი ქონების ტრანზაქციების და ამ კანონით განსაზღვრული სხვა საკითხების შეზღუდვას.¹¹⁹

2008 წლისათვის დე-ფაქტო ცხინვალის სამხედრო შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზარდა და შეიარაღებული ძალები დაახლოებით 3000 ადამიანს და დაახლოებით 15000 რეზერვისტს ითვლიდა. „სამხრეთ ოსეთის“ შეიარაღებას ჰქონდა: 87 ერთეული ტანკი: 75 ცალი T-72 და 12 ც. T-55, დაახლოებით 120 ერთეული ქვემეხი და ნაღმტყორცნი. მათ შორის 42 ერთეული თვითმავალი საარტილერიო ჰაუბიცა 122 მმ-იანი „გვოზდია“ და 55 მმ-იანი „აკაცია“, 30 ერთეული 122 მმ-იანი ჰაუბიცა, 40 ერთეული 122 მმ-იანი და 82 მმ-იანი ნაღმტყორცნები, 23 ცალი მრავლობითი სარაკეტო სისტემა BM-21 „გრადის“ ტიპისა და რამდენიმე საავტომობილო ბაზაზე მოწყობილი HUPC C-5-ისა და C-8-ის ბლოკები, 180 ერთეული ჯავშანმანქანა, მათ შორის 80 ცალი ქვეითი საბრძოლო მანქანა БМП-1 და БМП, დაახლოებით 85 ცალი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70 და БТР-80. საზენიტო შეიარაღება: 100 მმ-იანი საზენიტო ქვემეხები КС-19, ЗСУ-23-4 „შილკა“, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო სისტემები ПЗРК „იგლა“, 4 ერთეული Ми-8 შვეულმფრენი.¹²⁰

აღნიშნულ კონფლიქტებში საქართველოს მხრიდან მნიშვნელოვანი შეცდომები დაფიქსირდა: არასრული ლოჯისტიკა, ცუდი ინტეგრაცია. მიუხედავად იმისა, რომ 2004-2008 წლებში მოხდა შეიარაღების მოდერნიზაცია და განხორციელდა რეფორმები, საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი, რომელიც 2007 წლის დასაწყისში 500 მილიონ ლარს შეადგენდა, წლის ბოლოსთვის ზუსტად სამჯერ გაიზარდა ბიუჯეტის კანონში შეტანილი სამი ცვლილების გამო.¹²¹ ამიტომ 2007 წელს, დაჩქარებული ტემპით დაიწყო ყველაფრის მშენებლობა, შეკეთება და რეკონსტრუქცია, რაც სამხედრო ბალანსში შედიოდა. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიში განისაზღვრა საქართველოს თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან, სადაც აღნიშნულია, რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობა და ურთიერთობა უნდა იყოს დაფუძნებული თანასწორობის პრინციპზე და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე.

¹¹⁸ https://smr.gov.ge/uploads/prev/matsne_191_e42564ce.pdf.

¹¹⁹ გიგაური გ., საქართველოს უსაფრთხოების დილემები: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, თბილისი, 2010.

¹²⁰ Армия Грузии (отчет 2007). ГРУЗИЯ для всех. <https://surf.lu/pkhqzb>

¹²¹ <https://civil.ge/ka/archives/143886>

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ძირითადად რუსული მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა. კერძოდ, უნდა შეზღუდულიყო საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პერსპექტივა. რეგიონში ჰეგემონად რუსეთი უნდა დარჩენილიყო და გაემტკიცებინა გავლენები.

დასკვნა

რუსეთს ყოველთვის ჰქონდა საკუთარი გეოპოლიტიკური განზრახვები და მისწრაფებები არამხოლოდ საქართველოსთან, არამედ სრულიად სამხრეთ კავკასიის რეგიონში. 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის ინტერესები და რეგიონული ამბიციები იყო. მას არ შეეძლო შეგუებოდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილს, რადგან რუსეთის პრეზიდენტი ამ ფაქტს საკუთარი ქვეყნის პირდაპირ საფრთხედ აღიქვამდა. ამ მიზნების მისაღწევად და თავისი განზრახვების განსახორციელებლად, მან არ დააყოვნა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ხელშეკრულებების დარღვევა. შესაძლებელი იყო თუ არა ომის თავიდან აცილება? დღევანდელი გადასახედიდან, ჩვენი აზრით, აგვისტოს ომის თავიდან აცილება შეუძლებელი არ იყო, რადგან არ ველოდი, რომ საქართველოს მაშინდელი მთავრობა მარტივად აჰყვებოდა პროვოკაციას. ხელისუფლებას, რომ სიფრთხილე გამოეჩინა მოვლენები შეიძლებოდა სხვაგვარად განვითარდებოდა.

უახლესმა ისტორიამ გვაჩვენა, რომ დასავლეთისკენ სწრაფი და მკვეთრი ნაბიჯები რეალურად არ იწვევს ხელსაყრელ შედეგებს, მით უმეტეს, რომ რუსეთი აქამდე თავს იკავებდა რადიკალური ზომების მიღებისგან. მრავალწლიანმა პოლიტიკურმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ დასავლეთის ან ჩრდილოეთისკენ უსისტემო და მკვეთრი ნაბიჯები საქართველოსთვის სასარგებლო არ იქნება. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობას ყველა ღონე უნდა ეხმარა, რათა „მეზობლების“ ან „მეგობრების“, ურთიერთობების მოგვარების პერსპექტივების მიმართ დაბალანსებული პოლიტიკა გაეტარებინა, რომელიც გააზრებული გეოპოლიტიკური პოზიციის გამოყენებით უნდა განხორციელდებოდეს. ფაქტია, რომ საქართველო ერთგვარი სივრცითი ობიექტია, სადაც მსოფლიოს მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტორთა ინტერესების გადაკვეთა ფიქსირდება, რაც, ბუნებრივია, ზრდის ქვეყნის უსაფრთხოების რისკებს. რეგიონში გავლენის გასაძლიერებლად პოზიციების განმტკიცების მცდელობისას, ჩვენმა ქვეყანამ ეს უნდა გაითვალისწინოს და სიფრთხილით იმოქმედოს.

დღემდე, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დე-ფაქტო დამოუკიდებელ ტერიტორიებად ითვლებიან, თუმცა, მათი დამოუკიდებლობა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ აღიარა. საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო თანამეგობრობა მათ საქართველოს განუყოფელ ნაწილებად მიიჩნევენ. რუსეთის სამხედრო ყოფნა ამ

რეგიონებში კვლავაც გრძელდება, რაც რეგიონში სტაბილურობის მიღწევას ართულებს.

რუსეთისთვის აფხაზეთი და ოსეთი წარმოადგენენ ინსტრუმენტს რუსეთისათვის საქართველოს წნეხისთვის. და სწორედ ამ რეგიონებიდან განახორციელებს სამხედრო, ლოჯისტიკურ, სადაზვერვო კუთხით საქართველოს კონტროლს.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი სამხედრო ოპერაციები განიხილება არა მხოლოდ როგორც ადგილობრივი კონფლიქტები, არამედ როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. ამ ომებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამხრეთ კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ეთნიკურ კონფლიქტებსა და სახელმწიფოთა შორის ძალთა ბალანსზე. კონფლიქტები გამოიყენეს რუსეთის მხრიდან როგორც გეოპოლიტიკური ბერკეტი, რათა შეენარჩუნებინა გავლენა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის სივრცეში. აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხი ასევე წარმოაჩენს „გაყინული კონფლიქტების“ პრობლემატიკას საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც ასახავს გლობალური უსაფრთხოების პარადიგმების სისუსტეს (გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიანობის პრობლემა). მნიშვნელოვანად მიგვაჩნია კონფლიქტების დარეგულირება გეოპოლიტიკურ ჭრილში, რათა შემდგომში არ მოხდეს საქართველოს როგორც სატრანზიტო დერეფნის როლის დასასუსტება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akobia E., (2006), *Saertashoriso urtiertobebis teoria* [Theory of international relations]. Prepared with the support of the Center for Social Sciences, Tbilisi.
2. *Armia Gruzii, (otchet 2007)*, [The Army of Georgia – 2007 report], (n.d.), *Gruziya dlya vsekh*, <https://surl.lu/pkhqzb>
3. Buzan B., Wæver O. & de Wilde J., (1998), *Security: A new framework for analysis*, Lynne Rienner Publishers.
4. Chichinadze T., (2015), *Ruset-Sakartvelos omebi da samkhedro-strategiuli gamotsvevebi* [Russo-Georgian wars and military-strategic challenges], Tbilisi: Ilia State University.
5. Civil Georgia, (n.d.), <https://civil.ge/ka/archives/143886>.
6. de Senarclens P. & Arifeni I., (2014), *Saertashoriso politika: Tanamedrove teoriebi da amotsanebi* (5th ed.), Tbilisi: Ilia State University.
7. Dvali G., (2013), *Sakartvelos erovnuli usaftrtkhoebis politika da konfliktebi* [Georgia's national security policy and conflicts], Tbilisi: TSU.
8. Gamtsmelidze D., (2019, December 6), *Parizis khelshekruleba da Sakartvelos kheli supleba* [The Paris Agreement and the Georgian Government], Expert. ge., <https://surl.li/sjeyyz>

9. Gigauri G., (2010), *Sakartvelos usaftrtkhoebis dilemebi: Apkhazeti da Samkhret Oseti* [Georgia's security dilemmas: Abkhazia and South Ossetia], Tbilisi.
10. Government of Abkhazia-in-exile, (n.d.), <https://abkhazia.gov.ge/laravel-.pdf>.
11. Jibladze N., Janiashvili L. & Loladze N., (2022), *Borderization and Georgian-Ossetian relations in the occupied regions*, Georgian National Science Foundation.
12. Kodua E., Beraia L., (Ed.), & Editorial Board, (2004), *Sotsialur da politikur terminta leksikoni-tsnobari* [Lexicon of social and political terms], Tbilisi: Logos Press.
13. Nanuashvili U., (Ed.), (2009), *Agvistos omi: dokumentebi da analizi* [August war: Documents and analysis], Tbilisi.
14. NATO, (2007, April 27), *Bucharest to host 2008 NATO Summit*, <https://surli.li/sievyz>
15. Social Justice Center, (n.d.), *1992 ts'eli: Rogor its'qeboda omi Apkhazetshi* [1992: How the war in Abkhazia began], <https://socialjustice.org.ge/ka/products/1992-tseli-anu-rogor-itsqeboda-omi-afkhazetshi992-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>.
16. State Ministry for Reconciliation and Civic Equality of Georgia, (n.d.), <https://smr.gov.ge/en/news/read/451/>.
17. State Ministry for Reconciliation and Civic Equality of Georgia, (n.d.), *Matsne #191*, https://smr.gov.ge/uploads/prev/matsne_191_e42564ce.pdf.
18. *Transnistrian volunteers in the conflict of Abkhazia*, (n.d.), *SPEKALI Electronic Bilingual Scholarly Peer-reviewed Journal*, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University <https://surli.cc/cctszn>.

ირანის ბირთვული პროგრამა გლობალურ და რეგიონულ პოლიტიკაში**მაია კაპანაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარული ფაკულტეტი ასოც. პროფესორი

maiakapanadze@gmail.comORCID iD: <https://orcid.org/0000-0002-7460-5374>**თამარ აბრალავა**

სამართალმცოდნეობის მაგისტრი

tabralava@gmail.comORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-1886-1886>**ავთანდილ ონიაშვილი**

საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი.

avtooniashvili@gmail.comORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-1885-260X>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.11

აბსტრაქტი

ირანის ბირთვული პროგრამა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ უსაფრთხოებაზე. ქვეყნების ნაწილი შიშობს, რომ მასზე მუშაობას შესაძლოა, მოჰყვეს ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა. ირანის ბირთვული საქმიანობა, განსაკუთრებით ისლამური რევოლუციის შემდეგ, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე შეშფოთების მიზეზი გახდა, რადგან ამ რევოლუციის შედეგად ეს ქვეყანა პროდასავლური, სეკულარული მონარქიიდან შიიტურ ისლამურ რესპუბლიკად გადააქცია. ამან კი მნიშვნელოვნად შეცვალა ირანის საგარეო პოლიტიკური კურსი და ასევე მისი როლი გლობალურ პოლიტიკაში. ირანის ისლამური რესპუბლიკის საწყის ეტაპზე დროებით შენელდა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა. ირანის მიერ ბირთვული პროგრამის შექმნის წამოწყებაში თავის დროზე დიდი როლი ითამაშეს დასავლეთის ქვეყნებმა, ისლამური რევოლუციის შემდეგ კი, იმავე დასავლეთის მხრიდან ირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის განახლება აღქმულ ქნა, როგორც საფრთხისშემცველი მოვლენა, არა მხოლოდ რეგიონის, არამედ დანარჩენი მსოფლიოსთვისაც.

ირანი საინტერესო ქვეყანაა მისი რეგიონული და მსოფლიო დონის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის საკითხისადმი ინტერესიც, ბუნებრივია, დიდია. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ირანი დიდ გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უსაფრთხოებასა და მის პოლიტიკურ დღის წესრიგზე. წლების წინ ბირთვულ პროგრამაზე შეთანხმების მიღწევით თითქოს ეს პრობლემა მოგვარდა, მაგრამ შეთანხმების მიღწევიდან სამი წლის შემდეგ მდგომარეობა კვლავ გართულდა.

არის გარკვეული მიზეზები, რაც ქმნის პრობლემას ირანის ბირთვული პროგრამის ხელახლა შეთანხმების მისაღწევად. ეს, პირველ რიგში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ უსაფრთხოებაზე აისახება. ირანის ბირთვული პროგრამის განვითარება სერიოზული სამეცნიერო და ტექნოლოგიური მნიშვნელობით ხასიათდება, ამიტომ ის საჭიროებს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მონიტორინგს. ირანის ბირთვული პროგრამა იმდენად აქტუალური და პრობლემატური გახდა, რომ მიმდინარე წლის ივნისში მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგულური პოლიტიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

საკვანძო სიტყვები: ირანი, რეგიონი, უსაფრთხოება, პოლიტიკა, თანამეგობრობა

Iran's Nuclear Program in Global and Regional Politics

Maia Kapanadze

Doctor of Historical Sciences

Caucasus International University

Associate Professor

maiakapanadze@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0002-7460-5374>

Tamar Abralava

Master of Laws

tabralava@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-1886-1886>

Avtandil Oniashvili

Master of International Security Studies

avtooniashvili@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-1885-260X>

Abstract

Iran's nuclear program has a significant impact on regional security in the Middle East. Some countries fear that work on it could lead to Iran developing nuclear weapons. Iran's nuclear activities have become a cause for concern both regionally and internationally, especially since the Islamic Revolution, which transformed the country from a pro-Western, secular monarchy into a Shiite Islamic republic. This significantly changed Iran's foreign policy course and its role in global politics. The work on the nuclear program of the Islamic Republic of Iran has temporarily slowed down due to the initial Etao. Western countries played a major role in Iran's initiation of its nuclear program, and after the Islamic Revolution, the West perceived Iran's resumption of work on its nuclear program as a threat not only to the region but also to the rest of the world. Iran is an interesting country due to its regional and global importance. Naturally, there is great interest in the issue of this country's nuclear program. This is logical, since Iran has a great influence on the security of the Middle East region and its political

agenda. Years ago, the nuclear agreement seemed to have solved this problem, but three years after the agreement was reached, the situation has become more complicated.

Certain reasons create a problem in reaching an agreement on Iran's nuclear program again. This will primarily affect regional security in the Middle East. The development of Iran's nuclear program is of serious scientific and technological importance; therefore, it requires monitoring by the international community. Iran's nuclear program has become so topical and problematic that in June of this year, the entire Middle East region faced a political crisis.

Keywords: Iran, region, security, politics, community

მიზანი. ირანის ბირთვული პროგრამის გლობალური და რეგიონული პოლიტიკის კვლევა და ანალიზი.

კვლევის მეთოდები. გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: ისტორიულ-აღწერითი, კონტენტანალიზი, შედარებითი ანალიზი.

მეცნიერული სიახლე. გამოკვეთილი გვაქვს ირანის ბირთვული პროგრამის გავლენა როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ პოლიტიკაზე. განხილულია ის გარემოება, რაც ირანსა და დასავლეთს შორის ბირთვული შეთანხმების კვლავ მიღწევას ხელს უშლის. ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, თუ რამ განაპირობა სამხედრო დაპირისპირება და მისი სწრაფად დასრულება ირანსა და ისრაელს შორის.

დისკუსია. ერაყთან რვაწლიანი ომის (1980-1988) შემდეგ ირანში დაიწყო ბირთვული ტექნოლოგიების შეძენა. უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში ირანი თანამშრომლობდა როგორც რუსეთთან, ასევე ჩინეთთან ბირთვული ტექნოლოგიების სფეროში. 1992 წლიდან მან დადო გარიგება ჩრდილოეთ კორეასთან, რომელმაც ირანს მიაწოდა რაკეტები სარაკეტო პროგრამისთვის. 1995 წელს იანვარში რუსეთმა განაცხადა, რომ დაასრულებდა ბუმპრის მშენებლობას და დათანხმდა ასევე სამი დამატებითი რეაქტორის აშენებას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ირანთან შეამცირა ბირთვული თანამშრომლობა აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონის ზეწოლით, ითვლება, რომ რუსეთი დაეხმარა ირანს ბირთვული საწვავის ციკლის განვითარებასა და არაქის მძიმე წყლის რეაქტორის მშენებლობაში.¹²²

ასე, რომ 1990-იან წლებში ირანმა განაახლა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა, ამჯერად, რუსეთისა და ჩინეთის ტექნოლოგიური დახმარებით. ამან დასავლეთში გააჩინა შიში, რომ ირანი ბირთვულ იარაღს შექმნიდა. ამიტომ 1995 წელს აშშ-მა დააწესა აკრძალვა იმ ამერიკულ კომპანიებზე, რომლებიც ირანის ნავთობისა და გაზის სექტორში ინვესტირებს განახორციელებდა. 1996 წ. მიიღეს სანქციების პაკეტი, რომელიც უცხოურ კომპანიებსაც ავალდებულებდა თავის შეკავებას ირანში ინვესტირებისგან.¹²³ აშშ-ის მიერ ირანისათვის დაწესებულმა სანქციებმა თანდათან არა მხოლოდ ორმხრივი, არამედ გლობალური ხასიათი მიიღო.

¹²² Ansari A, The Politics of Nationalism in Modern Iran CUP, Ginko, p. 24-27, 2014.

¹²³ Owen Wyn Q. The Iranian Nuclear Challenge, Oxford: Oxford university Press, p, 75, 2021.

1998 წელს ირანის პრეზიდენტმა სეიდ მოჰამედ ხათამიმ (1997-2005) ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ირანი არ იყო ბირთვული ძალა და არც აპირებდნენ გამხდარიყვნენ ასეთი ძალა.¹²⁴ მისი ეს განცხადება გაამყარა ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) მაშინდელმა შეაფასებამ. IAEA-ს მაშინდელ დასკვნაში არ იყო მტკიცებულება იმაზე, რომ ირანი მუშაობდა ბირთვულ იარაღზე.¹²⁵

2002 წელის აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანი ერაყთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად „ბოროტების ღერძის“ ქვეყნად გამოაცხადა. ბუში ირანს ტერორიზმის ხელშეწყობაში დებდა ბრალს. კონკრეტულად კი, ალ-კაიდასა და ჰეზბოლას დახმარებაში. 2003 წელს ატომური ენერგიის სააგენტომ (IAEA) გამოძიების შედეგად აღმოაჩინა ხარვეზები, რაც არღვევდა ირანის ვალდებულებებს ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის ხელშეკრულების (NPT) პირობებში. ირანი დათანხმდა მოლაპარაკებების დაწყებას ე. წ. E 3 ჯგუფთან (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი), რის შედეგადაც მათ შორის იმავე 2003 წელს გაფორმდა ნებაყოფლობითი შეთანხმება.¹²⁶

იმავე წელს ევროკავშირის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ირანის დათანხმება, შეეჩერებინა ურანის გამდიდრების პროგრამა და დაეშვა IAEA-ს ინსპექტირება მის ბირთვულ ობიექტზე. ამ შეთანხმებით ირანს შეეძლო ესარგებლა ბირთვული ენერგიით, რომლის მიზანი მშვიდობიანი უნდა ყოფილიყო. ევროპის თანამშრომლობა ირანის ბირთვული ენერგიის განვითარებაში იმითაც გამოიხატა, რომ ირანი, თავის მხრივ, დაჰპირდა მათ „ტოტალურ გამჭვირვალობას“ მის ბირთვულ საქმიანობაში. ამ ხელშეკრულებამ დაძაბულობა მხოლოდ დროებით შეამცირა.

აშშ-მა უარი თქვა 2003 წლის ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე. იმავე წელს ერაყში აშშ-ის შეჭრის შემდეგ ირანმა მის ოფიციალურ პირებს ბირთვულ საკითხზე მოლაპარაკების შეთავაზებით მიმართა. გავრცელებული ინფორმაციით, ირანმა აშშ-ის შესთავაზა სრული თანამშრომლობა მისი ბირთვული პროგრამის შესამოწმებლად. სანაცვლოდ მოითხოვა სანქციების შეწყვეტა და ირანის „ლეგიტიმური უსაფრთხოების ინტერესების“ აღიარება. შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა ამ შეთავაზებაზე.¹²⁷

მოჰამად აჰმადი ნეჟადის პრეზიდენტობის დროს (2005-2013) ირანმა გაანახლა ურანის გამდიდრება მასზე მზარდი საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად. ამან ეს ქვეყანა მიიყვანა მკაცრი სანქციების დაწესებამდე. სწორედ 2005 წელს IAEA-მ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ირანი არ ასრულებდა IAEA-ს უსაფრთხოების შეთანხმებას.

¹²⁴ Kelsey Davenport, “Timeline of Nuclear Diplomacy with Iran, 1967–2023” Arms Control Association, last reviewed January 2023, <https://www.armscontrol.org/factsheets/timeline-nuclear-diplomacy-iran-1967-2023>, p. 48.

¹²⁵ Cordesman, Anthony H. *Iran's Military Forces and Warfighting Capabilities*. Washington, DC: Center for Strategic and International Studies, p. 84, 2007.

¹²⁶ Leverett Flunt, and Hilary Mann Leverett, *Goung to Tehran: Why American Must Accept the Islamic Republic*, New York: Metropolitan Books, p.185, 2013.

¹²⁷ River, Charles. *Iran's Nuclear Program: The Controversial History of the Islamic Republic of Iran's Nuclear Research and Uranium Enrichment*, p. 203, 2017.

რეზოლუცია მოუწოდებდა ირანს, გამჭირვალობის ღონისძიების განხორციელებისკენ. 2006 წელს ირანს გაერომ დაუწესა სანქციები ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მიღებაზე, 2007 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ მოუწოდა ირანს, გაეგრძელებინა IAEA-თან თანამშროლობა და შეეზღუდა ბირთვული პროგრამის განვითარება.¹²⁸

2008 წელს ხავიერ სოლანამ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მოთაქის შეხვედრისას შესთავაზა თეირანს ეკონომიკური დახმარება ბირთვული გამდიდრების მცდელობების შეჩერების სანაცვლოდ. აითოლა ალი ხამენეიმ ამ შეთავაზებას უპასუხა, რომ ირანი განაგრძობს გზას ბირთვული პროგრამის განვითარებისაკენ. გაეროს უშიშროების საბჭომ თეირანის ამ პოზიციას რეზოლუციით უპასუხა, სადაც კვლავ ითხოვდნენ ირანის მიერ ბირთვული საქმიანობის შეჩერებას. მასში იყო ასევე დამატებითი სანქციები ფინანსურ და სავაჭრო სფეროებში. თუმცა, ვითარება შეიცვალა მაშინ, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი გახდა ბარაკ ობამა (2009 წ.). ის ღიად უჭერდა მხარს ირანთან მოლაპარაკებების დაწყებას ბირთვულ საკითხზე.¹²⁹

2009 წელს თეირანმა p5+1-თან გაანახლა მოლაპარაკებები 1 ოქტომბერს ქენევაში და 19 ოქტომბერს ვენაში. გარკვეული მიზეზების გამო ეს მოლაპარაკებები ჩაიშალა. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა, როცა ირანის პრეზიდენტმა მოჰამად აჰმადი ნეჟადიმ განაცხადა, რომ აპირებდა ურანის გამდიდრებას და დამატებითი ბირთვული ობიექტების აშენებას. იმავე წელს აშშ-მა სანქციები დაუწესა იმ უცხოურ კომპანიებს, რომლებიც ირანს ეხმარებოდნენ. 2010 წლიდან ევროკავშირმაც აქტიურად დაიწყო ირანის წინააღმდეგ სანქციების ამოქმედება, რაც მოიცავდა ნავთობისა და გაზის სექტორის შეზღუდვას და ფინანსურ ტრანზაქციებზე კონტროლს.¹³⁰

2011 წლისთვის გაერომ ახალი რეზოლუცია მიიღო ირანის წინააღმდეგ, რასაც ჩინეთი და რუსეთი ეწინააღმდეგებოდნენ. ასევე ევროკავშირმაც და შეერთებულმა შტატებმაც დაიწყეს ცალმხრივი ზომების მიღება ირანის წინააღმდეგ. აშშ-ის სანქციები ეხებოდა აკრძალვებს ირანის ცენტრალურ ბანკთან ტრანზაქციებზე, აგრეთვე ირანის სანავთობო ინდუსტრიის ბლოკირებას და ამერიკული კომპანიების წარმომადგენლობის აკრძალვას. აშშ ყველანაირად ცდილობდა ირანის სანქციებით შებოჭვას და ამ გზით მისი ბირთვული პროგრამის განვითარების ხელის შეშლას.¹³¹

2011 წლის აპრილში შეხვედრა გაიმართა ირანსა და p5+1 ქვენებს შორის ჯერ სტამბულში, შემდეგ ბაღდადში, სადაც ირანს მოსთხოვეს შეეწყვიტა ურანის

¹²⁸ Scott D. Sagan, "Why Do States Build Nuclear Weapons? Three Models in Search of a Bomb," *International Security*, Vol. 21, No. 3 (1996), pp. 54–86, <https://www.jstor.org/stable/2539273>.

¹²⁹ Patrick Clawson, "Iran's Presidential Election: The Economic Situation," Washington Institute for Near East Policy, PolicyWatch 2799, May 3, 2017, <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/irans-presidential-election-economic-situation>.

¹³⁰ Patrick Clawson, "Iran's Presidential Election: The Economic Situation," Washington Institute for Near East Policy, PolicyWatch 2799, May 3, 2017, <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/irans-presidential-election-economic-situation>.

¹³¹ Nader Habibi, "Iran's Overeducation Crisis: Causes and Ramifications," Crown Centre for Middle East Studies, Middle East Brief No. 89, February 2015, <https://www.brandeis.edu/crown/publications/middle-east-briefs/index.html>.

გამდიდრება, ასევე დაეხურა ფორდოში ბირთვული საწვავის გამდიდრების ქარხანა. ამის სანაცვლოდ ისინი ირანს მიაწოდებდნენ სამოქალაქო ავიაციის ნაწილებს. ასევე განიხილავდნენ სამედიცინო იზოტოპების მიწოდებას. ირანი დათანხმდა ურანის გამდიდრების შემცირებას, თუ მოუხსნიდნენ სანქციების ნაწილს, როგორცაა ცენტრალური ბანკის და ნავთობის ინდუსტრიის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები. სანქციების ასე მალე მოხსნა მიუღებელი აღმოჩნდა დასავლეთისთვის.¹³²

2013 წელს ირანის პრეზიდენტად ჰასან როუჰანიდის (2013-2021) არჩევას ამ ქვეყანაში გარკვეული პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა. ის, როგორც ზომიერი რეფორმატორი, დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. როუჰანი ცნობილი იყო დასავლეთისთვის, რადგან ის გარკვეული პერიოდი ბირთვული მოლაპარაკებების ჯგუფს ხელმძღვანელობდა. როუჰანმა დასავლეთთან დაიწყო მოლაპარაკებების სერია. მოლაპარაკებების მთავარი მიზანი იყო ირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვა, რასაც სანაცვლოდ მოჰყვებოდა სანქციების შემსუბუქება.¹³³ უკვე 2015 წლის 14 ივლისს ირანმა და P5+1-ის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ ყოვლისმომცველ სამოქმედო გეგმას. ეს შეთანხმება ითვალისწინებდა: ურანის გამდიდრების შეზღუდვას 3.67%-მდე, გამდიდრებული ურანის მარაგის შემცირებას 300 კგ-მდე, ცენტრიფუგების რაოდენობის შემცირებას. აგრეთვე IAEA-ს მიერ მკაცრ მონიტორინგს ირანის ბირთვულ ობიექტებზე და ა. შ. თავის მხრივ, P5+1-ის ქვეყნები და გაერო ირანს სანქციების გაუქმებას ჰპირდებოდნენ.¹³⁴

ირანის ბირთვული შეთანხმება წარმატებით დაიწყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს IAEA-ს განცხადება, რომ 2016 წლისთვის ირანმა შეასრულა თავისი დაპირებები. ამას მოჰყვა ევროკავშირის, შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ სანქციების თანდათანობით მოხსნის პროცესი. პრეზიდენტი ობამას მმართველობის დროს გაუქმდა ნავთობის მეორადი სანქციებიც, რაც ირანს აძლევდა საშუალებას, გაეზარდა ნავთობის ექსპორტი. ქვეყანა დაბრუნდა ნავთობის მსოფლიო ბაზარზე, გაუმჯობესდა ეროვნული ვალუტის კურსი და გაიზარდა უცხოური ინვესტიციები. ამის შემდეგ ირანს თეორიულად უნდა აღდგენოდა წვდომა SWIFT-ის სისტემაზე. თუმცა, მის პრაქტიკულ ხელმისაწვდომობას SWIFT-ზე მრავალი ბარიერი შეექმნა. მიუხედავად სანქციების ფორმალური მოხსნისა, აშშ-ის რეგულაციები კვლავ კრძალავდა დოლარში ტრანზაქციებს ირანთან.

2016 წლიდან აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ეს ხელშეკრულება ღიად დაგმო, რამაც შექმნა რისკი, აღნიშნული შეთანხმების შესაძლო შეწყვეტაზე. ამ შეთანხმებას ბზარი მაშინ გაუჩნდა, როდესაც შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა. 2018 წლის 8 მაისს მან განაცხადა შეთანხმებიდან გამოსვლისა და ირანის წინააღმდეგ

¹³² Leverett Flutt and Hilary Mann Leverett, *Goung to Tehran: Why American Must Accept the Islamic Republic*, New York: Metropolitan Books, p. 151, 2013.

¹³³ Jett Dennis, *The Iran Nuclear Deal: Bombs, Bureaucrats and Billionaries*, p.108-111, 2017.

¹³⁴ Kelsey Davenport, "The Joint Comprehensive plan of action (JCPOA) at a glance", arms control association, August, p. 75-82, 2022.

სანქციებს ხელახალა დაწესების შესახებ. ტრამპი თვლიდა, რომ ირანი ამ მიღწეული შეთანხმებით თავისი მიზნის მისაღწევად დროს მოიგებდა. მას სწამდა, რომ მდგრადი ეკონომიკური სანქციებით შეძლებდა ირანზე ზეწოლის მოხდენას. JCPOA-ს დანარჩენი ხელმომწერი ქვეყნები კი აკრიტიკებდნენ აშშ-ის ასეთ პოზიციას.¹³⁵ ირანმაც დაიწყო JCPOA-ს პირობების დარღვევა: გაზარდა ურანის გამდიდრება, გააფართოვა გამდიდრებული ურანის მარაგი. მიუხედავად ამისა, ირანი მაინც აცხადებდა, რომ მზად იყო დაბრუნებოდა შეთანხმებას თუ სანქციებს მოუხსნიდნენ.¹³⁶

მიღწეული შეთანხმების შენარჩუნების მიზნით გაერთიანებულმა სამეფომ, საფრანგეთმა და გერმანიამ შექმნეს ბარტერული სისტემა, რომელიც ცნობილია, როგორც INSTEX. იგი შეიქმნა 2019 წელს, ევროპასა და ირანს შორის ლეგიტიმური ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის. სისტემას ხელი უნდა შეუწყოს ირანთან ტრანზაქციებისათვის შეერთებული შტატების საბანკო სისტემის გარეთ. ირანი 2020 წლის დასაწყისში დათანხმდა ერთ ტრანზაქციას ევროპიდან ირანში სამედიცინო საქონლის ექსპორტზე. ამის შემდეგ ირანი თანმიმდევრულად და მიზანმიმდართულად ბლოკავდა ტრანზაქციების სხვა წინადადებებს. ირანის მუდმივი უარის თქმის გათვალისწინებით, კომპანიასთან თანამშრომლობაზე, INSTEX-ის აქციონერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აღარ არსებობდა საფუძველი INSTEX-ის ფუნქციონირების შესანარჩუნებლად. აქციონერებმა ხმა მისცეს მის დაშლას 2023 წლის 9 მარტის რიგგარეშე გენერალურ კრებაზე.¹³⁷

მიუხედავად იმისა, რომ ობამას ადმინისტრაციის დროს ხელი შეუწყო აშშ-ირანის ურთიერთობების დათბობას, პრეზიდენტ ტრამპის შეთანხმებიდან გამოსვლამ გამოიწვია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაცივება. შეთანხმებიდან გამოსვლა შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის არასწორ გადაწყვეტილებად. აქვე აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ JCPOA-ს გავლენის შესახებ ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე. რეგიონის ქვეყნებს შორის უნდა გამოიყოს ისრაელი. ირან-ისრაელის ურთიერთობები ბევრ წინააღმდეგობას აწყდება. მათ შორის უმთავრესია ბირთვული პროგრამის საკითხი. ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანი არ მალავდა და საჯაროდ მოუწოდებდა ისრაელის განადგურებას. აქედან გამომდინარე, ისრაელს მიაჩნია, რომ ბირთვული იარაღის ფლობა ირანს ამის განხორციელების საშუალებას მისცემს. JCPOA-ს დაშლის შემდეგ თეირამა დაამონტაჟა უფრო მოწინავე ცენტრიფუგები თავის ბირთვულ ცენტრებში. ირანმა მიაღწია ურანის გამდიდრების მაღალ ნიშნულს, რაც ახალ გამოწვევას უქმნის ისრაელს. პროპაგანდით, რომ ირანი წარმოადგენს საფრთხეს, ისრაელი შეუერთდა ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები. ამის საფუძველზე ირანის წინააღმდეგ გაჩნდა ოთხი ქვეყნის ალიანსი,

¹³⁵ U.S. Department of state, joint comprehensive plan of action (JCPOA), p. 143-147, July 14, 2025.

¹³⁶ Heinonen Olli and David Albright, Unmasking Irans Nuclear Deception, Washington, DC: Institute for Science and International Security, p. 121, 2023.

¹³⁷ Heinonen Olli and David Albright, Unmasking Irans Nuclear Deception, Washington, DC: Institute for Science and International Security, p. b127, 2023.

რომელშიც შედიოდა; აშშ (ტრამპის ადმინისტრაცია), ისრაელი (ნეთანიაჰუს მთავრობა), საუდის არაბეთი (მოჰამედ ბინ სალმანი) და არაბთა გაერთიანებული საამიროები (მოჰამედ ბინ ზაიდი).

ირანის მიერ ურანის სწრაფი გამდიდების პროცესს შემფოტებით უყურებდა აშშ და ისრაელი. მათ განახორციელეს ირანზე კიბერშეტევა. STUXNET-ი კომპიუტერული ჭიკა, რომელიც ირანის ბირთვულ ობიექტზე განლაგდა თავდასხმისთვის ნათანზში. ის შეიქმნა საიდუმლო პროგრამით აშშ-ისა და ისრაელის სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობით.¹³⁸ ეს პროგრამა სისტემაში მოხვედრისთანავე აინფიცირებდა კომპიუტერებს და, რაც მთავარია, აზიანებდა ფიზიკურ ინფრასტრუქტურას. მისი მიზანი იყო ირანის ბირთვული პროგრამის შენელება. STUXNET-ის მეშვეობით აშშ იღებდა ინფორმაციას ირანის ბირთვულ ობიექტთან დაკავშირებით. მთვარი აქ არის ის, რომ ინფრასტრუქტურის დაზიანება ისე მიმდინარეობდა, რომ ამას ირანელები ვერ ხვდებოდნენ, რადგან ეს ჩაშენებული მოწყობილობა მათ ანახებდა მხოლოდ იმას, რაც მათ სურდათ. STUXNET-მა მოახერხა ბირთვული პროგრამის შენელება იმ მომენტისთვის, მაგრამ მას სერიოზული დაზიანება არ გამოუწვევია.¹³⁹

შეთანხმებიდან შეერთებული შტატების გასვლამ გაართულა მომავალი მოლაპარაკებების პერსპექტივები. თეირან-ვამინგტონის გაღრმავებულმა უნდობლობამ გამოიწვია როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო დაძაბულობა¹⁴⁰. JCPOA იყო უზარმაზარი ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად. უნდა ითქვას, რომ JCPOA-მ შესანიშნავი შესაძლებლობა მისცა IAEA-ს დაკვირვებოდა ირანის ბირთვულ საქმიანობას,

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს ტრამპის ადმინისტრაციის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით აშშ-ის შეთანხმებიდან გასვლისა და ირანისათვის სანქციების ხელახალი ამოქმედების შემდეგ ირანი გარკვეული დროით აგრძელებდა შეთანხმების პირობების შესრულებას. თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, განსაკუთრებით 2019 წლიდან, ირანმა დაიწყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივი დარღვევა, როგორც საპასუხო ქმედება დასავლეთის „პასიურობის“ ფონზე.

2019 წლის მაისში ირანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იწყებდა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას და დაიწყო ურანის გამდიდრება 3.67%-იანი ზღვარის გადაჭარბებით. 2021 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 60%-ს მიაღწია. განაახლა და დაამატა უფრო სწრაფი IR-6 მოდელის ცენტრიფუგები. ირანმა ასევე შეამცირა საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს (IAEA) წარმომადგენლების წვდომა თავის ბირთვულ ობიექტებზე. ამის შემდეგ IAEA-ს რეგულარულ ანგარიშებში ნათლად იკითხებოდა შეშფოთება ირანის ბირთვული პროგრამის არაპროგნოზირებადობის თაობაზე. სააგენტოს მონაცემებით, ირანს უკვე

¹³⁸ For a comprehensive list of remaining US sanctions on Iran, see Kenneth Katzman, “Iran Sanctions,” Congressional Research Service, April 14, 2017, <https://sgp.fas.org/crs/mideast/RS20871.pdf>.

¹³⁹ For a comprehensive list of remaining US sanctions on Iran, see Kenneth Katzman, “Iran Sanctions,” Congressional Research Service, April 14, 2017, <https://sgp.fas.org/crs/mideast/RS20871.pdf>.

¹⁴⁰ Matthew, J. Brummer. Nuclear Choices: Power, Proliferation, and the International Order in the 21st Century. Cambridge: Cambridge University Press, p. 119-122, 2023.

ჰქონდა ისეთი ოდენობის გამდიდრებული ურანი, რომელიც თეორიულად საკმარისი იქნებოდა ბირთვული იარაღის შესაქმნელად, თუკი ის ამ გზას აირჩევდა. თუმცა, ირანი კვლავ ამტკიცებდა, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურებოდა. დასავლეთის სახელმწიფოებმა ირანს მოუწოდეს დაბრუნებოდა შეთანხმებას. სანქციების გაუქმების გარეშე ირანი მოლაპარაკებებს არ დაუბრუნდა. ამის გამო მხარეები აღმოჩნდნენ ჩიხში – არც ირანი თმობდა ბირთვულ პროგრესს, და არც აშშ/ევროპა ხსნიდა ეკონომიკურ ბარიერებს ირანისათვის.

ამავე პერიოდში გამწვავდა ისძრაელსა და ირანს შორის არსებული დაპირისპირება. ისრაელი რეგულარულად ცდილობდა ირანის ბირთვულ ობიექტებზე პირდაპირ ღივერსიას. მაგ., 2020 წლის 27 ნოემბერს ირანის ბირთვული პროგრამის „ტვინის“, ბირთვული ფიზიკოსის მოჰსენ ფაჰრიზადეს მკვლელობამ ირანის მხრიდან საპასუხო მუქარა და სარაკეტო მოქმედებები გამოიწვია. შედეგად, ბირთვული საკითხი გადაიქცა არა მხოლოდ ტექნიკურ-დიპლომატიურ, არამედ უშუალოდ უსაფრთხოების კრიზისად. ირანის მთავრობამ განაცხადა, რომ ფაჰრიზადეს სიკვდილი არ შეაჩერებდა ბირთვულ პროგრამას, არამედ მეტ სტიმულს მისცემდა მას. რამდენიმე კვირის შემდეგ ირანის პარლამენტმა მიიღო კანონი ბირთვული პროგრამის გაფართოების შესახებ. მათ შორის ურანის გამდიდრების გაზრდაც 20%-ზე მეტად. აგრეთვე იზღუდებოდა IAEA-ს ინსპექტირების დაშვებაც ბირთვულ ობიექტებზე. ახალი ცენტრიფუგები უნდა გაშვებულიყო¹⁴¹. დასავლეთში ფაჰრიზადეს მკვლელობა შეფასდა, როგორც ნაბიჯი, რომელსაც შესაძლოა გაერთულებინა დიპლომატიური გზების მოძიება. ევროკავშირისა და გაეროს მხრიდან იყო მოწოდებები თავშეკავებისკენ. მისმა მკვლელობამ ნათლად აჩვენა, რომ ირანის ბირთვული პროგრამა არა მხოლოდ დიპლომატიური, არამედ დაზვერვითი და უსაფრთხოების სფეროს საგანიც გახდა¹⁴².

2021 წელს, აშშ-ის პრეზიდენტად ჯო ბაიდენის არჩევის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა მზადყოფნა, დაბრუნებულიყო ბირთვულ შეთანხმებაში იმ შემთხვევაში, თუ ირანიც დაუბრუნდებოდა ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებას. ბაიდენის ადმინისტრაცია ცდილობდა ტრამპის დროინდელი პოლიტიკის შეცვლას და დიალოგის გზით პრობლემის გადაჭრას. იმავე წლის პირველ ნახევარში ბაიდენის ადმინისტრაციამ და სხვა E3/EU+3-მა ქვეყნებმა სცადეს მოლაპარაკება ირანთან. მოლაპარაკებების ექვსი რაუნდი გაიმართა 2021 წლის აპრილიდან ივნისამდე, მხარეები ვერ შეთანხმდნენ ძირითად საკითხებზე. ირანი მოითხოვდა მოეხსნათ ყველა სანქცია სრულად და წინასწარ და მიეცათ გარანტიები, რომ აშშ მომავალში აღარ დატოვებდა შეთანხმებას. აშშ, თავის მხრივ, მოითხოვდა ირანს შეეჩერებინა ურანის 60%-იანი გამდიდრება და განეახლებინა IAEA-სთან თანამშრომლობა. აშშ-ში ბაიდენს კონგრესში ძლიერი წინააღმდეგობა ჰქონდა რესპუბლიკელების მხრიდან, რომლებიც

¹⁴¹ Graham Thomas, Preventing Catastrophe: The Diplomacy of Nuclear Nonproliferation with Iran. Washington, DC: Woodrow Wilson Center Press, p.176-186, 2022.

¹⁴² The New York Times, israel's secret weapon against iran: A KILLER ROBOT? P. 96, 18 september, 2021.

მოითხოვდნენ ნებისმიერი ახალი შეთანხმების კონგრესში განხილვას და ხაზს უსვამდნენ ირანის „საფრთხეებს.“¹⁴³

2021 წელს ირანის პრეზიდენტი გახდა ებრაჰიმე რაისი (2021-2024). ახალი პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ ღია იყო JCPOA-ს ხელახალი გააქტიურებისთვის, მაგრამ რაისის ადმინისტრაცია თვეების განმავლობაში არ აქტიურობდა დიპლომატიურ ფრონტზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ირანი აგრძელებდა ურანის გამდიდრების პროცესს. გარდა ამისა, ირანი აგრძელებდა ახალი თაობის ცენტრიფუგების გამდიდრების პროცესისთვის საჭირო მბრუნავი მანქანების წარმოებას, რომლებიც უფრო მოწინავეა ტექნოლოგიურად, ვიდრე ნებადართული იყო ხელშეკრულებით. რაისიმ შეამცირა თანამშრომლობა IAEA-სთან. პრობლემა იყო აგრეთვე ისრაელის გააქტიურებული ლობირება აშშ-ის შიგნითაც, რათა შეთანხმება არ აღდგენილიყო. დასავლეთისთვის დიდი დაბრკოლება გახდა ისიც, რომ ირანმა დაიწყო რუსეთსა და ჩინეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ირანისთვის ალტერნატიულ ეკონომიკურ და დიპლომატიურ გზებს ქმნიდა. და ბოლოს, ირანს სურდა მტკიცე გარანტიები, რომ აშშ აღარ დაარღვევდა შეთანხმებას. ბაიდენის ადმინისტრაცია კი ვერ იძლეოდა გარანტიებს მორიგი ცალმხრივი გასვლის შესახებ.¹⁴⁴

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმაც იმოქმედა ირანის ბირთულ პროგრამასთან დაკავშირებით შეთანხმების აღდგენლობაზე. რუსეთ-უკრაინის ომმა შეცვალა მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება და შეაფერხა ეს პროცესი. ამ ომის ფონზე, გარკვეული დროის მანძილზე, გაიმართა დისკუსია შეთანხმების შესახებ ყველა მხარის მონაწილეობით. რუსეთ-უკრაინის ომმა გააძლიერა JCPOA-ს ოპონენტები თეირანში, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათ აღღარ ჰქონდათ მტკიცე პოზიცია ამ მოლაპარაკებებში შედეგის მისაღებად. 2022 წლის შემდეგ ირანი გააქტიურდა რუსეთისა და ჩინეთის მიმართულებით. მისი პარტნიორობა რუსეთთან განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთ-უკრაინის ომის დროს, როდესაც ირანმა რუსეთს მიაწოდა უპილოტო დრონები (მაჰიდები), რასაც დასავლეთისგან ახალი სანქციები მოჰყვა.¹⁴⁵

2023 წლიდან ირანის ბირთვული საკითხი ახალ ეტაპზე გადავიდა. იმ დროს, როცა ირანი განაგრძობდა ბირთვული პროგრამის გაფართოებას, საერთაშორისო ვითარება მკვეთრად შეიცვალა: რუსეთ-უკრაინის ომი კვლავ გრძელდებოდა, გამწვავდა ჩინეთ-დასავლეთის დაპირისპირება და თანდათან გაიზარდა რუსეთისა და ირანის სტრატეგიული თანამშრომლობა. ამ პროცესებმა მნიშვნელოვნად გაართულა დასავლეთის მცდელობები შეთანხმების აღდგენაზე და გააძლიერა შიში

¹⁴³ Anoushrihan Ehteshami, *The Foreign Policies of Middle East States: New Directions After The Arab Spring*. 3rd ed. Boulder, CO: Lynne Rienner Publishers, p 214, 2023.

¹⁴⁴ Nadeen Ebrahim, "Iran's President Defends Uranium Enrichment after Europeans 'Trampled on their Commitments,'" CNN, September 24, 2023, <https://edition.cnn.com/2023/09/24/middleeast/iran-raisi-fareed-zakaria-interview-intl/index.html>

¹⁴⁵ Jazeera AL., Iran Expands Uraniums Enrichment to new highs. IAEA report, p. 52, 2025..

იმის თაობაზე, რომ ირანი შეიძლება ბირთვული იარაღის მაღალ ზღურბლს მიახლოებოდა.¹⁴⁶

2023 წელს ირანი ოფიციალურად შეუერთდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას (SCO) და BRICS პლატფორმას, რაც სიმბოლურად ნიშნავდა ირანის გაწევრიანებას ანტიდასავლურ ეკონომიკურ ბლოკში. ჩინეთი კი შეეცადა ეთამაშა შუამავლის როლი რეგიონულ საკითხებში. მაგალითად, 2023 წელს სწორედ პეკინის შუამავლობით აღდგა ირანსა და საუდის არაბეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები. ისრაელი რეგულარულად ახორციელებდა სადაზვერვო და დივერსიულ ოპერაციებს ირანში. ისრაელის სამხედრო წვრთნები აშკარად მიუთითებდა შესაძლო სამხედრო თავდასხმის გეგმაზე, თუკი ირანი „ბირთვულ ზღვარს“ გადაკვეთდა. აშშ-ის პოზიცია ასეთი იყო: ბაიდენის ადმინისტრაცია ცდილობდა დიპლომატიური არხების შენარჩუნებას, მაგრამ პარალელურად ისრაელთან ერთად განიხილავდა „სამხედრო ვარიანტებს“ იმ შემთხვევაში, თუ ირანი ოფიციალურად გამოაცხადებდა ბირთვული იარაღის შექმნის განზრახვას¹⁴⁷.

2024 წლისთვის IAEA-ს მონაცემებით, ირანს უკვე ჰქონდა ტექნოლოგიური პოტენციალი ბირთვული იარაღის შესაქმნელად. მიუხედავად იმისა, რომ ირანი კვლავ ამტკიცებდა, რომ არ ცდილობდა ბირთვული იარაღის შექმნას. 2024 წლის მეორე ნახევრიდან ირანმა კვლავ გააძლიერა ურანის გამდიდრების პროცესი. ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) ცნობით, ირანს აქვს იმდენი გამდიდრებული ურანი, რაც ძალზე ახლოსაა ბირთვული იარაღისთვის საჭირო 90%-იან დონესთან¹⁴⁸. ერთ-ერთ ყველაზე საგანგაშო სიგნალად ისაა მიჩნეული, რომ ირანი წლებია, ზღუდავდა და ზღუდავს საერთაშორისო დამკვირვებლების წვდომას თავის ბირთვულ ობიექტებზე. სააგენტოს წარმომადგენლებისთვის კამერებისა და მონიტორინგის სისტემების გამორთვა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს მათზე კონტროლისათვის. ბოლო დროს ირანის ბირთვული პროგრამის გაძლიერებამ გავლენა მოახდინა რეგიონულ სტაბილურობაზე. ისრაელი ღიად აცხადებდა, რომ ირანი ბირთვულ იარაღთან ძალიან ახლოსაა და არ გამორიცხავს სამხედრო მოქმედებებს მის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები: საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები, უკვე განიხილავენ თავიანთი ბირთვული უსაფრთხოების გაძლიერებას. რუსეთი და ჩინეთი ირანის პარტნიორობად გვევლინებიან, თუმცა ისინი ირანის მიერ ბირთვულ იარაღის შექმნას ღიად არ უჭერენ მხარს. ირანის ბირთვული პროგრამა ახლა ბევრად განვითარებულია, ვიდრე ათი წლის წინ იყო. მას აქვს წლების გამოცდილება გაზის ცენტრიფუგების დიზაინში, წარმოებასა და ექსპლუატაციაში. ეს არ არის სპეკულაციური – ეს ასახულია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA)

¹⁴⁶ Jazeera AL., Iran Expands Uraniums Enrichment to new highs. IAEA report, p. 56, 2025.

¹⁴⁷ Nadeen Ebrahim, "Iran's President Defends Uranium Enrichment after Europeans 'Trampled on their Commitments,'" CNN, September 24, 2023, <https://edition.cnn.com/2023/09/24/middleeast/iran-raisi-fareed-zakaria-interview-intl/index.html>

¹⁴⁸ IAEA.org – Irans Enriched Uranium Stockpile Report, p. 43, 2024.

რეგულარული მონიტორინგის ანგარიშებში, რომელთა გაკეთებაც გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც ტრამპის ადმინისტრაცია გამოვიდა JCPOA-დან 2018 წელს¹⁴⁹.

აქედან გამომდინარე, ვერც ერთი ახალი ბირთვული შეთანხმება ვერ დააბრუნებს ირანის შესაძლებლობებს იქ, სადაც იყო JCPOA-მდე. ის, რაც ირანელმა მეცნიერებმა შექმნეს, არ შეიძლება მარტივად განადგურდეს. ირანი რომ დათანხმდეს მისი ბირთვული პროგრამის სრულ დემონტაჟს, ეს ნაკლებად სავარაუდოა.

2025 წელსაც შეთანხმება არ არის აღდგენილი. ირანის ბირთვული პროგრამა აჩენს სამხედრო პოტენციალის ნიშნებს, რეგიონი კი გადატვირთულია სარაკეტო თავდასხმებით. ეს საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობას ქმნის. 2025 წელს ირანმა გააგრძელა ურანის გამდიდრება. საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს (IAEA) 2025 წლის მარტის ანგარიშის მიხედვით, ირანს აქვს ისეთი რაოდენობის გამდიდრებული ურანი, რაც თეორიულად საკმარისია ბირთვული იარაღის შესაქმნელად, თუმცა, ჯერ არ არსებობს მტკიცებულება, რომ ირანი პირდაპირი მიზნებისათვის ქმნის იარაღს. გარდა ამისა, ირანმა განაახლა და გააუმჯობესა ცენტრიფუგების სისტემა, მათ შორის IR-6 მოდელის, რომელიც ურანის უფრო სწრაფ და ეფექტურ გამდიდრებას უზრუნველყოფს.¹⁵⁰

ირანის მხრიდან ბირთვული პროგრამის გამჭვირვალობა შემცირდა: IAEA-ს ინსპექტორებს კვლავ შეუზღუდული აქვთ წვდომა რამდენიმე მთავარ ობიექტებზე. 2025 წლისთვის დონალდ ტრამპის პოზიცია ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით კვლავ მკაცრი და მკაფიოდ კრიტიკულია. ტრამპი კვლავ ამაყობს იმით, რომ 2018 წელს აშშ-მა გამოიყვანა ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმებიდან (JCPOA). 2025 წლის დასაწყისში სოციალურ მედიასა და საჯარო გამოსვლებში მან არაერთხელ აღნიშნა, რომ „ბაიდენის მცდელობები ირანთან მოლაპარაკების გახანგრძლივების ან განახლების მიმართულებით მხოლოდ ასუსტებდა აშშ-ის პოზიციას და აძლიერებს ტერორისტულ რეჟიმ.“¹⁵¹

ტრამპის სურვილია, აშშ დაუბრუნდეს „მაქსიმალური ზეწოლის“ პოლიტიკას, რაც გულისხმობს ირანის სრულ ეკონომიკურ იზოლაციას, სანქციების გამკაცრებას და საერთაშორისო ზეწოლის გაზრდას. მან ღიად დაუჭირა მხარი ისრაელის პოზიციას ირანის წინააღმდეგ და თქვა, რომ თუ საჭიროა, ირანი ძალით უნდა შეაჩერონ. აქედან გამომდინარე, აშშ და ირანი დიპლომატიურ ჩიხში იმყოფებიან. დიალოგის არხები პრაქტიკულად შეჩერდა. ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს შეთანხმებების ჩაშლაში.¹⁵²

ევროკავშირი ცდილობს შეასრულოს მედიატორის როლი, თუმცა, მისი ეფექტიანობა იკლებს. 2025 წლის აპრილში გერმანიამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ერთობლივად განაცხადეს, რომ ირანი არღვევს 2015 წლის ბირთვული

¹⁴⁹ Fitzpatrick, Mark Countering Iran's Nuclear Strategy in 2025: Options and Challenges. London: International Institute for Strategic Studies, p. 68-76, 2025.

¹⁵⁰ Jazeera AL., Iran Expands Uranium Enrichment to new highs. IAEA report, p. 104, 2025.

¹⁵¹ U.S Department of state: Press Briefing by the state Department Spokesperson, p. 99, February 13, 2025.

¹⁵² U.S Department of state: Press Briefing by the state Department Spokesperson, p. 103, February 13, 2025.

შეთანხმების (JCPOA) სულისკვეთებას და მოუწოდეს მას, დაუყოვნებლივ განაახლოს თანამშრომლობა IAEA-სთან¹⁵³. მანამდე კი, მარტში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ დიად განაცხადა, რომ ის მზადაა ერთპიროვნულად იმოქმედოს ირანის წინააღმდეგ, თუკი საფრთხე „წითელ ხაზს“ გადალახავს.¹⁵⁴

უკრაინის ომთან დაკავშირებული საერთაშორისო იზოლაციის ფონზე, რუსეთმა და ირანმა გააღრმავეს ტექნოლოგიური და ეკონომიკური თანამშრომლობა, რაც გარკვეულწილად ირანისთვის სანქციების გვერდის ავლის საშუალებას ქმნის. ჩინეთი არ გამოდის მკაფიო კრიტიკით ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ. 2025 წელს ამ ორ ქვეყანას შორის, კვლავ მიმდინარეობს თანამშრომლობა ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის პროექტების ფარგლებში. ჩინეთი მხარს უჭერს სტაბილურობას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, თუმცა, იგი არ ჩარეულა მოლაპარაკებების პროცესში. საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტომ 2025 წლის მარტში გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ანგარიში, რომელშიც ხაზგასმულია ირანის მხრიდან ინფორმაციის არაპირდაპირი დამალვა და კონტროლის შეზღუდვა. სააგენტო ირანს მოუწოდებს, დაუბრუნდეს გამჭვირვალობას და დაუშვას ინსპექტორების შეუზღუდავი წვდომა ყველა ბირთვულ ობიექტზე. ირანის ხელისუფლება ისევ აგრძელებს იმის ხაზგასმას, რომ მისი ბირთვული პროგრამა არის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის განკუთვნილი.

ამას ისიც დაემატა, რომ მიმდინარე წლის ივნისში მხარეებს შორის პოლიტიკური ნდობის დეფიციტი გაგრძელდა, რამაც რეგიონული დაძაბულობა გამოიწვია და საერთაშორისო მასშტაბით ახალი კრიზისი შექმნა. კერძოდ, ირანსა და ისრაელს შორის შედგა სამხედრო დაპირისპირება, რაშიც აშშ-მაც მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული სამხედრო შეტაკება დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ სამხედრო შეტაკებების გაგრძელების შემთხვევაში შესაძლოა ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებაში გაზრდილიყო, რაც ბევრად გასცდებოდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ფარგლებს.

¹⁵³ European External action service: joint statement on Irans nuclear threat”, p. 75, March 20, 2025.

¹⁵⁴ Israel Prime Ministers Office, “Statement Regarding the Iranian Nuclear Threat”, p. 54, March 20, 2025.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ansari A. The Politics of Nationalism in Modern Iran CUP. Ginko, 2014.
2. Anoushriyan, Ehteshami. The Foreign Policies of Middle East States: New Directions After The Arab Spring. 3rd ed. Boulder, CO: Lynne Rienner Publishers, 2023.
3. Cordesman Anthony H., Iran's Military Forces and Warfighting Capabilities. Washington, DC: Center for Strategic and International Studies, 2007.
4. Ehteshami A. Molavi, R. Iran and International System (Durham Modern Middle East and Islamic World Series). Routledge, 2011.
5. European External action service: "joint statement on Iran's nuclear threat", March 20, 2025.
6. For a comprehensive list of remaining US sanctions on Iran, see Kenneth Katzman, "Iran Sanctions," Congressional Research Service, April 14, 2017, <https://sgp.fas.org/crs/mideast/RS20871.pdf>.
7. Fitzpatrick Mark, Countering Iran's Nuclear Strategy in 2025: Options and Challenges, London: International Institute for Strategic Studies, 2025.
8. Graham Thomas, Preventing Catastrophe: The Diplomacy of Nuclear Nonproliferation with Iran, Washington, DC: Woodrow Wilson Center Press, 2022.
9. Heinonen Olli and David Albright, Unmasking Iran's Nuclear Deception, Washington, DC: Institute for Science and International Security, 2023.
10. Israel Prime Ministers Office, "Statement Regarding the Iranian Nuclear Threat", March 20, 2025.
11. IAEA org – Iran's Enriched Uranium Stockpile Report, 2024.
12. Jazeera AL, Iran Expands Uranium Enrichment to new highs, IAEA report, 2025.
13. Kelsey Davenport, "Timeline of Nuclear Diplomacy with Iran, 1967–2023" Arms Control Association, last reviewed January 2023, p. 48, <https://www.armscontrol.org/factsheets/timeline-nuclear-diplomacy-iran-1967-2023>.
14. Kelsey Davenport, "The Joint Comprehensive plan of action (JCPOA) at a glance," arms control association, August 2022.
15. Leverett Flunt and Hilary Mann Leverett, Going to Tehran: Why America Must Accept the Islamic Republic, New York: Metropolitan Books, 2013.
16. Matthew J. Brummer, Nuclear Choices: Power, Proliferation, and the International Order in the 21st Century, Cambridge: Cambridge University Press, 2023.
17. Nader Habibi, "Iran's Overeducation Crisis: Causes and Ramifications," Crown Centre for Middle East Studies, Middle East Brief No. 89, February 2015, <https://www.brandeis.edu/crown/publications/middle-east-briefs/index.html>.
18. Nadeen Ebrahim, "Iran's President Defends Uranium Enrichment after Europeans 'Trampled on their Commitments,'" CNN, September 24, 2023, <https://edition.cnn.com/2023/09/24/middleeast/iran-raisi-fareed-zakaria-interview-intl/index.html>.

19. Patrick Clawson, "Iran's Presidential Election: The Economic Situation," Washington Institute for Near East Policy, Policy Watch 2799, May 3, 2017, <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/irans-presidential-election-economic-situation>.
20. River Charles, Irans Nuclear Program: The Controversial History of the Islamic Republic of irans Nuclear Research and Uranium Enrichment ,2017.
21. Scott D. Sagan, "Why Do States Build Nuclear Weapons? Three Models in Search of a Bomb," *International Security*, Vol. 21, No, 3 1996, <https://www.jstor.org/stable/2539273>.
22. The New York Times, israels secret weapon against iran: A KILLER ROBOT? 18 september 2021.
23. U. S. Department of state, joint comprehensive plan of action (JCPOA), July 14, 2025.
24. U.S Department of state: Press Briefing by the state Department Spokesperson," February 13, 2025.

**რეგიონული უსაფრთხოების ტრანსფორმაცია შავი ზღვის რეგიონში და
ზანგეზურის დერეფნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა**

თათია ხუნტუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

დოქტორანტი

tatiaxuntua@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0009-6039-2177>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.12

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები, ზანგეზურის დერეფნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და მისი გავლენა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა ძირეული გავლენა იქონია გლობალურ უსაფრთხოებაზე და საერთაშორისო სისტემის არსებული არქიტექტურა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამავდროულად სამხრეთ კავკასიაში დიდი მოთამაშეების ინტერესის სფეროს წარმოადგენს ეკონომიკური პროექტების საფარქვეშ სხვადასხვა პლაცდარმების შექმნა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზანგეზურის დერეფანს - სატრანსპორტო პროექტს, რომელიც სომხეთის სიუნიკის რეგიონში მდებარეობს და აზერბაიჯანის ძირითად ტერიტორიასა და ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის დამაკავშირებელი კვანძია. შესაბამისად, ამ პროექტის განხორციელება არა მარტო ეკონომიკურ და სატრანსპორტო კრილში უნდა განვიხილოთ, არამედ მას გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების დატვირთვაც აქვს. სტატიაში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა რეგიონში მიმდინარე პროცესები, გამოწვევები და პერსპექტივები, რომელიც ზანგეზურის პროექტის რეალიზებასთან არის დაკავშირებული.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური პროცესები, გლობალური უსაფრთხოება, სტრატეგიული პარტნიორობა, სიტუაციური მოკავშირეობა, ენერგო მონოპოლია.

The Transformation of Regional Security in the Black Sea Region and the Geopolitical Significance of the Zangesur Corridor

Tatia Khuntua

PhD student at Caucasus International University

tatiakuntua@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0009-6039-2177>

Abstract

The article examines the security challenges in the Black Sea region, the geopolitical significance of the Zangezur Corridor, and its impact on ongoing political processes in the region. The ongoing Russia–Ukraine war has exerted a fundamental influence on global security and has called into question the existing architecture of the international system. At the same time, the South Caucasus has become an arena of interest for major powers, where the creation of various strategic footholds is pursued under the guise of economic projects. A particularly prominent place in this process is occupied by the Zangezur Corridor – a transport project located in Armenia’s Syunik province that serves as a connecting hub between mainland Azerbaijan and the Nakhchivan Autonomous Republic. Accordingly, the implementation of this project should be considered not only through an economic and transit lens but also in terms of its substantial geopolitical and security implications. The article attempts to analyse the processes taking place in the region, the associated challenges, and prospects linked to the realisation of the Zangezur project.

Keywords: geopolitical processes, global security, strategic partnerships, situational alliances, energy monopoly

ნაშრომის კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ რა სამომავლო პერსპექტივა გააჩნია ზანგეზურის დერეფანს და პოლიტიკურად რა გამოწვევები შეიძლება დადგეს რეგიონში მისი განხორციელების შემთხვევაში, ასევე გაანალიზდეს დღეს არსებული პოლიტიკური სიტუაცია შავი ზღვის რეგიონში და სამომავლო ტრანსფორმაციის სავარაუდო ტენდენციები. ამისთვის კი აუცილებელია რეგიონის ძირითადი მოთამაშეების პოლიტიკური მიზნების და ინტერესების შესწავლა ანალიზი. ზანგეზურის დერეფნის შესაძლო გავლენა ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და უსაფრთხოებაზე.

ამ საკითხის გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა ხარისხობრივი კვლევის მეთოდები, რაც მოიცავს, დოკუმენტების ანალიზს, (საერთაშორისო დოკუმენტების დამუშავება/შესწავლა), ასევე შემთხვევის განხილვას (case study) – (ზანგეზურის დერეფნის ამოქმედების შემთხვევაში, რა გეოპოლიტიკური

ცვლილებებია მოსალოდნელი, რომლებიც გავლენას მოახდენენ რეგიონულ უსაფრთხოებაზე. ბოლო პერიოდში შავი ზღვის რეგიონი გახდა ერთ-ერთი მთავარი დაინტერესების ობიექტი გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაში, შესაბამისად, მანამდე არსებული დინამიკა შეიძლება შეიცვალოს. ამასთან, ზანგეზურის დერეფნის პოლიტიკური ინიციატივა სრულიად ახალ სტრატეგიულ რეალობას ქმნის. **კვლევის სიახლე** კი მდგომარეობს შემდეგში.

- შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება განიხილება ევროპულ, კავკასიურ და ცენტრალურ აზიურ უსაფრთხოების გამოწვევებთან ერთად და არა, როგორც ცალკე უსაფრთხოების სისტემა.
- შესაბამისად ზანგეზურის პოლიტიკური როლი განიხილება არა მხოლოდ რეგიონულ დონეზე, არამედ გლობალურ ენერგეტიკულ და სატრანსფორტო სივრცეში.
- ამ პროექტმა შესაძლებელია შექმნას ახალი რეალობა და ძალთა ბალანსის გადანაწილება რუსეთს, თურქეთს, ირანსა და დასავლეთის ინტერესთა შორის.
- მისი განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია უსაფრთხოების, ეკონომიკური ინტეგრაციისა და ინფრასტრუქტურული პოლიტიკური ფაქტორების თანხვედრა.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების ცნება გაფართოვდა. თუ ადრე ის მხოლოდ სამხედრო საფრთხეებს გულისხმობდა, დღეს მისი არსი შეიცვალა და ის მოიცავს, როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სოციალურ, ტექნოლოგიურ კომპონენტს და სხვ. ბარი ბაუზანის უსაფრთხოების კომპლექსური თეორიის მიხედვით, რეგიონის უსაფრთხოებას განსაზღვრავს შიდა და გარე მოთამაშეთა სტრატეგიები.¹⁵⁵ ამ შემთხვევაში კავკასიის რეგიონში ასეთი აქტორები არიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, რუსეთი, თურქეთი, ირანი, ევროკავშირი, აშშ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შეიარაღებული ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტებისა და სამოქალაქო დაპირისპირებების ინსპირირებით და წაქეზებით, ჰიბრიდული ომებითა და ტერიტორიების ოკუპაციით რუსეთის ფედერაცია ცდილობს ომის წარმოებას ყველა მიმართულებით, ეწეოდა და ეწევა არაპროვოცირებულ ომს მეზობლებთან, დასავლეთმა ვერ შეძლო ერთიანი, მყარი და მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე

¹⁵⁵ ბუზანი ბ. ვივერი ო. უსაფრთხოების კომპლექსური თეორია. 2003წ. The Structure of International Security by Barry Buzan; Ole Wæver, The Slavonic and East European Review, 2003

აღმოცენებულ ახალ რუსულ იმპერიასა და სხვა ქვეყნებს შორის ძალთა დასაბალანსებლად და უსაფრთხო გეოპოლიტიკური გარემოს შესაქმნელად.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. 2020 წელს სომხეთ-აზერბაიჯანის მეორე ომმა, ე.წ. ყარაბაღის კონფლიქტმა სრულიად შეცვალა გეოპოლიტიკური სიტუაცია. რეგიონში ძალთა ბალანსი შეიცვალა, თუ ადრე აქ მხოლოდ რუსეთის ფედერაცია იყო წარმოდგენილი, დღეს თურქეთის რესპუბლიკა იმყარებს პოზიციებს და ზრდის თავის წარმომადგენლობას რეგიონში.¹⁵⁶

დასავლეთი ვერ ავლენს პარალელებს ისტორიულ მოვლენებს შორის - 1990-იანი წლებში ეკონომიკური კრიზისებითა და ეთნოკონფლიქტებით დასუსტებულ რუსეთის ფედერაციას არ დაუკარგავს იმპერიული ამბიციები ყოფილი „მომხრე რესპუბლიკების“ თავის წიაღში „დასაბრუნებლად“, ისევე როგორც მეფის რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ ბოლშევიკურ რუსეთს. ორივე შემთხვევაში „დაბრუნება“ ოკუპაციისა და ანექსიის პროცესს წარმოადგენს, თუმცა თუ ბოლშევიკები იდეოლოგიური დოგმებით ინილბებოდნენ, დღევანდელი რუსეთი არ მალავს „გეოპოლიტიკური კატასტროფის“ შედეგების ანულირების სურვილს და ეკონომიკური ბერკეტებითა თუ ეთნოკონფლიქტებით ცდილობს მიზნის მიღწევას, მით უმეტეს, რომ 2000-იანი წლების ეკონომიკურმა აღმავლობამ მის ამბიციებს ფართო გასაქანი მისცა არა მარტო პოსტსაბჭოთა, არამედ რეგიონულ ასპარეზზე.¹⁵⁷ მართალია, ჯერ რუსეთ-საქართველოს ომმა, შემდეგ შუა აზიის მოვლენებმა და ბოლოს რუსეთ-უკრაინის ომმა და სომხეთ-აზერბაიჯანის 2020 წლის ომმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა „რუსეთის იმპერიის ამბიცია“, რუსეთის ფედერაციას 2010-იანი წლებიდან გაცხადებული აქვს შავი ზღვის რეგიონის სატრანსპორტო კლასტერის შექმნა, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გავლენა შეინარჩუნოს სამხრეთ კავკასიაში და გააძლიეროს საკუთარი როლი რეგიონულ პოლიტიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სისტემებში. თუმცა, უკრაინის ომის შედეგებიდან გამომდინარე, მისი ამბიციების რელიზება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ამ მოცემულობაში რუსეთის, ისევე როგორც სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების, დაინტერესების საგანს წარმოადგენს ზანგეზურის დერეფანიც, ისევე როგორც კავკასია მთლიანად, როგორც რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური მომავლის იდენტიფიკატორი.

¹⁵⁶ ბენიამინ პოლოსიანი. რონდელის ფონდი 2021წ. „სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ.“ The regional security Dynamics of the south caucasus after the 2020 kharabakh war. Rondel Foundation. 2021.

¹⁵⁷ ლუჩინია სიმაო. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ: ევროპული უსაფრთხოების საზოგადოების გაფართოება. 2008წ. Licina simao. The EU's Neighborhood policy towards the South Caucasus" Expanding the European Security Community. 2008.

ზანგეზურის დერეფნად წოდებული ტერიტორია საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების ინტერესების საბრძოლო ველს წარმოადგენდა, რომელიც მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიას, ხოლო საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ სომხეთის სსრ-ს გადაეცა. იგი გადის სომხეთ-ირანის სახელმწიფო საზღვარზე და აზერბაიჯანისთვის მისი ტერიტორიასთან - ნახიჩევანის ანკლავთან დამაკავშირებელ ერთადერთ უმოკლეს (დაახლოებით 45 კმ) სახმელეთო გზას წარმოადგენს. ამ დერეფანში გამავალი სარკინიგზო მაგისტრალით სარგებლობდა აზერბაიჯანი 1990-იანი წლების ე.წ. ყარაბაღის პირველ ომში დამარცხებამდე. 2020 წლის მეორე ომში აზერბაიჯანის გამარჯვების შემდეგ დერეფნის გახსნა მისი ერთ-ერთი საკვანძო მოთხოვნაა, თუმცა ეს პროცესი ჯერჯერობით ადგილიდან არ იძვრის.

დასკვნა

ზანგეზურის დერეფნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა რეგიონის ქვეყნებისათვის კონკრეტულად ასე გამოიყურება:¹⁵⁸

- თურქეთისა და აზერბაიჯანისათვის ზანგეზურის დერეფნის გახსნა ნიშნავს მათ შორის პირდაპირი სახმელეთო კავშირის დამყარებას და „ერთი ერი - ორი სახელმწიფოს“ სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას და რეგიონში ჰეგემონობას;
- ზანგეზურის დერეფნის დღის წესრიგის აქტუალურ საკითხად წამოწევა ზრდის თურქეთის შანსებს აზერბაიჯანის რკინიგზის მეშვეობით რუსეთისა და სომხეთის რკინიგზების დაკავშირების პერსპექტივის ჭრილში გააკონტროლოს რუსეთ-სომხეთ-ირანის სატრანსპორტო-ეკონომიკური თანამშრომლობა;
- სომხეთისთვის ზანგეზურის დერეფანი პოლიტიკური სუვერენიტეტის გარანტიისა და ეკონომიკურ განვითარების საპირწონეს წარმოადგენს;
- საქართველოსთვის ზანგეზურის დერეფანი მის ტერიტორიაზე უკვე გამავალი ენერგეტიკული და სატრანსპორტო ქსელების ალტერნატიულობის გამოწვევას წარმოადგენს;
- ირანისთვის ზანგეზურის დერეფნის გახსნა ნიშნავს სომხეთთან საერთო საზღვრის გაკონტროლების შესაძლებლობას მისთვის

¹⁵⁸ ემილ ავდალიანი. გლობალური ცვლილებები და როგორ ეხმიანება ისინი სამხრეთ კავკასიას. 2022წ. Emil avdaliani. New World Order and small regions. The case of South Caucasus. The Review of European Affairs, 2021.

- არაკომფორტული/მიუღებელი ძალების მიერ, გარე სამყაროსთან კონტაქტების შემცირებას და რეგიონში თურქეთ-აზერბაიჯანის გავლენის გაძლიერებას;
- რუსეთისთვის ზანგეზურის დერეფნის, როგორც სატრანსპორტო მაგისტრალის გაკონტროლება ნიშნავს გეოპოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, თურქეთსა და ირანზე. ეს ნიშნავს, რომ მოსკოვს ნახიჩევანი-აზერბაიჯანის სარკინიგზო მარშრუტის გახსნით შეეძლება სომხეთი დააკავშიროს ირანსა და თურქეთთან და შექმნის დასავლეთისაკენ აზიიდან მიმავალი ენერგო და სავაჭრო მარშრუტების ალტერნატივას. ასევე, როგორც დერეფნის უსაფრთხოების გარანტს, ეძლევა შესაძლებლობა თავისი სამხედრო ძალები განალაგოს სომხეთში, რაც თურქეთის შემაკავებელ ფაქტორად შეიძლება იქნეს განხილული.
 - ჩინეთისთვის ზანგეზურის დერეფანი შეიძლება წარმოადგენდეს კავკასიაში უკვე არსებული სატრანზიტო მარშრუტების ალტერნატივას და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, როგორც რეგიონში მისი გავლენის გაზრდის შესაძლებლობას.

რაც შეეხება რისკებს, აზერბაიჯანი-სომხეთის კონფლიქტის ნორმალიზება ქმნის დამატებით პირობებს რუსეთის გვერდის ავლით ენერგომომარაგების ქსელის შესაქმნელად. თურქეთ-აზერბაიჯანის და სომხეთის ჩართულობით ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური დერეფნის გახსნა საფრთხეს უქმნის რუსეთის ეკონომიკას, რამდენადაც ტვირთბრუნვის დიდი ნაკადი სწორედ ზანგეზურის დერეფანში გამოივლის. ამით გაიზრდება კავკასიის მნიშვნელობა არამარტო დასავლეთის, ჩინეთისა და ირანისთვის, არამედ ინდოეთისთვისაც, რაც რუსეთის გავლენის შესუსტებისაკენ არის მიმართული და მისი გეოპოლიტიკური მარცხით შეიძლება დასრულდეს.¹⁵⁹

კავკასიაზე სატრანსპორტო გზებზე გავლენის შენარჩუნებით რუსეთის მმართველი წრე ცდილობს აჩვენოს პოლიტიკური სიძლიერე ქვეყნის შიგნითაც. უკრაინასთან ომის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური შედეგები და დემოგრაფიული პრობლემები უახლოეს მომავალში იჩენს თავს.

ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ზანგეზურის დერეფნის ამოქმედებას გარკვეული დრო სჭირდება, რაც საქართველოს ეკონომიკას შესაძლებლობას აძლევს სათანადოდ მოსამზადებლად, ხოლო პოლიტიკურად მომგებიანია იმდენად, რამდენადაც საქართველო და შავი ზღვა-კავკასიის რეგიონი მეტად დაცული იქნება რეგიონში არსებული გამოწვევებისგან.

¹⁵⁹ ანიე ჯაფალიან. ზოგადი ანალიზი, რეგიონალური კონფლიქტები, უსაფრთხოების ტრანსფორმაციები, გეოპოლიტიკაგამომცემლობა „აშგეტი“.2011წ. Annie Jafalian. Reassessing Security in the South Caucasus. Regional conflicts and Transformation Ashgate Publishing Company, 2011.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის სამხედრო აგრესიის პროვოცირება დაინტერესებული მხარეების მხრიდან, რაც შექმნის ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანე ჯაფალიანი. ზოგადი ანალიზი, რეგიონალური კონფლიქტები, უსაფრთხოების ტრანსფორმაციები, გეოპოლიტიკაგამომცემლობა „აშგეტი“.2011წ. Annie Jafalian. Reassessing Security in the South Caucasus. Regional conflicts and Transformation Ashgate Publishing Company, 2011.
2. ბარი ბუზანი, ოლე ვივერი. უსაფრთხოების კომპლექსური თეორია. 2003წ. The Structure of International Security by Barry Buzan; Ole Wæver, The Slavonic and East European Review, 2003
3. ბენიამინ პოლოსიანი. რონდელის ფონდი 2021წ. „სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ.“ The regional security Dynamics of the south caucasus after the 2020 kharabakh war. Roundel Foundation. 2021.
4. ემილ ავდალიანი. გლობალური ცვლილებები და როგორ ეხმიანება ისინი სამხრეთ კავკასიას. 2022წ. Emil avdaliani. New World Order and small regions. The case of South Caucasus. The Review of European Affairs, 2021.
5. ლუჩინია სიმაო. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ: ევროპული უსაფრთხოების საზოგადოების გაფართოება.2008წ. Licina simao. The EU's Neighborhood policy towards the South Caucasus" Expanding the European Security Community. 2008.

განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები**ლიკა ლაგვილავა**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
lika.lagvilava@ciu.edu.ge
ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-0120-0408>
DOI: 10.52340/splogos.2025.03.13

აბსტრაქტი

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ რადიკალურად შეცვალა გლობალური უსაფრთხოების პარადიგმა. ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, ინტერნეტი ნივთების (IoT), 5G კავშირი და ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა ქმნიან ახალ შესაძლებლობებს, თუმცა, ამავე დროს ზრდიან კიბერუსაფრთხოების სირთულეებსა და საფრთხეებს. აღნიშნულ ტექნოლოგიებთან ერთად იზრდება კიბერშეტევების მასშტაბი, სირთულე და ფარული ზემოქმედების შესაძლებლობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორზე. განსაკუთრებით რისკის ქვეშ დგანან კრიტიკული ინფრასტრუქტურები, სახელმწიფო უწყებები და მონაცემთა ბაზები, რომელთა უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია ეროვნულ და საერთაშორისო სტაბილურობასთან.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს ის ძირითადი კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია განვითარებად ციფრულ ტექნოლოგიებთან. კვლევა ეფუძნება შემთხვევების ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკასა და თანამედროვე სტრატეგიულ მიდგომებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კიბერმდგრადობის კონცეფციას, ინციდენტებზე რეაგირების მექანიზმებსა და მრავალდონიან კოორდინაციას. ნაშრომში გამოკვეთილია საჭიროება ინტეგრირებული პოლიტიკის, ციფრული სოლიდარობისა და ტექნოლოგიური სუვერენიტეტის გასაძლიერებლად.

აბსტრაქტი ასახავს კიბერუსაფრთხოების ინტერდისციპლინურ ბუნებას და ხაზს უსვამს პრევენციული, რეაგირებისა და აღდგენის პროცესების მუდმივ დახვეწის აუცილებლობას ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე.

საკვანძო სიტყვები: განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები; კიბერუსაფრთხოება, კიბერშეტევები, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, გლობალური თანამშრომლობა

Emerging Digital Technologies and Cybersecurity Challenges

Lika Lagvilava

Ph.D. Student, Doctoral Educational Program in Political Science

Faculty of Social and Humanitarian Sciences

Caucasus International University

lika.lagvilava@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-0120-0408>

Abstract

The rapid development of modern digital technologies has radically changed the global security paradigm. Artificial intelligence, blockchain, the Internet of Things (IoT), 5G connectivity, and cloud infrastructure create new opportunities, but at the same time increase the complexity and threats of cybersecurity. Along with these technologies, the scale, complexity, and potential for covert impact of cyberattacks on both the public and private sectors are increasing. Critical infrastructures, government agencies, and databases, whose security is directly related to national and international stability, are particularly at risk. The presented paper aims to analyze the main cybersecurity challenges associated with emerging digital technologies. The study is based on case studies, international practice, and modern strategic approaches. Special attention is paid to the concept of cyber resilience, incident response mechanisms, and multi-level coordination. The paper highlights the need for integrated policies, digital solidarity, and technological sovereignty. The abstract reflects the interdisciplinary nature of cybersecurity and emphasizes the need for continuous improvement of prevention, response, and recovery processes in the context of technological progress.

Keywords: emerging digital technologies; cybersecurity, cyberattacks, critical infrastructure, global cooperation

კვლევის მეთოდოლოგია: მოცემული ნაშრომი ეფუძნება კომბინირებულ კვლევით მიდგომას, რომელიც მოიცავს ხარისხობრივ ანალიზს. გამოყენებული იქნება შედარებითი მეთოდი სხვადასხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის (მაგ., ნატო, ევროკავშირი, გაერო) კიბერუსაფრთხოების სტრატეგიების შესაფასებლად. შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდით განიხილება რამდენიმე მნიშვნელოვანი პრეცედენტი – მათ შორის, ესტონეთის 2007 წლის კიბერშეტევა, SolarWinds-ის ინციდენტი და რუსეთის მიერ გამოყენებული კიბეროპერაციები სამხედრო კონფლიქტებში. ნაშრომში გამოყენებული იქნება

დოკუმენტური ანალიზი (policy papers, სტრატეგიული დოკუმენტები, აკადემიური პუბლიკაციები) და ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები, რაც გააძლიერებს კვლევის ემპირიულ საფუძველს.

კვლევის თეორიული ჩარჩო: კვლევა დაფუძნებულია კიბერუსაფრთხოების კვლევის ინტერდისციპლინარულ თეორიებზე, რომლებიც აერთიანებს საერთაშორისო უსაფრთხოების, cyber resilience და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების სეკიურიტიზაციის თეორიას, რომელიც ხსნის, თუ როგორ იქცევა კიბერუსაფრთხოება სახელმწიფოთა პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად. ასევე გამოყენებული იქნება სისტემური მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს კიბერსივრცის, ეკონომიკისა და სამხედრო სფეროს ურთიერთგადაჯახულობას. კვლევის ჩარჩო მოიცავს ციფრული სოლიდარობის კონცეფციას, რომელიც განიხილება როგორც შესაძლო ახალი მექანიზმი საერთაშორისო კოოპერაციის გასაღრმავებლად.

სამეცნიერო სიახლე: ნაშრომის მთავარი სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ავითარებს ციფრული სოლიდარობის კონცეფციას, როგორც კიბერუსაფრთხოების კოლექტიური დაცვის ახალი ინსტრუმენტს. ამგვარი მიდგომისას ჩამოყალიბებულია მოდელი, რომელიც აერთიანებს პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენის ეტაპებს ერთიან სტრუქტურაში და ამყარებს კიბერსივრცეში თანამშრომლობის პრინციპებს არა მხოლოდ ნატოს წევრ, არამედ პარტნიორ ქვეყნებს შორისაც. კვლევა ასევე განიხილავს ინოვაციურ პრაქტიკას – მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას რეალურ დროში საფრთხეების პროგნოზირებისთვის და ბლოკჩეინის ინტეგრაციას მონაცემთა სანდოობის გასაუმჯობესებლად.

შესავალი

ციფრული ტექნოლოგიების დინამიკურმა განვითარებამ ფუნდამენტურად გარდაქმნა თანამედროვე მსოფლიო – კომუნიკაცია, მმართველობა, ბიზნესი, სამხედრო სტრატეგია და ყოველდღიური ცხოვრება სულ უფრო მეტად ეყრდნობა ციფრულ სივრცეს. ინტერნეტ- და ინფრასტრუქტურების გაძლიერება, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია, დიდი მონაცემების (Big Data) გამოყენება, ბლოკჩეინის სისტემები და ღრუბლოვანი ქსელები არა მხოლოდ აჩქარებს ინოვაციას, არამედ მნიშვნელოვნად ცვლის გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურას.

თუმცა, ციფრული პროგრესის პარალელურად გაიზარდა უსაფრთხოების რისკებიც – კიბერდანაშაულის სიხშირე, კიბერშეტევების სირთულე და მათი

გეოპოლიტიკური გავლენა ახალ საფრთხეებს უქმნის როგორც სახელმწიფოებს, ისე კერძო სექტორსა და ინდივიდებს. თანამედროვე სახელმწიფოების კრიტიკული ინფრასტრუქტურა – ენერგეტიკა, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, ბანკები და თავდაცვითი სისტემები – დიდწილად დამოკიდებულია ტექნოლოგიურ სტაბილურობაზე, რაც მათ პოტენციურად მოწყვლადს ხდის კიბერშეტევებისადმი.

გლობალურ დონეზე, კიბერუსაფრთხოება გარდაიქმნა ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ გამოწვევად. არაერთი საერთაშორისო კვლევა მიუთითებს, რომ სახელმწიფოთა ტექნოლოგიური განვითარება ვერ სდევს საკმარისად სწრაფად უსაფრთხოების პრევენციულ სტრატეგიებს. კიბერშეტევები ხშირად აღწევს მაღალი სენსიტიურობის სისტემებამდე, ზოგ შემთხვევაში კი, სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების ინსტრუმენტადაც ყალიბდება, რასაც მეცნიერები „კიბერომად“ განიხილავენ.

განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები ქმნიან ახალი ტიპის კიბერუსაფრთხოების გამოწვევებს, განვიხილავთ, თუ როგორ რეაგირებენ სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ამ გამოწვევებზე და როგორ შეიძლება განვითარდეს ეფექტიანი მექანიზმები კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენის მექანიზმებს, ასევე, ციფრული სოლიდარობის მნიშვნელობას საერთაშორისო დონეზე.

პრობლემის აქტუალობა: ციფრული ტექნოლოგიების დინამიკურმა განვითარებამ არა მხოლოდ შეცვალა გლობალური ურთიერთობების არქიტექტურა, არამედ წარმოშვა სრულიად ახალი ტიპის რისკები, რომლებიც უშუალოდ ეხება სახელმწიფოების, კერძო სექტორისა და ინდივიდების უსაფრთხოებას. თანამედროვე მსოფლიოში კრიტიკული ინფრასტრუქტურის ციფრულ სისტემებზე დამოკიდებულებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კიბერმუქარის მასშტაბი. კიბერდანაშაული, ჰაკერული ჯგუფების მიერ განხორციელებული მასშტაბური შეტევები და სახელმწიფოთაშორისი კიბეროპერაციები ხშირად იწვევს ეკონომიკურ დანაკარგებს, დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაციასა და ზოგიერთ შემთხვევაში – გეოპოლიტიკურ კრიზისს. ამ ფონზე, კიბერუსაფრთხოება იქცა არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ პოლიტიკურ და სტრატეგიულ გამოწვევად, რომელიც მოითხოვს სისტემურ, ინტერდისციპლინარულ მიდგომას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული თემის კვლევა წარმოადგენს აქტუალურ და პრიორიტეტულ საკითხს თანამედროვე პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში.

სწრაფად განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება არა მხოლოდ აჩქარებს სოციალურ, ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ პროგრესს, არამედ კიბერსივრცეს გარდაქმნის ახალი ტიპის არაერთი საფრთხის არენად. სწორედ ამ ცვლილების ფონზე, მთავარი სათქმელია ის, რომ ციფრული პროგრესი აუცილებლად უნდა ახლდეს კიბერუსაფრთხოების პარალელურ განვითარებას, რადგან ტექნოლოგიური ინოვაცია, თავის თავში, არ წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტიას¹⁶⁰.

თანამედროვე მსოფლიოში კიბერუსაფრთხოება უნდა აღიქმებოდეს როგორც საერთაშორისო, მრავალდონიანი და ინტერდისციპლინური ამოცანა, რომლის წარმატებული შესრულება დამოკიდებულია არა მხოლოდ ინდივიდუალურ სახელმწიფოებზე, არამედ გლობალურ თანამშრომლობაზე, ციფრულ სოლიდარობასა და ერთიანი სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაზე.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ვერ ჩაითვლება წარმატებულად, თუ მას არ აქვს საიმედო და მდგრადი კიბერუსაფრთხოების ჩარჩო. სწორედ ამიტომ, საჭიროა პოლიტიკის, ტექნოლოგიისა და საზოგადოების ერთიანი ძალისხმევა, რათა პროგრესი არ გადაიქცეს მოწყვლადობად, ხოლო ინოვაცია – საფრთხედ.¹⁶¹

ციფრული ტექნოლოგიები ყოველდღიურად ცვლიან ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ მათთან ერთად იზრდება კიბერუსაფრთხოების სერიოზული გამოწვევებიც. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე კონკრეტული მაგალითი, რომლებიც ასახავს ამ პრობლემების რეალურ მასშტაბს:

1. სტაქსნეტი (Stuxnet) – ინდუსტრიული სისტემის წინააღმდეგ პირველი კიბერიაარადი;

2010 წელს აღმოჩენილი მავნე პროგრამა სტაქსნეტი (Stuxnet) მიზანმიმართულად შეიქრა ირანის ბირთვულ ობიექტებში და გაანადგურა ურანის გამამდიდრებელი ცენტრიფუგები.¹⁶² ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კიბერშეტევა ფიზიკური დაზიანების გამოწვევით აისახა ეროვნულ ინფრასტრუქტურაზე. იგი ასახავს იმას, თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგიური

¹⁶⁰ Svitlyk Y., „OpenAI ახალი სუპერძალა: რა არის ChatGPT აგენტი?“, Root Nation, p. 1, 2023. <https://ka.root-nation.com/en/articles-en/services-en/en-chatgpt-new-super-power/> (ბ.ბ. 25.07.2025).

¹⁶¹ Singh, S., Hosen, A. S. M., Yoon, B., „Blockchain Security Attacks, Challenges, and Solutions for the Future Distributed IoT Network“. IEEE Access, 8, pp. 13938-13959. 2021. <https://scispace.com/pdf/blockchain-security-attacks-challenges-and-solutions-for-the-47ml7a9t5w.pdf> (ბ.ბ. 23.07.2025)

¹⁶² სიღამონიძე, ნ., „STUXNET – გლობალური მნიშვნელობის კიბერ იარაღი, რომელმაც ბირთვული საფრთხე შეაჩერა“. ანალიტიკური ცენტრი, გვ.1. 2023. <https://shorturl.at/ZFTbl> (ბ.ბ. 23.07.2025)

ცოდნის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის და ხაზს უსვამს კიბერშეტევების სამხედრო პოტენციალს.

სტაქსნეტმა გააფუჭა დაახლოებით 1,000 ურანის გამამდიდრებელი ცენტრიფუგა, რაც იყო ირანის კონკრეტული ობიექტის კაპიტალის დაახლოებით 20-დან 30 პროცენტამდე. დაზიანება ფიზიკური ხასიათისა იყო, რამაც სერიოზულად შეაფერხა ირანის ბირთვული პროგრამის განვითარება. თავდასხმის შედეგად ირანის ბირთვული პროგრამა მნიშვნელოვნად შეფერხდა. ზუსტი ფინანსური ზარალის ოდენობა საჯაროდ არ არის ცნობილი, მაგრამ ცნობილია, რომ ტექნიკური აღდგენისა და შეცდომების გამოსწორების ხარჯები ძალიან დიდი იყო. სტაქსნეტის გამოჩენამ ახალი ეტაპი ჩაუყარა კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში, მნიშვნელოვნად გაზარდა ტექნოლოგიური თავდაცვისა და კიბერუსაფრთხოების სტრატეგიების საჭიროება.

სტაქსნეტის ზარალი იყო არა მხოლოდ ტექნიკური და ფინანსური, არამედ სტრატეგიული ხასიათისა, რაც ცხადყოფს, რომ კიბერშეტევებმა შესაძლოა შეუქცევადი და მასშტაბური შედეგები გამოიწვიონ კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის.¹⁶³

2. კოლონიური მილსადენი (Colonial Pipeline) – 2021 წლის თავდასხმა ენერგეტიკულ სექტორზე

აშშ-ის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობის გადამამუშავებელი ქსელი გახდა რანსომერის (გამოძალის პროგრამის) მსხვერპლი. ჰაკერებმა დაბლოკეს სისტემების მუშაობა და კომპანიას მილიონობით დოლარის გამოსასყიდი მოსთხოვეს. კომპანიამ ჰაკერებს გადაუხადა დაახლოებით 4.4 მილიონი დოლარი გამოსასყიდის სახით, თუმცა, მოგვიანებით ფული აშშ-ის მთავრობამ დაუბრუნა.¹⁶⁴ მილსადენის სრულყოფილი მუშაობის აღდგენას რამდენიმე დღე დასჭირდა, რამაც გარდა პირდაპირი ზარალისა, გამოიწვია დიდი ხარჯები უსაფრთხოების გაძლიერებაზე, დაზიანებული სისტემების აღდგენასა და დამატებით ტექნიკურ სამუშაოებზე. ეს შემთხვევა ცხადყოფს, რამდენად მოწყვლადია კრიტიკული ინფრასტრუქტურა ტექნოლოგიურ სივრცეში და როგორ შეიძლება კიბერშეტევებმა გავლენა მოახდინოს რეალურ ეკონომიკასა და მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

¹⁶³ სიდამონიძე ნ., „STUXNET – გლობალური მნიშვნელობის კიბერ იარაღი, რომელმაც ბირთვული საფრთხე შეაჩერა“, ანალიტიკური ცენტრი, გვ.1. 2023. <https://shorturl.at/ZFTbl> (ბ.6. 23.07.2025)

¹⁶⁴ Svitlyk Y., „ყველაზე ცნობილი ჰაკერული თავდასხმები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოხდა“, Root Nation, p.1. 2023. <https://ka.root-nation.com/en/articles-en/tech-en/en-most-famous-hacker-attacks/> (ბ. 6. 25.07.2025).

3. ესტონეთის 2007 წლის კიბერშეტევები – სახელმწიფოს პარალიზება ციფრულად

ესტონეთი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ციფრულად განვითარებული სახელმწიფო, 2007 წელს მასშტაბური კიბერშეტევის მსხვერპლი გახდა. ჰაკერებმა თავდასხმა დაიწყეს სახელმწიფო უწყებების, ბანკებისა და მედიაპლატფორმების წინააღმდეგ. შედეგი იყო ინფორმაციული და ეკონომიკური პარალიზება რამდენიმე დღით. შემთხვევამ დააჩქარა ნატოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის გაძლიერება და კიბერშეტევების აღიარება როგორც პოტენციური სამხედრო თავდასხმის ფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ ზუსტ ფინანსურ ზარალზე ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, სხვადასხვა წყაროები მიუთითებენ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე:

სერვისების შეფერხება: მთავარი ბანკების, მთავრობის უწყებების და მედიაორგანიზაციების ვებსაიტები რამდენიმე დღით გადახურდა, რამაც შეაფერხა ქვეყნის ყოველდღიური ფუნქციონირება.

ეკონომიკური ზარალი: ბევრი კომპანია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის, განიცდიდა შემოსავლის დაკარგვას, რადგან მათი ონლაინსერვისები შეჩერებული იყო.

ამ ინციდენტმა გამოავლინა ციფრული თავდაცვის აუცილებლობა და ხელი შეუწყო შემდეგი ნაბიჯების გადადგმას: ატლანტიკური ალიანსი აღიარებდა კიბერშეტევების სერიოზულობას და გამოთქვა მზადყოფნა დაეხმარებოდა წევრ ქვეყნებს კიბერუსაფრთხოების სფეროში. 2008 წელს, ესტონეთში დაარსდა NATO-ს კოოპერატიული კიბერდაცვის ცენტრი, რომელიც გახდა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა კიბერუსაფრთხოების სფეროში. ესპანეთის მთავრობამ დაიწყო ციფრული ინფრასტრუქტურის გამაგრება, ახალი პოლიტიკის შემუშავება და საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობის გაძლიერება.

4. „ChatGPT“-ს (AI) ფიქტიური ინფორმაციების შექმნის საფრთხე

ხელოვნური ინტელექტის მოდელების (როგორიცაა ChatGPT) განვითარებამ წარმოშვა ახალი მრავალი ტიპის საფრთხეი: დეზინფორმაცია, ღრმა ფეიკები (deepfakes), ავტომატური ფიშინგი და სოციალური მანიპულაცია¹⁶⁵. მაგალითად, კიბერჰაკერებმა შეძლეს GPT-4 მსგავსი მოდელების გამოყენება, რათა შეექმნათ სარწმუნო თაღლითური ტექსტები და მოეპარათ მომხმარებელთა პირადი

¹⁶⁵ Svitlyk Y., „OpenAI ახალი სუპერძალა: რა არის ChatGPT აგენტი?“, Root Nation, p.1, 2023, <https://ka.root-nation.com/en/articles-en/services-en/en-chatgpt-new-super-power/> (ბ.6. 25.07.2025).

მონაცემები. ეს აჩვენებს, რომ AI შეიძლება გახდეს როგორც ინოვაციის, ისე კიბერსაფრთხის წყარო.

5. Pegasus – მობილური თვალთვალის პროგრამა

ისრაელის NSO Group-ის მიერ შექმნილი პროგრამა „პეგასუსი“ გამოიყენებოდა ჟურნალისტების, აქტივისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების მობილური ტელეფონების გასატყუად. პროგრამა ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ მეთოდს იყენებს მობილური მოწყობილობების ფარული კონტროლისთვის და აჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფოებმა პოლიტიკური კონტროლის იარაღად.¹⁶⁶

6. Smart City – ტექნოლოგიური კომფორტი და დაცულობის დილემა

„ჭკვიანი ქალაქების“ კონცეფცია გულისხმობს სენსორებზე, IoT-ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ინფრასტრუქტურას. თუმცა, თუ კიბერუსაფრთხოების საკმარისი ზომები არ არის მიღებული, ამ სისტემებში შეღწევა საშუალებას აძლევს ჰაკერებს აკონტროლონ ტრანსპორტი, განათება, კამერები და სხვა სისტემები. ასეთი სცენარები რეალურ საფრთხეს უქმნის ურბანულ უსაფრთხოებას.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები აჩვენებს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სტაბილური და სანდო, თუ მას თან ახლავს უსაფრთხოების ეფექტიანი ჩარჩო, გლობალური თანამშრომლობა და პრევენციული მექანიზმების მუდმივი განვითარება. განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები გლობალურ საზოგადოებას უწყვეტი პროგრესის, კომუნიკაციისა და ინოვაციების საშუალებას აძლევს, მაგრამ ამასთანავე აჩენს კიბერუსაფრთხოების ახალ, კომპლექსურ გამოწვევებს. თანამედროვე ეპოქაში, სადაც ხელოვნური ინტელექტი, ინტერნეტი ნივთების, ბლოკჩეინი და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები ერთდროულად განვითარებს როგორც ეკონომიკასა და სოციალურ სივრცეს, ასევე უსაფრთხოების რისკს, აუცილებელია ამ გამოწვევებზე ეფექტიანი და კოორდინირებული რეაგირება¹⁶⁷.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ გლობალური თანამშრომლობის, მრავალდონიანი კოორდინაციისა და მუდმივი ტექნოლოგიური ინოვაციების გაერთიანებით.

¹⁶⁶ Svitlyk Y., „ყველაზე ცნობილი ჰაკერული თავდასხმები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოხვდა“. Root Nation, p.1. 2023. <https://ka.root-nation.com/en/articles-en/tech-en/en-most-famous-hacker-attacks/> (ბ.ბ. 25.07.2025)

¹⁶⁷ Singh S., Hosen A. S. M., Yoon B., „Blockchain Security Attacks, Challenges, and Solutions for the Future Distributed IoT Network“. IEEE Access, 8, pp. 13938-13959. 2021. <https://scispace.com/pdf/blockchain-security-attacks-challenges-and-solutions-for-the-47ml7a9t5w.pdf> (ბ.ბ. 23.07.2025).

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სამართლებრივი ჩარჩოების გამკაცრება ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან კიბერსაფრთხე ეხება ყველას – ინდივიდებს, ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს.

სწორად ჩამოყალიბებული კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და მდგრადი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა საშუალებას მოგვცემს სრულად გამოვიყენოთ ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები, განვახორციელოთ ინოვაცია და ერთდროულად დავიცვათ ჩვენი კრიტიკული სისტემები და უფლებები თანამედროვე სამყაროში.

დასკვნა

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ზრდამ შექმნა ახალი ეპოქა, რომელშიც ციფრული სივრცე აღარ არის მხოლოდ ინფორმაციის გაცვლის პლატფორმა, არამედ გადამწყვეტი ფაქტორია გლობალური უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტაბილურობისთვის. ტექნოლოგიური პროგრესი – ხელოვნური ინტელექტი, ინტერნეტი ნივთების (IoT), ბლოკჩეინი, ღრუბლოვანი სერვისები, 5G ქსელები – უზრუნველყოფს უდიდეს შესაძლებლობებს საზოგადოებისთვის, თუმცა ამავე დროს ქმნის ახალ საფრთხეთა სპექტრს, რომელთა დასაძლევად საჭიროა კომპლექსური, ინტერდისციპლინური და გლობალურად კოორდინირებული მიდგომა.

წარმოდგენილმა კვლევამ ნათლად წარმოაჩინა, რომ კიბერსაფრთხოები ტექნოლოგიებთან ერთად ვითარდება და მორგებულია მათ არსებულ სისუსტეებზე. დღეს კიბერშეტევა აღარ არის მხოლოდ ტექნიკური დანაშაული – ის წარმოადგენს ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტს, რომელსაც იყენებენ როგორც კრიმინალური ჯგუფები, ისე სახელმწიფო სტრუქტურები პოლიტიკური, ეკონომიკური ან სამხედრო მიზნების მისაღწევად. ეს ქმნის ახალ რეალობას, სადაც კიბერუსაფრთხოება უნდა აღიქმებოდეს არა როგორც ტექნიკური, არამედ როგორც სტრატეგიული ეროვნული და საერთაშორისო ამოცანა.

კვლევაში განხილულმა კონკრეტულმა ქეისებმა – სტაქსნეტის თავდასხმიდან კოლონიური მილსადენის ინციდენტამდე – ცხადყო, რომ კრიტიკული ინფრასტრუქტურები, შესაძლოა, მწყობრიდან გამოიყვანოს მხოლოდ კიბერშეტევით, ფიზიკური ინტერვენციის გარეშე. ეს ამბავებს ტექნოლოგიური მოწყვლადობის რისკს, მით უმეტეს, როცა სახელმწიფოები ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვაში უსწრებენ უსაფრთხოების პოლიტიკების განვითარებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიის უსაფრთხო განვითარება შეუძლებელია ციფრული სოლიდარობის, მრავალდონიანი კოორდინაციისა და განათლებაზე დაფუძნებული ცნობიერების ამაღლების გარეშე. კიბერუსაფრთხოება აღარ არის მხოლოდ სპეციალისტების საზრუნავი – იგი მოითხოვს საზოგადოების ფართო მონაწილეობას, რადგან ინდივიდუალური შეცდომები ხშირად იქცევა სისტემური რღვევის გამომწვევად.

გარდა ამისა, თანამედროვე რეალობაში აუცილებელია კიბერმდგრადობის კონცეფციის დანერგვა – უსაფრთხოების ის მოდელი, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ თავდაცვას, არამედ ინციდენტის მართვას, სწრაფ რეაგირებასა და აღდგენას. ეს გულისხმობს ტექნიკური, სამართლებრივი და პოლიტიკურ-სტრატეგიული ინსტრუმენტების ინტეგრაციას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს, რომ ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ვერ ჩაითვლება წარმატებულად, თუ მას არ ახლავს საიმედო კიბერუსაფრთხოების არქიტექტურა. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ვალდებულებაა, არა მხოლოდ მოახდინონ ინოვაციების ინტეგრაცია, არამედ შექმნან გამართული უსაფრთხოების ჩარჩოები, რომლებიც მიმართულია რისკის მინიმალიზაციისკენ.

საბოლოოდ, დასკვნა შეიძლება შეჯამდეს სამი ძირითადი გზავნილით:

1. ტექნოლოგიური პროგრესი და კიბერუსაფრთხოება უნდა განვითარდეს თანაბრად, რადგან დაუცველი ინოვაცია საფრთხეს უქმნის მთლიანად სისტემას;
2. კიბერუსაფრთხოება გლობალური თანამშრომლობის სფეროა, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტების ჰარმონიზაციას და საერთო პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას;
3. ინფორმაციული მდგრადობა და განათლება საზოგადოებრივი იმუნიტეტის საფუძველია – მხოლოდ ინფორმირებული და ტექნოლოგიურად პასუხისმგებელი საზოგადოება შეძლებს ტექნოლოგიურ რისკზე ადეკვატურად რეაგირებას.

ციფრულ ეპოქაში, სადაც ყოველი ნაბიჯი ტოვებს კიბერკვალს, კიბერუსაფრთხოება აღარ არის მომავლის ამოცანა – ის არის დღევანდელი გადარჩევის აუცილებლობა. მხოლოდ ინკლუზიური, სტრატეგიულად გააზრებული და მდგრადი მიდგომით შევძლებთ ტექნოლოგიური შესაძლებლობების სრულფასოვან გამოყენებას ისე, რომ მათ არ ახლდეს სხვადასხვა კატასტროფული საფრთხე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სიდამონიძე ნ., „STUXNET – გლობალური მნიშვნელობის კიბერ იარაღი, რომელმაც ბირთვული საფრთხე შეაჩერა“, ანალიტიკური ცენტრი, გვ.1. 2023. <https://shorturl.at/ZFTbI> (ბ.ფ. 23.07.2025).
2. Anderson R. J., “Security Engineering: A Guide to Building Dependable Distributed Systems (3rd ed.)“, Wiley, pp. 1-30. 2020, <https://download.e-bookshelf.de/download/0015/3092/35/L-G-0015309235-0048729244.pdf> (ბ.ფ. 23.07.2025).
3. Bada A., & Nurse J. R. C., “Developing cybersecurity education and awareness programmes for small- and medium-sized enterprises (SMEs)”, Information & Computer Security, 27(3), pp. 393-410, 2019, <https://scispace.com/pdf/developing-cybersecurity-education-and-awareness-programmes-2pyn2vv1gy.pdf> (ბ.ფ. 25.07.2025.)
4. Böhme R., & Moore T., “The iterated weakest link—A model of adaptive security investment“, Workshop on the Economics of Information Security (WEIS), pp. 81-102, 2012, https://www.scirp.org/pdf/IIS_2016033115021747.pdf (ბ.ფ. 23.07.2025).
5. Clarke R., & Knake R. K., “Cyber War: The Next Threat to National Security and What to Do About It“, Ecco, 2010, <https://georgetownsecuritystudiesreview.org/2013/12/10/richard-a-clarke-and-robert-k-knakes-cyber-war-the-next-threat-to-national-security-and-what-to-do-about-it-harper-collins-2010/> (ბ.ფ. 24.07.2025).
6. Conti M., Dehghantanha A., Franke K., & Watson S. “Internet of Things security and forensics: Challenges and opportunities”, Future Generation Computer Systems, 78, pp. 544-546, 2018, <https://arxiv.org/pdf/1807.10438> (ბ.ფ. 23.07.2025).
7. Greenberg A., “Sandworm: A New Era of Cyberwar and the Hunt for the Kremlin’s Most Dangerous Hackers“, Doubleday, pp. 1-371, 2020, <https://dokumen.pub/sandworm-a-new-era-of-cyberwar-and-the-hunt-for-the-kremlins-most-dangerous-hackers-978-0385544405.html> (ბ.ფ. 23.07.2025).
8. Mohammad N., Khatoon R., Nilima S. I., Akter J., Kamruzzaman M., Sozib H. M., “Ensuring Security and Privacy in the Internet of Things: Challenges and Solutions”, Scientific Research, pp. 257-277, 2024, <https://www.scirp.org/journal/paperinformation?paperid=135664> (ბ.ფ. 23.07.2025).
9. Scmitt M. N., “Tallinn Manual on the International Law Applicable to Cyber Warfare NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence”, Cambridge University Press, pp. 1-215. 2013 <https://csef.ru/media/articles/3990/3990.pdf> (ბ.ფ. 24.07.2025).
10. Singer, P. W., & Friedman, A. “Cybersecurity and Cyberwar: What Everyone Needs to Know“. Oxford University Press, pp. 1-33, 2014, https://api.pageplace.de/preview/DT0400.9780199918102_A23618218/preview-9780199918102_A23618218.pdf (ბ.ფ. 24.07.2025)
11. Singh S., Hosen A. S. M., Yoon B., “Blockchain Security Attacks, Challenges, and Solutions for the Future Distributed IoT Network”, IEEE Access, 8, pp. 13938-

- 13959, 2021, <https://scispace.com/pdf/blockchain-security-attacks-challenges-and-solutions-for-the-47ml7a9t5w.pdf> (ბ.ნ. 23.07.2025).
12. Svitlyk Y., „ყველაზე ცნობილი ჰაკერული თავდასხმები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოხდა“, Root Nation, pp.1. 2023, <https://ka.root-nation.com/en/articles-en/tech-en/en-most-famous-hacker-attacks/> (ბ.ნ. 25.07.2025).
13. Svitlyk Y., „OpenAI ახალი სუპერძალა: რა არის ChatGPT აგენტი?“, Root Nation, pp. 1. 2023, <https://ka.root-nation.com/en/articles-en/services-en/en-chatgpt-new-super-power/> (ბ.ნ. 25.07.2025).

საერთაშორისო ბიზნესის კულტურული და სოციალური დინამიკა საქართველოში

ნინო მჭედლიშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დოქტორანტი

ninnimchedlishvili@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0004-6758-7683>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.14

აბსტრაქტი

სტატია განიხილავს სოციოკულტურულ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთაშორისო ბიზნესის საქმიანობაზე საქართველოში. იგი აანალიზებს ქვეყნის ამჟამინდელ სოციოკულტურულ მდგომარეობას, მის სამომავლო პერსპექტივებსა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, რამაც გააძლიერა საქართველოს მონაწილეობა გლობალურ ბიზნესსაქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები დღეს მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან, უცხოური კომპანიების აქტიურობა საქართველოში და მათი მიერ შექმნილი ეკონომიკური სარგებელი სტაბილურად იზრდება.

სხვადასხვა კულტურისა და ეროვნების წარმომადგენელი ბიზნესპროფესიონალები აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ გაცვლებში. საერთაშორისო ბიზნესის დინამიკის სრულად გასაგებად, გადამწყვეტია სოციოკულტურის ცნების მკაფიოდ განსაზღვრა. სოციოკულტურა ხაზს უსვამს სხვადასხვა კულტურული კონტექსტის მქონე ინდივიდებს შორის განსხვავებას. კულტურული გაცვლის დროს, ღირებულებების, ქცევებისა და კულტურული პრაქტიკის ადაპტაცია და ტრანსფორმაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ისევე, როგორც ახალი ტენდენციების გაჩენა, რომლებიც ყალიბდება გარემოს გავლენით.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული კულტურა, ბიზნესგარემო, საერთაშორისო ბიზნესი, კულტურათშორისი მენეჯმენტი, კორპორატიული კულტურის ევოლუცია

Cultural and Social Dynamics of International Business in Georgia

Nino Mchedlishvili

PhD student, Faculty of Engineering, Economics, Media Technologies and Social Sciences

ninnimchedlishvili@gmail.comORCID iD: <https://orcid.org/0009-0004-6758-7683>**Abstract**

The study investigates the sociocultural elements impacting international business operations in Georgia. It analyzes the current sociocultural landscape of the country, its prospects, and the associated challenges. This subject is particularly relevant, given recent developments that have strengthened Georgia's participation in global business activities. Although international organizations face considerable difficulties today, the presence and operations of foreign companies within Georgia, along with the revenue they generate, have been expanding rapidly. Business professionals from diverse nations, representing various cultural backgrounds, engage in cultural exchanges. To fully comprehend international business dynamics, it is crucial to clearly define the concept of socioculture. Socioculture highlights the variations among individuals from different cultural contexts. During cultural exchanges, the adaptation and transformation of values, behaviors, and cultural practices play a pivotal role, as do the emergence of new trends shaped by external environmental influences.

Keywords: Organizational culture, Business environment, International business, Cross-cultural management, corporate culture evolution

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევა მიზნად ისახავს კომპანიებზე მოქმედი სოციალურ-კულტურული ფაქტორების შესწავლას და მათი გავლენის შეფასებას ქართულ ორგანიზაციებზე. ამ მიზნის მისაღწევად, კვლევა ფოკუსირებული იქნება შემდეგ მიზნებზე:

- ✓ კულტურული კვლევების თეორიული საფუძვლების გამოკვლევა;
- ✓ ეროვნული სოციოკულტურული მოდელების გამოკვლევა;
- ✓ კორპორატიული კულტურის ისტორიული ევოლუციის ანალიზი;
- ✓ ბიზნესკულტურის განვითარების მიმოხილვა;
- ✓ გაანალიზდეს სოციალური კაპიტალის როლი საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების ხელშეწყობაში.

კვლევის ჰიპოთეზა: საერთაშორისო ბაზრებზე მოქმედი ქართული საწარმოების წარმატებასა და ეფექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი ადაპტაციის უნარი სოციალურ-კულტურულ ფაქტორებთან, მათ შორის, კულტურულ მრავალფეროვნებასთან, სოციალურ კაპიტალთან და განვითარებად ბიზნესპრაქტიკასთან. ორგანიზაციულ სტრატეგიებსა და სოციალურ-კულტურულ გარემოს შორის უფრო დიდი თანხვედრა აძლიერებს კონკურენტულ უპირატესობას და ხელს უწყობს საერთაშორისო ბიზნესურთიერთობების გამართლებას.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევა განიხილავს სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს-პრაქტიკაზე საქართველოში. კვლევის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო სფეროში ბიზნესის განვითარებასა და სოციალურ-კულტურული ფაქტორების გავლენის ანალიზი. კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ გლობალურ ბიზნესსაქმიანობაში ჩართული კერძო თუ სახელმწიფო კომპანიები.

კვლევის მნიშვნელობა: კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები ღირებულ მოსაზრებას მიაწოდებს მეწარმეებს, რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთ გაიგონ სოციალურ-კულტურული ფაქტორების როლი ბიზნესგარემოს ფორმირებაში. ეს ცოდნა ხელს შეუწყობს ბიზნესორგანიზაციული საქმიანობის საერთო ეფექტურობის გაუმჯობესებას.

შესავალი

თემის აქტუალობა: საქართველო, როგორც ისტორიული და გეოგრაფიული გზაჯვარედინი, განეკუთვნება იმ ქვეყნების კატეგორიას, სადაც კულტურული მრავალფეროვნება და უნიკალური სოციალური დინამიკა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე. გლობალიზაციის ეპოქაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო ბიზნესის წარმატებისთვის კულტურული და სოციალური ფაქტორების გათვალისწინება.

მათი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იურიდიულ და კულტურულ ჩარჩოებში ჩასმა, საერთაშორისო ბიზნესში ჩართვა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე შიდა ბაზრებზე მუშაობა, ერებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო. ეს განსხვავებები მოიცავს კულტურული, საგანმანათლებლო და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეს. ასეთი გარემოებები წარმოადგენს კრიტიკულ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რომლებიც აყალიბებენ საერთაშორისო ბიზნესის დინამიკას, გავლენას ახდენენ მომგებიანობაზე, ხარჯებსა და დაკავშირებულ არაერთ რისკზე.

დღევანდელ სამყაროში, ბიზნესისთვის წარმატების მიღწევა დიდწილად დამოკიდებულია კულტურული გაგების შესაბამისობაზე ბიზნესსტრატეგიებთან. შეუძლებელია კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდა გლობალურ ბაზრებზე, კულტურული ვარიაციების განხილვის გარეშე. საერთაშორისო ბიზნესის მრავალფეროვნება გამომდინარეობს სხვადასხვა ერში არსებული განსხვავებული კულტურული ღირებულებებიდან.

სხვადასხვა საერთაშორისო ბაზარზე წარმატების მისაღწევად საჭიროა კულტურული მრავალფეროვნების ღრმა გააზრება და მისი გავლენა ბიზნესპრაქტიკაზე. კულტურული განსხვავებების აღიარება გადამწყვეტია გლობალურ ბიზნესგარემოში ეფექტური ოპერაციებისთვის, თუმცა კულტურა დინამიკურია და დროთა განმავლობაში ვითარდება. სოციო-კულტურული ფაქტორები მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საერთაშორისო საწარმოებს. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება იზრდება და ეკონომიკურად პროგრესირებს, ეს ცვლილებები გავლენას ახდენს სხვადასხვა ელემენტზე, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კულტურის ჩამოყალიბებაზე. საზოგადოებებს შორის კულტურული განსხვავება მომდინარეობს სოციალურ სტრუქტურებში, რელიგიებში, ენებში, საგანმანათლებლო სისტემებსა და პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ იდეოლოგიაში სხვადასხვაობიდან.

სოციოკულტურული ფაქტორების გავლენა ორგანიზაციული კულტურის განვითარებაზე საქართველოში

საქართველოს კულტურა, რომელიც მრავალსაუკუნოვან ისტორიას ეფუძნება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიზნესგარემოს ფორმირებაში. ქართული კულტურული ტრადიციები, როგორიცაა სტუმართმოყვარეობა და მჭიდრო ოჯახური კავშირი, გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბიზნესთან ურთიერთობის პროცესზე.

მაგალითად, ქართულ ბიზნესკულტურაში პირადი ურთიერთობები და ნდობა ხშირად განიხილება, როგორც ფუნდამენტური ფაქტორები საქმიანი პარტნიორობისთვის. ეს მახასიათებელი შეიძლება იყოს გამოწვევა იმ საერთაშორისო კომპანიებისათვის, რომლებიც ძირითადად ფორმალური, კონტრაქტებზე დაფუძნებული მიდგომებით მუშაობენ.

ამჟამად, ორგანიზაციული მენეჯმენტის საფუძვლების განვითარება ხდება გარკვეული სოციოკულტურული ფაქტორების გავლენით. ცნობილია, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია მოქმედებს ერთ ან რამდენიმე კულტურულ გარემოში. ეს ხსნის სოციოკულტურული ფაქტორების, მათ შორის დამოკიდებულებების,

ტრადიციებისა და ცხოვრებისეული ღირებულებების მნიშვნელოვან გავლენას ორგანიზაციაზე. „სოციოკულტურული მიდგომა არის ცივილიზაციური განვითარების პარადიგმაში განვითარებული ცვლილების უნიკალური ასახვა: ინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ტექნოცენტრიზმიდან კულტურულ ცენტრიზმამდე, რომელზეც დაყრდნობა პოსტმატერიალური ფასეულობების მომავალი ცივილიზაციაა.“¹⁶⁸

სოციალურ-კულტურული ფაქტორები მოიცავს:

1. სოციალური მდგომარეობა არის ინდივიდის ან ჯგუფის შედარებითი პოზიცია, რომელიც განისაზღვრება სოციალური და ბუნებრივი მახასიათებლებით, ასევე პრესტიჟისა და ძალაუფლების არსებობით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამჟამად საშუალო ფენის სოციალური სტატუსის გაზრდის შესაძლებლობები მინიმალურია¹⁶⁹. მაღალი სტატუსით დაჯილდოებულ სუბიექტებს შორის არის ეგრეთ წოდებული „ჯგუფური ეგოიზმი“, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ინტერესების დაცვასთან. ეს ფენომენი ხელს უწყობს სოციალური წინააღმდეგობების გამწვავებას. მაღალი სოციალური სტატუსის მფლობელებს ხშირად არ სურთ თავიანთ წრეებში შეუშვან ახალი პროფესიონალებად მომზადებული წარმომადგენლები საქმიანობის სხვადასხვა დარგში, რომლებსაც, გარდა პროფესიული ცოდნისა, აქვთ მართვის უნარებიც.
2. სოციალური სამართლიანობა – არის სოციალური ურთიერთობების შეფასება მორალური თვალსაზრისით. ასეთი შეფასება შეიძლება ახასიათებდეს არა მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებს, არამედ საზოგადოებასა და ინდივიდს შორის ურთიერთობასაც. „სოციალური სამართლიანობის“ კონცეფციას საკმაოდ ბუნდოვანი საზღვრები აქვს. გაითვალისწინეთ, რომ კონკრეტულ ჯგუფებშიც კი ხდება სამართლიანობის შესახებ განსხვავებული იდეების სინთეზი.
3. საზოგადოებრივი აზრი არის კონკრეტული საზოგადოების ცნობიერების გამოვლენის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ასახავს მისი წევრების უმრავლესობის დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებზე, რაც იწვევს საზოგადოების ინტერესსა და დისკუსიას. საბოლოო ჯამში, ასეთი მოსაზრება გამოხატულია სხვადასხვა სახის ღირებულებით განსჯაში ან მოცემული საზოგადოების წევრების მიერ შესრულებულ პრაქტიკულ ქმედებებში¹⁷⁰. ჰეგელი ამ შემთხვევაში წერდა: „ფორმალური სუბიექტური თავისუფლება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ

¹⁶⁸ Holcomb R., (2023), Cross-cultural management: Insights and innovations in international business, International Research Journal of Business and Management, 10(3), 37.

¹⁶⁹ Arnold M. L., Reichard A., Gutman K., & Westermann L., Cultural adaptation in educational tools for international business, American Journal of Management, 29(4), 691-700, 2020.

¹⁷⁰ Yuna T., Sanchez-Marco M. & Schewe F., Leveraging diversity: Strategic management in global teams, Journal of Cross-Cultural Research, 12(4), 210-225, 2022.

ცალკეული პირები, გამოხატავენ თავიანთ აზრს, განსჯას ზოგად საქმეებზე და იძლევიან რჩევებს, აისახება იმ თავსებადობაში, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი ჰქვია“. ინტერპერსონალური ურთიერთობების განვითარება, რომელიც დაფუძნდება სოციალურ კავშირებზე, არის ორგანიზაციული კულტურის არსი. ამ დებულებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი მოქმედებს როგორც სოციალურ-კულტურული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციულ კულტურაზე და ასრულებს რამდენიმე ფუნქციას.

4. განათლების დონე; განათლება – ეს ფუნქცია ფარდობითია; განათლება თავისთავად არ იძლევა მაღალი ხელფასის ან სტატუსის გარანტიას, მით უმეტეს, ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებას. თუმცა, ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონების შესახებ გარკვეული ცოდნის ხარისხს შეუძლია ინდივიდს თავისუფლება მისცეს. ადამიანს, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ეს ცოდნა, შეუძლია მართოს სხვადასხვა პროცესი. თუმცა, ცოდნა არ არის მხოლოდ კულტურის დაგროვებისა და გადაცემის საშუალება. ცოდნის გამოყენება არის შემოქმედებითი ამოცანა, რომელიც წყდება ყოველ ჯერზე უნიკალურ სიტუაციაში.¹⁷¹

5. სოციალური კეთილდღეობა არის ფაქტორი, რომელზეც შეიძლება გავლენა იქონიოს არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში გარკვეული ცხოვრებისეული გეგმების, მისწრაფებებისა და მიზნების განხორციელების შესაძლებლობისა და წარმატების შეფასებებმა. ადამიანის სოციალური კეთილდღეობა განსაზღვრავს მისი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს, რომლებიც გამომდინარეობს საზოგადოებაში არსებული სოციალური სარგებლის სისტემიდან, მათი წარმოებიდან და განაწილებიდან.

6. სოციალური დიფერენციაცია (განსხვავება) უზრუნველყოფის დონის თვალსაზრისით: ჩვენი საზოგადოება არ არის ერთგვაროვანი, შემოსავლის მხრივ და სხვაობა „მდიდარ“ და საშუალო ფენას შორის უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში. შესაბამისად, მატერიალურად ძლიერი ფენა აწესებს საკუთარ კულტურულ მახასიათებლებს, მათ შორის, ორგანიზაციულ კულტურაშიც. ორგანიზაციული კულტურა შეუთავსებელია მენეჯმენტის საგანზე ზეწოლის ნებისმიერ ფორმასთან, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მიზნები ამართლებს ასეთ მეთოდებს¹⁷².

¹⁷¹ Global Industry Leaders, (2023), Cultural intelligence in multinational companies: A roadmap for leaders, Harvard Business Review Insights, 2023.

¹⁷² თარხნიშვილი ლ., (2006), საქართველო და თანამედროვე ღირებულებები: ქართული საზოგადოების ღირებულებები, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2026.

ქვეყნის სოციალური სტრუქტურა ასევე გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს საზოგადოება არის ტრანსფორმაციულ პროცესში, რაც მოიცავს როგორც ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებას, ისე თანამედროვე დასავლური სტანდარტების ათვისებას. ეს პროცესი ხშირად ქმნის წინააღმდეგობებს, მაგრამ ასევე ხსნის ახალ შესაძლებლობებს საერთაშორისო კომპანიებისთვის, რომლებსაც სურთ საქართველოში ინვესტირება.

არ შეიძლება უგულებელვყოთ, რომ თანამედროვე ქართული ორგანიზაციული კულტურა ჩამოყალიბდა „კლასიკური“ სამრეწველო-კონვეიერის წარმოების პირობებში და შესაბამისად, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის ეკონომიკის „გარღვევის“ მოდერნიზაციის მოთხოვნებს, რომლებიც დღეს კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.¹⁷³

ადამიანი ვერ იქნება სრულიად თავისუფალი საზოგადოებისგან, საკუთარი თავისგან, მენტალიტეტისაგან. ის ყოველთვის არის იერარქიული სისტემის შემადგენელი ნაწილი, ანუ მას შეუძლია იმოქმედოს როგორც ლიდერმა ან დაქვემდებარებულმა პირმა. შესაბამისად, ორგანიზაციული კულტურა მისი სოციალურ-კულტურული გარემოს გამოხატვის ფორმაა.

სოციოკულტურული ფაქტორები, კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, გავლენას ახდენს პროდუქტებსა და მომსახურებაზე. ბიზნესის სამყაროში ორგანიზაციული კულტურა მოქმედებს როგორც წარმატების მიღწევის საშუალება და ამავე დროს, არის მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი.¹⁷⁴ ვინაიდან საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირება სახასიათო შინაარსისაა, ორგანიზაციული კულტურაც გამოირჩევა თავისი სპეციფიკით. ის განისაზღვრება არა მხოლოდ მენეჯერების პირადი მახასიათებლებით, მენეჯმენტის კანონებით, არამედ ეროვნული სოციოკულტურული კონტექსტით.

საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობები და სოციალური კაპიტალი

სოციალური კაპიტალი გადამწყვეტ როლს თამაშობს ბიზნესში, როგორც ორგანიზაციებში, ასევე სოციალურ დონეზე. თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია, რომ სოციალური კაპიტალი ისეთივე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის, როგორც სხვა ტიპის კაპიტალი. სოციალური კაპიტალის ზრდა დაკავშირებულია ძლიერ სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებებთან, უკეთეს მმართველობასთან და ინსტიტუციურ პროგრესთან.

¹⁷³ ბარათაშვილი ე., მენეჯმენტის ეროვნულ-კულტურული მოდელები, ეკონომიკა, (12), 2008.

¹⁷⁴ Urassa J., et al, Cultural diversity in marketing strategies: Challenges and opportunities, Marketing Science Innovations, 15(6), 109-121, 2021.

შედეგად, ის ამცირებს ინვესტორებისთვის რისკებს, ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის ნაკადს და მოაქვს შესაბამისი ეკონომიკური სარგებელი¹⁷⁵.

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს ორგანიზაციული კულტურის ყველაზე ფართოდ მიღებულ კონცეფციად. ეს ურთიერთობები, ერთი მხრივ, წარმოადგენს არაფორმალურ კონტროლსა და ინტეგრაციას, ხოლო მეორე მხრივ კონსენსუსსა და ჰარმონიას. ისინი ხელს უწყობენ ორგანიზაციის წევრებს შორის ნდობისა და მხარდაჭერის ჩამოყალიბებას, რაც განაპირობებს სოციალური კაპიტალის უფრო ფართო კონცეფციას ორგანიზაციულ დონეზე განხილვისას.¹⁷⁶

მსოფლიო ბანკი სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავს რამდენიმე ინდიკატორის მიხედვით:

- ჯგუფებისა და ქსელების სიძლიერე, მრავალფეროვნება და დემოკრატიული ბუნება, ისევე როგორც მათი კავშირი სხვა ჯგუფებთან;
- ნდობა ოჯახებსა და სოციალურ ქსელებში, მათ შორის მმართველი ინსტიტუტებისა და უცხოელების მიმართ;
- კოლექტიური მოქმედება;
- სოციალური ერთიანობა;
- ინფორმაციის ნაკადი და კომუნიკაცია;
- გადაწყვეტილების მიღებასა და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვა.

ფუკუიამა (1995) სოციალურ კაპიტალს აკავშირებს ნდობასთან და ამტკიცებს, რომ ნდობა ამცირებს ტრანზაქციების ხარჯებს. ეს აუცილებელია გუნდური მუშაობისთვის და ახალი ბიზნესის შესაქმნელად. ქვეყნებში, სადაც ადამიანთა შორის დიდი სანდოობაა (როგორებიცაა, მაგალითად, აშშ და გერმანია), ვითარდება მსხვილი კორპორაციები (როგორიცაა ჩინეთსა და სინგაპურში).¹⁷⁷

ზოგადად, ქართულ საზოგადოებას აქვს ნდობის ნაკლებობა. მსოფლიო ღირებულებების კვლევის (WVS) მიხედვით, ქართველების მხოლოდ 18,1%-ს სჯერა, რომ ადამიანების უმეტესობის ნდობაა შესაძლებელი, ხოლო 81,9% მიიჩნევს, რომ სიფრთხილეა საჭირო.¹⁷⁸ ეს ნიშნავს, რომ ნდობის დამყარება საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე კრიტიკულია ასეთ საზოგადოებაში, რამაც შეიძლება შეანელოს საქმიანი ურთიერთობების ტემპი. შედარებისთვის, შვეიცარიაში ადამიანთა 54%-ს მიაჩნია, რომ ადამიანების უმეტესობის ნდობა შეიძლება, ხოლო ნორვეგიასა და შვედეთში ეს მაჩვენებელი 65%-ია (CRRC, 2024).

¹⁷⁵ ჩოხელი ე., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2009.

¹⁷⁶ Sanchez V., Escribano S. & Cabanero-Mart L., (2022), Conflict resolution techniques in multicultural teams. *Journal of Workplace Diversity*, 18(1), pp. 45-59, 2022.

¹⁷⁷ BCG, (2023), Forces reshaping the global business landscape, Boston Consulting Group Research Brief.

¹⁷⁸ იხ. იქვე.

საქართველოში ფიზიკურ პირთა 95%-ს მაინც ურჩევნია ქართველებთან საქმიანი ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უცხოებს არ ენდობიან, მაინც გამოხატავენ ნდობას საკუთარ წრეში (ოჯახი და მეგობრები). ნდობის ეს მცირე მაჩვენებელი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია იმისა, თუ რატომ მონაწილეობენ ქართველები მსხვილ ასოციაციებსა და კორპორაციებში ნაკლებად.¹⁷⁹

კავკასიის რესურსების კვლევის ცენტრის (CRRC) მონაცემები ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა 81% უმთავრესად საქართველოს მოქალაქედ, 64% ადგილობრივი თემის წევრად და 49% დამოუკიდებელ პირად თვლის თავს. მრავალრიცხოვანი კვლევა მიუთითებს ინდივიდუალიზმსა და ნდობის ზრდას შორის კავშირზე. ჰოფსტედის აზრით, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ინდივიდუალიზმის ინდექსი, მით მეტია ამ საზოგადოებაში ინტერპერსონალური ნდობის დონე¹⁸⁰.

2023 წელს ჩატარებულმა კვლევამ სახელწოდებით „კაპიტალი და კონფლიქტი: საქართველო გამოავლინა“ აჩვენა, რომ საქართველოში შემოსული უცხოური კომპანიების 85%-მა კაპიტალი შექმნა ახალი ინვესტიციებით, ხოლო მხოლოდ 10% შემოვიდა არსებული კომპანიების შეძენით. უფრო ნაკლებმა კომპანიამ აირჩია პარტნიორობა და გაერთიანება. პირველადი ფაქტორები, რომლებიც იზიდავს უცხოურ ფირმებს საქართველოში, მოიცავს ბიზნესის კეთების სიმარტივეს, ქვეყანაში ოჯახურ ან მეგობრულ კავშირებს და მის გეოგრაფიულ მდებარეობას.¹⁸¹

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ფირმების უმეტესობა ოჯახურ ან მეგობრულ კავშირებს რენტაბელურობისათვის უმნიშვნელოდ მიიჩნევს, მათი ერთი მესამედი აღიარებს სოციალური კონტაქტების პოზიტიურ როლს საქართველოში უძრავი ქონების თაობაზე გარიგების დროს. როგორც ჩანს, სოციალური ქსელები უფრო გავლენიანია ლოკაციების შერჩევისა და გარიგებების მოლაპარაკების ადრეულ ეტაპებზე, თუმცა ისინი არ განსაზღვრავენ ბიზნესის გრძელვადიან წარმატებას.

საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო უნდობლობა ფორმალური ინსტიტუტების მიმართ საბჭოთა წარსულიდან, რის გამოც საზოგადოება უფრო მეტად ენდობოდა არაფორმალურ ურთიერთობებს, განსაკუთრებით, ბიზნესში. ეს ტენდენცია საერთო მახასიათებელია გარდამავალ ეკონომიკებში, რაც დასტურდება უნგრეთის

¹⁷⁹ Roberts S. & Miller J., Intercultural training for enhanced global teamwork, Journal of Training and Development, 32(1), pp. 123-140, 2023.

¹⁸⁰ Ahmed F. & Ibrahim, K., Social capital as a determinant in international business networks. Journal of Organizational Studies, 24(2), 78-95, 2023.

¹⁸¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2023, June 19), *საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი: 2023 წლის I კვარტალი (წინასწარი მონაცემები)* Retrieved from <https://www.geostat.ge>

მსგავს ქვეყნებში ჩატარებული კვლევებით.¹⁸² საქართველოში არაფორმალური ქსელების უპირატესობამ ჩაანაცვლა ფორმალური ინსტიტუტები, რომლებიც არასანდოდ ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ქართული კოლექტივიზმი ნაკლებად არის ფესვგადგმული, ვიდრე ისეთ ადგილებში, როგორიცაა ჩინეთი. საბაზრო ინსტიტუტების განვითარებასთან ერთად, ინდივიდუალიზმი უფრო გამოხატული ხდება, რაც იწვევს უფრო მეტ ნდობას საზოგადოებაში და ხელს უწყობს ჯანსაღი სოციალური კაპიტალის ზრდას.

საერთაშორისო საქმიან მოლაპარაკებებზე კულტურული განსხვავებების გავლენა

საერთაშორისო ბიზნესისთვის საქართველოში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ენობრივი და კულტურული ბარიერებია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გამოწვევები შეიძლება გადაიჭრას სწორი კომუნიკაციისა და ადგილობრივ კულტურასთან ადაპტაციის გზით. მეორე მხრივ, საქართველოს სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, ხელმისაწვდომი შრომითი რესურსები და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის მზარდი პოტენციალი ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ინვესტორებისთვის.

არსებობს მრავალფეროვანი მეცნიერული შეხედულებებიც კულტურის როლზე საერთაშორისო ბიზნესმოლაპარაკებებში. მაგალითად, ზარტმანი (1993) ამტკიცებს, რომ კულტურული ფონი დიდად არ ახდენს გავლენას მოლაპარაკების პრაქტიკაზე. თუმცა, რამდენიმე მეცნიერი, მათ შორის გრეჰემი, ბაზერმანი და უედ ბენსონი (1994), გვთავაზობს ემპირიულ მტკიცებულებებს, რომლებიც ვარაუდობენ, რომ კულტურული თვისებები მნიშვნელოვნად აყალიბებს მოლაპარაკების დინამიკას.¹⁸³

გონივრულია ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა კულტურული გარემოს მქონე პირები, განსხვავებული პერსპექტივებით, მოლაპარაკებების დროს განსხვავებულად იმოქმედებენ. კულტურული ფონი, მოლაპარაკების პროცესშიც, გავლენას ახდენს მხარეთა თავდაპირველ დამოკიდებულებაზე, მათ შეხედულებებზე მოლაპარაკების საგანსა და სტრატეგიაზე, პროცესის დროს გამოვლენილ ქცევებსა და მათ საბოლოო მოლოდინზე. კულტურული განსხვავებებიდან წარმოშობილმა გაუგებრობამ შეიძლება შეასუსტოს ნდობა მოლაპარაკების მხარეებს შორის.

¹⁸² Peters T. & Williams M., Addressing socio-cultural conflict in global supply chains, Logistics and Culture Quarterly, 11(1), p. 44-59, 2023.

¹⁸³ Singh R. & Gupta D., (2023), Role of education systems in shaping cultural business landscapes, Journal of Comparative Education, 16(3), p. 88-101, 2023.

კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ახდენს არაპირდაპირ გავლენას მოლაპარაკების შედეგებზე. ამ პროცესზე მოქმედებს კონტექსტური ფაქტორებიც (დრო, ძალაუფლების დინამიკა, მონაწილეთა რაოდენობა, მდებარეობა) და ინდივიდუალური მახასიათებლები (პიროვნული თვისებები და კულტურული ელემენტები). გუპტა ასახავს პოტენციურ შედეგებს იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს კულტურული ფაქტორები სხვადასხვა მოლაპარაკების განზომილებებზე. სხვადასხვა¹⁸⁴

ჰოფსტედი და უჯუნიერი იკვლევენ მოლაპარაკების მოსალოდნელ ქცევებს სხვადასხვა კულტურულ განზომილებებზე დაყრდნობით. სხვადასხვა კულტურას, რომლებსაც მეტი ძალაუფლება აქვთ, გადაწყვეტილების მიღება ცენტრალიზებულია და უფრო მაღალი რანგის მქონე პირებს ეძლევათ ამის საშუალება.¹⁸⁵

სხვადასხვა კოლექტივისტურ კულტურაში მთავარია სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნება, რაც ხელს უწყობს მოლაპარაკებების წარმოებას იმ პირების მიერ, რომლებსაც აქვთ წინასწარი ურთიერთობის გამოცდილება. მომლაპარაკებელთა ცვლილება ხშირად გავლენას ახდენს ურთიერთობის დინამიკაზე. თუმცა, ინდივიდუალისტური კულტურისას პრიორიტეტს ანიჭებენ კონტრაქტის პირობებზე დაფუძნებულ შეთანხმებებს.¹⁸⁶

საქართველოში საერთაშორისო მოლაპარაკებებს სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ფაქტორი აყალიბებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქცევა შეიძლება მოსალოდნელი იყოს კულტურული მონაცემებიდან გამომდინარე, უფრო ყოვლისმომცველი გაგება მოითხოვს ემპირიულ კვლევას კულტურული განზომილებების გავლენის შესახებ მოლაპარაკების ასპექტებზე (მიზნები, სტრატეგიები, ტაქტიკა და შედეგები).

კვლევა ვარაუდობს, რომ ქართველები მიდრეკილნი არიან ინდივიდუალიზმისკენ, პირადი მიზნებითა და ინტერესებით, რაც განაპირობებს მათი მოლაპარაკების სტრატეგიებს. ამგვარად, ქართველმა მომლაპარაკებელმა შეიძლება უარყონ

¹⁸⁴ Singh R. & Gupta D., (2023), Role of education systems in shaping cultural business landscapes, Journal of Comparative Education, 16(3), p. 88-101, 2023.

¹⁸⁵ Singh R. & Gupta D., (2023), Role of education systems in shaping cultural business landscapes, Journal of Comparative Education, 16(3), p. 95, 2023.

¹⁸⁶ Patel S. & Kaur A., Diversity and inclusivity in international trade policies. Policy Briefs in International Commerce, 7(1), 9-25, 2023.

არახელსაყრელი წინადადებები უკეთესი გარიგებების უზრუნველყოფის მიზნით.¹⁸⁷

ქართული კულტურა კონტექსტურია, რაც ნიშნავს, რომ მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, მოიცავს ირიბ და ნიუანსირებულ კომუნიკაციას, რომელიც მოითხოვს არავერბალური ნიშნების ინტერპრეტაციას.

ჰოფსტედის ეროვნული კულტურის ხუთი განზომილების მოდელი რჩება ფართოდ მიღებულ ჩარჩოდ ბიზნესსა და მენეჯმენტზე კულტურის გავლენის შესაფასებლად. ამ მოდელის გამოყენება საქართველოს სოციალურ-კულტურულ კონტექსტში იძლევა ღირებულ შეხედულებებს ბიზნესკულტურის შესახებ.

ამჟამად, საქართველო განიცდის მნიშვნელოვან სისტემურ ცვლილებებს, რომლებიც აყალიბებს მის ღირებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ტრადიციული ღირებულება შენარჩუნებულია, სხვები ვითარდება და ზოგიერთი ჯერ კიდევ ყალიბდება. საქართველოს სოცო-კულტურული იდენტობის კვლევა ფოკუსირებული უნდა იყოს ამ დინამიკური ცვლილებების ანალიზზე მნიშვნელოვანი დასკვნების გამოსატანად.

მიღებული შედეგების მიხედვით, საქართველოში ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისთვის შემდეგი რეკომენდაციები შეიძლება გაიცეს:

- ✓ ინდივიდუალურ ინტერესებსა და პირად მიზნებზე აქცენტის გათვალისწინებით, სამუშაოს ორგანიზების სტრატეგიები, კომპენსაციის სისტემები და ადამიანური რესურსების მართვა უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ წვლილს. შეფასება უნდა იყოს მორგებული ინდივიდუალურ მიღწევებზე.
- ✓ მენეჯერებმა უნდა შეინარჩუნონ ღია, მოქნილი მიდგომა ქვედა რგოლის ინიციატივების მიმართ.
- ✓ ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების დანერგვა იქნება წარმატებული და დადებითი შედეგის მომტანი საქართველოში.¹⁸⁸

კვლევა აჩვენებს, რომ კომპენსაცია (სამუშაოს ანაზღაურება) და კარიერული წინსვლა, გადამწყვეტი ფაქტორებია საქართველოში. მენეჯერებმა უნდა დააკავშირონ ადამიანური რესურსების სტრატეგიები ამ ფასეულობებთან და მოტივაცია ამ მიზნებთან, ამასთანავე, გააცნობიერონ მეგობრული ურთიერთობებისა და სამუშაო ადგილისადმი ნდობის გაძლიერების მნიშვნელობა.

¹⁸⁷ მინდიკაური თორნიკე. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში, სამაგისტრო ნაშრომი, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019.

¹⁸⁸ Müller H. & Becker J., Navigating socio-cultural challenges in emerging markets, Business Strategy Quarterly, 10(2), p. 200-213, 2023.

საქართველოში საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული ბარიერი ნდობის ნაკლებობაა. შედეგად, უცხოურ ბიზნესს მოუწევს დროისა და ძალისხმევის ინვესტიცია ნდობის ჩამოყალიბებაში თანამშრომლობის ადრეულ ეტაპებზე.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საერთაშორისო ბიზნესის წარმატება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის კულტურული და სოციალური თავისებურებების გააზრებასა და მათ სწორი მიმართულებით გამოყენებასთან. ბიზნესმენებმა უნდა განავითარონ ცოდნა ადგილობრივი კულტურული ნორმების შესახებ და შეისწავლონ, როგორ შეიძლება ამ ნორმების ინტეგრირება მათ საქმიანობაში.

საქართველოში საერთაშორისო კომპანიებმა უნდა დაამყარონ მჭიდრო კავშირები ადგილობრივ თემებსა და პარტნიორებთან. მაგალითად, მათი სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერისკენ, არა მხოლოდ გაზრდის მათ რეპუტაციას, არამედ შეუწყობს ხელს ნდობის დამყარებას და გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივებს.

დასკვნა

საქართველოს საერთაშორისო ბიზნესის კულტურული და სოციალური დინამიკა წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას, რომელიც სწორად გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს გლობალური წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამისთვის აუცილებელია საერთაშორისო კომპანიებმა აითვისონ საქართველოს ისტორიული და სოციალური თავისებურებები და განავითარონ ისეთი მიდგომები, რომლებიც მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენებს ამ გარემოს პოტენციალს.

დღევანდელ მსოფლიოში, კომპანიების წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციული კულტურის დაბალანსებასთან. გლობალურ ბაზრებზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და შენარჩუნება შეუძლებელია მხოლოდ ეროვნული კულტურის მახასიათებლებზე ფოკუსირებით.

ეს სტატია ხაზს უსვამს კულტურული ცნობიერებისა და ადაპტაციის კრიტიკულ მნიშვნელობას საერთაშორისო გარემოში მოქმედი კომპანიებისთვის, განსაკუთრებული აქცენტით ქართულ საწარმოებზე. კულტურული კვლევების თეორიული საფუძვლების, ეროვნული სოციოკულტურული მოდელების შესწავლითა და კორპორატიული კულტურის ისტორიული ევოლუციის შეფასებით, კვლევამ ნათელი მოჰფინა ღრმა კავშირს სოციალურ-კულტურულ ფაქტორებსა და ბიზნესის ეფექტურობას შორის.

საერთაშორისო ბიზნესი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებში კულტურული ღირებულებების თავისებურებების გამო. სხვადასხვა ერებში ბიზნესში წარმატება მოითხოვს კულტურულ ცნობიერებას, რაც ნიშნავს იმის გაგებას, თუ როგორ მოქმედებს კულტურული განსხვავებები გლობალურ ბიზნეს-პრაქტიკაზე. გლობალურ ვაჭრობაში აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა პოპულაციის განსხვავებული კულტურული ფონი.

ბიზნესს მართავენ ადამიანები, რომლებიც ამყარებენ პროფესიულ კავშირებს და ქმნიან პროდუქტებს სხვებისთვის. ამრიგად, ბიზნესის სოციალურ-კულტურული გარემოს შესწავლის საფუძველი მდგომარეობს ადამიანების ღირებულებების, პერსპექტივებისა და დამოკიდებულებების გაგებაში, რომლებიც ქმნიან კულტურას და აზიარებენ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებში. სოციალურ-კულტურულ კონტექსტში გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცხოვრების წესი, ქცევის ნიმუშები, დემოგრაფია (სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია) და სხვა. ცხადია, რომ ნებისმიერი ბიზნესი მუშაობს კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში და წარმატება მიუღწეველია ამ გარემოს გათვალისწინების გარეშე.

როდესაც ორგანიზაციულ კულტურას ყველა თანამშრომელი იღებს, ეს აძლიერებს მათ მუშაობას, ხელს უწყობს ინოვაციებსა და პოზიტიურ ატმოსფეროს. თუმცა, თუ ორგანიზაციის ფასეულობები ვერ აერთიანებს თანამშრომლებს და ვერ მიმართავს მათ საერთო მიზნებისკენ, კულტურა ვერ განიხილება, როგორც ნამდვილი აქტივი. მაშასადამე, ორგანიზაციული კულტურა არ არის მხოლოდ ღირებულებების, რწმენის, ეთიკური სტანდარტებისა და ქცევის სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობა, არამედ მათი რეალურ სამყაროში გამოყენება. ორგანიზაციის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მისი კორპორატიული კულტურა მის ბიზნეს სტრატეგიას.

საბოლოო ჯამში, კვლევა ხელს უწყობს კულტურისა და კომერციის ურთიერთქმედების უფრო ღრმა გაგებას, სთავაზობს პრაქტიკულ რეკომენდაციებს ორგანიზაციული ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად გლობალურ ბიზნეს-გარემოში.

ზემოთ აღნიშნული შედეგები აჩვენებს, რომ ყველა ორგანიზაციამ უნდა იმუშაოს თავისი უნიკალური იდენტობის, იმიჯისა და ძლიერი რეპუტაციის შექმნასა და შენარჩუნებაზე ბიზნესის სამყაროში, რაც მიღწევადია ორგანიზაციის შიდა ღირებულებებისა და რწმენის გაზიარებით. ღირებულებების კონცეფცია განსაზღვრავს, თუ რა არის გადამწყვეტი ორგანიზაციისთვის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს და როგორ მოახერხოს მან ძლიერი საჯარო რეპუტაციის შენარჩუნება ბიზნესასპარეზოზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., შედარებითი მენეჯმენტი, ეკონომიკა, (10), 2008.
2. ბარათაშვილი ე., მენეჯმენტის ეროვნულ-კულტურული მოდელები, ეკონომიკა, (12), 2008.
3. თარხნიშვილი ლ., საქართველო და თანამედროვე ღირებულებები: ქართული საზოგადოების ღირებულებები, ფონდი დია საზოგადოება საქართველო, 2006.
4. ჩოხელი ე. სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2009.
5. ჯამაგიძე ლ., პაპაჩაშვილი ნ., შაბურიშვილი შ. & სიხარულიძე დ., საერთაშორისო ბიზნესის სოციალურ-კულტურული გარემო საქართველოში, თბილისი, 2011.
6. Ahmed F. & Ibrahim K., Social capital as a determinant in international business networks, *Journal of Organizational Studies*, 24(2), pp. 78-95 2023.
7. Ali A. & Smith J., Cross-border collaboration: Best practices in cultural adaptation, *International Business Studies*, 35(4), pp. 255-270, 2023.
8. Arnold M. L., Reichard A., Gutman K. & Westermann L., Cultural adaptation in educational tools for international business, *American Journal of Management*, 29(4), pp. 691-700, 2020.
9. BCG, Forces reshaping the global business landscape, Boston Consulting Group Research Brief, 2023.
10. Gao L. & Tan R., Bridging linguistic barriers with AI in international trade, *Technological Innovations in Business*, 19(5), pp. 87-101, 2023.
11. Global Industry Leaders, Cultural intelligence in multinational companies: A roadmap for leaders, *Harvard Business Review Insights*, 2023.
12. Harrison K. & Chen W., Exploring the socio-economic impacts of cultural shifts on international enterprises, *Global Management Perspectives*, 9(2), pp. 67-82, 2023.
13. Holcomb R., 2023. Cross-cultural management: Insights and innovations in international business. *International Research Journal of Business and Management*, 10(3), p. 37, 2023.
14. Johnson P. & Lando T., The evolving role of social norms in global commerce. *Economic Sociology Review*, 21(2), pp. 112-130, 2023.
15. Lee M. R., Ethical dilemmas in cross-cultural business environments: Addressing bias and corruption, *International Business Ethics Journal*, 14(3), pp. 33-49, 2023.

**„დიდებული კუნძული“ და ჩინეთის სტრატეგია: გეოპოლიტიკური თეორიების
გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე**

გიგა ფერადე

ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საერთაშორისო უსაფრთხოების და
ტექნოლოგიების მაგისტრი

giga.feradze.1@btu.edu.ge

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0009-9835-2234>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.15

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სტრატეგიის ფონზე ნოვატორული მიდგომით გაანალიზოს გეოპოლიტიკაში ტრადიციულად ჩამოყალიბებული დიქტომია ხმელეთსა და ზღვის ძალებს შორის. აღნიშნული პროცესების ირგვლივ არსებული უამრავი თეორია საუკუნეზე მეტია მნიშვნელოვანი დაპირისპირების საგანია. მათ შორის, შეიძლება ითქვას, რომ ჰალფორდ მაკინდერის „ჰართლენდისა“ და ალფრედ ტეიერ მეჰენის „ზღვის ძალაუფლების თეორიათა“ ჭიდილი განსაზღვრავს სწორედ გეოპოლიტიკის მეცნიერებას, რაც თითქოს ხაზს უსვამს ამ დაპირისპირებათა მნიშვნელობას. თუმცა, თანამედროვე ჩინეთის მხრიდან საზღვაო და სახმელეთო ელემენტების თანაბარი განვითარება თითქოს არსებული ოპოზიციური მიმართებების აუცილებლობას ეჭვქვეშ აყენებს. ამრიგად, იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო სიღრმისეულად გაანალიზდეს ჩინეთის საზღვაო და სახმელეთო ძალაუფლების ელემენტები, ნაშრომი იყენებს ახალ კონცეფციას, „დიდებულ კუნძულს“, როგორც უკვე არსებულ კლასიკურ დიქტომიასთან დაპირისპირების მექანიზმს. „დიდებული კუნძული“ ქმნის აღნიშნული ელემენტების სინთეზის შესაძლებლობასა და მათი სიღრმისეულად გაანალიზების საფუძველს.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური თეორიები, „ჰართლენდი“, ზღვის ძალაუფლება, სივრცითი ძალაუფლება, „დიდებული კუნძული“

“The Grand Island” and China’s Strategy: The Influence of Geopolitical Theories on International Relations

Giga Peradze

University of Business and Technology, Master of International Security and Technology

giga.feradze.1@btu.edu.ge

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0009-9835-2234>

Abstract

The purpose of this paper is to analyze, in light of the People’s Republic of China’s strategy, the traditionally established dichotomy in geopolitics between land power and sea power through an innovative approach. For more than a century, numerous theories related to this issue have been the subject of intense debate. Among them, it can be argued that the confrontation between Halford Mackinder’s “Heartland” theory and Alfred Thayer Mahan’s “Sea Power” theory has fundamentally shaped the field of geopolitics, underscoring the importance of this opposition. However, the balanced development of both maritime and continental elements by contemporary China appears to call into question the necessity of this traditional antagonism. Therefore, to conduct a deeper analysis of China’s maritime and land power dimensions, this paper introduces a new concept, the “Great Island,” as a counterpoint to the classical dichotomy. The “Great Island” concept allows for the synthesis of these elements and provides a basis for their comprehensive examination.

Keywords: Geopolitical theories, "Heartland," sea power, spatial power, "Great Island"

ნაშრომის მიზანი: სახმელეთო და საზღვაო ძალაუფლების შესახებ თეორიების ანალიზით შეიქმნას ისეთი ახალი მიდგომა, რომელიც მოახდენს მათ სინთეზს და შეძლებს უკეთ მოერგოს დღევანდელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას.

მეთოდი: ნაშრომში გამოყენებულია ორი ძირითადი მეთოდი – კონცეპტუალური ანალიზის ფარგლებში სიღრმისეულად შეისწავლება აქამდე არსებული იდეები ძალთა ბალანსის შესახებ, ხოლო, თეორიული ჩარჩოს განვითარების მეთოდით შეიქმნება სრულიად ახალ კონცეფცია.

სამეცნიერო სიახლე: ნაშრომში შექმნილი „დიდებული კუნძულის“ კონცეფცია წარმოდგენილია, როგორც სამეცნიერო სიახლე, რომელიც ტრადიციულად არსებული გეოპოლიტიკური თეორიების სინთეზის ახლებურ ვერსიას გვთავაზობს.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს ძალაუფლება და მისი გადანაწილება სახელმწიფოებს შორის, რის გამოც ეს თემა მუდმივად ინარჩუნებს აქტუალობას და მეტიც, განსაზღვრავს გლობალურ დონეზე მათ პოზიციებს. სწორედ სახელმწიფოთა ქცევა, ინტერესების კონფიგურაცია და ძალაუფლების ის დონე, რომელსაც თითოეული მათგანი ფლობს, ქმნის ზოგადად გლობალურ სურათსა და მსოფლიო ასპარეზზე დომინაციის შესაძლებლობებს. სწორედ ამიტომაც, რომ კაცობრიობის ისტორიაში მუდმივად ხდება ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისთვის, რადგან სახელმწიფოებს სურთ არა ის, რომ თავად იყვნენ განსაზღვრულები, არამედ, პირიქით, განსაზღვრავდნენ ყველაფერ დანარჩენს საკუთარი ინტერესების საფუძველზე.¹⁸⁹

თუმცა, რა განსაზღვრავს თავად ძალაუფლებას და რა აქცევს სახელმწიფოს უძლეველ ერთობად?! ამის წინაპირობად შესაძლოა ბევრი ფაქტორი იქნას მიჩნეული, თუმცა გეოპოლიტიკური თეორიები განსაკუთრებით ხაზს უსვამს სივრცითი განზომილებების მნიშვნელობას, რაც ამავე ნაშრომის ფოკუსადაა მიჩნეული. ის ფაქტორი, თუ რამხელა სივრცეს ფლობ, როგორც სახელმწიფო, ხშირად უმთავრეს ღირებულებად აღიქმება ძალაუფლების მოპოვებისა და განმტკიცების პროცესში. ამას კი, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს რესურსების სიმრავლე, რაც ამდიდრებს, აძლიერებს სახელმწიფოს და აძლევს დომინაციის შესაძლებლობას.¹⁹⁰

თუმცა, მსჯელობის ამ ველშიც არსებობს ოპოზიციური მიმართებები. გეოპოლიტიკური თეორიები, ერთი მხრივ, მსჯელობენ სივრცით ძალაუფლებაზე, რომელიც მომდინარეობს ზღვის ძალებზე ბატონობით, ხოლო, მეორე მხრივ, განიხილავენ ძლევამოსილებას ტერიტორიული სიდიდით. ხშირ შემთხვევაში კი, თეორიებში ამ ორ გზას შორის მუდმივად არსებობს მიჯნა, რადგან უმეტესად მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი განიხილება ძალაუფლების მთავარ წყაროდ.¹⁹¹ ნაშრომის მთავარი მიზანია სწორედ ამ ოპოზიციურ აზრებს შორის შუალედური პოზიციის შექმნა, რომელიც სრულად იქნება მორგებული თანამედროვე რეალობას და გაამარტივებს მსოფლიო საზოგადოებისთვის ძალაუფლების კონცეფციის აღქმას. დღევანდელობაში ძალთა გადანაწილება სახელმწიფოებს შორის აღარ ერგება ტრადიციულ თეორიებს და მოითხოვს ახლებური ხედვის

¹⁸⁹ Hans J. Morgenthau, *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace* (New York: Alfred A. Knopf, INC, p. 13, 1948.

¹⁹⁰ Ibid., p. 14.

¹⁹¹ Benjamin Fellegi, "The Conflict of Land and Sea in Geopolitics: Comparing the Geopolitical Thinking of Halford Mackinder and Alfred Mahan (1890–1914)," *Journal of International Relations and Political Science Studies – JIRPS* (2022): pp. 1–18, 2.

ჩამოყალიბებას, რომელიც აღარ იქნება დაპირისპირებაში სხვა თეორიებთან და რელევანტურად უპასუხებს ამჟამინდელ გამოწვევებს.

ნაშრომის ის იდეა, რომ საჭიროა ახლებური ხედვის ფორმირება, კარგად ჩანს თეორიათა კონფლიქტებში, რომლებიც ართულებს ერთი კონკრეტული იდეის ჩამოყალიბებას. ამის მაგალითია ჰალფორდ მაკინდერისა და ალფრედ ტეიერ მეჰენის იდეებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება. კერძოდ, მაკინდერის „ჰართლენდის“ თეორია განიხილავს, რომ სახელმწიფოთა სტრატეგიაში ძალისხმევა უნდა მიემართებოდეს სახმელეთო სივრცეს, მაშინ, როდესაც მეჰენის „ზღვის ძალაუფლების თეორიაში“ მიჩნეულია, რომ რეალური ძალაუფლების აკუმულირება ხდება საზღვაო ბაზებისა და სამხედრო ფლოტების გაძლიერებით. შედეგად, ძალაუფლების განსაზღვრების ორი განსხვავებული გზა ერთმანეთის კონკურენტ ალტერნატივად იქცა: ერთი მხრივ, მიიჩნევა, რომ გლობალური ჰეგემონია მხოლოდ სახმელეთო რესურსების კონტროლით მიიღწევა, მეორე მხრივ კი, ითვლება, რომ რეალური უპირატესობა საზღვაო დომინაციაში მდგომარეობს. შესაბამისად, თითოეული თეორია ხაზგასმით ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მათი მოდელი იყო საკმარისი ჰეგემონიის მისაღწევად.¹⁹² ეს კონფლიქტი არ ყოფილა მხოლოდ დროებითი და ერთჯერადი მდგომარეობა, არამედ დღესაც შეიმჩნევა ამ იდეათა დაპირისპირება, რომ არსებობს მათგან მხოლოდ ერთი, ზღვით ან ხმელეთით მოპოვებული ძალაუფლება.

საგულისხმოა, რომ თითქოს ამ დრომდე არც ყოფილა იმის საჭიროება, რომ აღნიშნულ იდეებს შორის გაჩენილიყო კომპრომისი და შუალედური პოზიცია, თუმცა, თანდათან თანამედროვე რეალობამ წარმოქმნა ამის აუცილებლობაც. მეტიც, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ის, თუ რამდენად ესადაგება აქამდე შექმნილი და დღემდე აქტუალური ეს გეოპოლიტიკური თეორიები არსებულ რეალობას. მსგავს ეჭვებს კი ბადებს თანამედროვე მსოფლიოში ძალთა გადანაწილების ახლებური პროცესები. მათ შორის, საინტერესოა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაგალითი, რომელიც თანაბრად მოიცავს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ძალაუფლების ელემენტებს, რაც ძალის ამ ორ ტიპს შორის არსებულ ტრადიციულ დიქოტომიას შესამჩნევად უპირისპირდება. ფაქტობრივად, ჩინეთი ერთდროულადაა კონტინენტური და საზღვაო ძალა და იყენებს ორივე სტრატეგიას, რის გამოც, ერთი მხრივ, ემთხვევა „ჰართლენდის“ თეორიას, ხოლო ამავედროულად მისი საზღვაო ვაჭრობის სტრატეგიები და ეკონომიკური დამოუკიდებლობა „ზღვის ძალაუფლების“ იდეასაც ეხმიანება.¹⁹³ ამრიგად, თანამედროვე გეოპოლიტიკა საჭიროებს ახლებურ თეორიულ ჩარჩოს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები და

¹⁹² Ibid., 3.

¹⁹³ Nadège Rolland, *Mapping China's Strategic Space* (The National Bureau of Asian Research, 2024), p.41.

მსოფლიოში ძალთა გადანაწილების დინამიკური პროცესები. მათ შორის, მნიშვნელოვანია, შეიქმნას ისეთი ჩარჩო, რომელიც ასევე ახსნის, როგორ ახერხებს ჩინეთი, გააერთიანოს როგორც ხმელეთის, ისე ზღვის ძალაუფლების სტრატეგიები.

შესაბამისად, აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე უკვე ცხადად იკვეთება თემის აქტუალობა. დღეს არ არსებობს ისეთი ზუსტი თეორიები, რომლებიც სწორად გასცემს პასუხს ძალაუფლების გადანაწილებასთან დაკავშირებულ კითხვებს. ხოლო, გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროცესები ზოგადად ხდება საფუძველი საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირებისა, აუცილებელიც კია, რომ ამ თემაზე მსჯელობა წარიმართოს.

კონტინენტური და საზღვაო ძალების დაპირისპირება

მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ გეოპოლიტიკაზე და, მით უფრო, საერთაშორისო წესრიგზე, კონტინენტური და საზღვაო ძალების დაპირისპირება ხდება ამ საკითხების ერთგვარი ქვაკუთხედი, რომელიც ხშირად პირდაპირ განსაზღვრავს ძალაუფლების შინაარსს.

ეს დუალიზმი და აზრობრივი მიჯნა კი ჯერ კიდევ ისტორიულად შეიმჩნეოდა, როდესაც თითქოს არსებობდა სხვადასხვაგვარი ძალაუფლება, ერთი მხრივ, ხმელეთის, ხოლო მეორე მხრივ, ზღვის. თუმცა, ეს გამართლებადიცაა, რადგან მაშინდელი ძველი დროის ძალთა გადანაწილების პროცესში არ იყვნენ ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც ძალაუფლებას თანაბრად იღებდნენ ორივე სივრცისგან.¹⁹⁴ ამის კარგი მაგალითია, თუნდაც, სპარტასა და ათენს შორის დაწყებული ბრძოლა, რომელშიც სპარტა წარმოადგენდა კონტინენტურ ძალას, ხოლო ათენი საზღვაო დემოკრატias. მოგვიანებით, ნაპოლეონის დროსაც, ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორისაც შეიმჩნეოდა მსგავსი დაყოფა, სადაც საფრანგეთი ევროპული კონტინენტის მნიშვნელოვან ნაწილს დაეპატრონა, ხოლო ბრიტანეთი კვლავ განაგრძობდა საზღვაო დომინაციას. მეორე მსოფლიო ომიც ასევე მსგავსი შემთხვევების კლასიკური მაგალითია, სადაც გერმანია და სსრკ, ანუ კონტინენტური ერთობა პირდაპირ დაუპირისპირდა ბრიტანეთსა და აშშ-ს, როგორც საზღვაო ძალების ალიანსს და სხვა. შესაბამისად, იქმნებოდა წარმოდგენა, რომ შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ძალაუფლების ფლობა, რომლის მიხედვითაც იყოფოდნენ სახელმწიფოები.

¹⁹⁴ Fellegi, "Conflict of Land and Sea", p. 4.

ამრიგად, ცხადი გახდა, რომ გეოპოლიტიკური აზროვნება საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა სწორედ ამ ორი მთავარი პარადიგმის მიხედვით. ერთი მხრივ, ეყრდნობოდა საზღვაო ძალას, მეორე მხრივ კი, – კონტინენტურს.¹⁹⁵ შესაბამისად, გასაკვირი არცაა, რომ აღნიშნული საკითხების შესახებ არაერთი თეორია შექმნილა, რომლებშიც აქცენტი კეთდებოდა ერთი რომელიმე სივრცის ფლობაზე, როგორც ძალაუფლების განმსაზღვრელ ფაქტორზე და არ იყო მოაზრებული ისეთი ტიპის ძალაუფლება, რომელიც ქმნიდა სინთეზს ამ ორს შორის.

მათ შორის, ყველაზე გავლენიანი თეორიების ავტორები არიან მაკინდერი და მეჰენი, რომლებიც ასევე განსხვავებული ტიპის ანალიზს გვთავაზობენ. კერძოდ, მაკინდერი ამტკიცებდა, რომ გლობალური დომინაციის მთავარი გასაღები არ იყო ზღვებზე ბატონობა, არამედ კონტინენტური სივრცის კონტროლი. ამისთვის საკუთარ არგუმენტს აფუძნებდა მოსაზრებაზე, რომ ევრაზიის შიდა ტერიტორია წარმოადგენდა „გეოგრაფიულ ღერძს“. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი იზოლირებულია საზღვაო ძალებისგან, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და მისი ფლობა იძლევა ისეთ სტრატეგიულ შესაძლებლობებს, რაც გლობალური ჰეგემონიისთვის აუცილებელია. აქედან მომდინარეობდა მისი ცნობილი ფრაზაც: „ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, აკონტროლებს „ჰართლენდს“, ვინც აკონტროლებს „ჰართლენდს“, აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ხოლო ვინც აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, აკონტროლებს მსოფლიოს ბედს“. ამრიგად, მისთვის სახმელეთო ძალაუფლება აღიქმებოდა გლობალური ბატონობის წყაროდ და უფრო გამძლედ მიიჩნეოდა, ვიდრე საზღვაო უპირატესობა. დამატებით, მისი არგუმენტი ეფუძნებოდა ტექნოლოგიურ პროგრესსაც. იგი ამტკიცებდა, რომ რკინიგზების განვითარებამ შესაძლებელი გახადა კონტინენტური სივრცის სწრაფი გაკონტროლება და გადაადგილება ისე, რომ საზღვაო ძალას აღარ ჰქონოდა უპირატესობა.¹⁹⁶ მისი ეს იდეები არამხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მნიშვნელობასაც იძენდა და თანდათან ყალიბდებოდა ერთგვარ სახელმძღვანელოდ სახელმწიფოებისთვის, თუ როგორ მოეპოვებინათ რეალური ძალაუფლება.

მეორე მხრივ, მეჰენმა ჩამოაყალიბა „საზღვაო ძალის თეორია“, რომელშიც ხაზი გაუსვა საზღვაო სივრცის უპირატესობას. მისი აზრით, ის სახელმწიფო, რომელიც აკონტროლებდა ზღვებს, საერთაშორისო ვაჭრობის მარშრუტებსა და სტრატეგიულ საზღვაო ბაზებს, გარდაუვლად ხდებოდა გლობალური პოლიტიკის წამყვანი მოთამაშე. ამის ძირითადი მიზეზი კი იყო ვაჭრობა, რომელიც ცალსახად

¹⁹⁵ Ibid., 4

¹⁹⁶ H. J. Mackinder, "The Geographical Pivot of History," *The Geographical Journal* (1904), pp. 421-437.

უკავშირდებოდა ზღვებზე გასასვლელების ფლობას, რადგან მიიჩნეოდა, რომ ვინც აკონტროლებდა საზღვაო მარშრუტებს, აკონტროლებდა საერთაშორისო ვაჭრობასაც. ხშირად, საკუთარი მოსაზრებების დასადასტურებლად მეჰენს მაგალითად მოჰყავდა ბრიტანეთიც, რომელმაც სწორედ ზღვებზე ბატონობით მიაღწია გლობალურ დომინაციას.¹⁹⁷ ხოლო, მაკინდერის მსგავსად მეჰენის იდეებსაც ჰქონდა პრაქტიკულ მნიშვნელობა. განსაკუთრებით კი შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ გამოიყენეს მისი ხედვები, როგორც საზღვაო სტრატეგიის ძირითადი სახელმძღვანელო.¹⁹⁸

შედეგად, სწორედ მაკინდერსა და მეჰენს შორის გაჩენილი დუალიზმი ხდება ერთგვარი ცალსახა ილუსტრაცია თუ როგორ ემიჯნებოდა ერთმანეთს ძალაუფლების შესახებ იდეები საუკუნეების განმავლობაში. თუმცა, თანდათანობით გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ მოპოვებული ძალაუფლების ასახსნელად არ იყო საკმარისი მსგავსი ალტერნატიული ხედვების გამოყენება. ვერც „ჰართლენდის“, ვერც „საზღვაო ძალების თეორია“ და ვერც სხვა მსგავსი იდეები ვერ ხსნიდა იმ ფაქტს, თუ როგორ შეძლო თანამედროვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ აურაცხელი ძალის აკუმულირება. აღნიშნული სახელმწიფო სცდებოდა აქამდე არსებულ ტრადიციულ დიქტომიებს და მოითხოვდა ახლებურ ხედვას, რომელიც უფრო სრულფასოვნად განმარტავდა მისი ძალაუფლების საფუძვლებს.

ჩინეთის ჰიბრიდული ძალაუფლება: საზღვაო და კონტინენტური ძალის სინთეზი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენს ცალსახა მაგალითს იმისა, თუ როგორ სცდება რეალური თანამედროვე ძალაუფლების ფორმირება ტრადიციულ გეოპოლიტიკურ თეორიებს. თუ წინათ მაკინდერი და მეჰენი გვთავაზობდნენ ძალაუფლების ორ ალტერნატიულ წყაროს – ერთ შემთხვევაში, სახმელეთო სივრცის კონტროლს, ხოლო მეორე შემთხვევაში, საზღვაო დომინაციას – ჩინეთთან ეს ორივე სტრატეგია ერთიანდება.¹⁹⁹ საბოლოოდ კი, აღნიშნული სახელმწიფო ქმნის ძალაუფლების ახალ ჰიბრიდულ ფორმას, რომელიც არაა დამყარებული რომელიმე ერთ თეორიაზე, არამედ მის სინთეზსა და ახლებურ ხედვაზე.

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ ჩინეთის გეოგრაფიული მდებარეობა მკაფიოდ უსვამს ხაზს მის კონტინენტურ ძლევამოსილებას. კერძოდ, იგი მოქცეულია ევრაზიის შუაგულში და აქვს პირდაპირი სახმელეთო საზღვრები 14

¹⁹⁷ A. T. Mahan, *The Influence of Sea Power Upon History, 1660-1783* (Boston: Little, Brown and Company, 1890), pp. 26-29.

¹⁹⁸ Office of the Historian, *Mahan's The Influence of Sea Power upon History: Securing International Markets in the 1890*, accessed September 13, 2025, <https://history.state.gov/milestones/1866-1898/mahan>.

¹⁹⁹ Rolland, *Mapping China's Strategic Space*, 41.

სახელმწიფოსთან. სწორედ ამ პირობებში ქვეყანა ხდება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართო სახმელეთო საზღვრის მქონე ქვეყანა,²⁰⁰ რაც ქმნის ისეთ წინაპირობებს, რომლებიც პირდაპირ ეხმიანება მაკინდერის „ჰართლენდის“ პრინციპებს. დამატებით, სწორედ კონტინენტური ძალაუფლების ფლობის ფონზე სახელმწიფო მდიდარია ენერგორესურსებით, ქვანახშირით, იშვიათი მინერალებითა და სასოფლო სამეურნეო მიწებით, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ მდგრადობას. ჩინეთის კონტინენტურ ძალაუფლებაზე დამატებითი ფაქტორებიც მეტყველებს. მათ შორის, მნიშვნელოვანია შიდა ბაზრის სიდიდე, კონკრეტულად კი ის ფაქტი, რომ 1.4 მილიარდზე მეტი მოსახლეობა ქმნის ისეთ ეკონომიკურ ეკოსისტემას, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, რომ არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ გარე ვაჭრობაზე.²⁰¹ შედეგად, სწორედ სახმელეთო ძალაუფლების გამო ჩინეთი გარკვეულწილად თვითკმარი და დამოუკიდებლად მოქმედი ორგანიზმია, რომელსაც საერთაშორისო ვაჭრობის შეფერხების შემთხვევაშიც შეუძლია დამატებითი ძალების ჩარევის გარეშე შეინარჩუნოს ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური სტაბილურობა. ეს ფაქტორი კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს კავშირებს „ჰართლენდის“ თეორიასთან და ქმნის ისეთ წარმოდგენას, რომ ჩინეთის ძალაუფლებას სრულად განსაზღვრავს ტერიტორიულ სივრცეზე დომინაცია.

ამის მიუხედავად, ჩინეთი არ არის მხოლოდ კონტინენტური ძალა, რაც ქმნის ერთგვარ დისონანს ტრადიციულად არსებულ თეორიებთან. კერძოდ, მისი ეკონომიკური ზრდა ასევე ცალსახად კავშირშია საზღვაო ვაჭრობასა და გლობალური სავაჭრო მარშრუტების ფუნქციონირებასთან. ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი საზღვაო ინიციატივა „საზღვაო აბრეშუმის გზა“, რომელიც აფართოებს ჩინეთის გავლენას ინდოეთისა და წყნარი ოკეანის სტრატეგიულ ზონებში, აფრიკის სანაპიროებსა და ხმელთაშუა ზღვის პორტებში. ვაჭრობის მიმართულებით, ასევე საინტერესოა „სარტყლისა და გზის ინიციატივა“ (BRI),²⁰² რომელიც ამოქმედდა იმ მიზნით, რომ შეემცირებინა დამოკიდებულება საზღვაო მარშრუტებსა და ჩაკეტვის პუნქტებზე. შედეგად, ჩინეთს მიეცა შესაძლებლობა, რომ უფრო იაფად მიიღოს რუსული ენერგორესურსები და გაზარდოს ენერგოიმპორტი ცენტრალური აზიიდან. შედეგად, საზღვაო ძალაუფლება გახდა ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა იმისა, რომ შემცირდა ჩინეთის ენერგეტიკული მოწყვლადობა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ტერიტორიული ძლევამოსილება მას ქმნის თვითკმარ ორგანიზმად, საზღვაო ინიციატივებიც

²⁰⁰ Yafeng Xia, "Introduction to the Special Issue on China's Relations with Its Neighbors: Historical Perspectives on Contemporary Issues", *Johns Hopkins University Press* (2018): pp. 485–500, p. 485

²⁰¹ Rolland, *Mapping China's Strategic Space*, IX

²⁰² Nadège Rolland, "China's Eurasian Century? Political and Strategic Implications of the Belt and Road Initiative," *The National Bureau of Asian Research* (2017): pp. 93–120, 93–95.

არანაკლებ დიდი მნიშვნელობისაა მისთვის, რომელმაც კიდევ უფრო ცალსახა გახადა ძალაუფლების რეალური დეფინიცია.²⁰³ კერძოდ, ნათელი გახდა, რომ არსებობს იმაზე მეტი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ძალაუფლების განმარტება გასცდა ერთ კონკრეტულ ჩარჩოს და შესაძლებელი გახადა, რომ დამატებითი სივრცითი რესურსებით მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოებულიყო.

დამატებით, ჩინეთს საზღვაო ძალად აქცევს მილიტარული პროცესებიც. გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით კარგად ითვისებს სახმელეთო რესურსებს, ასევე მუდმივად ავითარებს შესაძლებლობებს ზღვაზეც. კერძოდ, პირველი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სანაპირო დაცვის ძალა ჩამოაყალიბა ქვეყნის საზღვაო ფლოტად, რომელმაც შინა წარმოების უზარმაზარი მასშტაბი მოიცვა. აღნიშნული ფლოტის მასშტაბურობას ადასტურებს ისიც, რომ მისი ოპერირება ხდება შორეულ წყლებშიც კი. მათ შორის, დასავლეთ წყნარ ოკეანეში, ინდოეთის ოკეანესა და ევროპასთან ახლოს მდებარე წყლებშიც. საბოლოოდ, 2024 წლისთვის, ჩინეთის ფლოტმა შეადგინა 370-ზე მეტი საბრძოლო გემი. მეტიც, სავარაუდოა, რომ ეს რიცხვი 2030 წლისთვის 435-მდე გაიზრდება. ამ მასშტაბების უკეთესი აღქმა კი შეიძლება შედარებით ანალიზზე დაყრდნობითაც. კერძოდ, აშშ-ის საზღვაო ფლოტში თავმოყრილია მხოლოდ 296 საბრძოლო გემი, ხოლო 2030 წლისთვის მათი არა გაზრდა, არამედ 294-მდე შემცირებაა მოსალოდნელი, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩინეთის საზღვაო სამხედრო რესურსებს.²⁰⁴ შედეგად, ეს რიცხვებიც უკვე ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ჩინეთი არა მხოლოდ კონტინენტური, არამედ საზღვაო ძალაა.

ამას ემატება ისიც, რომ საზღვაო მილიტარისტული პროცესები ვითარდება რეალური და მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზნებითაც, რომლებიც პირდაპირ კავშირშია რეგიონულ ჰეგემონიასა და ძალაუფლების აკუმულირების შესაძლებლობებთან. მაგალითად, ფლოტის გაძლიერებით ახერხებს იმას, რომ მუდმივად იყოს საბრძოლო მზადყოფნაში, რაც ამავედროულად აფერხებს აშშ-ის ჩარევის შესაძლებლობებს. შედეგად, მუდმივად და სტაბილურად ინარჩუნებს დომინაციას წყნარ ოკეანეში და აჩვენებს, რომ აქვს შესაბამისი რესურსები როგორც შეტევისთვის, ასევე თავდაცვისთვის. მათ შორის, საგულისხმოა მისი სტრატეგია, რომელიც ცნობილია „ნაცრისფერი ზონის“ ტაქტიკით. აღნიშნული ტაქტიკის მიზანია სწორედ საზღვაო ტერიტორიებზე კონტროლის მოპოვება, ზღვისა და საჰაერო სივრცეებში საკუთარი იურისდიქციის დაწესება, რეგიონული სახელმწიფოების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევა და აშშ-ის მოკავშირეებთან

²⁰³ Rolland, *Mapping China's Strategic Space*, p. 38.

²⁰⁴ U.S. Naval Institute Staff, "Report to Congress on China Naval Modernization", USNI News, August 20, 2024, accessed September 13, 2025, <https://news.usni.org/2024/08/20/report-to-congress-on-china-naval-modernization-2>.

ურთიერთობების რღვევა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი არის ის, რომ სწორედ საზღვაო ძალის გამოყენებით ეს პროცესები ხდება შეუმჩნეველი. ჩინეთი იყენებს საზღვაო რესურსებსა და ფლოტების განვითარების შესაძლებლობებს იმ მიზნით, რომ სახელმწიფოებს შეუტეოს ღია კონფლიქტის პროვოცირების გარეშე, არაპირდაპირ. ამ პროცესების განსახორციელებლად კი იყენებს ისეთ მეთოდებს, რომლებიც დამახასიათებელია დიდი საზღვაო ძალის მქონე სახელმწიფოსთვის. მათ შორის, უტევს ქვეყნების თევზსაჭერ გემებს, ააქტიურებს შენიღბულ სადაზვერვო მოქმედებებს, ავითარებს კიბერშეტევის მიმართულებას, ხოლო პარალელურად იყენებს ფსიქოლოგიურ ომს, რა დროსაც არსებულ დღის წესრიგს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ცვლის.²⁰⁵

დასკვნის სახით კი, შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩინეთი არ ერგება რომელიმე კონკრეტულ ტრადიციულ თეორიას, არამედ წარმოადგენს მათ ერთგვარ სინთეზს. გამომდინარე იქიდან, რომ მაკინდერისა და მეჰენის თეორიები წარმოადგენს ოპოზიციურ იდეებს, ხოლო მათი შერწყმა ერთმანეთთან არარელევანტურია, ჩინეთის მაგალითი რჩება თეორიული ჩარჩოს გარეშე. საჭირო ხდება ისეთი მსჯელობის ელემენტების შემოტანა, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ ძალაუფლება დახასიათდეს არა ერთგვაროვნად, არამედ ჰიბრიდული ხედვის გამოყენებით. ირკვევა, რომ ძალაუფლება არ არის რომელიმე ერთი სივრცის დომინაციით მიღებული უპირატესობა, არამედ ბუნებაში არსებობს ისეთი შემთხვევები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს გამონაკლისებზე. ამრიგად, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნას მიღებული ძალაუფლების ისეთი წინაპირობებიც, რომლებიც გამოდის ტრადიციული ჩარჩოებიდან და ქმნის ისეთ შესაძლებლობას, რომ ჩინეთის მსგავსი სახელმწიფოებიც მოექცეს მისი მსჯელობის ფარგლებში.

„დიდებული კუნძულის“ კონცეფცია

გამომდინარე იქიდან, რომ მაკინდერისა და მეჰენის იდეები ატარებს ხარვეზებს და ვერ ერგება ყველა შესაძლო რეალობას, ცხადი გახდა, რომ საჭიროა ახლებური მიდგომა, რომელიც შექმნის მათ შორის ერთგვარ კომპრომისსა და შუალედურ პოზიციას. რეალურად, ამის მცდელობა აქამდეც ყოფილა, რომ შექმნილიყო ერთგვარი სინთეზური თეორია, რომლის ინიციატორიც გახლდათ ნიკოლას სფაიკმანი. სფაიკმანმა შექმნა „რიმლენდის“ კონცეფცია, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ შუალედურ ზღვარს მაკინდერმისა და მეჰენის იდეებს შორის. კერძოდ,

²⁰⁵ Wei-Chung Chen, Ching-Hsiewn Ou, Ming-Hao Yang, and Yi-Che Shih, "China's Gray Zone Actions in the East China Sea, Taiwan Strait, and South China Sea: A Comparative Study and Impact on Fisheries," *Marine Policy* (2024), pp. 1-3.

„რიმლენდში“ მოიაზრებოდა ზღვებსა და მიწებს შორის გარდამავალი ტერიტორია, სადაც ხმელეთიც და ზღვაც გადამწყვეტი მნიშვნელობით ერთიანდებოდა. მაგალითად, „რიმლენდად“ ჩაითვლებოდა ევრაზიის კიდეები და არა უშუალოდ შიდა კონტინენტური ტერიტორია ან თავად ზღვის სივრცე. სფაიკმანი ამტკიცებდა, რომ რეალური ძალაუფლება სწორედ მსგავსი სივრცეების ფლობით იქმნება. მეტიც, მან ახალი სიცოცხლე მისცა მაკინდერის ფრაზას და შეცვალა მისი მნიშვნელობა შემდეგი ფრაზით: „ვინც აკონტროლებს „რიმლენდს“, ის აკონტროლებს ევრაზიას; ვინც აკონტროლებს ევრაზიას, ის აკონტროლებს მსოფლიო ბედს“.²⁰⁶ შედეგად, სფაიკმანის ხედვა საკმაოდ მნიშვნელოვანი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რადგან ეს იყო ნაბიჯი იმისკენ, რომ გაებათილებინა აქამდე არსებული ძალაუფლების თეორიათა ოპოზიციური ხასიათი. კერძოდ, შეექმნა ისეთი ხედვა, სადაც გადამწყვეტი იქნებოდა არა ცალკეულად ზღვის ან ხმელეთის სივრცე, არამედ ის არეალები, სადაც ეს ორი ერწყმის ერთმანეთს და სადაც ხდება გლობალური ძალთა ბალანსის განსაზღვრა.

თუმცა, საგულისხმოა, რომ სინთეზის ამ მცდელობასაც ჰქონდა ხარვეზები, რომელიც არ ეხმიანება თანამედროვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მდგომარეობას. კერძოდ, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩინეთი არა მხოლოდ შუალედურ ტერიტორიებს ფლობს ზღვასა და ხმელეთს შორის, არამედ სრულად ათვისებული აქვს ცალკეულად როგორც ზღვის, ასევე ხმელეთის ძალაუფლება.²⁰⁷ მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ სრულად ითავსებს როგორც მაკინდერის, ასევე მეჰენის თეორიებს. შესაბამისად, ვერც სფაიკმანის იდეები ეხმიანებოდა თანამედროვე ჩინეთის კონდიციას. სწორედ ამ მიზნით ნაშრომი ცდილობს წარმოადგინოს ახალი კონცეფცია, „დიდებული კუნძული“, როგორც სამეცნიერო სიახლე და შექმნას მეტად რელევანტური და მორგებული ჩარჩო თანამედროვე ძალაუფლების გადანაწილების პროცესების ასახსნელად.

უფრო კონკრეტულად, „დიდებული კუნძული“ არის აღნიშნულ თეორიებს შორის არსებული დაპირისპირების გადალახვის მცდელობა, რომელიც ქმნის ერთიან ჩარჩოს და აღიარებს სივრცის ორივე განზომილების მნიშვნელობას. იგი არ განიხილავს ძალაუფლებას მხოლოდ კონტინენტური რესურსების ან მხოლოდ საზღვაო ძალაუფლების კონტექსტში. არამედ, პირიქით, აქცენტს აკეთებს მათ სინთეზზე: რეალური უპირატესობა იქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ერთდროულად ფლობს კონტინენტურ და საზღვაო ძალაუფლებას და მათი ინტეგრაციის გზით ახერხებს ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკურ-სტრატეგიული გავლენის დაგროვებას. სწორედ ამ ინტეგრაციის გამო ხდება

²⁰⁶ Antero Holmila, "Re-thinking Nicholas J. Spykman: From Historical Sociology to Balance of Power", *The International History Review* (2020): pp. 951–966, 951–953.

²⁰⁷ Rolland, *Mapping China's Strategic Space*, p. 41.

შესაძლებელი ძალაუფლების ისეთი ტიპის წარმოება, რომელიც უფრო მდგრადია და ნაკლებად მოწყვლადი, ვიდრე ცალმხრივი კონტინენტური ან საზღვაო ძალაუფლება. აძლევს ფლობდეს არა მხოლოდ ერთგვაროვან, არამედ მრავალგანზომილებიან ჰეგემონიას.

ამ თეორიის დამატებითი წინაპირობაა ის, რომ გლობალური პოლიტიკა დღეს აღარ არის ისეთი, როგორსაც მაკინდერისა და მეჰენის იდეები წარმოაჩენდა. დღეს გეოპოლიტიკა ახალი ფორმირების ფაზაში შევიდა, სადაც ტრანსპორტისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და გლობალიზაციის ინტეგრირებული პროცესები ქმნის ისეთ რეალობას, სადაც ძალაუფლება აღარ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთ სივრცეზე დაყრდნობით. „დიდებული კუნძული“ კი სწორედ ამ ახალ რეალობას პასუხობს: ის აცხადებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო წესრიგში ძლიერია ის სახელმწიფო, რომელიც წარმატებით აერთიანებს ხმელეთისა და ზღვების ძალაუფლებას, ქმნის კავშირს და აკონტროლებს როგორც კონტინენტურ, ისე საზღვაო სტრატეგიულ ზონებს.

მეტი კონკრეტიკისთვის, „დიდებული კუნძული“ ყალიბდება ხუთი ძირითადი მახასიათებლის საფუძველზე:

- მასიური გეოგრაფიული არეალი: რეალური ძალაუფლება ვერ მიიღწევა მცირე სივრცეში. ძალაუფლებისთვის სახელმწიფო აუცილებლად უნდა ფლობდეს მასიურ გეოგრაფიულ არეალს, რომელიც იძლევა ეკონომიკური თვითკმარობის, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და სტრატეგიული ტაქტიკების დაგეგმვის შესაძლებლობას;
- „ჰართლენდის“ ნაწილობრივი ათვისება: „დიდებული კუნძული“ არ უარყოფს მაკინდერის თეორიას და აცხადებს, რომ ევრაზიის შიდა კონტინენტური სივრცე კვლავაც რჩება სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიად. თუმცა, ხაზს უსვამს იმასაც, რომ მხოლოდ „ჰართლენდის“ კონტროლი აღარაა საკმარისი. არამედ, ძალაუფლების აკუმულირებისა და შემდეგ მისი შენარჩუნებისთვის საკმარისია თუნდაც „ჰართლენდის“ ნაწილობრივი ფლობა, თუმცა ამასთანავე აუცილებელია სხვა სივრცითი რესურსების გაძლიერებაც;
- სანაპირო გეოგრაფია: კონცეფცია „ჰართლენდთან“ ერთად მოიაზრებს ზღვაზე გასასვლელების ფლობას, რომელიც სახელმწიფოს აწვდის შესაძლებლობებს, რომ გააფართოოს საზღვაო მარშრუტები, გააკონტროლოს ჩახშობის წერტილები, განავრცოს საერთაშორისო წყლებში ძალაუფლება და მიიღოს სხვა სახელმწიფოებისგან როგორც დაცვის, ასევე მათზე გავლენის მოპოვების შესაძლებლობა;

- ერთი სახელმწიფო: „დიდებული კუნძულის“ კონცეფცია არ წარმოადგენს გლობალური კოალიციის ან რეგიონული ბლოკის იდეას. არამედ, ეფუძნება ერთი სახელმწიფოს იდეას, რომელიც ფლობს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სივრცით რესურსს. ეს გულისხმობს იმას, რომ ძალაუფლების მოპოვება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ სახელმწიფოს ექნება ერთდროულად კონტინენტური და საზღვაო სივრცეები და შესაბამისი გეოპოლიტიკური მისწრაფებები;
- მთავრობის მისწრაფება: ცხადია, მხოლოდ გეოგრაფიული რესურსების ფლობა არაა თავისთავად საკმარისი არამედ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ მთავრობას ჰქონდეს მისწრაფება დომინაციისკენ. თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს იმას, რომ თავის საკუთრებაში მყოფი მასობრივი რესურსები მიმართოს სწორად, ვერ შეძლებს პრეტენზიის გამოთქმას ჰეგემონიაზე. ასეთ შემთხვევაში ის დარჩება მხოლოდ პოტენციალად, რომელიც ვერ რეალიზდება. შესაბამისად, ძალაუფლების აკუმულირების აუცილებელი პირობაა ისეთი მთავრობის არსებობა, რომელიც მიზანმიმართულად მოქმედებს გლობალური ჰეგემონიისკენ.

ამრიგად, მსგავსი მიდგომა უკვე რელევანტურად პასუხობს თანამედროვე ჩინეთის მდგომარეობას და პასუხს სცემს კითხვას, თუ როგორ შეიძლება გლობალური ჰეგემონიის მიზნით სახელმწიფომ მოიპოვოს შესაბამისი ძალაუფლება. აქ უკვე აღარ არსებობს მიჯნა კონტინენტურ და საზღვაო რესურსებს შორის, არამედ ნათლადაა წარმოდგენილი სინთეზური იდეა.

დასკვნა

დასკვნის სახით, შესაძლოა, კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ ტრადიციული გეოპოლიტიკური თეორიები აღარაა თანამედროვე ძალთა ბალანსის პროცესებთან თანხვედრაში. უკვე არსებული მაკინდერისა და მეჰენის თეორიები ვეღარ ხსნის იმას, თუ საიდან მომდინარეობს რეალური ძალაუფლება. ამ მსჯელობას კი, კიდევ უფრო ვალიდურს ხდის დღევანდელი ჩინეთის მდგომარეობა, რომლის ძალაუფლებაც არა რომელიმე სივრცის ფლობის შედეგად მოდის, არამედ მათი თანაბარი და სინთეზური კონტროლით.

საჭირო გახდა ახლებური ხედვისა და თეორიული ჩარჩოს შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა, აეხსნა საიდან მომდინარეობს ჩინეთის ძალაუფლება. შედეგად, „დიდებული კუნძული“ გახდა ის ნოვატორული თეორია და მეცნიერული სიახლე, რომელმაც მოახერხა და ახსნა აღნიშნული პროცესები. სწორედ ამ იდეის შედეგად შეიქმნა ახალი ხედვა, რომ რეალური ძალაუფლების

მისაღწევად სახელმწიფოს სჭირდება როგორც კონტინენტურ, ასევე საზღვაო სივრცეებზე კონტროლის დამყარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Chen, Wei-Chung, Ching-Hsiewn Ou, Ming-Hao Yang, and Yi-Che Shih. 2024. "China's gray zone actions in the East China Sea, Taiwan Strait, and South China Sea: A comparative study and impact on fisheries ." Marine Policy.
2. Fellegi, Benjamin. 2022. "The Conflict of Land and Sea in Geopolitics: Comparing the Geopolitical Thinking of Halford Mackinder and Alfred Mahan (1890–1914)." Journal of International Relations and Political Science Studies – JIRPS 1-18.
3. Holmila, Antero. 2020. "Re-thinking Nicholas J. Spykman: from historical sociology to balance of power." The International History Review 951–966.
4. Mackinder, H. J. 1904. "The Geographical Pivot of History." The Geographical Journal.
5. Mahan, A. T. 1890. The Influence of Sea Power Upon History, 1660-1783. Boston: Little, Brown and Company.
6. Morgenthau, Hans J. 1948. Politics Among Nations: The Struggle For Power And Peace. New York: Alfred A. Knopf, INC.
7. Office of The Historian. n.d. Mahan's The Influence of Sea Power upon History: Securing International Markets in the 1890s. Accessed September 13, 2025. <https://history.state.gov/milestones/1866-1898/mahan?>
8. Rolland, Nadège. 2017. "China's Eurasian Century? Political and Strategic Implications of the Belt and Road Initiative." The National Bureau of Asian Research 93-120.
9. Rolland, Nadège. 2024. Mapping china's strategic space. The National Bureau of Asian Research.
10. U.S. Naval Institute Staff. 2024. "Report to Congress on China Naval Modernization ." USNI News. August 20. Accessed September 13, 2025. <https://news.usni.org/2024/08/20/report-to-congress-on-china-naval-modernization-2?>
11. Xia, Yafeng. 2018. "Introduction to the Special Issue on China's Relations with Its Neighbors: Historical Perspectives on Contemporary Issues." Johns Hopkins University Press 485-500

ტოტალური თავდაცვის კონცეფციის მთავარი პოსტულატები: საქართველოს სამხედრო თავდაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობა

ანტონ ქუთათელაძე

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Anton.kutateladze@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0003-7732-7060>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.16

აბსტრაქტი

ტოტალური თავდაცვის კონცეფცია საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია, რომელიც აერთიანებს სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და სამოქალაქო რესურსებს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია ქმნის რთულ უსაფრთხოების გარემოს, სადაც ჰიბრიდული საფრთხეები, დეზინფორმაცია და კიბერშეტევები მოითხოვს ყოვლისმომცველი თავდაცვითი მოდელის განვითარებას. ტოტალური თავდაცვა განიხილება როგორც ჰოლისტური სისტემა, რომელიც აერთიანებს სამხედრო და სამოქალაქო სფეროებს, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და კერძო სექტორს, საზოგადოებრივ ცნობიერებასა და საინფორმაციო მდგრადობას ერთიან უსაფრთხოების პოლიტიკაში. უსაფრთხოება აღარ განისაზღვრება მხოლოდ სამხედრო ძალით, არამედ საზოგადოებრივი მზადყოფნით, კრიზისებზე სწრაფი რეაგირების უნარითა და ეროვნულ ერთიანობაზე დაფუძნებული მდგრადობით. ნაშრომის თეორიული ჩარჩო ეფუძნება კომპლექსურ უსაფრთხოების მოდელს, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ და ჰიბრიდულ საფრთხეებზე რეაგირების მექანიზმებს.

საკვანძო სიტყვები: ტოტალური თავდაცვა, ეროვნული უსაფრთხოება, ჰიბრიდული საფრთხეები, საერთაშორისო თანამშრომლობა, სახელმწიფო მდგრადობა

Main Postulates of the Total Defense Concept: Georgia's Military Defense and International Cooperation

Anton Kutateladze

Doctoral Student in the Political Science Doctoral Program

Caucasus International University,

Anton.kutateladze@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0003-7732-7060>

Abstract

The concept of total defense is one of the key pillars of Georgia's national security policy, integrating military, political, economic, technological, and civil resources to safeguard the country's sovereignty and territorial integrity. Georgia's geopolitical location and the occupation of 20% of its territory create a complex security environment, where hybrid threats, disinformation, and cyberattacks necessitate the development of a comprehensive defense model. Total defense is viewed as a holistic system that unites military and civilian domains, public institutions, and the private sector, civic awareness, and informational resilience within a unified security framework. Security is no longer defined solely by military capability but also by societal preparedness, the ability to respond rapidly to crises, and resilience grounded in national unity. The theoretical framework of the research is based on a complex security model that combines mechanisms for responding to both traditional and hybrid threats.

Keywords: Total defense, national security, hybrid threats, international cooperation, state resilience

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების საკითხი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად რჩება თითოეული სახელმწიფოსთვის. გლობალური პოლიტიკის დინამიკა, რეგიონული კონფლიქტები, ეკონომიკური დამაბულობა და ჰიბრიდული საფრთხეების გავრცელება არსებითად ცვლის თავდაცვისა და უსაფრთხოების კლასიკურ წარმოდგენებს. ასეთ პირობებში ტოტალური თავდაცვის კონცეფცია იქცევა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად, რადგან ის არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო

სფეროთი, არამედ მოიცავს საზოგადოების, ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის ერთიან მზადყოფნას გარე და შიდა საფრთხეებთან გასამკლავებლად.

საქართველოს შემთხვევაში ამ თემის აქტუალობა განსაკუთრებით მაღალია. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა – ევროპასა და აზიას შორის, შავი ზღვის სტრატეგიულ რეგიონში – ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ასევე სერიოზულ გამოწვევებს. საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია, რუსეთის გავლენის პოლიტიკა, დეზინფორმაციული კამპანიები და კიბერუსაფრთხოების საფრთხეები აჩენს საჭიროებას ისეთი თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებისა, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ არმიის ძლიერებაზე, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების საერთო მდგრადობაზე. სწორედ ამიტომ, ტოტალური თავდაცვა განიხილება როგორც ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგიული ჩარჩო, რომლის მიზანია სამხედრო, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური რესურსების მობილიზება ერთიან მიზნად – სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვად.²⁰⁸

კვლევის მიზანია ტოტალური თავდაცვის კონცეფციის სიღრმისეული გაანალიზება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში, ამ მოდელის სტრუქტურული ელემენტებისა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის შეფასება. ნაშრომი ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ შეიძლება ტოტალური თავდაცვის სისტემა გახდეს ეფექტური ინსტრუმენტი ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიაში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არაერთი სამხედრო საფრთხე თანხვედრაშია საინფორმაციო და ტექნოლოგიურ გამოწვევებთან.²⁰⁹

ნაშრომის თეორიული ჩარჩო ემყარება კომპლექსურ უსაფრთხოების მოდელს, რომელიც აერთიანებს როგორც ტრადიციულ, ისე არატრადიციულ საფრთხეებზე რეაგირების მიდგომებს. კვლევა ეფუძნება არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, საერთაშორისო გამოცდილებასა და საქართველოს უსაფრთხოების დოკუმენტებს. გამოყენებულია ანალიტიკური და შედარებითი მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის შესაბამისობა თანამედროვე ტენდენციებთან და დასავლურ სტანდარტებთან.²¹⁰

²⁰⁸ Grigalashvili Vepkhvia, "International Journal of Scientific and Management Research", *Total Defence: A Comprehensive Approach to National Defence Governance*, May 05: pp. 240-248, 2023.

²⁰⁹ Baylis, John, Steve Smith, and Patricia Owens, eds. *The Globalization of World Politics: An Introduction to International Relations*. 9th ed. Oxford: Oxford University Press, 2023.

²¹⁰ Buzan, Barry. *People, States & Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era*. London: ECPR Press, 2008.

ტოტალური თავდაცვის სისტემის განხილვა ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რადგან იგი ასახავს სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. იგი ეფუძნება პრინციპს, რომ ქვეყნის დაცვა მხოლოდ სამხედრო სტრუქტურების მოვალეობა არ არის – ეს არის მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობა. სწორედ ამიტომ, კვლევა გამოკვეთს ტოტალური თავდაცვის იმ კომპონენტებს, რომლებიც საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, კრიზისების მართვის უნარების განვითარება და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა.

ამასთანავე, ნაშრომი ცდილობს გამოავლინოს ტოტალური თავდაცვის სამეცნიერო სიახლე საქართველოს კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი ფართოდ გამოიყენება სკანდინავიურ და ბალტიის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებულია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ისტორიული გამოცდილების გამო. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, როგორ ახერხებს საქართველო ამ მოდელის ადაპტირებას საკუთარი რეალობისთვის – პოლიტიკური გარემოს, ეკონომიკური რესურსებისა და საზოგადოების მზადყოფნის გათვალისწინებით. ტოტალური თავდაცვის სისტემის შესწავლა ასევე იძლევა საშუალებას განისაზღვროს სახელმწიფოს მდგრადობის ხარისხი თანამედროვე სხვადასხვა საფრთხეთა მიმართებით. მისი ეფექტიანად განხორციელება მოითხოვს არა მხოლოდ სტრატეგიულ გეგმას, არამედ საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, ინფორმირებულობას და ეროვნული ერთიანობის გაძლიერებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ წყაროთაგან ნაწილი წარმოგვიდგენს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე მიმდინარე მოვლენათა ასახვას (მაგალითად, ჯონ გადისი, ფრენკ ჰოფმანი, ფარედ ზაქარია, ჯეიმს მატისი და სხვები), ნაწილი კი კონკრეტულად ჩვენ მიერ წარმოდგენილ საკვლევ თემატიკას ეძღვნება (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2017-2023, ბარი ბუზანი: ცნობილი თავისი მუშაობით სეკურიტიზაციაზე და კოპენჰაგენის უსაფრთხოების კვლევების სკოლაში, ჯონ ჯ. მერსჰაიმერი: საერთაშორისო ურთიერთობების გამოჩენილი ფიგურა, აღსანიშნავია მისი წიგნი „დიდი ძალების პოლიტიკის ტრაგედია“. რობერტ დ. კაპლანი: კაპლანი არის ჟურნალისტი და ავტორი, რომელიც ბევრს წერს გეოპოლიტიკის, უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. მის ნამუშევრებს შორისაა „მომავალი ანარქია“ და „გეოგრაფიის შურისძიება.“

მაიკლ ე. ბრაუნი: გავლენიანი წიგნის „ანარქიის საფრთხეების“ თანაავტორი, ბრაუნმა თავისი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ურთიერთობების გაგებაში, განსაკუთრებით უსაფრთხოების კვლევების კონტექსტში. კენეტ ნ. უოლცი: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მთავარი ფიგურა, უოლცის წიგნი „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ კლასიკაა ამ სფეროში, რომელიც ასახავს სტრუქტურულ რეალისტურ პერსპექტივას, რიჩარდ ა. კლარკი: ცნობილია თავისი გამოცდილებით კიბერუსაფრთხოებისა და კონტერორიზმის სფეროში, კლარკმა დაწერა წიგნები, როგორიცაა „ყველა მტრის წინააღმდეგ“ და „კიბერ ომი“.

ამ ავტორებმა გავლენა მოახდინეს და ჩამოაყალიბეს დისკუსიები უსაფრთხოების კვლევების სფეროში, შესთავაზეს ღირებული შეხედულებები ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სირთულეების შესახებ. გაითვალისწინეთ, რომ სფერო ვრცელია და კიდევ ბევრი ავტორია ღირებული წვლილით, რაც დამოკიდებულია უსაფრთხოების კვლევების სპეციფიკურ ინტერესებზე, ლევა ბერზინა, გიორგი სურმავა და სხვები), სხვანი კი ძირითად თემასთან მჭიდრო კავშირში მყოფ თემატიკასა და კვლევას გვთავაზობენ, (ვახტანგ მაისაია, გუგული მალრაძე, კორნელი კაკაჩია, ნიკა ჩიტაძე და სხვები). ზემოთ აღნიშნული სალიტერატურო წყაროების განხილვისას აუცილებლად მიგვაჩნია გავანალიზოთ შემდეგი მასალა, რომელიც ჩვენს ნაშრომს უაღრესად მნიშვნელოვან ღირებულებას შესძენს: კოენი რიჩარდი – „Cooperative Security“ (ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების ევროპული ცენტრი, ქ. გარმიშ-პარტენკირხენი, გერმანია, 2008) – რიჩარდ კოენის კოლექტიური უსაფრთხოების მოდელი, წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უნივერსალურ სისტემას. მისი დოქტრინის მიხედვით, უსაფრთხოების დილემის გადალახვა და ომის თავიდან აცილება სახელმწიფოებს არა ძალთა წონასწორობის, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების ერთობლიობის შექნით შეუძლიათ. ეს ინსტიტუტები მიმართული იქნება იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც სხვა უფრო სუსტი ქვეყნების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებიან. კოენისეული დოქტრინა იზიარებს დევიზს „ერთი ყველასათვის, ყველაერთისათვის“. თანამშრომლობითი უსაფრთხოების მოდელს აქვს თავისი უსაფრთხოების რგოლი, რომელიც აერთიანებს: ინდივილუარ უსაფრთხოებას.

რიჩარდ ა. კლარკის „ყველა მტრის წინააღმდეგ“ („Against All Enemies” by Richard A. Clarke, Publisher: Simon & Schuster. დიდი ბრიტანეთი, 2008) – არის ავტობიოგრაფიული წიგნი რომელიც ეყრდნობა ეროვნული უსაფრთხოების, ინფრასტრუქტურის დაცვისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს. წიგნი აწვდის ინფორმაციას კლარკის გამოცდილებისა და შეფასებების შესახებ. აშშ-ის მთავრობის პასუხი ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა გამოწვევაზე, განსაკუთრებით კონტერორისტულ ძალისხმევაზე, რომელიც მოჰყვა 11

სექტემბრის თავდასხმებს. კლარკი კრიტიკულად განიხილავს კლინტონისა და ბუშის ადმინისტრაციების გადაწყვეტილებებსა და პოლიტიკას კონტრტერორიზმთან დაკავშირებით, სთავაზობს გულწრფელ მოსაზრებებს მათ წარმატებებსა და წარუმატებლობაზე. წიგნმა გამოიწვია დისკუსიები ტერორიზმისთვის მთავრობის მზადყოფნის შესახებ 11 სექტემბრის თავდასხმებამდე და გამოიწვია დებატები კონტრტერორისტული პოლიტიკის ეფექტურობაზე. კლარკი აერთიანებს თავის გამოცდილებას ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ღრმა გაგებასთან, რათა უზრუნველყოს დამაფიქრებელი შეხედულებები და ანალიზი.

ჰანტინგტონი ს. „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“ ჟურნალი „Foreign affairs“ გამოცემა 72, აშშ, ნიუ იორკი, 1993) ავტორი ფიქრობს, რომ თანამედროვე საუკუნეში, ანუ პოსტცივი ომისა და პოსტბიპოლარულ სამყაროში უთანხმოებებსა და ომებს გამოიწვევს არა იდეოლოგიური ან ეკონომიკური, არამედ ისეთი სხვაობები, რომლებიც კულტურას უკავშირდება. სუვერენულ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა საერთაშორისო არენაზე მთავარი აქტორის სახელს შინარჩუნებს. მსოფლიო კონფლიქტები ძირითადად შენარჩუნებული იქნება სხვადასხვა ქვეყანასა თუ დაჯგუფებებს შორის. ჰანტინგტონი გვარწმუნებს, რომ კულტურულ ნიშნებზე დაყრდნობილი განმასხვავებელი ელემენტები მიზეზი გახდება სხვადასხვა ცივილიზაციისა, ადამიანთა ჯგუფებისა და ამის ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები. „პოსტცივი ომის“ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკა ნათლად წარმოგვიდგენს კონტრასტს, „დასავლურ“ და „არადასავლურ“ ღირებულებებს შორის. მისივე აზრით, ეს ყოველივე განაპირობებს საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე მსოფლიოს პოლარობის საკითხს.

კიკულენი დ. – „შემთხვევითი პარტიზანი“ (The Accidental Guerrilla: David Kilcullen, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ოქსფორდი 2011) წელს გამოქვეყნებული წიგნი შეიცავს თანამედროვე კონფლიქტებისა და დასავლეთის ქვეყნების წინაშე მდგარი გამოწვევების ყოვლისმომცველ ანალიზს თანამედროვე კონფლიქტების წინააღმდეგ ბრძოლაში. წიგნი წარმოადგენს თანამედროვე ომისა და კონტრაჯანყების სირთულეების გაგებას. კიკულენის აკადემიური ანალიზისა და პრაქტიკული გამოცდილების ნაზავი ღირებულ შეხედულებებს სთავაზობს მათ, ვინც დაინტერესებულია 21-ე საუკუნეში აჯანყებებთან ბრძოლის გამოწვევებით.

გუგული მადრადე, ვახტანგ მაისაია „21 – საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“ ,

თბილისი, 2017 წელი – წიგნში მოიცავს უაღრესად საინტერესო ანალიზს როგორც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე სამხედრო და სტრატეგიული მნიშვნელობითაც. სწორედამ ამ კუთხითაა ეს ნაშრომი საინტერესო, რადგან აშუქებს ისეთ საჭირო საკითხებს ამ კუთხიდან, რაც დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესაფასისას დიდ წვლილს შეიტანს.

მეთოდოლოგია

თემაზე მუშაობისას მოცემული მეთოდი მოიცავს აღნიშნული თეორიული მასალის განხილვას, ანალიზს და დასკვნის გამოტანის ხერხს.

Case study – ეს ის მეთოდია. რომელიც არსებული. რეალური მოვლენების განხილვისას მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. ნაშრომის შესრულებისას აღნიშნული მეთოდიკა ემყარება ემპირიული კვლევის საფუძვლებს, რომლებიც მეცნიერული კვლევის მთავარი ინსტრუმენტია, ლოგიკას, ანუ სწორად გაანალიზების და აზროვნების მამოძრავებელ სისტემას, რომელსაც ჩვენი ფაქტობრივი დაკვირვების შედეგად შეუძლია სანდო დასკვნის გაკეთების ფაზამდე მიგვიყვანოს.

- ისტორიულ-აღწერილობითი;
- კონტენტანალიზი;
- შემთხვევის გარჩევა;
- SWOT ანალიზი
- ჩადრმავებული ინტერვიუ.

აქვე აღვნიშნავთ, ინტერვიუს მეთოდიც, რომელიც გულისხმობს გასაუბრებას მოვლენების მონაწილეებთან (ექსპერტებთან, სამხედრო ექსპერტებთან, თვითმხილველებთან, პოლიტიკოსებთან და სხვ.).

კვლევის მეთოდოლოგიის ძირეული ნაწილი არის მოვლენათა „პარალელური“ ანალიზი, რომელიც შეფასების უნიკალურ საშუალებას იძლევა და შიცავს ექსპერტთა ფოკუსჯგუფთა შეერთების სქემას. ეს ჯგუფები შესაძლოა იყოს როგორც წარმომადგენლობითი, ასევე ინდივიდუალური, რაც მოვლენათა მრავალფეროვანი შესწავლა-შეფასების უნიკალურ საფუძველს გვიქმნის.

ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის მთავარი მიზანია თემაში წამოყენებული საკითხების მრავალმხრივი შესწავლა და სწორი დასკვნების გაკეთება. შერჩეული პოლიტიკური კვლევების მეთოდოლოგია მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს:

- 1) ინფორმაციის მოპოვება;

- 2) მოვლენათა კლასიფიკაცია;
- 3) სიტუაციური ანალიზი;
- 4) ისტორიული ანალიზი.

ეს უკანასკნელი არის კვლევის მეთოდი, რომელიც მოიცავს ისტორიული მოვლენების, დოკუმენტების, არტეფაქტების და სხვა წყაროების კრიტიკულ გამოკვლევასა და ინტერპრეტაციას წარსული ფენომენების უფრო ღრმა გაგების მიზნით. ისტორიული ანალიზი არის დინამიკური პროცესი, რომელიც მოიცავს წარსულის ფრაგმენტების გაერთიანებას, რათა შეიქმნას ისტორიული მოვლენებისა და მოვლენების მნიშვნელოვანი და კარგად მხარდაჭერილი გაგება. მკვლევრები იყენებენ პირველადი და მეორადი წყაროების კომბინაციას, კრიტიკულ აზროვნებასა და კონტექსტის ნიუანსურ გაგებას, რათა ხელი შეუწყონ ისტორიის ცოდნას.

ობიექტური წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია „შედარებითი“ მეთოდის ჩართვა კვლევაში, რომელიც სიტუაციური ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ მეთოდის მთავარი აზრია მიღებული ინფორმაციის სპეციფიკურ ანალიზი, რომელიც მოვლენათა შედარებით კვლევასა და ანალიზს ეფუძნება. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია რეგიონული პოლიტიკის გაანალიზებისათვის და გეოპოლიტიკურ ასპექტთა წარმოსახვისათვის.

თეორიული ჩარჩო

საკვლევ თემაზე მუშაობისას დავეყრდნობით საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა და სხვა სახის მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც როგორც გარკვეული თეორიების ასევე სამეცნიერო კონცეპტუალურ ჩარჩოებზეა აგებული.

ჩვენი თემის გარკვეული სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებლად განთვალისწინებულ უნდა იქნას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლათა სამეცნიერო ვექტორები, რომელთაგანაც უნდა გამოიყოს ამ სკოლათა შემდეგნაირი ჩამონათვალი.

ნეორეალიზმის თეორია: თავდაცვითი რეალიზმი – რომელიც ცდილობს ახსნას საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორიცაა ომი და მშვიდობა, რადგან ამ თეორიის მიხედვით საერთაშორისო არენაზე ისევე როგორც სახელმწიფოების ცალკეულ შეთხვევებშიც ბევრი რამ დამოკიდებულია თუ როგორ არის საერთაშორისო პოლიტიკა აწყობილი, რა არის სახელმწიფოთა ზრუნვისა და ფიქრის მთავარი ამოცანა თავიანთი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისა და პრესტიჟის შენარჩუნების საკითხი, თუ ძალთა ბალანსის

შენარჩუნება. ზოგიერთი თორეტიკოსის მიხედვით (მაგ., რობერტ ჯერვისი, ჯეკ შნაიდერი, სტივ ვანი) მთავარი აქცენტები უნდა მოდიოდეს ისეთ სტრუქტურულ კონცეფციებზე რომელთა არსი მდგომარეობს შემდეგში: სამხედრო ძლიერება ნებისმიერ დროში იქნას მორგებული და კლასიფიცირებული თავდასხმის ან თავდაცვის სასარგებლო, რადგან სახელმწიფოთა სიძლიერიდან, მოტივიდან და ასევე კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლოა, სახელმწიფომ აირჩიოს თავდასხმის ან თავდაცვის თეორია და პრინციპი.

უსაფრთხოების თეორია: – „კოპენჰაგენის სკოლა“ რომელიც, ცნობილია სეკურიტიზაციის თეორიის განვითარებით და ეხება პროცესს, რომლის დროსაც გარკვეული საკითხები საზოგადოებისათვის ეგზისტენციალურ საფრთხედ ყალიბდება, რაც საპასუხოდ გამართლებულია საგანგებო ზომების მიღებამდე. კონცეფცია ასოცირდება მეცნიერებთან, როგორიცაა ბარი ბუზანი, ოლე ვავერი და იაპ დე უაილდი. კოპენჰაგენის სკოლამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების შესწავლაზე, ჩამოაყალიბა დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორ არის აგებული და გაგებული უსაფრთხოება პოლიტიკურ დისკურსში.

ლიბერალიზმის სკოლა – რომლის წარმომადგენლებიც გვარწმუნებენ, რომ მიუედავად ადამიანური ბუნებისა – ჰქონდეს ძალაუფლებისაკენ ლტოლვის სურვილი, ადამიანს მაინც ეყოფა გონება და გადალახავს პირველობის სურვილს და სანცვლოდ საერთაშორისო სამართლის მორჩილებას. სახელმწიფოთა შორის ურთიერთპატივისცემაზე აგებულ ნორმებს აღიარებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორია – მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმტკიცება, სახელმწიფოს ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყნის უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობა.

სუნ ძის „ომის ხელოვნების“ თეორია და კლაუზევიცის კონცეფცია „ომის შესახებ“. კლაუზევიცის აზრით, ომი თავისთავად არ ისწრაფვის უკიდურესობებისკენ ან აბსოლუტური ხასიათისკენ, არამედ სინამდვილეში ურთიერთგამომრიცხავია. როგორც ასეთი, ის არ შეიძლება არსებობდეს იზოლირებულად, საკუთარი კანონებით. ომი ყოველთვის უნდა განვიხილოთ, როგორც მთლიანობის ნაწილი და ეს მთლიანობა არის პოლიტიკა. ომი პოლიტიკის ინსტრუმენტია, მისი ნაწილი და არა ყველაფრისგან დამოუკიდებელი მოვლენა.

„შეკავების თეორია (Theory of Deterrence)“ – რაც გულისხმობს ერთი მხრის მიერ განხორციელებული მუქარით ან შეზღუდული ძალის გამოყენებით მეორე მხრის

დარწმუნება თავი შეიკავოს საომარი ქმედებებისა ან გარკვეული ინიციატივებისაგან.

ტოტალური თავდაცვა და უსაფრთხოება

ტოტალური თავდაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ თავდაცვით სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება მთლიანი საზოგადოებისა და სახელმწიფო²¹¹ სტრუქტურების ერთობლივ მოქმედებას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული უსაფრთხოება განიხილება როგორც საერთო პასუხისმგებლობა, სადაც სამხედრო ძალა მხოლოდ ერთ კომპონენტს წარმოადგენს. ტოტალური თავდაცვა გულისხმობს ქვეყნის ყველა რესურსის – ადამიანური, მატერიალური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალის – კონცენტრირებას ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად.

ეს კონცეფცია განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც გეოპოლიტიკურად მოწყვლად რეგიონებში მდებარეობენ. სკანდინავიურ და ბალტიის ქვეყნებში ტოტალური თავდაცვის სისტემა უკვე მრავალი წელია მოქმედებს და წარმატებულად აერთიანებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ძალებს ერთიან უსაფრთხოების სტრუქტურაში. სწორედ ამგვარი მოდელის დანერგვა ხდება განსაკუთრებით საჭირო საქართველოს შემთხვევაშიც, სადაც უსაფრთხოების გამოწვევები მრავალგანზომილებიანია – სამხედრო ოკუპაციიდან დაწყებული, საინფორმაციო ზეწოლითა და კიბერსაფრთხეებით დამთავრებული.

თეორიულად, ტოტალური თავდაცვა ეყრდნობა კომპლექსურ უსაფრთხოების მოდელს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მდგრადობა მიიღწევა მაშინ, როცა დაცულია არა მხოლოდ ტერიტორია, არამედ პოლიტიკური სტაბილურობა, სოციალური ერთიანობა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. შესაბამისად, ტოტალური თავდაცვა არის ისეთი სისტემა, რომელიც აერთიანებს სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-საინფორმაციო კომპონენტებს ერთიან სტრატეგიაში.

²¹¹ *National Security Concept of Georgia* (ოფიციალური ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია/Ministry of Defence of Georgia https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-ENG.pdf?utm_source=chatgpt.com State Security Service of Georgia — ანგარიში/რეპორტები (რელატიური მოხსენებები ქვეყნის შიდა საფრთხეებზე, კიბერ/ინფორმაციულ გარემოსა და სახელმწიფო პოლიტიკაზე). https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/SSSG%20Report%202018.pdf?utm_source=chatgpt.com

საქართველოსთვის ტოტალური თავდაცვა ნიშნავს უსაფრთხოების ფართო გაგებას – სადაც სახელმწიფოს დაცვა აღარ არის მხოლოდ სამხედრო სტრუქტურების ამოცანა, არამედ მთლიანად საზოგადოების ფუნქცია. მოსახლეობის ინფორმირებულობა, მოქალაქეობრივი ცნობიერება და სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალე ფუნქციონირება ქმნის იმ საფუძველს, რომელზეც ნაგებია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება.

თანამედროვე საფრთხეი სულ უფრო ნაკლებად ეყრდნობა კლასიკურ სამხედრო აგრესიას. გლობალურ პოლიტიკაში წამოიწია არაერთმა ახალი ტიპის საფრთხემ ჰიბრიდულმა²¹² ომებმა, დეზინფორმაციამ, ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ და კიბერშეტევებმა. სწორედ ამიტომ ტოტალური თავდაცვის სისტემა უნდა მოერგოს ამ გამოწვევის ახალ ფორმებს.

ჰიბრიდული საფრთხეები ერთდროულად მოქმედებს სახელმწიფო ინსტიტუტებზე, ეკონომიკაზე, საინფორმაციო სივრცესა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. საქართველოსთვის ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც სამხედრო აგრესია შერწყმული იყო საინფორმაციო მანიპულაციებთან და ეკონომიკურ ზეწოლასთან. შემდგომ წლებში ქვეყანა მუდმივად ხვდება დეზინფორმაციული კამპანიების სამიზნეში, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების პოლარიზაციასა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის შესუსტებას.

ამიტომ ტოტალური თავდაცვა საქართველოში ვერ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო რეფორმებით. აუცილებელია საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერება, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, კიბერუსაფრთხოების სისტემის განვითარება და საზოგადოებრივი განათლების პროგრამების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების და მედია-წიგნიერების ამაღლებას. სწორედ ეს ქმნის ტოტალური თავდაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტს – საინფორმაციო მდგრადობას, რომელიც იცავს საზოგადოებას ფსიქოლოგიური და პროპაგანდისტული ზემოქმედებისგან.

საერთაშორისო თანამშრომლობა

ტოტალური თავდაცვა საქართველოში განუყოფელია საერთაშორისო თანამშრომლობისგან. საქართველოს უსაფრთხოების სისტემა მჭიდროდ უკავშირდება დასავლურ სტრუქტურებს, განსაკუთრებით ნატოსა და

²¹² Total Defence Forces in the Twenty-First Century,

https://www.pmcresearch.org/policypapers_file/ce7f64ca107fbebdb.pdf?utm_source=chatgpt.com

ანალიტიკური Policy Paper/ეთნიკური მიმოხილვა: "TOTAL DEFENSE".

https://www.pmcresearch.org/policypapers_file/ce7f64ca107fbebdb.pdf?utm_source=chatgpt.com.

ევროკავშირს. ნატოსთან თანამშრომლობა მოიცავს როგორც სამხედრო განათლებისა და მომზადების პროგრამებს, ისე სტრატეგიულ დაგეგმვასა და ტექნოლოგიურ დახმარებას. საქართველო უკვე მრავალი წელია მონაწილეობს ნატოს საგანგებო პროგრამებში, მათ შორის — „Substantial NATO-Georgia Package“-ში, რომელიც მიზნად ისახავს თავდაცვითი ინსტიტუტების მოდერნიზაციასა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.

ევროკავშირთან თანამშრომლობა კი საქართველოს აძლევს შესაძლებლობას განავითაროს სამოქალაქო და კრიზისების მართვის მექანიზმები. ევროკავშირის მხარდაჭერით ქვეყანაში მიმდინარეობს კიბერუსაფრთხოების სისტემის გაძლიერება, სახელმწიფო სტრუქტურების ციფრული ტრანსფორმაცია და სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება. ამ პროცესებში საქართველოს მონაწილეობა არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არამედ დემოკრატიული და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებითაც მნიშვნელოვანია.²¹³ საერთაშორისო პარტნიორობა ასევე მოიცავს ორმხრივ თანამშრომლობას ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, პოლონეთი და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები. ამ ურთიერთობების მიზანია არა მხოლოდ სამხედრო დახმარება, არამედ გამოცდილების გაზიარება, სტრატეგიული დაგეგმვის გაუმჯობესება და რეგიონული უსაფრთხოების საერთო სტანდარტების დანერგვა.²¹⁴ საერთაშორისო ურთიერთობებში ტოტალური თავდაცვა განიხილება როგორც საერთო უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც თითოეული პარტნიორი ქვეყნის მიზანია არა მარტო საკუთარი ტერიტორიის დაცვა, არამედ მთლიანად რეგიონის სტაბილურობის შენარჩუნება. საქართველოს შემთხვევაში, ეს თანამშრომლობა არის არამარტო უსაფრთხოების გარანტი, არამედ დემოკრატიული ღირებულებების დაცვის ინსტრუმენტიც. საქართველოს ტოტალური თავდაცვის მოდელი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა, მისი ძირითადი პრინციპები უკვე გამოიკვეთა ეროვნული თავდაცვის სტრატეგიასა და უსაფრთხოების დოკუმენტებში. ქვეყნის თავდაცვითი სისტემა ემყარება ერთიან სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს სამხედრო ძალებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების სამსახურს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტებს. ამ მოდელის მიზანია კრიზისების მართვის მექანიზმების გაუმჯობესება, სამოქალაქო-სამხედრო

²¹³ “NATO — A ‘comprehensive approach’ to crises”,

https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_51633.htm?utm_source=chatgpt.com Atlantic Council / “The Case for a Comprehensive Approach 2.0” https://www.routledge.com/European-Total-Defence-Past-Present-and-Future/ForfangRongved/p/book/9781032805467?utm_source=chatgpt.com.

²¹⁴ Larrinaga Miguel de and Mark Neufeld, “Security, Sovereignty and the Challenge of Globalization”,

Review of International Studies 33, no. 3 (2007): pp. 495–515.

თანამშრომლობის გაძლიერება და მოსახლეობის აქტიური ჩართვა თავდაცვით ღონისძიებებში. მაგალითად, ნატოსთან თანამშრომლობით საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ხორციელდება რეზერვის სისტემის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეთა თავდაცვითი მზადყოფნის ამაღლებას და ეროვნული მობილიზაციის შესაძლებლობების გაფართოებას.

ტოტალური თავდაცვა ასევე გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობებისა და კერძო სექტორის ჩართულობას უსაფრთხოების პოლიტიკაში. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, ენერგეტიკული და სატრანსპორტო უსაფრთხოება განუხორციელებლობა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების ძალებით შეუძლებელია. აუცილებელია კერძო კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა. ეს მიდგომა ხელს უწყობს სახელმწიფო მდგრადობის გაძლიერებას და საერთო უსაფრთხოების შეგნების განვითარებას.

საერთაშორისო აქტორების არაეფექტურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ჰამასა (ღაზა) და ფათჰს (დასავლეთ სანაპირო) შორის არსებული პოლიტიკური განხეთქილება. როდესაც საერთაშორისო საზოგადოება ცნობს მხოლოდ პალესტინის ეროვნულ ხელისუფლებას (ფათჰს), ის ეფექტურად გამორიცხავს ღაზას მოსახლეობის პოლიტიკურ წარმომადგენელს. ეს ქმნის სიტუაციას, სადაც არ არსებობს ერთი ლეგიტიმური პალესტინელი პარტნიორი, რომელსაც მშვიდობის ხელშეკრულების აღსრულება შეეძლება. კონსტრუქტივიზმის თვალსაზრისით, საერთაშორისო აქტორები ცდილობენ „ორი სახელმწიფოს“ ნორმის განხორციელებას, მაგრამ უჭირთ ამ ნორმის პროექტირება პალესტინურ სუბიექტზე, რომელიც იდეოლოგიურად და პოლიტიკურად გაყოფილია. ეს განხეთქილება ემსახურება მათ (აშშ, ისრაელი), ვინც *Status Quo*-ს შენარჩუნებით არის დაინტერესებული.

საერთაშორისო აქტორების ქმედებები ღაზასთან მიმართებაში თეორიულად პროგნოზირებადი, მაგრამ პრაქტიკულად არაეფექტური აღმოჩნდა. მოცემული ნაწილი ფოკუსირებულია ამ არაეფექტურობის დემონსტრირებაზე კონკრეტული ისტორიული მაგალითებით (ტუვალი, საადია, *მშვიდობის შუამავლები, 1999*).

როგორც ნეორეალისტური ჩარჩოდან ვიცით, აშშ-ის პოლიტიკა ემსახურება ჰეგემონურ ინტერესებს, რაც კონფლიქტის სამართლიან დარეგულირებას ხელს უშლის (უოლტი სტივენსი მ. *ამერიკული ძალის შერბილება, 2005*)

ოზამას ადმინისტრაცია და ტრამპის გეგმა:

ოზამას ადმინისტრაცია, თეორიულად, ცდილობდა უფრო დაბალანსებული მიდგომის დამკვიდრებას, ვიდრე მისი წინამორბედები, მაგრამ პრაქტიკაში ვერ შეძლო ისრაელის დასახლებების გაფართოების შეჩერება (რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ორი სახელმწიფოს" ნორმას). 2014 წლის ღაზას ომის დროს, აშშ-ის შუამავლობა ფოკუსირებული იყო მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტაზე და არა ბლოკადის გაუქმებაზე, რაც პალესტინის ძირეული მოთხოვნა იყო. ეს ასახავს ჰეგემონის ინტერესს: უპირატესობა ენიჭება სწრაფ სტაბილიზაციას რეგიონული არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად, გრძელვადიანი გადაწყვეტის ხარჯზე.

„ტრამპის გეგმა მშვიდობისთვის“ (Peace to Prosperity, 2020) წარმოადგენდა აშშ-ის მიერ წამოწყებულ მცდელობას, რომელიც ღიად ასახავდა ვაშინგტონის სტრატეგიულ ერთგულებას ისრაელის უსაფრთხოებისადმი. დოკუმენტი პალესტინის საკითხს განიხილავდა ეკონომიკური განვითარების პერსპექტივიდან, მაგრამ პრაქტიკაში იგი ემსახურებოდა **სტატუს-კვოს შენარჩუნებას** და არა ოკუპაციის ტრანსფორმაციას (Chomsky, 2015). ტრამპის ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა აშშ-ის მონაწილეობა გაეროს სააგენტოებში, შეწყვიტა დაფინანსება UNRWA-სა და სხვა პალესტინური ორგანიზაციების მიმართ, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა საერთაშორისო ინსტიტუციური ჩართულობა.

ბაიდენის ადმინისტრაცია ფორმალურად ცდილობდა აღნიშნული მემკვიდრეობის გადახედვას. 2021 წლიდან შეინიშნება დაბრუნება მრავალმხრივი დიპლომატიის ჩარჩოში – აშშ აღადგენს მხარდაჭერას UNRWA-ს მიმართ, ამყარებს კოორდინაციას გაეროსა და ევროკავშირთან, ხოლო ოფიციალურ დისკურსში გამოჩნდება ტერმინი „*equal measures of freedom, security, prosperity and democracy*“ – რაც პირველად ასახავს სიმეტრიულ მიდგომას ისრაელ-პალესტინის მიმართ. მიუხედავად ამისა, ბაიდენის პოლიტიკა არსებითად არ არღვევს ჰეგემონურ სტრუქტურას: აშშ კვლავ ინარჩუნებს სამხედრო დახმარების მაქსიმალურ დონეს

ისრაელისადმი და არ ახორციელებს ზეწოლას კოლონიალური პოლიტიკის შეჩერებაზე.

ტრამპის „საუკუნის გარიგება“ (2020): დონალდ ტრამპის მიერ წარდგენილი სამშვიდობო გეგმა არის ჰეგემონური ინტერესების კლასიკური მაგალითი. გეგმა მოიცავდა ისრაელის სუვერენიტეტის აღიარებას დასახლებებზე, იერუსალიმის, როგორც ისრაელის დედაქალაქის, ცნობას და პალესტინისთვის მხოლოდ შეზღუდული სუვერენიტეტის მინიჭებას. ეს იყო ცალმხრივი ნაბიჯი, რომელმაც მთლიანად მოახდინა შუამავლობის დისკრედიტაცია პალესტინური მხარის თვალში და დაადასტურა მათი აღქმა აშშ-ზე, როგორც მიკერძოებულ აქტორზე. გაეროს რეზოლუციების ისტორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ აშშ-მა ბევრჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება, რათა დაებლოკა რეზოლუციები, რომლებიც ისრაელის კრიტიკას შეეხებოდა. მაგალითად, 2017 წელს აშშ-მა ვეტო დაადო რეზოლუციას, რომელიც იერუსალიმის სტატუსის ცვლილებას გმოზდა. ეს ნეორეალისტურად ხსნის, რომ გლობალური ინსტიტუტების ნორმატიული ძალა შეზღუდულია ჰეგემონის მატერიალური ინტერესებით.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, საერთაშორისო აქტორების მიერ კონფლიქტის მთავარი აქტორების იდენტობის კონსტრუირება მკვეთრად ზღუდავს დიპლომატიის არეალს. 2006 წლის პალესტინის საპარლამენტო არჩევნებში ჰამასის გამარჯვების შემდეგ, ევროკავშირმა და აშშ-მა უარი თქვეს ჰამასის მიერ შექმნილ მთავრობასთან მუშაობაზე, რადგან ჰამასი მათ მიერ „ტერორისტულ ორგანიზაციად“ იყო ჩამოყალიბებული. ეს იყო გადაწყვეტილება, რომელმაც ღაზას საერთაშორისო იზოლაცია გააღრმავა და გამოიწვია შიდაპალესტინური განხეთქილება (ჰამასი ღაზაში, ფათჰი დასავლეთ სანაპიროზე). საერთაშორისო აქტორებმა ნორმატიული პრინციპი (ტერორისტებთან მოლაპარაკება არ შეიძლება) ამჯობინეს პრაგმატულ საჭიროებას (ღაზას ლეგიტიმურ მმართველთან მოლაპარაკება).

ევროკავშირი და სხვა დასავლური დონორები ჰუმანიტარულ დახმარებას ღაზასთვის პირობითად აწვდიან – ეს დახმარება არ უნდა მოხდეს ჰამასის ხელში. ეს პოლიტიკა ასახავს იდენტობის კონსტრუირების ძალას და იმ ფაქტს, რომ იდეოლოგიური ბარიერები ფიზიკურ (ბლოკადის) და ჰუმანიტარულ კრიზისებს ამძაფრებს. ეგვიპტე, რომელიც განიხილავს ჰამასს, როგორც უსაფრთხოების რისკს (ძმები მუსლიმების იდეოლოგიური სიახლოვის გამო), შუამავლობს ისრაელსა და ჰამასს შორის მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის დროს. ის კონკრეტულად აკონტროლებს ღაზას საზღვარს (რაფაჰი) და ხშირად თანამშრომლობს ისრაელთან ბლოკადის შენარჩუნების საკითხში. ყატარი, იდეოლოგიური მიზეზების გამო, ჰამასის მთავარი ფინანსური დონორია და მასპინძლობს მის ლიდერებს. ეს

კონკურენცია – ეგვიპტის უსაფრთხოების ინტერესები vs. ყატარის რეგიონული გავლენის ინტერესები – ქმნის არათანმიმდევრულ საერთაშორისო ჩართულობას. ღაზას კონფლიქტი იქცევა რეგიონული მარიონეტული მეტოქეობის ველად, რაც ნეორეალისტურად ხსნის, რომ შუამავლობა ხშირად არ არის ნეიტრალური, არამედ ძალაუფლების გაზრდის ინსტრუმენტია.²²⁵

გაეროს, როგორც ნორმატიული აქტორის, უძლურება ღაზას კონტექსტში კრიტიკულად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლის პატივისცემის შესაფასებლად. გაეროს ლტოლვილთა სააგენტო (UNRWA) სასიცოცხლო დახმარებას უწევს ღაზას სექტორს. თუმცა, ამ ორგანიზაციის საქმიანობა მუდმივად პოლიტიზებულია. აშშ-ის ტრამპის ადმინისტრაციამ, მაგალითად, შეწყვიტა UNRWA-ს დაფინანსება, რითაც ორგანიზაციის არსებობა ეჭვქვეშ დადგა. ეს ქმედება, რომელიც ჰეგემონური ძალის მიერაა განხორციელებული, გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ერთ აქტორს შეარყიოს მთელი მრავალმხრივი ჰუმანიტარული სტრუქტურა საკუთარი პოლიტიკური (ნეორეალისტური) მიზნების მისაღწევად (პალესტინელი ლტოლვილების სტატუსის დელეგიტიმაცია). გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დაწყებული გამოძიებები ომის დანაშაულებებზე (მაგალითად, გოლდსტონის ანგარიში) ხშირად უარყოფილია ისრაელისა და აშშ-ის მიერ, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან დიდი სახელმწიფოების ძირითად ინტერესებს.

ღაზას კონფლიქტის მართვაში საერთაშორისო აქტორების უმეტესობა, მათ შორის აშშ, უპირატესობას ანიჭებს საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებს (ნეორეალიზმი) და იმ იდენტობებისა და ნორმების შენარჩუნებას (კონსტრუქტივიზმი), რომლებიც გამორიცხავენ კონფლიქტის ფუნდამენტურ გადაწყვეტას. შესაბამისად, საერთაშორისო ჩართულობა ძირითადად მიზნად ისახავს კრიზისის განმუხტვას და არა მდგრადი მშვიდობის მიღწევას. ღაზას სექტორში არსებული კონფლიქტი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების იმ იშვიათ და მტკივნეულ მაგალითს, სადაც საერთაშორისო ჩართულობის სიხშირე და მოცულობა არ უკავშირდება წარმატების მაღალ ხარისხს. ამ სტატიის ჩატარებულმა ანალიზმა დაადასტურა მთავარი თეზისი: საერთაშორისო აქტორების როლი კონფლიქტის დარეგულირებაში არსებითად შეზღუდულია მათი კონკურენტული ინტერესებით, იდეოლოგიური განხეთქილებით და

²²⁵ Walt Stephen M., *Taming American Power: The Global Response to U. S. Primacy*, New York: W. W. Norton & Company, 2005.

შიდაპოლიტიკური მოტივაციებით. აშშ-ის, როგორც ჰეგემონის, პოლიტიკა ღაზასთან მიმართებაში განპირობებულია ნეორეალისტური უსაფრთხოებისა და გავლენის ინტერესებით. აშშ-ის ცალმხრივი და მიკერძოებული შუამავლობა, რომელიც ხშირად გაეროში ვეტოს გამოყენებით მტკიცდება, ეფექტურად ბლოკავს ნორმატიულად სამართლიანი და მრავალმხრივი გადაწყვეტილებების მიღებას. საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის მცდელობები ჩანაცვლებულია *Status Quo*-ს სასარგებლო კრიზისის მართვით. საერთაშორისო საზოგადოება იმყოფება კონსტრუქტივისტულ ჩიხში, რომელიც შექმნილია იდენტობისა და დისკურსის საშუალებით. ჰამასის, როგორც „ტერორისტული“ აქტორის კონსტრუირება და „უსაფრთხოების“ vs. „წინააღმდეგობის“ ნორმების დაპირისპირება შეუძლებელს ხდის მთავარ მხარეებს შორის უშუალო და ინკლუზიურ მოლაპარაკებებს.

ევროკავშირი და გაერო, მიუხედავად მათი ნორმატიული მისწრაფებებისა, არ ფლობენ საკმარის მატერიალურ ძალას (ევროკავშირი შიდა განხეთქილების გამო, გაერო კი აშშ-ის ვეტოს გამო), რათა ეფექტური ზეწოლა მოახდინონ კონფლიქტის მონაწილეებზე.

ღაზას კონფლიქტის კვლევა ხაზს უსვამს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ურთიერთდაკავშირების მნიშვნელობას. ნეორეალიზმი და ჰეგემონური სტაბილიზაცია გვამღევს საშუალებას, გავიგოთ ძალაუფლების სტრუქტურა (აშშ-ის დომინანტური როლი), ხოლო კონსტრუქტივიზმი განმარტავს, როგორ მოქმედებს ეს ძალაუფლება ნორმებისა და იდენტობების ფორმირებით, რაც ზღუდავს აქტორების ქცევის თავისუფლებას. დასკვნა ნათელია: სანამ გეოპოლიტიკური ინტერესები (ძალაუფლება) და კონფლიქტის იდენტობითი კონსტრუქცია (ნორმები) არ შეიცვლება, ღაზას საკითხის ფუნდამენტური გადაწყვეტა მიუწვდომელი იქნება.²²⁶

კონფლიქტის გრძელვადიანი დარეგულირებისთვის, საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გადახედოს თავის მიდგომას და მიიღოს უფრო მრავალმხრივი სტრატეგია: აუცილებელია აშშ-ის დომინანტური როლის ჩანაცვლება ოთხმხრივი ან მრავალმხრივი შუამავლობით, სადაც გაეროს, ევროკავშირისა და რეგიონულ სახელმწიფოებს თანაბარი უფლებები და პასუხისმგებლობები ექნებათ. ამგვარი მიდგომა შეამცირებს მიკერძოების რისკს და გაზრდის პროცესის სანდოობას პალესტინელებისთვის. საერთაშორისო აქტორებმა

²²⁶ Wendt Alexander, “Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics”, *International Organization* 46, no. 2 (1992): 391-425.

უნდა დაიწყონ დიალოგის არხების მოძიება ჰამასთან (არაპირდაპირი გზით მაინც), რადგან მის გარეშე მშვიდობის ნებისმიერი შეთანხმება განწირულია ჩავარდნისთვის. ეს მოითხოვს ჰამასის, როგორც „ტერორისტული“ ორგანიზაციის, მკაცრი კონსტრუქციის შერბილებას და მისი პოლიტიკური ლეგიტიმაციის ნაწილობრივ აღიარებას. ნაცვლად კრიზისის განმუხტვისა, საერთაშორისო დახმარება უნდა იყოს ორიენტირებული კონფლიქტის ძირეული მიზეზების (ოკუპაცია, ბლოკადა, იდენტობის საკითხები) გადაჭრაზე. ევროკავშირმა უნდა გამოიყენოს თავისი ეკონომიკური ზეგავლენა საერთაშორისო სამართლის ნორმების დასაცავად. ღაზას კონფლიქტის ანალიზი აჩვენებს, რომ საერთაშორისო აქტორების ჩართულობა ხშირად ემსახურება **სტატუსკვოს შენარჩუნებას**, ვიდრე გრძელვადიანი მშვიდობის უზრუნველყოფას. ნეორეალისტური ხედვით, რეგიონში ჰეგემონური სტაბილიზაცია უზრუნველყოფს მოკლევადიან უსაფრთხოებას, მაგრამ ქმნის სტრუქტურულ დამაბულობას, რომელიც მუდმივად აღადგენს ძალადობის ციკლს. კონსტრუქტივისტული მიდგომა კი ამ პროცესს ხსნის იდენტობის, ნარატივებისა და ნორმების გავლენით – საერთაშორისო დისკურსი, რომელიც ღაზას პოლიტიკურ სუბიექტებს „ტერორიზმის აგენტებად“ განსაზღვრავს, აფერხებს მათ ლეგიტიმურ პოლიტიკურ მონაწილეობას და ზღუდავს დიალოგის სივრცეს. საბოლოოდ, ღაზას სექტორის კონფლიქტის დარეგულირება საჭიროებს არა მხოლოდ ახალ გეგმებს, არამედ ახალ მიდგომებს, რომელიც აღიარებს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ შეზღუდვებს და გაითვალისწინებს იდენტობისა და დისკურსის ფუნდამენტურ როლს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს საერთაშორისო თანამეგობრობა გახდეს ნამდვილი მშვიდობის მშენებელი და არა მხოლოდ კრიზისის მმართველი. **ღაზას კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივა დამოკიდებულია არა მხოლოდ ძალაუფლების ბალანსზე, არამედ ნორმატიული ჩარჩოს გარდაქმნაზე – ტერორიზმის დისკურსიდან დიალოგის დისკურსისკენ.** მხოლოდ მაშინ, როცა საერთაშორისო აქტორები საკუთარ ინტერესებს შეუთავსებენ ჰუმანიტარულ პასუხისმგებლობას, შეიძლება ჩამოყალიბდეს გრძელვადიანი და მდგრადი მშვიდობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Keohane Robert O., *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy*, Princeton: Princeton University Press, 1984.
2. Lederach John Paul, *Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies*. Washington, DC: United States Institute of Peace Press, 1997.
3. Said Edward W., *Orientalism*, New York: Pantheon Books, 1978.
4. Touval Saadia, *The Peace Brokers: Mediators in the Arab-Israeli Conflict, 1948–1979*. Princeton: Princeton University Press, 1999.
5. Walt Stephen M., *Taming American Power: The Global Response to U. S. Primacy*, New York: W. W. Norton & Company, 2005.
6. Wendt Alexander, "Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics", *International Organization* 46, no. 2 (1992): 391–425.
7. Wendt Alexander, *Social Theory of International Politics*, Cambridge: Cambridge University Press, 1999.
8. ვენდტი, ალექსანდერი, „ანარქია არის ის, რასაც სახელმწიფოები ქმნიან: ძალაუფლების პოლიტიკის სოციალური კონსტრუქცია“ („Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics“), *International Organization* 46, №2 (1992): 391–425.
9. ვენდტი, ალექსანდერი, *საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია (Social Theory of International Politics)*, კემბრიჯი: Cambridge University Press, 1999.
10. ლედერაჩი ჯონ პოლი, *მშვიდობის შენება: მდგრადი შერიგება გაყოფილ საზოგადოებებში (Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies)*, ვაშინგტონი: United States Institute of Peace Press, 1997.
11. საიდი, ედვარდი უ., *ორიენტალიზმი (Orientalism)*. ნიუ იორკი: Pantheon Books, 1978.
12. ტუვალ, საადია, *მშვიდობის შუამავლები: მედიატორები არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში, 1948–1979 (The Peace Brokers: Mediators in the Arab-Israeli Conflict, 1948–1979)*, პრინსტონი: Princeton University Press, 1999.
13. უოლტი სტივენი მ., *ამერიკული ძალის შერბილება: გლობალური რეაქცია აშშ-ის ჰეგემონიაზე (Taming American Power: The Global Response to U. S. Primacy)*, ნიუ იორკი: W. W. Norton & Company, 2005.
14. ქეჰეინი, რობერტი ო., *ჰეგემონიის შემდეგ: თანამშრომლობა და უთანხმოება მსოფლიო პოლიტიკურ ეკონომიკაში (After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy)*, პრინსტონი: Princeton University Press, 1984.

განახლებადი ენერგიის ფაქტორი და ქვეყნის უსაფრთხოება

ლევან ნიკოლეიშვილი

პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის,
უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის პროფესორი

lgroun6@aol.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-2472-9356>

დავით ტაბატაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

daviti.tabatadze@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0005-4699-9360>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.19

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ენერგეტიკული უსაფრთხოება იქცა სახელმწიფოთა პოლიტიკური სტაბილურობის, სუვერენიტეტისა და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად. ტრადიციული ენერგომატარებლების, როგორცაა ნავთობი და გაზი, გეოპოლიტიკურმა რისკებმა, ფასების მერყეობამ და კლიმატის ცვლილების პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა განახლებადი ენერგიის წყაროებს. სტატია მიზნად ისახავს განიხილოს განახლებადი ენერგიის პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქართველოს შემთხვევას. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ განახლებადი ენერგიის განვითარება მცირე სახელმწიფოებისთვის არა მხოლოდ ეკონომიკური ალტერნატივაა, არამედ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საგარეო პოლიტიკის მოქნილობის, ენერგეტიკული სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული გეგმების განხორციელებისათვის.

საკვანძო სიტყვები: განახლებადი ენერგია, ენერგეტიკული უსაფრთხოება, სუვერენიტეტი, საგარეო პოლიტიკა, გეოპოლიტიკა

Renewable Energy as a Factor in National Security

Levan Nikoleishili

Professor, Doctor of Political Science,
Security Research Department of the National Defense Academy

lgrou6@aol.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-2472-9356>

David Tabatadze

PhD Candidate in Political Science at Caucasus International University

daviti.tabatadze@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0005-4699-9360>

Abstract

In the contemporary world, **energy security has become a key determinant of political stability, sovereignty, and foreign policy** of states. Geopolitical risks, price volatility, and climate change challenges associated with traditional energy sources such as oil and gas have significantly increased the importance of renewable energy. This article aims to explore the **political and strategic significance of renewable energy** in the context of energy independence and national security, with a particular focus on **Georgia**. The study emphasizes that developing renewable energy is not only an **economic alternative** for small states but also a crucial tool for enhancing **foreign policy flexibility, energy sovereignty, and the implementation of strategic national security policies**.

Keywords: Renewable Energy, Energy Security, Sovereignty, Foreign Policy, Geopolitics

სტატიის მიზანია გაანალიზოს განახლებადი ენერგიის პოლიტიკური, სტრატეგიული და უსაფრთხოების მნიშვნელობა მცირე სახელმწიფოებისათვის და განსაკუთრებული აქცენტი გააკეთოს საქართველოს სპეციფიკურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას:

როგორ შეიძლება განახლებადი ენერგია იქცეს საქართველოს სუვერენიტეტის, საგარეო პოლიტიკის მოქნილობისა და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების სტრატეგიულ ბერკეტად?

სტატიის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი განახლებად ენერგიას განიხილავს როგორც **პოლიტიკური ძალაუფლებისა და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების სტრატეგიულ ინსტრუმენტს**. ნაშრომი ამტკიცებს, რომ ენერგეტიკული ტრანზაცია მცირე სახელმწიფოებისთვის წარმოადგენს გეოპოლიტიკური გაძლიერებისა და საგარეო ზეწოლისგან დამოუკიდებლობის მიღწევის მექანიზმს.

წარმოდგენილია ინტეგრირებული ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც აერთიანებს ენერგეტიკული უსაფრთხოების თეორიებს, გეოპოლიტიკური რისკის შეფასებას, საგარეო პოლიტიკის მოქნილობის შესაძლებლობებსა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მდგრადობას.

სტატია ახალ ხედვას სთავაზობს საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის კვლევას. განახლებადი ენერგია წარმოდგენილია როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების, გარე გავლენების უგულვებელყოფის და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული ავტონომიის ხელშემწყობი პოლიტიკური რესურსი.

კვლევის მეთოდები

ეს კვლევა იყენებს **კვალიტატიურ, პოლიტიკურ-ანალიტიკურ მიდგომას**, რომლის მიზანია განახლებადი ენერგიის როლის შესწავლა ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში. ანალიზი ეყრდნობა **კოპენჰაგენის სკოლის უსაფრთხოების თეორიას** (Buzan & Wæver), რათა შეფასდეს, როგორ ხდება ენერგეტიკული დამოკიდებულებების პოლიტიზაცია და სეკურიტიზაცია სახელმწიფო დონეზე. პარალელურად გამოიყენება **ენერგეტიკული უსაფრთხოების ჩარჩო** (Cherp & Jewell), რომელიც იძლევა საშუალებას განვიხილოთ ენერგიის წყაროების მრავალფეროვნება, იმპორტზე დამოკიდებულება და სტრატეგიული რისკი.

მონაცემები შეგროვებულია **საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებიდან**, სახელმწიფო სტრატეგიებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებიდან (IEA, IRENA) და არსებული პოლიტიკური დებატების ანალიზიდან. ძირითადი ანალიტიკური მეთოდებია:

- **პოლიტიკის ანალიზი (policy analysis)** – ენერგეტიკული სტრატეგიების შედარება ეროვნული უსაფრთხოების მიზნებთან;

- **დისკურსული ანალიზი (securitization analysis)** – როგორ წარმოჩინდება ენერგია როგორც უსაფრთხოების საკითხი პოლიტიკური ელიტების მიერ;
- **სტრუქტურული პოლიტიკური ანალიზი** – ენერგოდამოკიდებულების გეოპოლიტიკური შედეგების შეფასება.

ეს მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს, როგორ გარდაქმნის განახლებადი ენერგიის ზრდა ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობას და უსაფრთხოების პოლიტიკურ ჩარჩოს.

ლიტერატურისა და თეორიული ჩარჩოს მიმოხილვა

Buzan, Wæver და de Wilde (1998) ენერგეტიკულ უსაფრთხოებას განიხილავენ უსაფრთხოების ფართო ჩარჩოს – „სექტორული უსაფრთხოების“ – ფარგლებში. მათი ხედვით: „ენერგია არ არის მხოლოდ ეკონომიკური საკითხი; ის უკავშირდება სამხედრო, პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობასაც. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანება ან რესურსებზე წვდომის შეზღუდვა შეიძლება ისეთივე საფრთხედ იქცეს, როგორც სამხედრო თავდასხმა.“²²⁷

Cherp და Jewell (2014) ამტკიცებენ, რომ – „ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზი უნდა გავიდეს „ოთხი A“-ს – Availability (ხელმისაწვდომობა), Accessibility (წვდომა), Affordability (ფასი) და Acceptability (საზოგადოებრივი მიღება) – ჩარჩოებიდან. მათი აზრით, აუცილებელია პოლიტიკურ და ინსტიტუციურ განზომილებათა გათვალისწინება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ხშირად დამოკიდებულნი არიან გარე მიმწოდებლებზე.“²²⁸

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები (IEA, IRENA) ადასტურებს, რომ განახლებადი ენერგიის ზრდა არა მხოლოდ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას ემსახურება, არამედ უზრუნველყოფს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და გეოპოლიტიკურ მოქნილობას. ევროკავშირის მაგალითი („Green Deal“ და „REPowerEU“) აჩვენებს, რომ განახლებადი ენერგია შეიძლება იქცეს სტრატეგიულ ბერკეტად, რომელიც ამცირებს ენერგოდამოკიდებულებას რუსეთის ენერგორესურსებზე.

²²⁷ Buzan B, O. Wæver და J. de Wilde, *A New Framework for Analysis*, 1998, Security.

²²⁸ Cherp A. and Jewell J, *The concept of energy security, Beyond the four As*, 2014, LUND UNIVERSITY. <https://shorturl.at/QVEuN>.

შესავალი

ენერგია ყოველთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე უბრალოდ ეკონომიკური რესურსი. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ის იქცა ძალაუფლების, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად. სახელმწიფო, რომელსაც ენერგორესურსებზე კონტროლი აქვს, ხშირად ახერხებს რეგიონული თუ გლობალური პოლიტიკის მიმართულებების ფორმირებას. შესაბამისად, ენერგეტიკული უსაფრთხოება მათ შორის ენერგიის საიმედო, ხელმისაწვდომი და გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი მიწოდება არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და სტრატეგიული კატეგორია.

21-ე საუკუნის მეორე ათწლეულიდან ენერგეტიკული უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალურ თემად იქცა, რადგან კლიმატის ცვლილებამ, ფოსილური საწვავის გლობალურმა კრიზისებმა და გეოპოლიტიკურმა დაძაბულობებმა სახელმწიფოებს ახალი გადაწყვეტილებების მიება აიძულა. განახლებადი ენერგიის წყაროები, როგორც არის წყალი, ქარი, მზე, ბიომასა და გეოთერმული რესურსები, აღიქმება არა მხოლოდ გარემოსდაცვითი პოლიტიკის ნაწილად, არამედ ეროვნული უსაფრთხოების განმსაზღვრელ ფაქტორად.

საქართველოსთვის, როგორც მცირე და ენერგოდამოკიდებული სახელმწიფოსთვის, ეს საკითხი ორმაგად მნიშვნელოვანია. ქვეყნის ენერგეტიკული სისტემა დიდწილად დამოკიდებულია იმპორტზე, ხოლო გეოპოლიტიკური რეალობა და რუსეთის ფაქტორი აგრეთვე, რეგიონული კონფლიქტები, ენერგორესურსებს უშუალო პოლიტიკურ ინსტრუმენტად აქცევს. შესაბამისად, განახლებადი ენერგიის განვითარება საქართველოსათვის მხოლოდ ეკონომიკური ალტერნატივა არ არის. ეს არის სტრატეგიული არჩევანი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მოქნილობასა და ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურობას.

განახლებადი ენერგიის პოლიტიკური განზომილება

განახლებადი ენერგიის პოლიტიკური განზომილება არის მთავარი წინაპირობა, სახელმწიფოს ენერგეტიკული გარდაქმნების წარმატებისთვის. როგორც Anna Pegels და *თანაავტორები* (2018) მიუთითებენ, „ბაზრები ვერ უზრუნველყოფენ სწრაფ და მასშტაბურ გადართვას განახლებად ტექნოლოგიებზე, ამიტომ მთავრობების პოლიტიკა, რეგულაციები, სუბსიდიები და საგადასახადო ინსტრუმენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალ ენერგოსისტემებში სტიმულების შექმნაში. პოლიტიკური ფაქტორები მჭიდროდ უკავშირდება ლეგიტიმურობას, რადგან ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტურობა

დამოკიდებულია საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებაზე, ხარჯებისა და სარგებლის სამართლიან განაწილებასა და სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფაზე.²²⁹

გარდა ამისა, გრძელვადიანი ხედვა და პოლიტიკური სტაბილურობა აუცილებელია ენერგეტიკული გარდაქმნის სანდო საფუძვლის შესაქმნელად. ძლიერი ინსტიტუციური შესაძლებლობები აუმჯობესებს პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობას, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფო ორგანოებს, კერძო სექტორს და სამოქალაქო საზოგადოებას ეფექტურად თანამშრომლობდნენ.

ევროკავშირის „Green Deal“-ი (European Commission 2020) სწორედ ამ ორ ხედვას აერთიანებს. „ერთი მხრივ, ის განახლებად ენერგიას ხედავს, როგორც ეკოლოგიურ გარდამავალს, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც გეოპოლიტიკურ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებას.“²³⁰

ენერგეტიკული უსაფრთხოება მცირე სახელმწიფოების კონტექსტში

მცირე სახელმწიფოებისთვის ენერგეტიკული უსაფრთხოება განსაკუთრებით სენსიტიური თემაა. ისინი, როგორც წესი, ნაკლებად ფლობენ საკუთარ რესურსებს და ხშირად ხდებიან ენერგოდამოკიდებული სხვა ქვეყნებზე და მათი გავლენის ქვეშ. ამ პირობებში განახლებადი ენერგია მცირე სახელმწიფოებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, გაზარდონ საკუთარი სუვერენიტეტი და შეამცირონ გარე ზეწოლის რისკი.

საქართველოს შემთხვევაში, სწორედ ეს პოლიტიკურ-სტრატეგიული განზომილებაა გადამწყვეტი. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, „ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა არ არის მხოლოდ ეკონომიკური განვითარების საკითხი; ეს არის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველი და საგარეო პოლიტიკის სტაბილურობის მთავარი ფაქტორი. ამ პოზიციას ასახავს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ხაზს უსვამს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მნიშვნელობას ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კონტექსტში.“²³¹

²²⁹ Anna Pegels, Vidican-Auktor G, Lutkenhorst W. and Altenburg T, *Politics of Green Energy Policy*, 2018, <https://shorturl.at/ViqtP>.

²³⁰ European Commission, *EU to fully end its dependency on Russian energy*, 6.06. 2025, <https://shorturl.at/riBPT>.

²³¹ MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA, *National Security Concept*, 22.08.2024, <https://shorturl.at/dus31>.

განახლებადი ენერგია, უსაფრთხოება გლობალური პოლიტიკური კონტექსტი

XXI საუკუნეში ენერგეტიკისა და პოლიტიკის კავშირი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ენერგორესურსები მხოლოდ ეკონომიკური აქტივის ან საწარმოო ფუნდამენტის როლს აღარ ასრულებს, არამედ ისინი იქცნენ გეოპოლიტიკური ძალაუფლების მთავარ ბერკეტად. ენერგეტიკული უსაფრთხოება განსაზღვრავს სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, აყალიბებს სტრატეგიულ ალიანსებს და გავლენას ახდენს გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაზე.

მთელ მსოფლიოში ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ ფოსილურ საწვავზე დიდი დამოკიდებულება ქმნის პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის რისკს. ერთი მხრივ, ენერგიის იმპორტზე დამოკიდებულება ამცირებს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მეორე მხრივ კი, ენერგორესურსების ექსპორტზე დაყრდნობილი ქვეყნები ხდებიან გლობალური კრიზისების მძევლები. მაგალითად, 2022 წლის უკრაინის ომის შედეგად რუსეთზე დაწესებულმა სანქციებმა ნათლად აჩვენა, რომ ენერგეტიკა არანაკლებ „იარაღია“, ვიდრე სამხედრო ძალა.²³²

ამ პროცესში განახლებადი ენერგია იქცა პოლიტიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური სტაბილურობის საკვანძო ფაქტორად. ევროკავშირი, აშშ, ჩინეთი და სხვა გლობალური მოთამაშეები ენერგეტიკულ გარდაქმნას არა მხოლოდ ეკოლოგიურ პრიორიტეტად, არამედ უსაფრთხოების პოლიტიკის აუცილებელ კომპონენტად განიხილავენ.

საქართველოს სპეციფიკა: გამოწვევები და შესაძლებლობები

საქართველო, ენერგეტიკული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შემთხვევაა რეგიონში. ქვეყნის ენერგეტიკული არქიტექტურა ერთდროულად აერთიანებს დიდ პოტენციალსა და დიდ მოწყვლადობას.

საქართველო ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოებას ჰიდროენერგეტიკაზე ამყარებს, თუმცა, მაინც დამოკიდებულია აზერბაიჯანისა და რუსეთის ენერგორესურსებზე. ზამთრის პერიოდში, როდესაც მდინარეების დებიტი მცირდება, ქვეყანა იძულებულია ელექტროენერგიის იმპორტი

²³² Aron Dénes Hartvig, Kiss-Dobronyi B, Kotek P, Takácsné Tóth B, Gutzianas I and Zsombor Zareczky A, The economic and energy security implications of the Russian energy weapon, 01.06.2024, <https://shorturl.at/i9LmI>.

განახორციელოს. ეს ქმნის სტრატეგიულ რისკს, რადგან პოლიტიკური კრიზისის პირობებში ენერგიის მიწოდება შეიძლება სერიოზულად შეიზღუდოს.

საქართველოს გამოირჩევა თავისი მდიდარი რესურსით, მათ შორის: ჰიდროენერგია, ქარის ენერგია, მზის ენერგია და აგრეთვე აქვს ბიომასა და გეოთერმული წყლები.

ამ რესურსების სრულფასოვანი ათვისება საქართველოს არა მხოლოდ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას შეუწყობს ხელს, არამედ მას რეგიონულ ენერგო-ჰაბად გადააქცევს.

საქართველო მდებარეობს „ენერგეტიკული დერეფნის“ ცენტრში, რომელიც კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის რესურსებს ევროპასთან აკავშირებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი და სხვა სტრატეგიული ინფრასტრუქტურა უკვე აძლევს ქვეყანას მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლს.

თუმცა, არსებობს სერიოზული გამოწვევებიც მიუხედავად პოტენციალისა. მათ შორის საინვესტიციო კლიმატი არ არის სტაბილური, რამაც არაერთი ენერგეტიკული პროექტის შეჩერება გამოიწვია, აგრეთვე საზოგადოებაში არსებობს უნდობლობა ჰესების მშენებლობის მიმართ (ეკოლოგიური და სოციალური რისკის გამო), რაც პოლიტიკურ დამახულობას ქმნის და, რაც მთავარია, ენერგეტიკული პოლიტიკა ხშირად არაერთგვაროვანია და მოკლევადიანი გადაწყვეტილებების გავლენით ყალიბდება.

ამ გამოწვევების დაძლევის შემთხვევაში, განახლებად ენერგიას საქართველოსთვის გარდაქმნის არა მხოლოდ ეკონომიკურ ალტერნატივად, არამედ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ქვაკუთხედად. თუ საქართველო განახლებადი ენერგიის ექსპორტიორიც გახდება, ეს გააძლიერებს მის სუვერენიტეტს და საერთაშორისო პოლიტიკურ წონას.

საერთაშორისო გამოცდილება და შედარებითი ანალიზი

ევროკავშირმა ენერგეტიკული პოლიტიკა ისტორიულად ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აქცია. თუმცა, 2022 წლის შემდეგ, რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებასთან ერთად, განახლებადი ენერგიის განვითარება უშუალოდ უსაფრთხოების სტრატეგიად იქცა.

ევროკავშირის „Green Deal“ და „REPowerEU“ გეგმები პირდაპირ მიმართულია არა მხოლოდ კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, არამედ ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მისაღწევად. წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს გაზის იმპორტის

მკვეთრი შემცირება რუსეთიდან და მის ნაცვლად მზის, ქარისა და ბიოენერგიის წილის გაზრდა. 2030 წლისთვის ევროკავშირი მიზნად ისახავს ენერგომოხმარებაში განახლებადი წყაროების წილის 42.5%-მდე ზრდას.

ეს მაგალითი აჩვენებს, რომ ენერგეტიკული გარდაქმნა უკვე აღიქმება **გეოპოლიტიკური ბერკეტად**. აქედან გამომდინარე ენერგეტიკული დამოუკიდებლობა ზრდის ევროკავშირის თავისუფლებას საგარეო პოლიტიკაში და ამცირებს კრემლის გავლენას ევროპულ უსაფრთხოებაზე.

თუ ზემოთ განხილულ შემთხვევებს შევადარებთ საქართველოს, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა იკვეთება:

ენერგეტიკული გარდაქმნა შესაძლებელია სწრაფ ტემპში, რასაც **ევროკავშირის გამოცდილება** აჩვენებს. როდესაც არსებობს პოლიტიკური კონსენსუსი და კრიზისის საპასუხო აუცილებლობა. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია **ენერგეტიკული გარდაქმნის პოლიტიზება**.

შეიძლება ენერგია იქცეს **ეროვნული იდენტობის ნაწილად**. საქართველოში განახლებადი ენერგიის პოლიტიკა შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც „**მწვანე ეროვნული პროექტი**“, რომელიც გააერთიანებს საზოგადოებას და გააძლიერებს ქვეყნის პოზიციას რეგიონში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია **სტრატეგიული დოკუმენტი** შექმნას, სადაც განახლებადი ენერგია უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ საყრდენად გამოცხადდება, აგრეთვე **საგარეო პოლიტიკაში** განახლებადი ენერგიის თემატიკა გამოიყენოს როგორც ევროპასთან დაახლოების არგუმენტი. დამატებით შესაძლებელია, **საზოგადოებრივი კონსენსუსი** ჩამოაყალიბოს „მწვანე განვითარების“ გარშემო, რათა შემცირდეს პოლარიზაცია ჰესებისა და სხვა პროექტების მიმართ.

დასკვნა

ენერგეტიკული უსაფრთხოება XXI საუკუნეში იქცა ეროვნული უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად. თუ წარსულში ენერგეტიკა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებასთან ან ინფრასტრუქტურასთან ასოცირდებოდა, დღეს იგი პოლიტიკური ძალაუფლებისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის ქვაკუთხედი.

განახლებადი ენერგია განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ პროცესში. იგი ერთდროულად ქმნის დამოუკიდებლობის, მდგრადობისა და გლობალურ

პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ ევროკავშირი და სხვა სახელმწიფოები განახლებად ენერგიას იყენებენ არა მხოლოდ ეკონომიკური მიზნებისთვის, არამედ გეოპოლიტიკური გავლენის გასაძლიერებლად.

საქართველოს შემთხვევაში ეს საკითხი ორმაგად მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ქვეყანას აქვს მდიდარი რესურსები (ჰიდრო-, ქარი, მზე), რაც შესაძლებლობას აძლევს, ენერგეტიკულად დამოუკიდებელი გახდეს. მეორე მხრივ, საქართველო მდებარეობს გეოპოლიტიკური დერეფნის ცენტრში, რაც მას უნიკალურ ფუნქციას ანიჭებს როგორც რეგიონული ჰაბისა.

ამასთანავე, ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკა კვლავ მოწყვლადია, რადგანაც არის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. აგრეთვე არსებობს საინვესტიციო რისკი და პოლიტიკური არასტაბილურობის შეგრძნება ინვესტორებისათვის. იყო ფაქტი, როდესაც განხრციელდა საზოგადოებრივი წინააღმდეგობები ჰესების მშენებლობის მიმართ და კვლავ დიდია გარე ზეწოლები რუსეთისა და რეგიონის სხვა მოთამაშეებისგან.

ამიტომ, განახლებადი ენერგია საქართველოსთვის არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ალტერნატივაა, არამედ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული პრიორიტეტი.

საქართველოს სჭირდება სტრატეგიული პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც მოიცავს გრძელვადიან ენერგეტიკულ სტრატეგიას, რომელიც განახლებად ენერგიას განსაზღვრავს როგორც ეროვნული უსაფრთხოების ცენტრალურ კომპონენტს.

ამ შემთხვევაში, განახლებადი ენერგია საქართველოსთვის მხოლოდ ეკონომიკური განვითარების საშუალება აღარ იქნება და იგი იქცევა ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედად და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პავლიაშვილი ს. და გარაყანიძე ზ., „შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება.“ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 2024.
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, 2024. <https://shorturl.at/3h83O>.
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა“, 01.06.2024.
4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ, 27.06. 2024, <https://shorturl.at/ZrcG8>.
5. საქართველოს პარლამენტის კანონპროექტი, „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა“, 12.2023. <https://shorturl.at/gnhNE>.
6. ჯავრიშვილი თ., „საქართველოს როლი მსხვილ ენერგოპროდუქტებში“, 05.09.2025 <https://shorturl.at/f8ry1>.
7. Anna Pegels, Vidican-Auktor G., Lutkenhorst W. and Altenburg T., „*Politics of Green Energy Policy*“, 2018, <https://shorturl.at/ViqtP>.
8. Aron Dénes Hartvig, Kiss-Dobronyi B, Kotek P., Takácsné Tóth B., Gutzianas I and Zsombor Zareczky A, „The economic and energy security implications of the Russian energy weapon“, 01.06.2024, <https://shorturl.at/i9LmI>.
9. Buzan B., Wæver O. და Wilde J. de, „*A New Framework for Analysis*“, 1998, Security. <https://shorturl.at/841i8>.
10. Cherp A. and Jewell J., „*The concept of energy security. Beyond the four As*“, 2014, LUND UNIVERSITY. <https://shorturl.at/QVEuN>.
11. European Commission, „*EU to fully end its dependency on Russian energy*“, 6.06. 2025, <https://shorturl.at/riBPT>.
12. European Commission, „*Renewable energy targets*“, 6.06. 2025, <https://shorturl.at/riBPT>.
13. International Energy Agency“, [Georgia energy profile](https://shorturl.at/veh5Q)“, 2023. <https://shorturl.at/veh5Q>.
14. Southern gas corridor, „*South Caucasus Pipeline*“, <https://shorturl.at/sHMdY>.
15. Wæver, O., Securitization and desecuritization, In R. Lipschutz (Ed.), *On Security*. Columbia University Press, 1995, <https://shorturl.at/49eA2> 29.09.2025.
16. Zelenskyy V., „*Ukraine war briefing: Zelenskyy urges west to cut off Russia's energy revenues, saying decisive action 'long overdue*“, The Guardian, 29.09.2025 <https://shorturl.at/TJfxe>.

ალიანსები: დაბალანსება და მიტმასნება**დავით ვახტანგიშვილი**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

vaxtangishvilid@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-3366-1529>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.20

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს ორ ძირითად ჰიპოთეზას საერთაშორისო პოლიტიკაში — დაბალანსების და მიტმასნების თეორიებს. თითოეული მათგანი განსხვავებულ დასკვნამდე მიდის სახელმწიფოების ქცევის შესახებ გარე საფრთხის წინაშე. კვლევა აჩვენებს, რომ დაბალანსება უფრო ხშირია, როგორც უსაფრთხოების სტაბილიზაციის მექანიზმი, ხოლო მიტმასნება უფრო სპეციფიკური და ოპორტუნიზტული ქცევის ფორმაა. ნაშრომი ასახავს ამ ორი ჰიპოთეზის გავლენას მცირე სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს, საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე.

საკვანძო სიტყვები: ალიანსი, დაბალანსება, მიტმასნება, თავდასხმითი ძალა, გარე საფრთხე

Alliances: Balancing and Attrition**David Vakhtangishvili**

Georgian Technical University

International Relations, Doctoral Studies

vaxtangishvilid@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-3366-1529>**Abstract**

The paper explores two main hypotheses in international politics, the theories of balancing and bandwagoning. Each leads to different conclusions about state behavior under external threat. The study finds that balancing is more frequent as a mechanism of security stabilization, while bandwagoning represents a more opportunistic and situational behavior. The paper also discusses how these hypotheses affect the foreign policy choices of small states, including Georgia.

Keywords: alliance, balancing, bandwagoning, offensive capability, external threat

ნაშრომის მიზანი

კვლევის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობებში დაბალანსებისა და მიტმასნების თეორიების შედარებითი ანალიზი, მათი გამოყენების პირობების და სახელმწიფო ქცევის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება, განსაკუთრებული აქცენტით საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე.

სამეცნიერო სიახლე

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი აერთიანებს კლასიკურ თეორიებს თანამედროვე მაგალითებთან და ქმნის ინტეგრირებულ ჩარჩოს სახელმწიფოების ქცევის გასაანალიზებლად. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და უსაფრთხოების შეფასების პროცესებში.

მეთოდოლოგია

გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომელიც აერთიანებს თეორიულ და ემპირიულ მიდგომებს. ნაშრომში გაანალიზებულია ისტორიული და თანამედროვე ქეისები, მათ შორის ევროპული და პოსტსაბჭოთა სივრცის მაგალითები. კვლევის საფუძველია მეორე დონის მონაცემთა ანალიზი, ტექსტუალური ინტერპრეტაცია და სადემონსტრაციო ისტორიული პარალელები.

სერიოზული საფრთხის წინაშე მდგომი სახელმწიფოები დაბალანსების ან მიტმასნების პოლიტიკას მიმართავენ. დაბალანსება განისაზღვრება, როგორც არსებული საფრთხის წინააღმდეგ სხვებთან კავშირის შექმნა. მიტმასნება საფრთხის წყაროსთან კავშირის შექმნას გულისხმობს. შესაბამისად, იმის მიხედვით, ირჩევს სახელმწიფო მთავარი გარე საფრთხის წინააღმდეგ სხვებთან კავშირის შექმნას თუ ასეთ კავშირს საფრთხის წყაროსთან ამყარებს, შესაძლებელია ორი განსხვავებული ჰიპოტეზის განვითარება იმის შესახებ, თუ როგორ ირჩევენ სახელმწიფოები პარტნიორებს კავშირისთვის.

ეს ორი ჰიპოთეზა სამყაროს ორ, ძალზე განსხვავებულ სურათს ხატავს. თუ დაბალანსება მიტმასნებაზე უფრო ხშირად ხდება, სახელმწიფოები უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, რადგან აგრესორები მათ ერთობლივ წინააღმდეგობას წააწყდებიან. თუ გაბატონებული ტენდენცია მიტმასნებაა, იქმნება უსაფრთხოების დეფიციტი, რადგანაც წარმატებული აგრესორები დამატებით

მოკავშირეებს იზიდავენ, რის შედეგადაც მათი ძალა იზრდება, ხოლო მათი მოწინააღმდეგეებისა - კლებულობს.

დაბალანსების პოლიტიკა

მოსაზრება, რომ სახელმწიფოები კავშირებს ქმნიან, რათა უფრო ძლიერი სახელმწიფოების მათზე გაბატონება არ დაუშვან, ძალთა ბალანსის ტრადიციული თეორიის საფუძველს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისის თანახმად, სახელმწიფოები ალიანსებს უერთდებიან, რათა თავი დაიცვან იმ სახელმწიფოების ან კოალიციისგან, რომლებიც მეტ რესურს ფლობენ და შესაძლოა მათ საფრთხე შეუქმნან. სახელმწიფოები დაბალანსებას ორი უმთავრესი მიზეზის გამო ირჩევენ.

ჯერ ერთი, მათ არსებობას საფრთხე დაემუქრება, თუ ისინი ვერ მოახერხებენ პოტენციური ჰეგემონისთვის ლაგამის ამოღებას მანამ, ვიდრე ის მეტისმეტად გაძლიერდება. გაბატონებულ ძალასთან კავშირში შესვლა გულისხმობს რწმენას, რომ მისი ზრახვები მომავალშიც კეთილი იქნება. უფრო უსაფრთხო სტრატეგიაა ალიანსის შექმნა იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც საკუთარ მოკავშირეებზე იოლად გაბატონება არ შეუძლიათ და იმ სახელმწიფოთა დომინირების არ დაშვების მიზნით, რომლებსაც ამის გაკეთება ძალუძთ. უინსტონ ჩერჩილმა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ალიანსების სფეროში ასე განმარტა: „ოთხასი წლის მანძილზე, ინგლისის საგარეო პოლიტიკა კონტინენტზე არსებული უძლიერესი, ყველზე აგრესიული და ყველაზე დომინანტი სახელმწიფოსთვის წინაარმდეგობის გაწევას გულისხმობდა... უფრო ძლიერთან კავშირის შექმნა და მისი დაპყრობითი ომებით სარგებლის მიღება უფრო ადვილი.. და მიმზიდველი პოლიტიკა იქნებოდა. თუმცა, ჩვენ ყოველთვის უფრო რთული გზით მივდიოდით და ნაკლებად ძლიერ სახელმწიფოებთან ვერთიანდებოდით... და ასე ვამარცხებდით კონტინენტის სამხედრო ტირანს ვინც არ უნდა ყოფილიყო ის.“²³³ უფრო ახლო წარსულში, ჰენრი კისინჯერი მხარს უჭერდა ჩინეთთან დაახლოებას [სსრკ-წინააღმდეგ], რადგან სჯეროდა, რომ სამხრეთ ურთიერთობაში უფრო სუსტ მხარესთან კავშირი უმჯობესია.

მეორეც, უფრო სუსტ მხარესთან ძლიერის გაერთიანება ალიანსის ახალი წევრის გავლენას ზრდის, რადგან შედარებით უფრო სუსტი მოკავშირე უფრო მეტ დახმარებას საჭიროებს. ამისგან განსხვავებით, ძლიერ მხარესთან ალიანსის შექმნის შემთხვევაში, ახალი მოკავშირის გავლენა მცირეა. (რადგან ის კოალიციას შედარებით ნაკლებს ჰმატებს), რის შედეგადაც ის პარტნიორების კაპრიზებზე

²³³ Winston s. Churchill, The Second world war, vol 1. The gathering storm (boston,1948), გვ 207-8.

ხდება დამოკიდებული. ამრიგად, უფრო სუსტ მხარესთან კავშირი უფრო სასურველი უნდა იყოს.

მიტმასნება

მოსაზრება, რომ სახელმწიფოები ძლიერის დაბალანსებას ეცდებიან, გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ მრავალ ცნობილ მაგალითს, როდესაც სახელმწიფოები ერთიანდებიან იმ სახელმწიფოსა თუ კოალიციის წინააღმდეგობის გასაწევად, რომლითაც მათ ემუქრება. თუმცა, მიუხედავად მყარი მტკიცებულებებისა რასაც, ისტორია დაბალანსების ჰიპოტეზის სასარგებლოდ გვთავაზობს, ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ საპირისპირო ტიპის მოქმედების ალბათობა უფრო დიდია. როგორც ერთი მეცნიერი ამბობს, “საერთაშორისო პოლიტიკაში არაფერია ისეთი წარმატებული, როგორც თვით წარმატება. გამარჯვებული ძალის წინსვლას ინერცია აჩქარებს. მისი წარმატების შეუქცევადობის განცდა ერთ მხარეს კიდევ უფრო ასუსტებს, ხოლო მეორეს უფრო დიდ სტიმულს აძლევს. პერიფერიული მოთამაშეები გამარჯვებულის მხარეს იჭერენ”.²³⁴

მიტმასნების ჰიპოთეზა პოპულარულია იმ სახელმწიფო მოხელეებს შორის, რომლებიც საზღვარგარეთ მიმდინარე კომფლიქტებში ჩაბმის ან სამხედრო ბიუჯეტების ზრდის გამართლებას ცდილობენ. მაგალითად, გერმანელ ადმირალ ალფრედ ფონ ტრიპიცის ცნობილი რისკის თეორია ამგვარ ლოგიკას ემყარებოდა. ტრიპიცი ამტკიცებდა, რომ დიდი საბრძოლო ფლოტის შექმნით გერმანია ინგლისს ნეიტრალური პოზიციის დაკავებას ან სულაც მასთან ალიანსში შესვლას აიძულებდა, რათა ამით ინგლისისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საზღვაო ბატონობას საფრთხე დაემუქრებოდა.

მიტმასნების თემა მუდმივად განიხილებოდა ცივი ომის პერიოდში. საბჭოთა კავშირის მცდელობები, დაეშინებინა ნორვეგია და თურქეთი ისე, რომ მათ ნატოში შესვლაზე უარი ეთქვათ, ემყარებოდა საბჭოთა კავშირის რწმენას, რომ სახელმწიფოები იოლად იხევენ უკან მუქარის წინაშე. თუმცა ამ ქმედებებმა ნორვეგია და თურქეთი კიდევ უფრო დაახლოვა დასავლეთთან. საბჭოთა პოლიტიკოსებმა მსგავსი შეცდომა დაუშვეს, როცა გადაწყვიტეს, რომ 1960-იან და 1970-იან წლებში საბჭოთა სამხედრო ძალის ზრდა დასავლეთთან ძალთა თანაფარდობას ერთხელ და სამუდამოდ შეცვლიდა. ნაცვლად ამისა, ამ პოლიტიკამ 1970-იან წლებში ამერიკა-ჩინეთის დაახლოება, ხოლო 1980-იანი წლების

²³⁴ W. Scot Thompson, „The Communist International System, “ Orbis 20, no.4 (1977).

მშვიდობიანობის პერიოდში აშშ-ს სამხედრო ძალის ყველაზე მასშტაბური ზრდა გამოიწვია.

მიტმასნების იდეები არანაკლებ პოპულარული იყო ამერიკელ ლიდერებს შორის. ეროვნული საბჭოს 68-ე ანგარიშში (გასაიდუმლოებული კვლევა რომელიც 1950-იან წლებში აშშ-ს სამხედრო შეიარაღების ზრდის გასამართლებლად იქნა გამოყენებული) ნათქვამია:” [აშშ-ს სამხედრო ძალის გაზრდის შესახებ] დადებითი გადაწყვეტილება თუ არ იქნა მიღებული, ჩვენი მეგობრები არა მხოლოდ დაბრკოლებად იქცევიან ჩვენთვის, არამედ საბჭოთა ძალას გაამრავლებენ.” პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ერთხელ თქვა, რომ “თუ აშშ დასუსტდება მთელი მსოფლიო... კომუნისტური ბლოკისკენ გარდაუვალ სვლას დაიწყებს”²³⁵ მიუხედავად ჰენრი კისინჯერის ხშირი მტკიცებისა, რომ აშშ-მ საბჭოთა კავშირის შეკავების მიზნით დამაბალანსებელი ალიანსები უნდა შექმნას, ის ასევე აშკარად ფიქრობდა, რომ აშშ-ს მოკავშირეები მიტმასნების პოლიტიკას აირჩევდნენ. მისი თქმით, “²³⁶თუ მსოფლიო ლიდერები... გადაწყვეტენ აშშ-ს ძალა ან ნება აკლია ... ისინი დანებდებიან იმას რასაც გაბატონებულ ტენდენციად ჩათვლიან”, რონალდ რეიგანის ფრაზა (, თუ ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი თავის დაცვა [ცენტრალურ ამერიკაში]... ჩვენ არ უნდა გვკონდეს იმის იმედი, რომ სხვაგან გავიმარჯვებთ... ჩვენს მიმართ ნდობა დაიმსხვრევა და ალიანსები დაიშლება”) იმავე ლოგიკას იყენებს იმავე მიზნით - საზღვარგარეთ მიმდინარე კომფლიქტში ჩარევის გასამართლებლად.

დაბალანსება და მიტმასნება, როგორც წესი, მხოლოდ შესაძლებლობების კუთხით განიხილება. დაბალანსება უფრო სუსტ მხარესთან კავშირია, მიტმასნება - უფრო ძლიერთან. თუმცა ეს კონცეფცია გადახედვას საჭიროებს, რათა გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო მოხელეების მიერ მოკავშირეების არჩევისას განხილული სხვა ფაქტორები. ძალა, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არა ერთადერთი. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სახელმწიფო ალიანსებს, როგორც წესი, იმ გარე ძალასთან ან იმ ძალის წინააღმდეგ ქმნიან, რომლებიც ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. მაგალითად, სახელმწიფოებმა შეიძლება აირჩიონ დაბალანსება სხვა ძლიერ სახელმწიფოებთან ალიანსების შექმნის მეშვეობით, თუ უფრო სუსტი ძალა მათთვის უფრო სახიფათოა სხვა მიზეზების გამო. მაგალითად, კოალიციები , რომლებმაც გერმანია პირველ და მეორე მსოფლიო ომებში დაამარცხეს, ჯამური რესურსების მხრივ უზარმაზარი უპირატესობით სარგებლობდნენ, მაგრამ გაერთიანდნენ, როდესაც

²³⁵ ციტირებულია ნაშრომში: Seyom Brown, *The Faces of Power: Constancy and Change in United States Foreign Policy from Truman to Johnson* (New York, 1968), გვ 217.

²³⁶ ციტირებულია ნაშრომში: U.S. House Committee on Foreign Affairs, *The Soviet Union and The Third World: Watrshed in Great Power Policy?* 97th Cong., 1st sess., 1977, გვ 157-58.

ნათელი გახდა, რომ ვილჰელმის იმპერიისა და ნაცისტური გერმანიის აგრესიული მიზნები მათთვის უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენდა. რადგან დაბალანსებისა და მიტმასნების უფრო ზუსტი ახსნა მუქარაზე რეაგირებასთან არის დაკავშირებული, მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორების განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოსგან მომდინარე პოტენციური საფრთხის მასშტაბზე: ჯამური ძალა, გეოგრაფიული სიახლოვე, თავდასხმის ძალა და აგრესიული ზრახვები...

თუ ძირითად ჰიპოტეზებს საფრთხის (და არა მხოლოდ ძალის) კუთხით განვსაზღვრავთ, მივიღებთ უფრო სრულ სურათს იმ ფაქტორებისა რომლებსაც სახელმწიფო მოხელეები პოტენციური მოკავშირეების შერჩევისას ითვალისწინებენ. თუმცა შეუძლებელია აპრიორულად იმის განსაზღვრა, მუქარის რომელი წყაროები იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ გარკვეულ როლს ალბათ თითოეული მათგანი შეასრულებს და რაც უფრო დიდია საფრთხე, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ მოწყვლადი სახელმწიფო კავშირის მოძებნას შეეცდება.

დაბალანსებისა და მიტმასნების მნიშვნელობა

ორი ზოგადი ჰიპოტეზა დაბალანსებისა და მიტმასნების შესახებ საერთაშორისო პოლიტიკის მკვეთრად განსხვავებულ სურათებს ხატავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რომელი ჰიპოტეზა უფრო სწორია, რადგან თითოეული ძალზე განსხვავებული პოლიტიკის გატარებას გულისხმობს. როგორია ამ ჰიპოტეზების მიერ შემოთავაზებული სამყაროს სურათები და რა პოლიტიკის გატარებას გულისხმობენ ისინი?

თუ გაბატონებული ტენდენცია დაბალანსებაა, საფრთხის შემქმნელი სახელმწიფოები სხვებს მათ წინააღმდეგ ალიანსის ფორმირებისკენ უბიძგებენ. რადგან სხვებზე დომინირების მოსურნე სახელმწიფოები ფართო წინააღმდეგობას აწყდებიან, სტატუს-კვოს მომხრე სახელმწიფოებს შეუძლიათ, რომ საფრთხეებთან დაკავშირებით საკმაოდ ოპტიმისტური შეხედულებები ჰქონდეთ. დაბალანსების სამყაროში ნდობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მოკავშირეები აგრესიულ სახელმწიფოებს წინააღმდეგობას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უწყვენ და არა იმიტომ, რომ სხვებისგანაც მათთვის იმავეს გაკეთებას ელიან. შესაბამისად, მოკავშირეთა განდგომის შიში კლებულობს. მეტიც, თუ დაბალანსება ნორმაა და სახელმწიფო მოხელეებს ეს ტენდენცია გააზრებული აქვთ, აგრესიის სტიმული არ იარსებებს, რადგან მათ, ვინც აგრესიაზე ფიქრობს, ისიც ეცოდინებათ, რომ წინააღმდეგობას წააწყდებიან.

დაბალანსების სამყაროში საუკეთესო პოლიტიკა ის არის, რომელიც თავშეკავებასა და კეთილგანწყობას გამოხატავს. ძლიერი სახელმწიფოები შესაძლოა ფასეულნი იყვნენ, როგორც მოკავშირეები, რადგან მათ პარტნიორებისთვის ბევრის შეთავაზება ძალუძთ, მაგრამ მათ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა სხვებმა ისინი აგრესიულად არ აღიქვან. ასეთ სამყაროში ყველაზე რაციონალურია ისეთი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, რომელიც სხვებს მინიმალურ საფრთხეს უქმნის.

მიტმასნების სამყარო ბევრად უფრო კონკურენტულია. თუ სახელმწიფოები ყველაზე სახიფათო ძალასთან ალიანსის შექმნას ცდილობენ, დიდი სახელმწიფოები სარგებელს მიიღებენ, თუ სხვას დაარწმუნებენ, რომ ძლიერები და ამავდროულად პოტენციურად აგრესიულები არიან. საერთაშორისო მეტოქეობა უფრო ინტენსიური იქნება, რადგან ერთი მარცხიც კი შეიძლება ერთი მხარის დაკნინებასა და მეორის აღზევებას ნიშნავდეს. ეს ვითარება მიტმასნების სამყაროში განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რადგან მოსალოდნელია განდგომის კიდევ უფრო მეტი შემთხვევა და პოზიციის შემდგომი შესუსტება. მეტიც, თუ სახელმწიფოთა ლიდერები ფიქრობენ, რომ მიტმასნება ფართოდაა გავრცელებული, მეტია მათ მიერ ძალადობრივი მეთოდების გამოყენების ალბათობა. ეს ტენდენცია ახასიათებს როგორც აგრესიულ, ისე სტატუს-კვოს მომხრე სახელმწიფოებს. აგრესიული სახელმწიფოები ძალას გამოიყენებენ, რადგან ფიქრობენ, რომ სხვები მის დაბალანსებას, სავარაუდოდ, არ ეცდებიან და რომ ისინი უფრო მეტი მოკავშირის მოზიდვას შეძლებენ საომარი განწყობისა და კონფრონტაციული პოლიტიკის საშუალებით. სტატუს-კვოს შენარჩუნების მსურველი სახელმწიფოები ამ მაგალითს მიბაძავენ, რადგან შეეშინდებათ, რომ მათი ოპონენტები ძალისა და სიმტკიცის დემონსტრირებით მოგებულნი დარჩებიან.

დაბოლოს, მცდარი დასკვნები დაბალანსების ან მიტმასნებისკენ მიდრეკილების შესახებ შესაძლოა სახიფათო იყოს, რადგან პოლიტიკამ, რომელიც ერთი ვითარებისთვის გამოსადეგია, მეორე ტიპის სიტუაციაში შეიძლება სავალალო შედეგი გამოიღოს. თუ სახელმწიფო მოხელეები მიტმასნების სამყაროში დაბალანსების პოლიტიკას განახორციელებენ, მათი თავშეკავებული რეაქცია და საფრთხის მოდუნებული ხედვა მათ მიკავშირეებს განდგომისკენ უბიძგებს და საბოლოოდ ისინი მარტონი აღმოჩნდებიან უზარმაზარი კოალიციის წინაშე. და პირიქით, დაბალანსების სამყაროში მიტმასნებისთვის დამახასიათებელი ქმედებების განხორციელება (ძალისა და მუქარის ხშირი გამოყენება) დამბალანსებელი სახელმწიფოების სამყაროში სულ უფრო მზარდ და ენერგიულ წინააღმდეგობას გამოიწვევს სხვების მხრიდან.

ეს საკითხები მხოლოდ თეორიული როდია. 1930-იან წლებში საფრანგეთი ვერ მიხვდა, რომ მცირე ანტანტაში მისი მოკავშირეები მიტმასნებისკენ იხრებოდნენ და რომ ამ ტენდენციას ხელს უწყობდა საფრანგეთის სამხედრო ძალები და დიპლომატია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის მცდელობები, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთი და ნორვეგია დაეშინებინა, საპირისპირო შეცდომის მაგალითია, რადგან ამან აშშ-ს მხრიდან მხოლოდ ამ რეგიონისადმი ყურადღების ზრდა გამოიწვია და აღნიშნული ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანება უზრუნველყო. ამის მსგავსად, ვილჰელმის გერმანიისა და იმპერიული იაპონიის მილიტარიზმმა, მათი იზოლირება გამოიწვია. ეს მომდინარეობდა ორივე სახელმწიფოში გაბატონებული მოსაზრებიდან, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ტენდენცია მიტმასნება იყო.

როდის ირჩევენ სახელმწიფოები დაბალანსების პოლიტიკას და როდის - მიტმასნებისას?

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელ პოლიტიკას (დაბალანსებისა თუ მიტმასნების) აირჩევენ სახელმწიფოები უფრო დიდი ალბათობით და საფრთხის რა წყაროები ახდენს ყვალაზე დიდ გავლენას მათ გადაწყვეტილებებზე... ზოგადად, დაბალანსების შემთხვევები, წესით, ბევრად ხშირი უნდა იყოს, ვიდრე მიტმასნება და უნდა ვიფიქროთ, რომ მიტმასნება მხოლოდ კონკრეტულ პირობებში ხდება, რომელთა დადგენა შეუძლებელია.

მართალია, მრავალი პოლიტიკოსი შიშობს, რომ პოტენციური მოკავშირეები უმლიერეს მხარესთან გაერთიანდებიან, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია გვიჩვენებს, რომ ამ შიშს მყარი საფუძველი არ აქვს. მაგალითად, ოცდაათწლიანი ომის დროიდან დღემდე, ევროპაში ჰეგემონიის დამყარების ყველა მცდელობა ყოველთვის წარუმატებელი იყო თავდაცვითი კოალიციის ქმედებების გამო, რომელიც სწორედ პოტენციური ჰეგემონიის დამარცხების მიზნით იქმნებოდა. სხვა მაგალითები არანაკლებ მრავლის მეტყველია. მიუხედავად იმისა, რომ მიტმასნების ცალკეული შემთხვევები მართლაც ხდება, დიდ სახელმწიფოებს სრულიად აშკარად ახასიათებთ მიდრეკილება, რომ ცდუნებას არ აჰყვნენ და საჭიროების შემთხვევაში დაბალანსების პოლიტიკა განახორციელონ.

ეს ტენდენცია გასაკვირი არ უნდა იყოს. დაბალანსებას უპირეტესობა უნდა მიენიჭოს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც ერთმა სახელმწიფო მოღვაწემ არ შეიძლება დანამდვილებით იცოდეს, თუ რას გეგმავს მეორე [ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწე]. მიტმასნება სახიფათოა, რადგან შედეგად იზრდება აგრესიული ძალისთვის ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობა, ხოლო სხვა სახელმწიფოები იმის იმედად უნდა იყვნენ, რომ ის მომავალშიც შემწყნარებელი იქნება. რადგანაც აღქმები სანდო არ არის, ხოლო განზრახვები შეიძლება შეიცვალოს, პოტენციური

აგრესორის დაბალანსება უფრო უსაფრთხოა, ვიდრე იმის იმედად ყოფნა, რომ ეს სახელმწიფო მომავალშიც კეთილგანწყობილი იქნება.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მართალია, დაბალანსება უფრო მოსალოდნელია, მაგრამ ვერც მიტმასნების შესაძლებლობას გამოვრიცხავთ. სახელმწიფოთა შედარებით მიდრეკილებაზე - აირჩიონ მსგავსი პოლიტიკა, გავლენა რამდენიმე ფაქტორმა შეიძლება მოახდინოს.

ძლიერი და სუსტი სახელმწიფოები

ზოგადად, რაც უფრო სუსტია სახელმწიფო, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ის მიტმასნებას მიმართავს და არა დაბალანსებას. ასეთი ვითარება იმისგამო იქმნება, რომ სუსტი სახელმწიფოები თავდაცვით კოალიციებს ბევრს ვერაფერს მატებენ და იმავდროულად უფრო აგრესიულ სახელმწიფოთა რისხვის სამიზნედ იქცევიან. რადგან სუსტ სახელმწიფოებს შედეგებზე გავლენის მოხდენა არ ძალუძთ (და ამ პროცესში შეიძლება სერიოზულად დაზარალდნენ კიდევ), მათ მოგებულის მხარე უნდა დაიკავონ. უფრო სუსტ ალიანსში შესვლა მათთვის რაციონალური მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ შედეგზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამისგან განსხვავებით, ძლიერ სახელმწიფოებს უნარი შესწევთ, რომ წამგებიანი კოალიცია მომგებიანად აქციონ და რადგან გამარჯვება ან დამარცხება მათ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, დიდია ალბათობა, რომ საკუთარი წვლილისთვის სუსტი სახელმწიფოები უხვად დაჯილდოვდებიან.

ამასთან, სუსტი სახელმწიფოები, როგორც წესი, განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ახლომდებარე ძალის მიმართ. თუ დიდ სახელმწიფოებს აქვთ როგორც გლობალური ინტერესები, ისე გლობალური შესაძლებლობები, სუსტი სახელმწიფოები ძირითადად იმ მოვლენებზე ფიქრობენ, რომლებიც მათ უშუალო სიახლოვეს ხდება. მეტიც, სუსტი სახელმწიფოები ალბათ დაბალანსებას მიმართავენ, თუ აგრესიული სახელმწიფოს ძალა დაახლოებით მათივე ძალის ტოლფარდია, მაგრამ მიტმასნება მათთვის მიმზიდველი იქნება, როდესაც საფრთხე დიდი სახელმწიფოს მხრიდან ემუქრებათ. რა თქმა უნდა, როდესაც დიდ სახელმწიფოს სწრაფად და ეფექტურად მოქმედება შეუძლია (ანუ როდესაც მისი თავდასხმითი შესაძლებლობები განსაკუთრებით დიდია), ეს ცდუნება კიდევ უფრო ძლიერი იქნება.

მოკავშირეების არსებობა

მიტმასნება სახელმწიფოებისთვის იმ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს მიმზიდველი, თუ მოკავშირე უბრალოდ არ არსებობს. თუმცა, სახელმწიფოებს დაბალანსება საკუთარი რესურსების მობილიზების გზითაც შეუძლიათ, ნაცვლად

მოკავშირეთა მხარდაჭერაზე დაყრდნობაზე. დაბალანსებას ისინი უფრო მაშინ მიმართავენ, თუ დარწმუნებული იქნებიან, მოკავშირეების დახმარების ხელმისაწვდომობაში. ამგვარად, დაბალანსების პოლიტიკის კიდევ ერთი წინაპირობა დიპლომატიური კომუნიკაციის ეფექტიანი სისტემაა. კომუნიკაციის უნარი პოტენციურ მოკავშირეებს საერთო ინტერესების იდენტიფიცირებისა და რეაგირების კოორდინირების საშუალებას აძლევს. თუმცა, თუ სუსტი სახელმწიფოები გარეშე ძალებისგან დახმარების მიღების პერსპექტივას ვერ ხედავენ, ისინი შეიძლება იძულებულნი გახდნენ, რომ ყველაზე უფრო რეალური საფრთხიდან გამომდინარე იმოქმედონ. ასე, მაგალითად, ირანის შაჰმა 1881 წელს ყანდაარიდან ბრიტანეთის ძალების გასვლა აღიქვა, როგორც რუსეთთან მიტმასნების აუცილებლობის ნიშანი. როგორც მან ბრიტანეთის წარმომადგენელს უთხრა, ბრიტანეთისგან მას არაფერი მიუღია, გარდა „კარგი რჩევებისა და ტკბილი სიტყვებისა.“²³⁷ ფინეთის პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირთან ნაწილობრივ ალიანსს გულისხმობდა, მსგავსი გამოცდილების მაგალითია. როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს ფინეთმა ნაცისტური გერმანიის მხარე დაიკავა, მან ის პოტენციური მოკავშირეები (აშშ და დიდი ბრიტანეთი) დაკარგა, რომლებიც, სხვა შემთხვევაში შესაძლოა, ომის შემდეგ საბჭოთა ზეწოლასთან გამკლავებაში დახმარებოდნენ.

რა თქმა უნდა, მოკავშირეთა დახმარების გადაჭარბებული რწმენა სუსტ სახელმწიფოებს „პარაზიტობისკენ“ უბიძგებს, რაც გულისხმობს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ისინი სხვების ძალისხმევის იმედად არიან. „პარაზიტობა“ სუსტი სახელმწიფოსთვის ოპტიმალური პოლიტიკაა, რადგან მისი წვლილი ნებისმიერ შემთხვევაში უმნიშვნელო იქნება. რაც შეეხება დიდ სახელმწიფოებს, აქაც ხშირია პასუხისმგებლობის სხვაზე დაკისრების მცდელობა. ისინი ფიქრობენ, რომ მოკავშირეების პოვნა იოლია. საფრთხის წინაშე სახელმწიფოები ცდილობენ, რომ აგრესორისთვის წინააღმდეგობის გაწევის ტვირთი სხვებს დააკისრონ. არც ერთი ეს ქმედება არ არის მიტმასნების ფორმა, მაგრამ ორივე იმაზე მეტყველებს, რომ ეფექტიანი დაბალანსების პოლიტიკის ალბათობა უფრო დიდია მაშინ, როდესაც ალიანსის წევრები მხოლოდ პარტნიორების უპირობო ერთგულების იმედად არიან.

ერთად აღებული ეს ფაქტორები იმის ახსნაში გვეხმარება, თუ რატომ წარმოიქმნება დიდი სახელმწიფოების გარშემო გავლენის სფეროები. მართალია, ძლიერი სახელმწიფოების ძლიერი მეზობლები დიდი ალბათობით დაბალანსებას მიმართავენ, მაგრამ დიდი სახელმწიფოების პატარა და სუსტი მეზობლები უფრო ხშირად მიტმასნებას ანიჭებან უპირატესობას. იმის გამო, რომ ისინი ექპანსიის

²³⁷ ციტირებულია ნაშრომში: C. J. Lowe, *The Reluctant Imperialists* (New York, 1967), გვ. 85.

პირველი მსხვერპლი შეიძლება გახდნენ, რომ მათ დამოუკიდებლად მოქმედების საკმარისი ძალა არ აქვთ და თავდაცვითი ალიანსი შეიძლება ძალიან ნელა მოქმედებს საამისოდ, რომ მათი დახმარება შეძლოს, აგრესიულ და დიდ სახელმწიფოსთან მორიგება მათთვის შესაძლოა უფრო მიმზიდველი იყოს.

მშვიდობა და ომი

დაბოლოს, დაბალანსების ან მიტმასნების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავლენას ის კონტექსტი ახდენს, რომელშიც ასეთი არჩევანი კეთდება. სახელმწიფოები უფრო დიდი ალბათობით ირჩევენ დაბალანსებას მშვიდობიან დროს ან ომის საწყის ეტაპზე, როდესაც ისინი იმ სახელმწიფოს შეკავებას ან დამარცხებას ცდილობენ, რომელთაგან ყველაზე დიდი საფრთხე მომდინარეობს. თუმცა, როგორც კი ომის შედეგი ცხადი ხდება, ზოგიერთ სახელმწიფოს სურვილი უჩნდება, რომ დრო იხელთოს და დამარცხებული მხარე მიატოვოს. მაგალითად, როცა მეორე მსოფლიო ომის სასწორი ევროპაში ან ერთ, ან მეორე მხარეს იხრებოდა, რუმინეთი და ბულგარეთი ჯერ ნაცისტური გერმანიის მოკავშირეები იყვნენ, ხოლო შემდეგ გერმანია მიატოვეს და მოკავშირეების მხარე დაიკავეს.

თუმცა მშვიდობის დამყარების შემდეგ დაბალანსების სტიმულიც აღდგება ხოლმე. გამარჯვებული კოალიციები ხშირად იშლება ომის დასრულების შემდეგ. ცნობილ მაგალითებს შორისაა ავსტრია და პრუსია დანიასთან 1864 წლის ომის შემდეგ, ბრიტანეთი და საფრანგეთი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირი და აშშ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ჩინეთი და ვიეტნამი აშშ-ს ჯარების ვიეტნამიდან გასვლის შემდეგ. ამგვარი ტენდენცია კიდევ უფრო ამყარებს ვარაუდს, რომ დაბალანსება საერთაშორისო პოლიტიკაში გაბატონებული ტენდენციაა, ხოლო მიტმასნება-ოპორტუნისტული გამონაკლისი.

დაბალანსებისა და მიტმასნების შესახებ ჰიპოტეზების მოკლე შინაარსი

ჰიპოტეზები დაბალანსების შესახებ

1. ზოგადი ფორმა :თავდასხმითი ძალას წინაშე მდგომი სახელმწიფოები კავშირებს ქმნიან სხვა სახელმწიფოებთან იმ სახელმწიფოებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ.
2. რაც უფრო დიდია აგრესიული სახელმწიფოს ჯამური ძალა, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ სხვა სახელმწიფოები მის წინააღმდეგ ალიანსს შექმნიან.

3. რაც უფრო ახლოს არის ძლიერი სახელმწიფო, მისი მეზობლები მით უფრო ხშირად ერთიანდებიან მის წინააღმდეგ. შესაბამისად, უმუშალო მეზობელი სახელმწიფოები უფრო იშვიათად ხდებიან ერთმანეთის მოკავშირეები, ვიდრე ის სახელმწიფოები, რომელთა შორის ერთი ძლიერი სახელმწიფო მაინც მდებარეობს.
4. რაც უფრო დიდია სახელმწიფოს თავდასხმითი ძალა, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ სხვები მის წინააღმდეგ გაერთიანდებიან. შესაბამისად, სახელმწიფოები, რომლებსაც თავდასხმაზე ორიენტირებული სამხედრო შესაძლებლობები აქვთ, სხვა სახელმწიფოებს უბიძგებენ, რომ მათ წინააღმდეგ თავდაცვითი კოალიციები შექმნან.
5. რაც უფრო აგრესიულია სახელმწიფოს განზრახვები სხვა სახელმწიფოთა აზრით, მით უფრო დიდი ალბათობით გაერთიანდებიან ეს უკანასკნელნი მის წინააღმდეგ.
6. ომის დროს შექმნილი ალიანსები მტრის დამარცხების შემდეგ იშლება.

ჰიპოთეზები მოტმასნების შესახებ

მიტმასნების შესახებ ჰიპოთეზები დაბალანსების შესახებ ჰიპოთეზების საპირისპიროა

1. ზოგადი ფორმა: გარე საფრთხის წინაშე მდგომი სახელმწიფოები ალიანსში იმ სახელმწიფოსთან შედიან, რომლისგანაც ყველაზე დიდი საფრთხე მომდინარეობს.
2. რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ჯამური ძალა, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ სხვა სახელმწიფოები მისი მოკავშირეები გახდებიან.
3. რაც უფრო ახლოს მდებარეობს ძლიერი სახელმწიფო, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ მეზობლები მასთან ალიანსში შევლენ.
4. რაც უფრო დიდია სახელმწიფოს თავდასხმითი ძალა, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ სხვა სახელმწიფოები მისი მოკავშირეები გახდებიან.
5. რაც უფრო აგრესიულია სახელმწიფოს განზრახვები სხვა სახელმწიფოთა აზრით, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ეს უკანასკნელნი მის წინააღმდეგ გაერთიანდებიან.
6. საფრთხის წინააღმდეგ შექმნილი ალიანსები იშლება, როდესაც ეს საფრთხე სერიოზული ხდება.

ჰიპოთეზები დაბალანსებისა თუ მიტმასნებისთვის ხელშემწყობი პირობების შესახებ

1. დაბალანსება მიტმასნებაზე უფრო ხშირია.

2. რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო, მით უფრო დიდია მისი მიდრეკილება დაბალანსებისკენ. სუსტი სახელმწიფოები სხვა სუსტი სახელმწიფოების წინააღმდეგ ფაბლანსებას მიმართავენ, მაგრამ დიდი სახელმწიფოებისგან მომდინარე საფრთხის წინაშე შეიძლება მიტმასნება აირჩიონ.

3. რაც უფრო დიდია მოკავშირეებისგან მხარდაჭერის მიღების ალბათობა, მით უფრო ძლიერია მიდრეკილება დაბალანსებისკენ. თუმცა, როდესაც მოკავშირეების მხრიდან სათანადო მხარდაჭერა გარანტირებულია, იზრდება „პარაზიტობისკენ“ ან პასუხისმგებლობის სხვებზე დაკისრებისკენ მიდრეკილება.

4. რაც უფრო შეუქცევადად აგრესიულია სახელმწიფო სხვების აზრით, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ სხვები მის წინააღმდეგ კავშირს შექმნიან.

5. ომის დროს რაც უფრო ახლოსაა ერთი მხარე გამარჯვებასთან, მით უფრო მეტად იზიდავს სხვებს მასთან მიტმასნება.

6. იზიდავს სხვებს მასთან მიტმასნება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში დაბალანსება არის დომინანტური ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს ძალთა ბალანსის შენარჩუნებას და გლობალური სტაბილურობის განმტკიცებას.

მიტმასნება კი უფრო იშვიათი და რისკიანი სტრატეგიაა — იგი სუსტ სახელმწიფოებს დროებით სარგებელს აძლევს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მათ სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის.

საქართველოსთვის, როგორც მცირე სახელმწიფოსთვის, უსაფრთხოების ეფექტური უზრუნველყოფა მოითხოვს დაბალანსების პრინციპზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას, რაც გულისხმობს პარტნიორობების განვითარებას დასავლურ უსაფრთხოების სტრუქტურებთან, ნაცვლად იმისა, რომ ძალზე ძლიერი მეზობლის გავლენაზე იყოს დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. W. Churchill, The Second world war, vol 1. The gathering storm (Boston, 1948), pp. 207-8.
2. W. Scot Thompson, „The Communist International System, “ Orbis 20, no.4 (1977).
3. ციტირებულია ნაშრომში: Seyom Brown, The Faces of Power: Constancy and Change in United States Foreign Policy from Truman to Johnson (New York, 1968), pp. 217.
4. ციტირებულია ნაშრომში: U.S. House Committee on Foreign Affairs, The Soviet Union and The Third World: Watershed in Great Power Policy? 97th Cong., 1st sess., 1977, pp. 157-58.
5. ციტირებულია ნაშრომში: C. J. Lowe, The Reluctant Imperialists (New York, 1967), pp. 85.

საქართველოს მონაწილეობა შუა დერეფნის პროექტში: უსაფრთხოების
განზომილება და სადაზვერვო-ჰიბრიდული რისკი

თამარ კიკნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,

tamara_kiknadze@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-1071-6490>

დავით კუხალაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

davit.kukhalashvili2390@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0006-8249-296X>

DOI: [10.52340/splogos.2025.03.21](https://doi.org/10.52340/splogos.2025.03.21)

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება შუა დერეფნის (Middle Corridor/Trans-Caspian International Transport Route) პროექტში საქართველოს მონაწილეობის უსაფრთხოებით განზომილებას. ნაშრომი ანალიზებს პროექტის მიერ გენერირებულ სარგებელს, მრავალ საფრთხესა და გამოწვევას ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში. კვლევა დაფუძნებულია ჩატარებულ თვისებრივ ემპირიულ მონაცემებზე: ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ მაღალი რანგის ექსპერტები.

შედეგები აჩვენებს, რომ შუა დერეფანი აძლიერებს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებას დივერსიფიკაციისა და დასავლური ინტეგრაციის გზით, თუმცა, იწვევს ზოგიერთი ქვეყნის სადაზვერვო და ჰიბრიდულ ინტერესს, რაც ზრდის დესტაბილიზაციის რისკს. გამოვლენილია ძირითადი გამოწვევები: კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, სადაზვერვო კონტრზომები და პოლიტიკურ-ეკონომიკური ბალანსი.

საკვანძო სიტყვები: შუა დერეფანი, სადაზვერვო ინტერესი, პოლიტიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, დესტაბილიზაცია

Georgia's Participation in the Middle Corridor Project: Security Dimensions and Intelligence-Hybrid Risks

Tamar Kiknadze

Professor of Georgian Technical University

tamara_kiknadze@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-1071-6490>

David Kukhalashvili

Associate Professor of Caucasus International University

kukhalashvili2390@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0006-8249-296X>

Abstract

The article is devoted to the security dimension of Georgia's participation in the Middle Corridor (Trans-Caspian International Transport Route) project. It analyses the benefits, risks, and challenges generated by the project in the context of national security policy. The study is based on qualitative empirical data collected through the analysis of semi-structured in-depth interviews conducted with high-level experts in military intelligence, diplomacy, economic security, and transport policy. The findings demonstrate that the Middle Corridor significantly strengthens Georgia's economic and political security through route diversification and deeper Western integration. At the same time, it attracts intelligence and hybrid interest from certain states, thereby increasing the risks of destabilization. Key challenges identified include the protection of critical infrastructure, counter-intelligence measures, and the maintenance of politico-economic balance in a complex geopolitical environment.

Keywords: Middle Corridor, intelligence interest, political security, economic security, destabilization

შესავალი

პოსტსაბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე უცხო ქვეყნების ინტერესების გადაკვეთის სიბრტყეში აღმოჩნდა. შესაბამისად, უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების გადაკვეთის შედეგებს განეკუთვნება,

საქართველოში განხორციელებული ისეთი ქმედებები, როგორცაა: სეპარატიზმის გაღვივებით (გასული საუკუნის 90-იან წლებში) ტერიტორიული მთლიანობის რღვევა,²³⁸ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა,²³⁹ საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერორისტული აქტები (1995 და 1998 წლებში),²⁴⁰⁻²⁴¹ ფერადი („ვარდების“) რევოლუცია (2003 წელი),²⁴² 2020 წლიდან დღემდე საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაციის სისტემატური მცდელობები, რომელთა მიზანს, საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა წარმოადგენდა.^{243 – 244_ 245_246_247}

თანამედროვე ეტაპზე განვითარებული მოვლენები ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. ღია წყაროებში არსებული ინფორმაციების ანალიზი აჩვენებს, რომ ამ მოვლენებში მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების გადაკვეთა, რომლის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, საქართველოს ტერიტორიის შუა დერეფნის პროექტში მონაწილეობა წარმოადგენს. აღწვნილ პროექტში საქართველოს მონაწილეობას აქვს სახელმწიფოსათვის ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე დადებითი ზემოქმედების შესაძლებლობა. შესაბამისად, ინტერესების გადაკვეთა უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობების დამაზიანებელი შედეგების მაინსპირირებელია. მისი ნეიტრალიზაცია კი სამიზნე ქვეყნის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებების კოორდინირებული საქმიანობის გარეშე წარმოუდგენელია.

საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს სტაბილური ეკონომიკური ვითარების შექმნა-შენარჩუნება

²³⁸ Ibragim Chkadua, History of the Georgian-Abkhaz conflict, Conciliation Resources, <https://www.c-r.org/programme/caucasus/georgian-abkhaz-conflict-focus>.

²³⁹ POLITICAL LEGITIMACY DI IM – POST-GAMSAKHURDIA GEORGIA: THE CRISIS OF LEGITIMACY, FOIA Collection, April 13, 1992, <https://www.cia.gov/readingroom/document/0005403091>.

²⁴⁰ Eurasia Overview, Patterns of Global Terrorism: 1998, https://irp.fas.org/threat/terror_98/eurasia.htm.

²⁴¹ ASSASSINATION ATTEMPT ON SHEVARDNADZE, Monitor Volume: 4 Issue: 27, <https://jamestown.org/program/assassination-attempt-on-shevardnadze>.

²⁴² Georgia Hovers on the Brink of Violence, Nov 22, 2003, <https://shorturl.at/5k1JS>.

²⁴³ Georgia's Security Service Investigates „Coup Attempt“, Civil.ge, 07/11/2020, <https://civil.ge/archives/381063>.

²⁴⁴ The Report of the State Security Service of Georgia, 2022, 53 pg., <https://shorturl.at/07Y72>.

²⁴⁵ The Report of the State Security Service of Georgia, 2021, 53 pg., <https://shorturl.at/5cTqc>.

²⁴⁶ Georgia probes alleged plot to overthrow government, 24 Jul 2024, AL JAZEERA , <https://shorturl.at/mvci8>.

²⁴⁷ The State Security Service introducing the activity report for 2023 to the Committees, Media and Society 12 Jun 2024, <https://shorturl.at/Gqbr8>.

წარმოადგენს. მასზეა დამოკიდებული ქვეყნის, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

აშშ-თან დეკლარირებული მრავალწლიანი სტრატეგიული პარტნიორობა 2024 წელს დასრულდა, რის შესახებაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა, მეთიუ მილერმა შესაბამისი განცხადება გააკეთა.²⁴⁸ შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება იძულებულია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისათვის მებრძოლ სახელმწიფოთა შორის მოიძიოს სტრატეგიულად პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც თანამშრომლობა ეროვნულ ინტერესებს არ დააზიანებს. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოს ჩინეთი წარმოადგენს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ქვეყნის მიერ ინიცირებული გლობალური ინიციატივის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ფარგლებში „შუა დერეფნის“ პროექტი საქართველოსათვის, როგორც მასში მონაწილე სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.²⁴⁹ ამ პროექტის სრულფასოვან ამოქმედებას, მათ შორის დამხმარე ინდუსტრიების განვითარების თვალსაზრისით, დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს ეკონომიკაზე.

უნდა ავღნიშნოთ, რომ აშშ-სათვის მიუღებელია ჩინეთის მიერ გლობალური პროექტების განხორციელება და მას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე საფრთხედ აღიქვამს.²⁵⁰ ამიტომ ამ ფაქტმა შესაძლებელია დააზიანოს საქართველოს ეროვნული ინტერესები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს შუა დერეფნის როლი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, რომლისათვის აუცილებელია მოსალოდნელი გამოწვევების იდენტიფიცირება.

ემპირიული კვლევისთვის ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა ექსპერტთა ჯგუფი ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუს განსახორციელებლად. **კვლევის მიზანია** გაანალიზდეს შუა დერეფნის როლი საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და იდენტიფიცირებული იქნას მოსალოდნელი გამოწვევები. **კვლევაში მონაწილეობა მიიღეს:**

²⁴⁸ აშშ-მა საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა შეაჩერა, გაზეთი ტაბულა, 30 ნოემბერი, 2024, <https://shorturl.at/Xc4GZ>

²⁴⁹ Wang Qi, Europe: How Middle Corridor redefines Global Trade routes 14 March 2024 <https://en.azvision.az/news/177736/from-china-to-europe-%C2%A0how-middle-corridor-redefines-global-trade-routes.html>

²⁵⁰ Emil Avdaliani, The US Wants Chinese, Russians Kept Out of Anaklia, 13 June 2019, <http://gtarchive.georgiatoday.ge/news/16008/The-US-Wants-Chinese,-Russians-Kept-Out-of-Anaklia>.

1. თენგიზ ენდელაძე – ისტორიის დოქტორი, სახელმწიფო და კორპორაციული უსაფრთხოების სპეციალისტ-ანალიტიკოსი, სახელმწიფო უშიშროების აკადემიის ყოფილი რექტორი, თადარიგის გენერალ-მაიორი;

2. ირაკლი გოგავამ – პოლიტიკის დოქტორი, ექსპერტ-ანალიტიკოსი;

3. იოსებ მანჯავიძე – პოლიტიკის დოქტორი, ექსპერტ-ანალიტიკოსი;

4. ივლიანე ძნელაძე – პოლიტიკის დოქტორი, დიპლომატი.

საკვლევი კითხვები:

1. რით არის განპირობებული საქართველოს მონაწილეობა ამ პროექტში?

2. რა უნდა გააკეთოს საქართველომ იმისთვის რომ უზრუნველყოს ამ პროექტში მონაწილეობა ?

3. როგორ აისახება საქართველოს უსაფრთხოებაზე აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა ?

4. ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული, რომ საქართველომ ამ პროექტში არ მიიღოს მონაწილეობა და რა მექანიზმებით შეიძლება ხელის შეშლა ?

5. როგორ შეიძლება აიცილოს საქართველომ თავიდან მოსალოდნელი საფრთხეები და უზრუნველყოფილ იქნას პროექტში მონაწილეობა ?

ექსპერტი თენგიზ ენდელაძე პირველ შეკითხვაზე პასუხობს, რომ საქართველოს მონაწილეობა ამ პროექტში განპირობებულია პროექტში მონაწილე ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაფართოება/გამყარების, ეკონომიკის განვითარებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის პერსპექტივით. **ამავე კითხვაზე ექსპერტი ირაკლი გოგავამ მიიჩნევს, რომ** საქართველოს აქვს გასასვლელი შავ ზღვაზე ანუ მსოფლიო ოკეანეზე, რაც მის გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. საქართველოზე გავლით ევროპისკენ გასასვლელი საინტერესოა შემდეგი ქვეყნებისთვის: ჩინეთი, მონღოლეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ავღანეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი. ხსენებული 13 ქვეყნიდან 9-ს ზღვაზე წვდომა საერთოდ არ აქვს. ტვირთების გადაზიდვის სახმელეთო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა გაცილებით მოკლე დროში ახალი სავაჭრო მაგისტრალების მშენებლობა რენტაბელური იყოს და საზღვაო გადაზიდვების მსოფლიო ვაჭრობის კონიუქტურულ მონოპოლიას კონკურენცია გაუწიოს. სატრანზიტო ქვეყნები ტვირთის გატარებაში შემოსავალს იღებენ. უშუალოდ ტვირთების გატარება გულისხმობს ავტომაგისტრალების, რკინიგზის, პორტების, ავიაციისა

და აეროპორტების განვითარებას. ამავე დროს ვითარდება ისეთი მომიჯნავე სფეროები, როგორიცაა ლოგისტიკა, სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობა, შეფუთვის ბიზნესი, მუყაოს წარმოება, ავტოტრანსპორტი, სავაჭრო ფლოტი, დაზღვევის სფერო, ჰორეკას სექტორი, საფინანსო მომსახურება, ტრანსპორტის რემონტი, ავტონაწილებით ვაჭრობა, ჯანდაცვა, ციფრული კომუნიკაციები, საწვავითა და სურსათით საცალო ვაჭრობა და სხვ. დიდი საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალის ანაკლიის პორტთან დაკავშირება ბათუმისა და ფოთის პორტებზე სხვადასხვა მიმართულებით სახმელეთო გადაზიდვებზე სინერგიულ ეფექტს იქონიებს. ანაკლიის პროექტის საპროექტო სიმძალვრეზე ანუ 100 მლნ ტონაზე მეტის გასვლის შემთხვევაში, პირდაპირ და მომიჯნავე სფეროებში შეიქმნება 100,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი. ქვეყანის მიერ მიღებული კონსოლიდირებული ფისკალური ეფექტი შესაძლოა ყოველწლიურად \$5 მლრდ დოლარი იყოს, რაც ეკონომიკის (2023 წ. მონაცემით) 16,7%-ს შეადგენს. გარდა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტისა, ყველა ის ქვეყანა, ვისი ტვირთიც ამ მარშრუტზე იმოძრაავს, დაინტერესებული იქნება საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებით, რაც ქვეყნის უსაფრთხოების რისკს ამცირებს.

ექსპერტი იოსებ მანჯავიძე მიიჩნევს, საქართველოს მონაწილეობა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტში განპირობებულია მისი სტრატეგიული ინტერესებით. ამ პორტის აშენების შემდეგ საქართველო გადაიქცევა ევრაზიული სატრანზიტო პროექტების უმნიშვნელოვანეს რგოლად, რაც მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას უაღრესად გააუმჯობესებს.

დიპლომატი ივლიანე ძნელაძე პასუხობს, რომ საქართველოს „შუა დერეფნის/ტრანს-კასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის“ (TITR) პროექტში მონაწილეობა პასუხობს მსოფლიოში ინტეგრაციული პროცესების შემდგომი გაღრმავების მოთხოვნა/საჭიროებას. ამ კანონზომიერების შეუქცევადობას ადასტურებს ბოლო ათწლეულში გამოკვეთილი გეოპოლიტიკური ხასიათის მოვლენები (არასრული ჩამონათვალი): 1. საერთაშორისო პოლიტიკაში ჩინეთის აღმასვლა და მისი პოზიციების გამყარება, რისი ერთ-ერთი განსახიერებაა ისტორიული მეგაპროექტის – „სარტყელი და გზის“ გაცოცხლება; 2. რუსეთ-უკრაინის ომი (2022), რამაც გამოიწვია „ჩრდილოეთის დერეფნის“, შავი ზღვისა და დაკავშირებადობის სხვა ალტერნატიულ გზებზე ძირითადი ტვირთების ნაკადების მნიშვნელოვანი შეფერხება (აქამდე, თუ საქართველო მხოლოდ ევრაზიის დაკავშირების ვიწრო და ლოკალური „ხიდის“ ფუნქციას ასრულებდა, ომის პირობებში, საქართველოს „შუა დერეფნად“ ფორმირების პოტენციალი გაიზარდა); 3. დასავლეთის მხრიდან ჩინეთის, როგორც სისტემურ მეტოქედ გამოცხადება, მხარეებს შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების მიუხედავად. „შუა დერეფნის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობა განპირობებულია როგორც ქვეყნის შიდა, ისე

საგარეო ფაქტორებით. შიდა დონის გათვალისწინებით, პანდემიის შედეგად დაზარალებული მსოფლიო ეკონომიკური რყევების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა განვითარების ჩქარ ტემპებს აჩვენებს (ბოლო ორ წელიწადში ეკონომიკის თითქმის ორნიშნა ზრდა დაფიქსირდა). საკუთრივ სახელმწიფო ინსტიტუციების მდგრადობის კუთხით, საქართველომ შესამჩნევი პროგრესი განიცადა, რასაც საერთაშორისო სტატისტიკაში ქვეყნის მიერ წამყვანი პოზიციების დაკავება ცხადყოფს. ამ კონტექსტში აღსანიშნავია აგრეთვე სახელმწიფო უწყებებში გამოვლენილი გამოწვევებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი, რომელიც 2022 წელს დასდასტურდა, უწყებების მხრიდან ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის თვითშეფასების კითხვარის უპრეცედენტოდ მცირე დროში შევსებითაც. გლობალური დაკავშირებადობის პროცესებში აქტიური ჩართულობის მიზნით, საქართველოს მიერ სტრატეგიული ნაბიჯები გადაიდგა. მაგალითად, უკვე რამდენიმე წელია, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოქმედებს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA). 2023 წელს საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა გახდა, რაც გაერთიანების დაკავშირებადობის პროექტებში ჩართულობის დამატებით და მყარ საფუძველს ქმნის. ამ ეტაპზე გრძელდება მუშაობა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის გაყვანის მიმართულებით, რომელიც ერთმანეთთან საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს დააკავშირებს. ამასთან, „შუა დერეფნის“ პროექტის წარმატებისთვის, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო და ევროკავშირის წევრი ქვეყნები სავაჭრო გზებით ერთმანეთთან სწორედ შავი ზღვით არიან დაკავშირებულნი. ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს მონაწილეობას ხელს უწყობს ქვეყნის ჩართულობა „ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის“ (TEN-T) საინვესტიციო გეგმაში, რომლის მიზანია ეროვნული და რეგიონული სატრანსპორტო ქსელების ურთიერთკავშირების დივერსიფიცირება. საქართველოში აგრეთვე მოქმედებენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ე. წ. საფლაგმანო ინიციატივები. ინტეგრაციულ პროცესებში დასავლეთთან სტრატეგიული ჩართულობის გარდა, ხაზგასასმელია, რომ საქართველოს აქვს სტრატეგიული პარტნიორობა თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანსა და ჩინეთთან, რაც „შუა დერეფნის“ პროექტში მონაწილეობისთვის მეტად ღირებული აქტივია და შესაძლებლობათა ფართო სპექტრს მოიცავს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველო-ჩინეთს შორის გაძლიერებული თანამშრომლობა. სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმებამდე, მხარეებმა თავისაფული ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. საქართველო და ჩინეთი „სარტყელი და გზის“ და სხვა ინიციატივების ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობენ. რაც შეეხება „შუა დერეფნის“ პროექტში ჩართულობის მრავალმხრივ კომპონენტს, დერეფნის შემდგომი განვითარების ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს საქართველოს, აზერბაიჯანს, თურქეთსა და

ყაზახეთს შორის „ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ „შუა დერეფნის“ შესახებ ოთხმხრივი დეკლარაცია.

მეორე კითხვასთან დაკავშირებით, ექსპერტი თენგიზ ენდელაძე პასუხობს, რომ პროექტში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის საქართველომ პირველ რიგში უნდა მიაღწიოს პოლიტიკურ სტაბილურობას, მოაწესრიგოს და სათანადო დონეზე აიყვანოს საგზაო, სატერმინალო, სასაწყობო (დახურული და ღია) ინფრასტრუქტურა, დააჩქაროს რკინიგზის მოდერნიზაცია, დააჩქაროს და განავითაროს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა/განვითარება, აღჭურვოს ის უახლესი ტექნოლოგიებითა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მოწყობილობებით.

ამავე კითხვაზე ექსპერტი ირაკლი გოგავა მიიჩნევს რომ, საჭიროა დიპლომატიური და ბიზნესწრეების აქტივობა ყველა იმ ქვეყანასთან და მხარესთან, რომელიც შესაძლებელია დაინტერესებული იყოს ანაკლიის პორტის პროექტის კონკრეტულად და გლობალურად „შუა დერეფნის“, „ახალი აბრეშუმის გზის“, „ერთი გზა – ერთი სარტყლის“, „ინდოეთი-საქართველოს“ განვითარებით. აღსანიშნავია, რომ ანაკლიის პორტის საპროექტო მოცულობის სრული და რეგულარული დატვირთვა მხოლოდ ჩინეთს შეუძლია, თუმცა, ყაზახეთის და შუა აზიის სახელმწიფოების ტვირთებიც უნდა მოიზიდოს. ცალკე საკითხია ინდოეთი-ირანი-სომხეთი-საქართველოს სავაჭრო მაგისტრალის კონცეფცია, რომელსაც ინდოეთი ლობირებს. ირანში, ქალაქ ჩაბაჰარში უკვე ამ მიზნით შენდება პორტი. საქართველოს მხრიდან მნიშვნელოვანი იქნება სავაჭრო მაგისტრალეებში მონაწილე ქვეყნებთან ე. წ. „გამჭოლი ტარიფების“ შეთანხმება და საკუთარ ტერიტორიაზე საპორტო, სარკინიგზო თუ სხვა მომსახურებისთვის მიმზიდველი ტარიფების შეთავაზება. ასევე საჭიროა პროექტის პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან შესაძლო კომპრომისების ძიება მათი კომპანიების ბიზნესჯაჭვში ინტეგრირების გზით.

ექსპერტი იოსებ მანჯავიძე კი პირველი კითხვის ირგვლივ პასუხობს, რომ საქართველოს სახელმწიფომ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართოს პროექტის განხორციელებისათვის ხელის შესაწყობად, რაც მოიცავს კომპლექსურ ღონისძიებებს, როგორცაა-შესაბამისი ინფრასტრუქტურის მიყვანა მომავალ პორტთან, სატრანსპორტო ტარიფების ჰარმონიზაცია, რკინიგზის მოდერნიზაცია, კვალიფიციური მუშახელის მომზადება და სხვა. **ამავე საკითხზე ექსპერტი ივლიანე ძნელაძე მიაჩნევს, რომ** „შუა დერეფნის“ პროექტში სრულფასოვანი მონაწილეობით, საქართველო ვალდებული გახდება უზრუნველყოს ევროპა-აზიის სავაჭრო ნაკადების შეუფერხებლად გადაადგილება, რაც, თავის მხრივ, დიდ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს და მიაჩნდება სახელმწიფოს ამბიციას, საკუთარი განვითარების ორიენტირად (რესურსად) განსაზღვროს გლობალურ დონეზე ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა. აქედან გამომდინარე,

მოსამზადებელ ეტაპზე მიზანშეწონილია სახელმწიფო კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს „შუა დერეფნის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ და ეკოლოგიურ მახასიათებლებს. სამთავრობო დოკუმენტის შექმნამდე, გზამკვლევის სახით, შესაძლოა საქართველოს მთავრობის უახლესი პროგრამის – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ – გამოყენება, ვინაიდან მასში წარმოდგენილია ხედვები საქართველოს როლის ზრდის შესახებ ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანზიტო და ენერგეტიკული მარშრუტების განვითარების მიმართულებით. „შუა დერეფნის“ პროექტში მონაწილეობა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია საქართველოს შიდა პოლიტიკურ სტაბილურობასთან, რაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ქვეყანისთვის დიდ გამოწვევად იქცა. ამ მოცემულობის გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება სამთავრობო დოკუმენტის სამოქმედო გეგმის მომზადებისას, რადგან უნდა ჩამოყალიბდეს ღონისძიებათა სისტემა, რის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ქვეყნის შიდა სტაბილურობის უზრუნველყოფის პოლიტიკური და საკანონმდებლო ინიციატივები.

მესამე კითხვაზე ექსპერტი თენგიზ ენდელაძე მიიჩნევს, რომ: იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროექტი კონკურენციაში მოდის სხვა სატრანსპორტო პროექტთან/პროექტებთან, ის საქართველოსთვის მადესტაბილიზებელ ახალ რისკებს/საფრთხეებს ბადებს.

ამავე კითხვაზე ექსპერტი ირაკლი გოგავა პასუხობს, რომ: ანაკლიის პროექტი საქართველოსთვის უსაფრთხოების დონეს, ერთი მხრივ, ამაღლებს, რადგან ბევრი ქვეყანა დაინტერესებული იქნება სტაბილური სავაჭრო მაგისტრალით. მეორე მხრივ, ანაკლიის პორტი მიუღებელია იმ ქვეყნებისთვის, ვინც აკონტროლებს საოკეანო გადაზიდვების სექტორს. ეს კი წარმოშობს არაერთ რისკს, განსაკუთრებით მოსამზადებელ ეტაპზე. რისკების დაზღვევის უპირატეს ფორმად პროექტის მოწინააღმდეგეების ბიზნესჯაჭვში რაიმე ფორმით ინტეგრირება შეიძლება იყოს განხილული.

ექსპერტი იოსებ მანჯავიძე მესამე შეკითხვაზე პასუხობს, რომ აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის შედეგები დამოკიდებულია გეოპოლიტიკურ აქტორთა დამოკიდებულებაზე ამ პროექტის მიმართ. ჩინეთი, შუა აზიის ქვეყნები, ინდოეთი, ირანი და აზერბაიჯანი დაინტერესებულები არიან ამ პროექტის განხორციელებით, რასაც ვერ ვიტყვით ბრიტანეთზე და შეერთებულ შტატებზე.

ექსპერტი ივლიანე ძნელაძე მიიჩნევს, რომ „შუა დერეფნის“ პროექტში ჩართულობას, დიდი ალბათობით, საქართველოს უსაფრთხოებაზე მრავალკომპონენტიანი გავლენა ექნება: ერთი მხრივ, ქვეყნის უსაფრთხოება გაძლიერდება, მეორე მხრივ, შეიძლება დამატებითი საგარეო რისკი წარმოიქმნას. გეოპოლიტიკის საბაზისო წესების ლოგიკიდან გამომდინარე, დასაშვებია, რომ

„შუა დერეფნის“ სტაბილურობის დაცვის მიზნით, პროექტში მონაწილე სახელმწიფოები მეტ პასუხისმგებლობას აიღებენ საერთო ინტერესების რეალიზებისთვის. ამასთან, სავარაუდოდ პროექტის მონაწილე ქვეყნები ორმხრივ, ისე მრავალმხრივ დონეზე უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობას უფრო გააფართოვებენ. საგარეო რისკები ძირითადად დაკავშირებულია იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც პროექტში საქართველოს მონაწილეობის შედეგად შესაძლოა დაზარალდნენ ან/და პროექტის სრულფასოვნად ამოქმედებამ გამოიწვიოს მათ ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ნაკადების რაიმე სახით შეფერხება. სავარაუდოდ, ამ სახელმწიფოებიდან მომდინარე რისკი დაკავშირებული იქნება საქართველოში დივერსიის, საბოტაჟისა და ტერორისტული თავდასხმის ხელშეწყობის მცდელობებთან. „შუა დერეფნის“ პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებულ ინტერესთა კონფლიქტის გარდაუვალობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პროექტში ჩართულობის შესაძლებლობებსა და წინააღმდეგობებს შორის არსებული რისკის გათვლა, სისტემური და საერთაშორისო პროცესების კომპლექსურ ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება.

მეოთხე კითხვაზე ექსპერტი თენგიზ ენდელაძე პასუხობს, რომ: ამ პროცესში საქართველოს მონაწილეობის გარეშე დაინტერესებული შეიძლება იყოს ყველა ის სახელმწიფო/სახელმწიფოები, რომელიც სხვა მსგავსი კონკურენტული პროექტის/პროექტების მონაწილეა.

ამავე შეკითხვაზე ექსპერტი ირაკლი გოგავა ფიქრობს, რომ ტრადიციულად საოკეანო გადაზიდვებში ანგლო-საქსური ქვეყნები დომინირებენ. შესაბამისად, ასეთი გადაზიდვების შემცირება მათ ინტერესებში არ შედის. ანაკლიის პორტი დიდი მაგისტრალის ნაწილად უნდა აღვიქვათ, რომელიც სახმელეთო გადაზიდვების სეგმენტის განვითარებას უწყობს ხელს, მიუხედავად იმისა, რომ ის კომბინირებული მაგისტრალია და საზღვაო კომპონენტსაც მოიცავს. ანგლოსაქსური ქვეყნები შეეცდებიან ისეთი მთავრობები მოიყვანონ ხელისუფლებაში, რომლებიც „ახალი აბრეშუმის გზის“, „შუა კორიდორის“, „ერთი გზა ერთი სარტყელი“ და „ინდოეთი-საქართველო“-ს მაგისტრალების კონცეფციების რეალიზებას ხელს არ შეუწყობენ. თუ სასურველი ხელისუფლებები ვერ მოიყვანეს, მაშინ იქნება დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობები. სამხედრო ჩარევის ალბათობა უნდა გამოვრიცხოთ, რადგან სამხრეთ კავკასიის და შუა აზიის რეგიონებში სათანადო სამხედრო ინფრასტრუქტურა არ გააჩნიათ. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ ანაკლიის პორტი განიხილება, როგორც პოტენციურად ნატოს საზღვაო-სამხედრო ბაზა, რომელმაც უნდა შეზღუდოს რუსეთის სამხედრო ფლოტის დომინაცია შავ ზღვაში და

მომავალში ხელი შეუწყოს რუსეთისთვის შავი და აზოვის ზღვებზე პრობლემების შექმნას.

მეოთხე შეკითხვაზე ექსპერტი იოსებ მანჯავიძე მიიჩნევს, მსოფლიო ვაჭრობის 80% საზღვაო ვაჭრობაზე მოდის, ხოლო მას სამი საუკუნეა აკონტროლებენ აშშ და ბრიტანეთი. ბუნებრივია, რომ მათ არ აწყობს აბრეშუმის გზის ჩინური მეგაპროექტი, რომელიც მათ ამ სამსაუკუნოვან დომინირებას არყევს. ამიტომ ისინი შეეცდებიან საქართველო ამოაგდონ ამ პროექტიდან პოლიტიკური დესტაბილიზაციის გზით, რაც ასევე ერწყმის რუსეთის გარშემო ცეცხლოვანი რკალის პოლიტიკას. ამავე დროს, საქართველოს დესტაბილიზაცია მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის, როგორც აბრეშუმის გზის განხორციელებისათვის გამოუსადეგარ რეგიონად გადაქცევას გამოიწვევს.

ამავე შეკითხვაზე ივლიანე ძნელაძე პასუხობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ფონზე, საქართველოს „შუა დერეფნის“ პროექტში მონაწილეობის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა რიცხვი შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს. ამ მოცემულობის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რათა სახელმწიფო სტრუქტურებმა წინასწარ შეძლონ მოსალოდნელი საფრთხეების გათვლა. შემაკავებელი მექანიზმების შემუშავების პროცესში განსაკუთრებით ღირებული ფუნქციის შესრულება შეუძლია საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, პროექტში საქართველოს მოწინააღმდეგეთა შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად დამუშავებისა და შემდგომ, შესაბამის უწყებებთან გაზიარების გზით. არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ სწორად (ნაკლები ცდომილებით) განსაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მიმდინარე პროცესების განვითარების ტრაექტორია, რასაც დაეფუძნებოდა შემაკავებელი მექანიზმების სისტემა. საწყის ეტაპზე სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ის უნარ-თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მსოფლიოში გაღრმავებული სისტემური კონკურენციის პირობებთან ქვეყნის თანაარსებობის სტრატეგიის (ტაქტიკის) განსაზღვრას.

მეხუთე კითხვაზე ექსპერტი თენგიზ ენდელაძე მიიჩნევს, რომ: მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია: შემუშავდეს პროექტის უზრუნველყოფის კონტრსადაზვერვო ღონისძიებების გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება საგარეო და საშინაო საფრთხეების წყაროები, ამოცანები მიმართული მომსახურე პერსონალის, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების ფიზიკური/ტექნიკური/ელექტრონული, კომპიუტერული /კავშირგაბმულობის სისტემების, გადასაზიდი პროდუქციის, სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაცვის, სახელმწიფო/კომერციული საიდუმლოების რეჟიმის უზრუნველყოფისა და კონკურენტი ფირმებისაკენ მათი გაჟონვის თავიდან აცილების, ობიექტზე და მის გარემოცვაში კონკურენტი ფირმების აგენტებისა და

სხვა პირების შეღწევის მცდელობების გამოვლენისა და აღკვეთის, ობიექტზე და მის გარემოცვაში შესაძლო შეღწეული კონკურენტი ფირმების აგენტებისა და დამნაშავე პირების გამოვლენის, მათი ჯაშუშური, საბოტაჟური, ტერორისტული, სხვა დამაზიანებელი საქმიანობის დროულად თავიდან აცილების/აღკვეთის და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით განსახორციელებელი აგენტურულ-ოპერატიული ამოცანები.

ამავე შეკითხვაზე ექსპერტი ირაკლი გოგავა პასუხობს, რომ სახელმწიფომ კონტრაზვერვითი საქმიანობა უნდა გააძლიეროს. აუცილებელია პოლიტიკურ, საჯარო და მედიასივრცეებში უცხო ძალების სასარგებლოდ მომუშავე პირების იდენტიფიცირება და მათი ამ სივრცეებიდან განდევნა. მთავარ რისკს წარმოადგენს ე. წ. „ფერადი რევოლუციის“ ტექნოლოგიით ხელისუფლების დამხობა, საინფორმაციო-კოგნიტური დივერსიები. ასევე არსებობს ტერორისტული აქტების, კონკრეტული ლიდერების ლიკვიდაციის რისკი. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი ახალი სახმელეთო სავაჭრო მაგისტრალების მიმართულების განვითარებით არიან დაინტერესებული, საჭიროა გამოვლინდეს ასეთი ქვეყნები და გაღრმავდეს მათთან თანამშრომლობა. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები საქართველოში აქტიურად იყენებენ ყალბი ორიენტირების დანერგვის ტექნოლოგიას, რისიც მოსახლეობის ნაწილს სჯერა და ასეთი ადამიანების მოქმედებები საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ გამოყენება. ქვეყანაში დასაწერია საინფორმაციო და კოგნიტური უსაფრთხოების გამართული სისტემა, რომელიც არ მისცემს საშუალებას არავის გაავრცელოს და დანერგოს ყალბი ორიენტირები და უკვე დანერგილი კი გააბათილოს.

მეხუთე შეკითხვის პასუხად ექსპერტი იოსებ მანჯავიძე მიიჩნევს, რომ საჭიროა გაკეთდეს ყველაფერი, რომ განეიტრალდეს ეს საფრთხე, აგრეთვე გატარდეს აქტიური დიპლომატიური მოქმედებები პროექტის განხორციელებით დაინტერესებულ ქვეყნებთან, მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.

ამავე შეკითხვაზე ივლიანე ძნელაძე პასუხობს, რომ პროექტში საქართველოს მონაწილეობის მოსალოდნელი საფრთხეების აცილების ერთ-ერთი საშუალებაა სახელმწიფო კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება მოქმედებათა ერთიანი მექანიზმი (სისტემა). გასათვალისწინებელია, რომ პროექტში სრულფასოვნად მონაწილეობა ასევე მჭიდრო კორელაციაშია საქართველოში შიდა პოლიტიკური სტაბილურობის დონესთან (ხარისხი). პროექტში საქართველოს წარმატებული მონაწილეობისთვის, საჭიროა სახელმწიფომ გააგრძელოს მცდელობები სუვერენიტეტის გასაძლიერებლად, განახორციელოს მშვიდობასა და წონასწორობაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსი. საგარეო

პოლიტიკის დაგეგმვისას მიზანშეწონილი უნდა იყოს მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიური ინტეგრაციული პროცესების განვითარების ხელშეწყობა.

დასკვნა

ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის „შუა დერეფნის“ პროექტს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ის სოციალური, შესაბამისად ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების ხელსაყრელი საშუალებაა. „შუა დერეფნის“ ამოქმედებას, საზღვაო გადაზიდვების მონოპოლიისათვის მსოფლიო ვაჭრობის კონიუნქტურაში კონკურენციის გაწევის გამო, შესაძლებელია მოჰყვეს დესტაბილიზაციის ახალი რისკის/საფრთხის ინსპირირება. პროექტის განხორციელების ხელშემშლელ გარემოებად ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ჩინეთის აღმასვლის, მისი პოზიციების მიუღებლობა დომინირების როლისათვის მებრძოლი სახელმწიფოებისთვის, შესაძლოა, გახდეს პროექტის შეფერხების მიზეზი. პროცესზე უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს დიპლომატიური და ბიზნესწრეების არასაკმარისი აქტივობა და გეოპოლიტიკურ აქტორთა საქართველოს ინტერესების საზიანო დამოკიდებულება ამ პროექტის მიმართ.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსალოდნელია ანგლოსაქსური ქვეყნების მცდელობები, საქართველოში სათავეში ისეთი ხელისუფლება მოიყვანონ, რომელიც ხელს შეუშლის „შუა დერეფნის“ პროექტის განხორციელებას. ამასთან ერთად, შეფერხების ხელშემწყობია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მხრიდან საქართველოში ყალბი ორიენტირების დანერგვის ტექნოლოგიის აქტიური გამოყენება. პროექტის შეფერხებისათვის, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს დივერსიის, საბოტაჟისა და ტერორისტული თავდასხმის ხელშეწყობის, ე. წ. „ფერადი რევოლუციის“ ტექნოლოგიით ხელისუფლების დამხობის, საინფორმაციო-კოგნიტური დივერსიების მცდელობებს.

გამოკითხვით დგინდება, რომ ანაკლიის პორტის ნატოს პოტენციურ საზღვაო-სამხედრო ბაზად განხილვა შავ ზღვაში რუსეთის სამხედრო ფლოტის დომინაციის შეზღუდვისთვის და რუსეთის გარშემო ცეცხლოვანი რკალის პოლიტიკის გაგრძელება პროექტის შეფერხების მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება გახდეს.

შეფერხების მაინსპირებელია პროექტში მონაწილეობის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა რიცხვის, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ პერიოდულად ცვალებადობა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ „შუა დერეფნის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო ისეთი გეგმის არარსებობა, რომელშიც გამოკვეთილი იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური და

ეკოლოგიური მახასიათებლები, პროექტის შეფერხების მნიშვნელოვანი გარემოება იქნება.

ექსპერტების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა რეკომენდაციები გამოწვევასა და საფრთხეზე საქართველოს მხრიდან წარმატებული შედეგის მომტანი პრევენციული რეაგირების მნიშვნელოვანი ზომების მიღების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია საქართველოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების, დიპლომატიური კორპუსის კოორდინირებული ქმედები. შედეგად შესაძლებელი იქნება, როგორც მოსალოდნელი საფრთხეების პრევენცია, ისე შემაკავებელი მექანიზმების, მათ შორის პროექტში მონაწილეობის უზრუნველყოფის კონტრსადაზვერვო ღონისძიებების გეგმის შემუშავება.

კონტრსადაზვერვო ღონისძიებების გეგმის ამოცანები მიმართული უნდა იყოს:

- მომსახურე პერსონალის, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, ფიზიკური/ტექნიკური/ელექტრონული, კომპიუტერული/ კავშირგაბმულობის სისტემების, გადასაზიდი პროდუქციის, სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაცვის, სახელმწიფო/კომერციული საიდუმლოების რეჟიმის უზრუნველყოფისა და მათი გაჟონვის თავიდან აცილებლად;
- ობიექტზე და მის გარემოცვაში კონკურენტი ფირმების აგენტებისა და სხვა პირების შეღწევის მცდელობების გამოვლენისა და აღკვეთისაკენ, ობიექტზე და მის გარემოცვაში შესაძლო აგენტებისა და დამნაშავე პირების გამოვლენის, მათი ჯაშუშური, საბოტაჟური, ტერორისტული, სხვა დამაზიანებელი საქმიანობის დროულად თავიდან აცილების/აღკვეთისათვის;
- სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით განსახორციელებელი აგენტურულ-ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტისათვის; პოლიტიკურ, საჯარო და მედიასივრცეებში უცხო ძალების სასარგებლოდ მომუშავე პირების იდენტიფიცირებისა და მათი ამ სივრცეებიდან განდევნისათვის; საქართველოში საინფორმაციო და კოგნიტური უსაფრთხოების გამართული სისტემის დანერგვის, ყალბი ორიენტირების დანერგვის თავიდან აცილებისა და უკვე დანერგილის გაბათილებისათვის;
- საქართველოს მხრიდან აქტიური დიპლომატიური მოქმედებების წარმოებისათვის, რათა მოპოვებულ იქნას პროექტის განხორციელებით დაინტერესებული ქვეყნების მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ASSASSINATION ATTEMPT ON SHEVARDNADZE, Monitor Volume: 4 Issue: 27, <https://jamestown.org/program/assassination-attempt-on-shevardnadze>.
2. Emil Avdaliani, The US Wants Chinese, Russians Kept Out of Anaklia, 13 June 2019, <http://gtarchive.georgiatoday.ge/news/16008/The-US-Wants-Chinese,-Russians-Kept-Out-of-Anaklia>
3. Eurasia Overview, Patterns of Global Terrorism: 1998,
4. Georgia Hovers on the Brink of Violence, Nov 22, 2003, <https://shorturl.at/5k1JS>.
5. Georgia probes alleged plot to overthrow government, 24 Jul 2024, AL JAZEERA , <https://shorturl.at/mvci8>.
6. Georgia's Security Service Investigates „Coup Attempt“, Civil.ge, 07/11/2020, <https://civil.ge/archives/381063>.
https://irp.fas.org/threat/terror_98/eurasia.htm.
<https://www.c-r.org/programme/caucasus/georgian-abkhaz-conflict-focus>.
7. Ibragim Chkadua, History of the Georgian-Abkhaz conflict, Conciliation Resources,
8. POLITICAL LEGITIMACY DI IM – POST-GAMSAKHURDIA GEORGIA: THE CRISIS OF LEGITIMACY, FOIA Collection, April 13, 1992, <https://www.cia.gov/readingroom/document/0005403091>.
9. The Report of the State Security Service of Georgia, 2021, 53 pg., <https://shorturl.at/5cTqc>.
10. The State Security Service introducing the activity report for 2023 to the Committees, Media and Society 12 Jun 2024, <https://shorturl.at/Gqbr8>.
11. Wang Qi, Europe: How Middle Corridor redefines Global Trade routes 14 March 2024 <https://en.azvision.az/news/177736/from-china-to-europe-%C2%A0how-middle-corridor-redefines-global-trade-routes.html>

საჯარო მმართველობის თანამედროვე და საერთაშორისო მეთოდები გლობალიზაციის ეპოქაში

მარიამ გალდავა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

Mar.galdava@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0001-3443-1998>

ნათია ჯანაშვილი

საჯარო მმართველობის დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Janashvili.hr@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0001-3443-1998>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.22

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში, საჯარო მმართველობის თანამედროვე და საერთაშორისო მეთოდების განვითარება. გაანალიზოს, როგორ ერგება საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა გლობალურ ტენდენციებს, რა გამოწვევებს აწყდება და რამდენად ეფექტიანად ინტეგრირდება ინოვაციური მმართველობითი მეთოდები ეროვნულ პოლიტიკასა და ადმინისტრირებაში. თეორიული ჩარჩო ეფუძნება ოთხ ძირითად მოდელს: ახალ საჯარო მმართველობას, შედეგზე ორიენტირებულ, მონაცემებზე დაფუძნებულ და ელექტრონულ მმართველობას. გამოყენებულია Case Study, კონტენტ-ანალიზი და დედუქციური ახსნის მოდელი. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ციფრული მმართველობის განვითარებამ საქართველოში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საჯარო სერვისების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, თუმცა გამოწვევად რჩება რეგიონული უთანასწორობა და კიბერუსაფრთხოება. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საქართველოს პრაქტიკის საერთაშორისო მოდელებთან შედარებით ანალიზში, რაც განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებსა და რეფორმების უწყვეტობის აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მმართველობა, გლობალიზაცია, ტექნოლოგიები, საერთაშორისო გამოცდილება, მოდერნიზება

**Modern and International Methods of Public Administration
in the Era of Globalization**

Mariam Galdava

Doctor of Political Science

Caucasus International University

Mar.galdava@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0001-3443-1998>

Natia Janashvili

PhD Candidate in Public Administration

Georgian Technical University

Janashvili.hr@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0001-3443-1998>

Abstract

The purpose of this paper is to examine the development of modern and international methods of public administration in the era of globalization and digital transformation. It analyses how Georgia's public administration system adapts to global trends, what challenges it faces, and how effectively innovative governance approaches are integrated into national policy and administration. The theoretical framework is based on four key models: New Public Management, Result-Oriented Governance, Data-Driven Governance, and E-Governance. The study employs an integrated methodology, including Case Study, Content Analysis, and the Deductive Explanation Model. The findings confirm that the development of digital governance in Georgia has significantly improved the transparency and accessibility of public services; however, regional inequality and cybersecurity remain major challenges. The scientific novelty of the research lies in the comparative analysis of Georgia's administrative practices with international models, which helps define the country's strategic development directions and the need for continuous reform.

Keywords: Public Administration, Globalization, Technologies, International Experience, Modernization

სტატია მიზნად ისახავს კვლევას და იმის შეფასებას, თუ როგორ პასუხობს საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა თანამედროვე გლობალურ ტენდენციებსა და გამოწვევებს, როგორ ხდება საერთაშორისო პრაქტიკისა და ინოვაციური მეთოდების ინტეგრაცია ეროვნულ პოლიტიკასა და ადმინისტრირებაში.

ჩვენი ძირითადი ამოცანაა გამოვკვეთოთ ის კონკრეტული მიდგომები, რომლითაც მოგვიწევს გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად წარმოშობილ საჭიროებებს გავცეთ პასუხი, საჯარო მმართველობის მიმართულებით/ჩარჩოში.

კვლევის მეთოდები

- **Case Study**-ის მეთოდი, რომელიც დაგვებმარა კონკრეტული შემთხვევის სიღრმისეულად შესწავლისა და ანალიზის პროცესში. მოცემულ კვლევაში Case Study-ის მეთოდი გამოყენებულ იქნა, რათა უფრო დეტალურად შეგვეფასებინა საქართველოს საჯარო მმართველობის პრაქტიკა გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის კონტექსტში;
- **კონტენტ ანალიზი** - მოცემულ კვლევაში **კონტენტ-ანალიზი** დაგვებმარა, როგორც საერთაშორისო პრაქტიკების, ასევე საქართველოს საჯარო მმართველობის დოკუმენტების (სტრატეგიები, კანონები, სახელმწიფო პროგრამები, ოფიციალური ანგარიშები) სტრუქტურულად შესწავლასა და შინაარსობრივ ინტერპრეტაციაში;
- **დედუქციური ახსნის მოდელი** - ამ ტექნიკის დახმარებით ვაანალიზებთ, თუ როგორ ცვლის გლობალიზაცია და ციფრული ტრანსფორმაცია საჯარო მმართველობის მოდელებს მსოფლიო მასშტაბით, ასევე ვაფასებთ, რამდენად შეესაბამება საქართველოს მმართველობითი პრაქტიკა ამ მოდელებს.

კვლევის თეორიული ჩარჩო

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, საჯარო მმართველობა უნდა პასუხობდეს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო მოთხოვნებს. ამ კონტექსტში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მოდელი, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე საჯარო მმართველობის თეორიულ ჩარჩოს:

- **ახალი საჯარო მმართველობა** (New Public Management (NPM)) – ეს კონცეფცია 1980-იანი წლებიდან ვითარდება და საფუძვლად უდევს საჯარო სექტორში, კერძო სექტორის მენეჯმენტის საუკეთესო პრაქტიკების გადმოღებას. NPM-ის მთავარი მიზანია საჯარო მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება მომხმარებელზე, ანუ მოქალაქეზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპით.
- **შედეგზე ორიენტირებული მმართველობა** (Result-oriented Theory), რომელიც ხაზს უსვამს შედეგების მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და პასუხისმგებლობის გაძლიერებას.
- **მონაცემებზე დაფუძნებული მმართველობა** (Data-driven Governance Theory) აღნიშნული თეორია წარმოადგენს თანამედროვე მიდგომას, იყენებს დიდი მოცულობის მონაცემებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მმართველობის ხარისხს²⁵¹.
- ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, სულ უფრო მეტად ღირებულ მიდგომად იქცა, **ელექტრონული მმართველობის თეორია** (E-Governance Theory), რომლის თანახმადაც, სახელმწიფო, ფუნქციონირებს როგორც **გამჭვირვალე, მოქნილი და ეფექტური პლატფორმა**, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ ინოვაციებს საჯარო სერვისების გაუმჯობესებისთვის და ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებისთვის²⁵².

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

ნაშრომს სამეცნიერო ღირებულებას სძენს ის, რომ იგი ახლებური ხედვითა და განსხვავებული სისტემური მიდგომით იკვლევს გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, საჯარო მმართველობის თეორიების პრაქტიკულ განხორციელებას, საქართველოს მაგალითზე.

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია, თუ რამდენად ეფექტიანად და რა ფორმით ინტეგრირდება საერთაშორისო პრაქტიკა და გლობალური სტანდარტები ქართულ მმართველობით სისტემაში. ამის საფუძველზე შესაძლებელია თანამედროვე რეფორმების კრიტიკული შეფასება და სამომავლო სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირება.

²⁵¹ OECD, *Data-Driven Public Sector: Enabling Digital Transformation in the Public Sector* (Paris: OECD Publishing, 2021), pp. 15–40.

²⁵² United Nations Department of Economic and Social Affairs, *E-Government Survey 2022* (New York: United Nations, 2022), pp. 10–28.

ამ კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ჩვენს მიერ ჩატარებულ შედარებით ანალიზში, რომელიც იძლევა საქართველოს განვითარების შეფასების შესაძლებლობას სხვა ქვეყნების გამოცდილების ფონზე და შედეგად გამოავლენს ინოვაციურ მმართველობით მიდგომებს, რომლებიც პოტენციურად ადაპტირებადია ეროვნულ კონტექსტში.

საკვლევი თემა დაფუძნებულია კვლევითი მეთოდების ინტეგრირებულ გამოყენებაზე, როგორცაა კონტენტ-ანალიზი, Case-study და დედუქციური მოდელი, რაც უზრუნველყოფს თემის კომპლექსურ, მრავალმხრივ და მეცნიერულად გამყარებულ ანალიზს.

შესავალი

21-ე საუკუნეში სახელმწიფო მმართველობის სისტემები მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციისა და სტრუქტურული ცვლილებების ზღვარზეა. თანამედროვე მსოფლიო მიიწევს ინტეგრირებული, ურთიერთდაკავშირებული და კონკურენტული გარემოსკენ, რასაც განაპირობებს გლობალიზაციის სწრაფად მზარდი ტემპი.²⁵³ დღეს, გლობალიზაცია მეტია ვიდრე მხოლოდ ეკონომიკური კავშირების გაფართოება, იგი წარმოადგენს პროცესს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პოლიტიკურ, სოციალურ და მმართველობით სფეროებს.²⁵⁴

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოცემულ სტატიაში, განხილულია საჯარო მმართველობის მიდგომების ცვლილება გლობალიზაციის გავლენის პროცესში, თანამედროვე მეთოდები, რომელიც გამოიყენება მსოფლიოში და ფაქტორები, რომელიც საქართველოში მათი დანერგვის ხარისხს განაპირობებენ.

საკვლევი თემის აქტუალობას, ასევე განაპირობებს ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა და მოქალაქეთა გააქტიურება, რაც ამ პროცესს კიდევ უფრო ამძაფრებს²⁵⁵; თანამედროვე მოქალაქე მოითხოვს არა მხოლოდ ეფექტიან და ხარისხიან სერვისს, არამედ გამჭვირვალობას, ჩართულობასა და ანგარიშვალდებულებას. ამრიგად, გლობალიზაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ახალი შესაძლებლობების წყაროს, არამედ სერიოზულ გამოწვევას სახელმწიფო მმართველობის სისტემისთვის,

²⁵³ Ali Farazmand, "Globalization and Public Administration," *Public Administration Review* 59, no. 6 (1999): pp. 509–522.

²⁵⁴ Donald F. Kettl, *The Global Public Management Revolution*, 2nd ed. (Washington, DC: Brookings Institution Press, 2005).

²⁵⁵ World Bank, *GovTech Maturity Index: The State of Public Sector Digital Transformation* (Washington, DC: World Bank, 2023).

რადგან ტრადიციული მექანიზმები უკვე არასაკმარისად ეფექტურია თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად.

ამ საკითხის აქტუალობა ასევე განპირობებულია საჯარო მმართველობის განვითარების ტენდენციებით და ამ სფეროში გამოყენებული თანამედროვე მეთოდებით. ჩატარებული ანალიზი მკითხველს საშუალებას მისცემს დაინახოს არა მხოლოდ ის, თუ რა ეტაპზეა საქართველო საჯარო მმართველობის ტრანსფორმაციის პროცესში, არამედ ის, თუ რა სტრატეგიულმა მიმართულებებმა შეიძლება განსაზღვროს მისი ადმინისტრაციული სისტემის შემდგომი განვითარება, გლობალური გარემოს კონტექსტში.

თანამედროვე მეთოდები საჯარო მმართველობაში

გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოს აღარ აკმაყოფილებს წარსულში დამკვიდრებული მართვის ბიუროკრატიული მოდელი, რომელიც მეტწილად დაფუძნებული იყო იერარქიულ სტრუქტურებზე, მკაცრ წესებსა და დაბალ მოქნილობაზე²⁵⁶. მუდმივად ცვალებადი საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო ვალდებულებები, ტრანსნაციონალური პრობლემები და მოქალაქეთა მზარდი მოლოდინი საჯარო სერვისების გაუმჯობესების მიმართ, სახელმწიფოს ვალდებულს ხდის გადახედოს მმართველობის ტრადიციულ მიდგომებს²⁵⁷.

გლობალიზაციის ეპოქაში, საჯარო მმართველობა უნდა გახდეს შედეგზე ორიენტირებული, მოქნილი, ინოვაციური და ინკლუზიური²⁵⁸. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო გამოცდილების, თანამედროვე მეთოდების და მართვის მოდელების გაანალიზება და მათი პრაქტიკაში ინტეგრირება²⁵⁹.

საჯარო მმართველობის მოდელები და მიდგომები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა გასული რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, გამოიკვეთა ძირითადი ტენდენცია და

²⁵⁶ Christopher Pollitt and Geert Bouckaert, *Public Management Reform: A Comparative Analysis—Into the Age of Austerity*, 4th ed. (Oxford: Oxford University Press, 2017).

²⁵⁷ OECD, *Public Governance Review: Georgia* (Paris: OECD Publishing, 2022).

²⁵⁸ Stephen P. Osborne, "The New Public Governance?," *Public Management Review* 8, no. 3 (2006): 377–387.

²⁵⁹ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, *საჯარო მმართველობის რეფორმის 2023–2025 წლების სტრატეგია*, წვდომა: <https://www.gov.ge>.

საერთო პრინციპი, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით საჯარო მმართველობის პრაქტიკას უფრო სისტემურ და ერთიან ხასიათს სძენს.²⁶⁰

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მმართველობის პრაქტიკა სხვადასხვაგვარია. განვითარებულ ქვეყნებში აქცენტი კეთილსინდისიერ მმართველობაზე, გამჭვირვალობაზე და ინკლუზიურობაზე კეთდება; განვითარებად ქვეყნებში კი ხშირად აქვს ადგილი რეფორმებს საჯარო სექტორის ეფექტიანობისა და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც სავსებით ნორმალურია.

ამ ტენდენციების საფუძველს წარმოადგენს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ეფექტურობა და ინკლუზიურობა. სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა, მიმართულია ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებისკენ, გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლებისკენ და საზოგადოების ნდობის განმტკიცებისკენ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

მაგალითისთვის:

- **შვედეთი** - გამოირჩევა მაღალი შედეგიანობის საჯარო სექტორით, რომელიც მკვეთრად ორიენტირებულია მოქალაქეთა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე;
- **დანია** - ლიდერია ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით და ცნობილია მომხმარებელზე მორგებული ელექტრონული სერვისებით;
- **კანადა** - განასახიერებს წარმატებულ მოდელს, სადაც მულტიკულტურული ჩართულობა და ინოვაციური პოლიტიკის დაგეგმვა წარმოადგენს მმართველობის ქვაკუთხედს.

ამგვარი მიდგომა ცხადყოფს, რომ საჯარო მმართველობის უნივერსალური მოდელი არ არსებობს. წარმატება დიდწილად დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტზე, კულტურაზე და მმართველობით ნებაზე.²⁶¹

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (UNDP) და მსოფლიო ბანკმა განსაზღვრა დემოკრატიული მმართველობის პრინციპები, **დემოკრატიული მმართველობა (Good Governance)**, რომლებიც მოიცავს შემდეგ მახასიათებელს: **გამჭვირვალობა** - გამჭვირვალე მმართველობა გულისხმობს გადაწყვეტილებების

²⁶⁰ Christopher Pollitt and Geert Bouckaert, *Public Management Reform: A Comparative Analysis—Into the Age of Austerity*, 4th ed. (Oxford: Oxford University Press, 2017), pp. 23–55.

²⁶¹ United Nations Department of Economic and Social Affairs, *E-Government Survey 2022* (New York: United Nations, 2022), pp. 35–40

მიღების პროცესისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მოქალაქეებისთვის. საქართველოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მექანიზმი გამარტივდა და შესაბამისად აქტიურად ფუნქციონირებს საჯარო ინფორმაციის პორტალები; *ანგარიშვალდებულება* - ანგარიშვალდებული მმართველობა გულისხმობს, რომ საჯარო მოხელეები ვალდებული არიან საზოგადოებას აუხსნან თავიანთი ქმედებები. საქართველოში მოქმედებს აუდიტის სამსახური და სხვა ზედამხედველობის მექანიზმები. *კანონის უზენაესობა; ინკლუზიურობა* - ინკლუზიური მმართველობა გულისხმობს ყველა სოციალური ჯგუფის თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში. საქართველოში გაძლიერებულია ელექტრონული პლატფორმები მოქალაქეთა ჩართულობისთვის, თუმცა ეთნიკური უმცირესობებისა და სოფლის მოსახლეობის მონაწილეობა ჯერ კიდევ შეზღუდულია; *ეფექტიანობა* - მმართველობა ეფექტიანია მაშინ, როდესაც რესურსები ეფექტურად გამოიყენება და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა ხორციელდება. საქართველოში განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმები ამ მიზნის მიღწევისკენაა მიმართული, თუმცა ხშირია ბიუროკრატიული შეფერხებები და დაბალი ეფექტიანობა რეგიონულ დონეზე.

შესაბამისად, დემოკრატიული მმართველობითი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ძლიერი ინსტიტუტების შექმნა და დემოკრატიული სტაბილურობა პრიორიტეტულია²⁶².

ციფრული მმართველობა (Digital Governance / E-Governance) - თანამედროვე სახელმწიფოები სულ უფრო მეტად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს მმართველობის ოპტიმიზაციისთვის. ასეთი მაგალითებია: ესტონეთი, სინგაპური, კანადა და სამხრეთ კორეა. როგორც ლიდერები ციფრული მმართველობის სფეროში, ამ სახელმწიფოებში დამკვიდრებულია ღია მონაცემები, ავტომატიზირებული სერვისები და ინტერფეისები, ეს ზრდის მოქალაქეთა ნდობასა და მომსახურების ხარისხს, რაც მოიცავს: ელექტრონული სერვისების განვითარებას; მოქალაქეთა ციფრულ ჩართულობას; მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას²⁶³.

საქართველოში ციფრული მმართველობის დანერგვა დაიწყო 2000-იანი წლების დასაწყისში და ეტაპობრივად გაფართოვდა სხვადასხვა საჯარო სექტორში. მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული **საჯარო სერვისების ავტომატიზაციისა და ელექტრონული პლატფორმების შექმნის** მიმართულებით. ამის მაგალითია:

²⁶² United Nations Development Programme, *Governance for Sustainable Human Development* (New York: UNDP, 1997).

²⁶³ United Nations Department of Economic and Social Affairs, *E-Government Survey 2022* (New York: United Nations, 2022), <https://doi.org/10.18356/9789210019446>

- **იუსტიციის სახლები**, როგორც მრავალფუნქციური სერვისცენტრები, რომლებიც სთავაზობენ მომხმარებელს ერთიან სივრცეში მოქცეულ ციფრულ სერვისებს;
- **my.gov.ge** და **hr.gov.ge**, როგორც მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი ონლაინ პლატფორმები სახელმწიფო სერვისებზე წვდომისთვის;
- **Data.gov.ge** - ღია მონაცემების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისა და კვლევითი წრეებისთვის საჯარო მონაცემებზე წვდომას.

მიუხედავად ამ პროგრესისა, გამოწვევად რჩება შემდეგი საკითხები: მოქალაქეთა ციფრული ჩართულობის დაბალი დონე რეგიონებში; ინტერნეტთან წვდომის უთანაბრობა; მონაცემთა დაცვასთან და კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტანდარტების სრულყოფა.

ამ ფონზე, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექნოლოგიური გადაწყვეტების დანერგვა, არამედ **მოქალაქეთა ციფრული განათლების ხელშეწყობა, ინკლუზიური პოლიტიკის დაგეგმვა და კიბერუსაფრთხოების განმტკიცება.**

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე სახელმწიფოები უარს ამბობენ ერთგვაროვან და გაერთიანებულ მმართველობით მოდელებზე და მისდევენ **ჰიბრიდულ მიდგომებს**, რაც გულისხმობს სხვადასხვა მოდელის ელემენტების შერწყმასა და ინტეგრაციას, მათ შორის მენეჯერულ, დემოკრატიულ, ციფრულ და ტრადიციულ ადმინისტრაციულ პრაქტიკებს. ასეთი სტრატეგია საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს მოერგონ გლობალურ გამოწვევებს და საკუთარი ეროვნული კონტექსტის სპეციფიკას²⁶⁴.

ახალი საჯარო მმართველობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კონკურენციისა და ბაზრის მექანიზმების დანერგვას საჯარო ორგანიზაციებში. კერძო სექტორის მეთოდების მსგავსად შედეგების შეფასება, მომსახურების სტანდარტების დაწესება და კონტროლი, შესრულების მონიტორინგი და თანამშრომელთა მოტივაციაზე ზრუნვა, საჯარო სექტორში ახალ, შედეგზე ორიენტირებულ გარემოს ქმნის²⁶⁵. მართვის ეს მოდელი ხელს უწყობს სწრაფი და მოქნილი გადაწყვეტილებების მიღებას, ტრადიციული ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას, რაც ქმნის უფრო მეტად პროდუქტიულ და ეფექტურ სამუშაო გარემოს. ასევე, გულისხმობს მომსახურების მიწოდებაში მომხმარებელთა, ანუ მოქალაქეთა ჩართულობის ზრდას, რათა მათი მოთხოვნები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

²⁶⁴ Christopher Pollitt and Geert Bouckaert, *Public Management Reform: A Comparative Analysis—Into the Age of Austerity*, 4th ed. (Oxford: Oxford University Press, 2017).

²⁶⁵ Christopher Hood, "A Public Management for All Seasons?," *Public Administration* 69, no. 1 (1991): pp. 3–19.

მიუხედავად მრავალი სარგებლისა, ახალი საჯარო მმართველობის მოდელს, გააჩნია შეზღუდვებიც: მაგალითად, ზოგიერთმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ ბიზნესპრინციპების გადატანამ საჯარო სექტორში, შესაძლოა დააზიანოს სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული მართვის პრინციპები²⁶⁶.

ამგვარად, ახალი საჯარო მმართველობის მეთოდის დანერგვა მრავალი ქვეყნის ადმინისტრაციულ სისტემაში, ინდივიდუალურ და დინამიურ პროცესად იქცა, რომელიც მოითხოვს ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებას და მუდმივ შეფასებას.

ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებაში. თანამედროვე მთავრობები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, დიდი მონაცემების ანალიზს და ავტომატიზაციას, რათა გააუმჯობესონ მომსახურების მიწოდება; გაზარდონ გადაწყვეტილებების სისწორე; შეამცირონ კორუფციის რისკები. მაგალითად, ბლოკჩეინის ტექნოლოგია გამოიყენება გარიგებების ტრანსპარენტობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის²⁶⁷.

თანამედროვე საჯარო მმართველობა ეფუძნება არა ინტუიციას, არამედ მასშტაბურ მონაცემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებების უკეთეს დაკვალიფიცირებას და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. ეს მიდგომა ხელს უწყობს სერვისების მორგებას საზოგადოების კონკრეტულ საჭიროებებზე და მმართველობის ეფექტურობის ზრდას^{268,269}.

დღესდღეობით, საჯარო მმართველობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია გარემოს დაცვა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გლობალური დღის წესრიგი ითხოვს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრ ნაბიჯებს. საერთაშორისო პრაქტიკაში, სახელმწიფოები სულ უფრო მეტად ინტეგრირებენ გარემოსდაცვით პრინციპებს საჯარო პოლიტიკაში და მმართველობით სისტემებში, რაც მოიცავს შემდეგს: **მწვანე პოლიტიკა**, მაგალითად, ნახშირბადზე ნაკლებად დამოკიდებული ტრანსპორტი; **რესურსების „სმარტ“ გამოყენება** - წყლის, ენერგიისა და ნედლეულის რაციონალური მართვა თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით.

²⁶⁶ Michael Barzelay, *The New Public Management: Improving Research and Policy Dialogue* (Berkeley: University of California Press, 2001), pp. 102–120.

²⁶⁷ Don Tapscott and Alex Tapscott, *Blockchain Revolution: How the Technology Behind Bitcoin and Other Cryptocurrencies Is Changing the World* (New York: Penguin, 2016).

²⁶⁸ OECD, *Data-Driven Public Sector: Enabling Digital Transformation in the Public Sector* (Paris: OECD Publishing, 2021).

²⁶⁹ United Nations Department of Economic and Social Affairs, *E-Government Survey 2022* (New York: United Nations, 2022), pp. 35–40

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიზანი #13 - კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედება, რომელიც მოუწოდებს ქვეყნებს, გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრაციისკენ, თავიანთ ეროვნულ მმართველობით სტრატეგიებში²⁷⁰. საქართველოშიც ვხვდებით რეფორმებს გარემოსდაცვითი მდგრადობის მიმართულებით - მაგალითად, ენერგოეფექტურობის ახალი სტანდარტების დანერგვა, ურბანული მწვანე სივრცეების ზრდა და წყლის რესურსების დაცვის ინიციატივები^{271,272}.

აღნიშნულ თეორიულ მოდელებზე დაყრდნობით, საჯარო მმართველობის პრაქტიკა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ვითარდება, მათ შორის, საქართველოშიც, რომელიც ორი ათწლეულია აქტიური რეფორმებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პერიოდად იქცა.

საქართველოს მაგალითი: გამოწვევები და პროგრესი საჯარო მმართველობაში

გლობალიზაციის ეპოქაში, საქართველო განიცდის საჯარო მმართველობის სისტემის სიღრმისეულ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს საჯარო სექტორის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას, ასევე მოქალაქეთა ნდობის გაძლიერებას²⁷³. რეფორმების ძირითადი მიმართულებები მოიცავს ბიუროკრატის შემცირებას, დეცენტრალიზაციას, ციფრული სერვისების განვითარების და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოში, ციფრული ტრანსფორმაციის ასრულებს ერთ-ერთ მთავარ როლს საჯარო მმართველობაში. 2014 წლიდან დაწყებული, „e-Government Georgia“ პროექტი, გულისხმობს საჯარო სერვისების ელექტრონულად მიწოდებას, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია მოქალაქეთა და ბიზნესის სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაციის გამარტივებისთვის²⁷⁴. ამ კონტექსტში, ID პორტალი წარმოადგენს ერთიან პლატფორმას, სადაც ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი სახელმწიფო სერვისები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სერვისების ხარისხს და სიჩქარეს.²⁷⁵

²⁷⁰ United Nations. (2015). *Transforming our world: The 2030 agenda for sustainable development*.

<https://sdgs.un.org/2030agenda>

²⁷¹ IDFI. (2021). *საჯარო მმართველობის საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და საქართველო*.

https://idfi.ge/ge/best_european_practice_of_public_administration_and_georgia

²⁷² GIP. (2024). *საქართველოს მმართველობის ინდექსი (GGI)*. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

<https://gip.ge/ka/gip-presented-the-georgia-governance-index-ggi-2024>

²⁷³ გურგენიძე, გიორგი. 2019. „საქართველოს საჯარო მმართველობის ინსტიტუციური გამოწვევები.“ *საჯარო მმართველობის ჟურნალი* 3 (12): 45-62.

²⁷⁴ საქართველოს მთავრობის ოფიციალური გვერდი. 2023. „e-Government Georgia – ციფრული ტრანსფორმაცია საჯარო სექტორში.“ განთავსებულია: <https://gov.ge/ge/government-initiatives/e-government-georgia>

²⁷⁵ მელაძე, თამარ. 2021. „ციფრული მმართველობის განვითარება საქართველოში: წარმატებები და პერსპექტივები.“ *ეკონომიკური მიმოხილვები* 6 (4): გვ.112-130

საქართველოს მაგალითი ადასტურებს, რომ საპროცესო და კონტექსტუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, რეფორმები საჯარო მმართველობაში ძალზედ რთული და კომპლექსურია, თუმცა მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და თვით განვითარების სტაბილურობისთვის²⁷⁶.

ამრიგად, საქართველოს მომავალი განვითარება, დიდწილად იქნება დამოკიდებული სახელმწიფოს უნარზე სრულყოფილად დანერგოს საჯარო მმართველობის თანამედროვე მეთოდები, ჩამოაყალიბოს გამჭვირვალე ინსტიტუციური მექანიზმები და განავითაროს მმართველობითი კულტურა, რომელიც დაფუძნებულია მოქალაქეებთან თანასწორ კომუნიკაციაზე. მხოლოდ ინოვაციების, პასუხისმგებლობისა და ინკლუზიურობის ჰარმონიული კომბინაციის პირობებშია შესაძლებელი ძლიერი, მდგრადი და თანამედროვე სახელმწიფო სისტემის აშენება, რომელსაც შეუძლია ეფექტურად უპასუხოს XXI საუკუნის გამოწვევებს და გლობალიზებული სამყაროს მოთხოვნებს.

დასკვნა

საჯარო მმართველობის თანამედროვე მეთოდების და ჰიბრიდული მიდგომების სისტემური დანერგვა საქართველოში, წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკური მდგრადობისა და სოციალური სამართლიანობის განმტკიცების საფუძველს, განსაკუთრებით გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც საერთაშორისო ინტეგრაცია და ტექნოლოგიური პროგრესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო მმართველობაზე. დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში, საჯარო სექტორი განსაკუთრებულად უნდა ორიენტირდეს ისეთი პრინციპების აღსრულებაზე, როგორებიცაა ეფექტიანობა, გამჭვირვალობა, ინკლუზიურობა და გარემოსდაცვითი ჩართულობა²⁷⁷.

საქართველოში, საჯარო მმართველობის სფეროში, რეფორმების წარმატება დამოკიდებულია მენეჯერული კვალიფიკაციის გაუმჯობესებაზე და ინოვაციური ტექნოლოგიების ეფექტიან ინტეგრაციაზე. ციფრულ მმართველობაში შეტანილი ცვლილებები, განსაკუთრებით e-Government პლატფორმების განვითარება, მნიშვნელოვნად ამარტივებს საჯარო სერვისების მიღებას და ზრდის სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობას.

კორუფციის შემცირება და ანგარიშვალდებულების გაძლიერება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სექტორის სანდოობას. ამისათვის, საჭიროა, როგორც ინსტიტუციური ინსტრუმენტების

²⁷⁶ კობიაშვილი, ნინო. 2020. *საჯარო მმართველობის რეფორმები საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები*. თბილისი: საქართველოს საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტი.

²⁷⁷ ნადარეიშვილი გ., 2008. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი, გვ.291

დახვეწა, ისე მუდმივი მონიტორინგი და შეფასება. ამავე დროს, მნიშვნელოვანია რეფორმების თანმიმდევრულობა.

საჯარო მმართველობის რეფორმების სიღრმისეული და სისტემატური განვითარება, მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას მოახდენს, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაზე. გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ქვეყნების განვითარების ტემპი დიდწილად განისაზღვრება მათი მმართველობითი სტრუქტურების ეფექტიანობით, ინკლუზიურობითა და ტექნოლოგიებთან ადაპტირების უნარით, საჯარო მმართველობის მოდერნიზაცია უკვე აღარ წარმოადგენს მხოლოდ ადმინისტრაციულ ამოცანას - იგი გარდაიქმნა ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური მდგრადობისა და დემოკრატიული ლეგიტიმაციის ფუნდამენტად.

საქართველომ გარკვეული პროგრესი აჩვენა სხვადასხვა მიმართულებით - იქნება ეს ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა თუ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები. თუმცა, ამ პროცესის წარმატებით გაგრძელება საჭიროებს რეფორმების უწყვეტობას, ინსტიტუციური სტაბილურობის განმტკიცებას და ისეთ გარემოს შექმნას, სადაც მმართველობა ეფუძნება ღიაობას, პასუხისმგებლობას და ინოვაციას.

გარდა ამისა, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მმართველობის უნივერსალური მოდელი არ არსებობს, რადგან ყველა ქვეყნის გამოცდილება უნიკალურია. სწორედ ამიტომ, საქართველომ უნდა იხელმძღვანელოს, როგორც საკუთარ კონტექსტში პირადი გამოცდილებით, ასევე იმ პოზიტიური საერთაშორისო გამოცდილებით, რომელიც მორგებადია მის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

ამრიგად, ქვეყნის მომავალი განვითარება დიდწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებს სახელწმიფო საჯარო მმართველობის თანამედროვე მეთოდების სრულყოფილად დანერგვას, გამჭვირვალე ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას და მოქალაქეებთან თანასწორ კომუნიკაციაზე დაფუძნებული მმართველობითი კულტურის ჩამოყალიბებას. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი ძლიერი, მდგრადი და ინოვაციური სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ეფექტურად უპასუხებს XXI საუკუნის და გლობალიზებული სამყაროს მოთხოვნებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურგენიძე, გიორგი. „საქართველოს საჯარო მმართველობის ინსტიტუციური გამოწვევები.“ *საჯარო მმართველობის ჟურნალი* 3, no. 12 (2019): 45–62.
2. კობიაშვილი, ნინო. *საჯარო მმართველობის რეფორმები საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები*. თბილისი: საქართველოს საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტი, 2020.
3. მელაძე, თამარ. „ციფრული მმართველობის განვითარება საქართველოში: წარმატებები და პერსპექტივები.“ *კონომიკური მიმოხილვები* 6, no. 4 (2021): 112–130.
4. ნადარეიშვილი, გიორგი. *სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია*. თბილისი, 2008.
5. საინფორმაციო თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). *საჯარო მმართველობის საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და საქართველო*. 2021. წვდომა: <https://idfi.ge/ge/best-european-practice-of-public-administration-and-georgia>
6. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. *საჯარო მმართველობის რეფორმის 2023–2025 წლების სტრატეგია*. წვდომა: <https://www.gov.ge>
7. საქართველოს მთავრობის ოფიციალური გვერდი. „e-Government Georgia – ციფრული ტრანსფორმაცია საჯარო სექტორში.“ წვდომა: <https://gov.ge/ge/government-initiatives/e-government-georgia>
8. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). *საქართველოს მმართველობის ინდექსი (GGI)*. 2024. წვდომა: <https://gip.ge/ka/gip-presented-the-georgia-governance-index-ggi-2024>
9. Barzelay, Michael. *The New Public Management: Improving Research and Policy Dialogue*. Berkeley: University of California Press, 2001.
10. Farazmand, Ali. “Globalization and Public Administration.” *Public Administration Review* 59, no. 6 (1999): 509–522.
11. Hood, Christopher. “A Public Management for All Seasons?” *Public Administration* 69, no. 1 (1991): 3–19.
12. Kettl, Donald F. *The Global Public Management Revolution*. 2nd ed. Washington, DC: Brookings Institution Press, 2005.
13. OECD. *Data-Driven Public Sector: Enabling Digital Transformation in the Public Sector*. Paris: OECD Publishing, 2021.
14. OECD. *Public Governance Review: Georgia*. Paris: OECD Publishing, 2022.
15. Osborne, Stephen P. “The New Public Governance?” *Public Management Review* 8, no. 3 (2006): 377–387.

16. Pollitt, Christopher, and Geert Bouckaert. *Public Management Reform: A Comparative Analysis-Into the Age of Austerity*. 4th ed. Oxford: Oxford University Press, 2017.
17. Tapscott, Don, and Alex Tapscott. *Blockchain Revolution: How the Technology Behind Bitcoin and Other Cryptocurrencies Is Changing the World*. New York: Penguin, 2016.
18. United Nations. *Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development*. 2015. <https://sdgs.un.org/2030agenda>
19. United Nations Department of Economic and Social Affairs. *Compendium of Innovative Practices in Public Governance*. New York: United Nations, 2020.
20. United Nations Department of Economic and Social Affairs. *E-Government Survey 2022: The Future of Digital Government*. New York: United Nations, 2022. <https://doi.org/10.18356/9789210019446>
21. United Nations Development Programme. *Governance for Sustainable Human Development*. New York: UNDP, 1997.
22. World Bank. *GovTech Maturity Index: The State of Public Sector Digital Transformation*. Washington, DC: World Bank, 2023.
23. World Bank. *Open Government: A New Model for Improving Governance*. Washington, DC: World Bank, 2017. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/28900>

გენოციდის ცნება და მისი თეორიულ-კონცეპტუალური ხედვა

ბესო ნიჟარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

bbnijaradze@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-1071-6490>

DOI: 10.52340/splogos.2025.03.23

აბსტრაქტი

განხორციელებული კვლევის საფუძველზე წარმოდგენილ ნაშრომში, განხილულია გენოციდთან, როგორც საზოგადოებისთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველ ქმედებასთან, ბრძოლის თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ეფექტიანობის გაზრდის, ახალი რეგულაციების დანერგვისა და საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლების საჭიროება. ნაშრომში განვითარებული აზრი, თავისთავად წარმოაჩენს საკვლევი თემის აქტუალობას - თანამედროვე ცხოვრების პირობებში, ადამიანის უფლებები, ერთ-ერთი უმაღლესი და უმთავრესი ღირებულებაა და შესაბამისად, მის დასაცავად, შემუშავებულია საერთაშორისო მექანიზმები. საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანია გენოციდის სრული გაგება და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესების სწორი წარმართვა, რასაც ხშირად აზრთა სხვადასხვაობა მოსდევს. ნაშრომში განვითარებული აზრი დაეხმარება გენოციდის გაგებასთან, მის შეფასებასთან დაკავშირებული თეორიული პრობლემის აღმოფხვრას. ნაშრომი ხელს უწყობს გენოციდის, მისი ცალკეული გამოვლინებების, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობებში მისი პოლიტიკური განზომილების განსაზღვრის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფას.

საკვანძო სიტყვები: გენოციდი, თეორიულ - კონცეპტუალური, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური ინტერესი, გლობალური გავლენა

The Concept of Genocide and Its Theoretical-Conceptual Framework

Beso Nijaradze

Phd Student

Georgian Technical University

Bbnijaradze@gmail.com

ORCID iD: <http://orcid.org/0009-0007-1071-6490>

Abstract

Based on the research conducted, the paper discusses the need to implement more effective theoretical and practical measures to combat genocide as an act that poses a particular danger to society, through the establishment of new regulations aimed at fostering a more politically aware and engaged society. In today's world, where human rights are regarded as among the highest values, the relevance of this topic is especially clear, and, accordingly, an international mechanism for their protection has been developed. It is precisely within the process of international relations that special attention must be paid to a comprehensive understanding of genocide and the proper management of the political processes associated with it, as these often give rise to diverging perspectives. The argument developed in the paper will contribute to addressing the theoretical challenges related to the understanding and evaluation of genocide. I believe that the presented paper will also support the improvement of both theoretical and practical aspects concerning genocide and its specific manifestations, as well as the definition of the political dimension of genocide within the context of international relations.

Keywords: Genocide, theoretical-conceptual framework, international relations, political interest, global influence.

საკვლევი თემის არსიდან და თავისებურებიდან გამომდინარე, გამოყენებულია კვლევის ისეთი **მეთოდები**, როგორიცაა: სისტემური; ისტორიული (გენოციდის ცნების ევოლუციის თვალსაზრისით); შედარებითი (სხვადასხვა თეორიული მოდელების შესადარებლად); შედარებით სამართლებრივი და ა.შ. კვლევის მეთოდები მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მიდგომებს. კვლევა ემყარება კლასიკურ და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიებს: რეალიზმს და ლიბერალიზმს.

წარმოდგენილი ნაშრომის **სამეცნიერო სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ იგი არა მხოლოდ განიხილავს გენოციდის სამართლებრივ ინტერპრეტაციას, არამედ

ახდენს მის თეორიულ-კონცეპტუალურ ანალიზს, საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში.

გენოციდის სრულფასოვანი განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მისი თეორიულ-კონცეპტუალური გააზრება, რათა მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში მისი აღიარება და მასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტური მართვა.

შესავალი

გენოციდი, როგორც კაცობრიობისათვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი მოვლენა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას და საერთაშორისო პრობლემას. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და საომარი მოქმედებები ქმნის გენოციდის ჩადენისა და მსოფლიო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული პროცესების საფუძველს, რომლებიც მასობრივად არღვევენ ადამიანის უფლებებს და რომელთა დაცვაც, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, განსაკუთრებით საყურადღებო, ძირითადი ობიექტია. ხშირ შემთხვევაში, მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა, არსებული პოლიტიკური და პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით, არაეფექტურია გენოციდის პრევენციის, მასთან ბრძოლისა და ცალკეული სახელმწიფოებისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში გენოციდის პოლიტიკური განზომილების განსაზღვრისას, განსაკუთრებული პრობლემა დიპლომატიური პროცესების არაეფექტურად წარმართვაში მდგომარეობს, რაც გამოწვეულია სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებით. ეს კი თავისთავად წარმოადგენს დიდ გამოწვევას საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით.

დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, სადაც ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები კვლავ აქტიურია, გენოციდის ცნების სწორი განსაზღვრა, მისი სრულფასოვანი თეორიული გააზრება, განსაკუთრებულ როლს თამაშობს გენოციდის წინააღმდეგ მიმართულ, პოლიტიკური თუ საერთაშორისო სამართლებრივი პროცესების წარმართვაში. ყოველივე ეს კი პირდაპირ კავშირშია ადამიანთა უფლებების დაცვასა და სახელმწიფოთა ეროვნული უშიშროების საკითხთან, რაც თავისთავად, კიდევ ერთხელ ადასტურებს, მოცემული ნაშრომის აქტუალობას.

გენოციდის ცნება

გენოციდის თეორიულ-კონცეპტუალურ და საერთაშორისო-სამართლებრივ, ასევე ზოგადად, ნორმატიულ გააზრებას, საფუძველი სწორედ ისტორიულმა მოვლენებმა ჩაუყარა - იმ ფაქტებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო ადამიანთა ჯგუფების ფიზიკურ განადგურებასთან სხვადასხვა საფუძველზე (ეთნო-რელიგიური, ტერიტორიული გაფართოების, ძალაუფლების შენარჩუნების და ა.შ. გზით).

გლობალური მასშტაბის სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური რესურსების ამოწურვის საკითხებს და ა.შ. შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ომის და მსოფლიო ტერორიზმის პრობლემები. შესაბამისად გენოციდი მათ შორისაა თანამედროვე გაგებით... „არ არსებობს ვინმეს წინააღმდეგ, გენოციდი ყოველთვის ყველას წინააღმდეგია“²⁷⁸.

თავდაპირველად, გენოციდის ცნებას საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა პოლონელმა პროფესორმა რაფაელ ლემკინმა. მისი განმარტებით „უფრო ხშირად გენოციდი გულისხმობს შეთანხმებულ გეგმას, რომლის მიზანია ეროვნული ჯგუფების ცხოვრების არსებითი საფუძვლების განადგურება, იმ მიზნით, რომ ეს ჯგუფები მოსპონ, როგორც დაავადებული მცენარეები. ამის შედეგი შეიძლება იყოს პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, ხალხის კულტურის, მათი ენის, ეროვნული გრძნობებისა და რელიგიის იძულებითი მოშლა. ეს მიზანი შეიძლება განხორციელდეს პირადი უსაფრთხოების, თავისუფლების, ჯანმრთელობისა და ღირსების ყველა საბაზისო პირობის მოსპობით. მაშინ, როდესაც ამ მიზნის მიღწევა ვერ ხერხდება, განიხილება ტყვიამფქვრვევის გამოყენების შესაძლებლობა, როგორც უკიდურესი ფორმა“²⁷⁹. მაშასადამე, ავტორისთვის გენოციდის ტერმინი არ გულისხმობს მხოლოდ მასობრივ მკვლელობებს, ის არის სრული განადგურების უკიდურესი ფორმა.

საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში გენოციდის ცნების საკითხი მნიშვნელოვან იურიდიულ და საერთაშორისო სტანდარტად იქცა გაეროს 1948 წლის კონვენციის საფუძველზე,²⁸⁰ რომლის მიხედვითაც: „გენოციდი ნიშნავს ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით: ჯგუფის წევრთა მკვლელობა; ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანება ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება, ჯგუფისთვის განზრახ ისეთი პირობების

²⁷⁸ Gefter M. Эхо Холокоста. М. 1995. С. 265

²⁷⁹ Lemkin.R. Axis Rule in Ocupied Europe: Laws of occupation, Analysis of Government, proposals for Redress. Washington: Carnegie Endowment for internatiolal Peace, Division of international Law. 1944.p.79. <https://books.google.com> მოთხოვნის დრო 12.06.2025 წ.

²⁸⁰ გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებასა და დასჯის შესახებ გაეროს 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია. [www. Matshe.ge](http://www.Matshe.ge). გამოსვლის დრო 12.06.2025 წ.

შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას; ისეთი ზომების გატარება, რაც მიზნად ისახავს ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთას; ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემას“. გენოციდის ცნების მსგავსი ინტერპრეტაციაა მოცემული რომის ტაქტის (წესდების) მე-6 მუხლში და საქართველოს სსკ-ის 47 მ.

გენოციდი ზოგადად წარმოდგენილია ისეთ ქმედებად, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების განადგურება, მაგრამ ეს არ შეიძლება მოიცავდეს მათ მომენტალურ განადგურებას. ის შესაძლოა განხორციელდეს კოორდინირებული გეგმის საფუძველზე, რაც თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს ასეთი ჯგუფებისათვის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, რელიგიის, ენის, თავისუფლების, ჯამრთელობის და სიცოცხლის მოსპობას. გენოციდი არის ქმედება, მიმართული ამ ეთნიკური ჯგუფების მიმართ²⁸¹. შესაბამისად, გენოციდი მოცემულია დანაშაულებრივ ქმედებად, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში გააზრებულია და წარმოდგენილია სპეციალური პოლიტიკური და სოციალური მახასიათებლებით, რაც მას განასხვავებს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა დანაშაულობებისაგან. რუსი მეცნიერის სერგეი დემენტიევის მოსაზრებით, გენოციდის ცნების განსაზღვრა პოლიტიკურ დონეზე, ხშირ შემთხვევაში უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობების ქრილში წარმოდგენილ, პოლიტიკური ძალების ინტერესებს²⁸².

როგორც ცნობილია საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს გენოციდის საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცესის წარმოსახვა, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. ამავე დროს, არსებული პრობლემა, უფრო აქტუალურ სახეს იძენს, რადგან გენოციდი არის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი პრობლემა საერთაშორისო საზოგადოებისათვის. დიახ, გენოციდი არ არის მხოლოდ წარსულის გამოძახილი, ის დღესაც განსაკუთრებული საფრთხის შემცველია.

თეორიულ-კონცეპტუალური ხედვა

წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე, მე ასევე განვავითარე მოსაზრება, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამედროვე გლობალური პროცესების პირობებში, ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული აღქმის კონტექსტში, მნიშვნელოვანი საკითხი და პრობლემა ხდება გენოციდის თეორიული და კონცეპტუალური ფორმულირება. რაფაელ ლემკინის

²⁸¹ Вартанян В. Уголовное ответственность за геноцид, 200 с. 23

²⁸² Дементиев. С. Геноцид политико-правовой анализ. Санкт-Петербург: Советская Кубань. 2025 с. 37

თავდაპირველმა ხედვამ წარმოაჩინა გენოციდის თეორიულ-კონცეპტუალური ხედვა. თუმცა, შემდგომ პერიოდში და მოყოლებული დღემდე, მისი თეორიული მოდელირება მრავალი მეცნიერის და მკვლევრის კვლევის საგანი გახდა. მიმაჩნია, რომ გენოციდის თეორიული აღქმა, ანალიზი არ შეიძლება მხოლოდ სამართლებრივ ჭრილში წარმოვადგინოთ, რამეთუ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში, გენოციდის გამოვლენის, პრევენციის, პოლიტიკური აღიარების თვალსაზრისით, სახელმწიფოსა და საზოგადოების როლს, ნებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. შესაბამისად, გასათვალისწინებელია სოციოლოგიურ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორებიც. ცნობილი მეცნიერის და მკვლევრის ჰელენ ფაინის თეორიული გააზრება ორ ძირითად ცნებას მოიცავს: მორალურ სივრცეს და სახელმწიფო ძალაუფლების პოლიტიკურ იდეოლოგიას. ის მიიჩნევს, რომ გენოციდს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სახელმწიფო, მოსახლეობის ნაწილს, მორალური ვალდებულებების არეალიდან ამოშლის და ახორციელებს ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს ასეთი ჯგუფის ფიზიკურ განადგურებას. სახელმწიფოს ან მმართველ ძალას, მათ მიმართ, არ გააჩნიათ არანაირი პასუხისმგებლობა²⁸³. როგორც კვლევისას იკვეთება გენოციდის სამართლებრივი და კულტურული განზომილების ჩარჩოში, მეცნიერი ფოკუსირდება მორალურ ნორმებსა და სოციალურ იდენტობაზე.

განსხვავებით ჰელენ ფაინისა და რაფაელ ლემკინისგან, ბარბარა ჰარფის თეორიულ მოდელში აქცენტი გაკეთებულია სახელმწიფოს სისუსტესა და კრიზისზე, როგორც გენოციდის მთავარ წინაპირობაზე; ამ კონტექსტში გენოციდის განხორციელება განიხილება სახელმწიფოს უკიდურეს ქმედებად. მისი აზრით აღნიშნული ქმედების რისკ-ფაქტორები დაკავშირებულია ავტორიტარულ მმართველობასთან, პოლიტიკურ კრიზისებთან, სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციასთან და ა.შ.²⁸⁴. როგორც ნაშრომში უკვე ავლნიშნე, გენოციდის თეორიული ხედვის განსხვავებულ მოდელს, წარმოადგენს გრეგორი ჰ. სტენტონის 10-საფეხურიანი მოდელი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება გენოციდი ეტაპობრივად, და საბოლოოდ ეს პროცესი, როგორ სრულდება ფიზიკური განადგურებით²⁸⁵; აკადემიკოსი ვლადიმერ კუზნეცოვი კი მიიჩნევს, რომ გენოციდის თეორიულ - კონცეპტუალური ხედვა უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ იურიდიულ განმარტებებს, გააზრებებს, არამედ ცივილიზაციურ დისკურსებსაც²⁸⁶. მისი მიდგომები კრიტიკულია დასავლური ქვეყნების მიმართ, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში აღიარებენ გენოციდს, ხოლო ხშირ შემთხვევაში არა,

²⁸³ Fein, H. Genocide: A Sociological Perspective. *Cuhent Sociology* Vol. 38, No 1 (1990). Pp. 1-126 o.

²⁸⁴ Harff B. No Lessons Learned from the Holocaust Assessing Risks of Genocide and Political Mass Murder since 1955 *Amerikan Political Scinse Review*, Vol. 97. No 1 pp. 57-73

²⁸⁵ Stanton, a. (2020) The Ten stages of Genocide, *Genocide Wotch*, /www.genocidewotch.org/

²⁸⁶ Кузнецов ,В. (2006) Геноцид как правовое и социальное явление. Москва. Наука.

შესაბამისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რაც თავისთავად პრობლემატური პროცესია საერთაშორისო განზომილების განსაზღვრის თვალსაზრისით. ნაშრომში წარმოდგენილია გენოციდის თეორიულ - კონცეპტუალური ხედვა, მისი ანალიზი განსხვავებული და მრავალმხრივია, ის არ არის ერთგვაროვანი. ამის დასტურია ის შეფასებები და წარდგენილი თეორიები, რომელიც განხილულია, დაწყებული რაფაელ ლემკინის თეორიული ხედვიდან, და დამთავრებული თანამედროვე მოდელების გააზრებით. თუმცა, გენოციდი მისი არსიდან გამომდინარე მოითხოვს იურიდიულ, პოლიტიკურ და კულტურულ მიდგომებსაც.

მიზანშეწონილად მივიჩნიე გენოციდის თეორიულ - კონცეპტუალური ხედვის კვლევისას შემესწავლა და გამომეყენებინა ქართველი მეცნიერის მერაბ მამარდაშვილის თეორიულ-ფილოსოფიური ხედვა, საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში, გენოციდის პოლიტიკური განზომილების კონტექსტში. მეცნიერ მამარდაშვილის მიხედვით, კონკრეტულ თემასთან მიმართებით, თეორიულ ხედვასთან დაკავშირებული საკითხი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მორალური სისტემის მოშლა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში, რადგან, როგორც აღნიშნავს ფილოსოფი „ინტელექტუალური“ სიცარიელე და „მორალური“ ინერტულობა გახლავთ ბოროტების ჩადენის საშუალება. სწორედ ამ იდეის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გენოციდი, საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში შეიძლება განხილულ იყოს, როგორც იმ საერთაშორისო რეგულაციების და მექანიზმების კრახის შედეგი, რომლებიც, გეოპოლიტიკური ინტერესების მიუხედავად, მაინც უნდა რეაგირებდნენ სისტემურ ბოროტებაზე. თუმცა, პრაქტიკაში მათი ქმედებები ხშირად სწორედ გეოპოლიტიკურ და სხვა ინტერესებზეა დამოკიდებული, რაც საბოლოოდ გენოციდის განხორციელების პირობებს ქმნის. მეცნიერის აზრით კულტურულ-ფილოსოფიური საფუძვლების გარეშე, ადამიანი იქცევა აბსტრაქტულ სუბიექტად, რომლისთვისაც არც სამართალი, არც ჰუმანიზმი და არც სოლიდარობაა მნიშვნელოვანი. შესაბამისად, მიმაჩნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში, როდესაც ადამიანის, პიროვნების, მისი სიცოცხლის მნიშვნელობა პოლიტიკური ინტერესების გამო ღირებულებას კარგავს, გენოციდი, როგორც კაცობრიობისათვის საფრთხის შემცველი აქტი ხდება პოლიტიზირებული სხვადასხვა სახელმწიფოებისა, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ; რაც თავისთავად გენოციდის ქმედების თანამონაწილეობად შეიძლება ჩავთვალოთ. აქვე წარმოვადგენ მერაბ მამარდაშვილის ცნობილ ციტატას: „ადამიანი არავის სჭირდება - აი, რა არის ტრაგედია“²⁸⁷. ნაშრომში განვითარებული აზრის მიხედვით მორალური და

²⁸⁷ მამარდაშვილი, მ. აზროვნება და სინამდვილე. თბილისი „გალტ თაგასტი“ 2001 გვ.

საზოგადოებრივი ინტელექტი არა მხოლოდ ეთიკური კატეგორიებია, არამედ - პოლიტიკური და სოციალური საშუალებები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გენოციდის პრევენცია, მისი გავრცელების თავიდან აცილება, შეჩერება. შესაბამისად, ვთვლი, რომ აკადემიკოსი მამარდაშვილის აზრით, გენოციდის პრევენცია შეუძლებელია მხოლოდ სამართლებრივი მექანიზმებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში, თუ საზოგადოებრივი ცნობიერება დარჩება მორალური ინტელექტის გარეშე. როგორც ცნობილია, მერაბ მამარდაშვილის მიდგომით, გენოციდის პირდაპირი განსაზღვრა არ არის წარმოდგენილი, თუმცა მისი ხედვები მორალურ პასუხისმგებლობაზე, ინდივიდის ნების და აზროვნების მორალურ ძალაზე, თავისთავად ქმნის უნიკალურ მოცემულობას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გენოციდის თეორიული გააზრება; შეიძლება ვთქვათ, რომ გენოციდი მხოლოდ ფიზიკური განადგურება არ არის, ის აზრის და სუბიექტურობის სრულად წაშლის მცდელობაცაა.

გრეგორი სტენტონის „ეტაპობრივი თეორიის“ და ბარბარა ჰარფის, „სტრუქტურული თეორიისაგან“ განსხვავებით, ცნობილი მკვლევრები მარკუნსენი და მენდელჰაუმი ამტკიცებენ შემდეგს, რომ გენოციდი ხშირ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების შედეგი; იგი შესაძლოა იდეოლოგიური მიზნითაც იმართებოდეს; მაგ.: ეროვნული იდეის გაქარწყლება, წარსულის დავიწყება, იდეოლოგიური მოწინააღმდეგის სრული განადგურება²⁸⁸. სწორედ ეს გახლავთ გენოციდის თეორიული ხედვის იდეოლოგიური მოდელი. ასევე, მსურს განვავრცო მოსაზრება, რომ გენოციდის პრევენციის მიზნით მორალური და საზოგადოებრივი ინტელექტის ამაღლება უნდა მოიცავდეს მორალური დისკურსის ინტეგრირებას განათლების სისტემაში, კრიტიკული ცნობიერების განვითარებას და მედიის პასუხისმგებლობის გაზრდას მორალური საკითხების გამუქებაში.

